საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა

დურმიშხან ლაშხი

ბრძოლა ეროვნული ღირებულებების პრაქტიკული რეალიზებისათვის საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში (ქველმოქმედნი და მეცენატნი)

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
„საქართველოს ისტორია"
სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თემის ხელმძღვანელი: სერგო ვარდოსანიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თბილისი
2016

შინაარსი

ანოტაცია.....4-7

შესავალი.....8-16

თავი I ცოტა რამ მეცენატობისა და ქველმოქმედების წარსულიდან საქართველოში.....17-21

§1. ეროვნული მრეწველობის განვითარების ტენდენციები XIXს-ის საქართველოში.....21-23

თავი II დავით სარაჯიშვილი.....24

§1. დავით სარაჯიშვილის ოჯახი, სწავლის პერიოდი კავშირი („ულელთან”)..24-28

§2. დავით სარაჯიშვილის სამრეწველო საქმიანობა.....29-31

§3. დავით სარაჯიშვილის ქველმოქმედება.....31-43

§4. დავით სარაჯიშვილი მეცენატი.....44-46

§5. დავით სარაჯიშვილის გარდაცვალება და ანდერძი.....46-54

§6. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ დავით სარაჯიშვილის თანხიდან დანიშნულ სტიპენდიატთა სია (1911-1918 წლამდე).....54-62

თავი III სტეფანე,ლევან,იაკობ,პეტრე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილები...63

§1. ზუბალაშვილების გვარის ისტორია და ძმები ზუბალაშვილების მშობლები..63-64

§2. სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი (მეცენატობა და ქველმოქმედება)...65-68

§3. ლევან კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი.....69-71

§4. იაკობ და პეტრე კონსტანტინეს ძე სუბალაშვილი.....71-72

§5. ძმები ზუბალაშვილების სტიპენდიატები 1908-1914 წლებში.....72-87

თავი IV გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი-ქველმოქმედი და მეცენატი....88-104

თავი V იმერეთის ეპისკოპოსი წმინდა გაბრიელ ქიქოძე.....105

§1. იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელის ბავშვობა, სწავლა და სამღვდელმთავრო მოღვაწეობა.....105-130

§2. გაბრიელ ეპისკოპოსის ქველმოქმედება და მეცენატობა.....130-144

§3. გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობის ბოლო წლები.....144-154

§4. გაბრიელ ეპისკოპოსის ანდერძი.....154-158

თავი VI ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე.....159

§1. ალექსანდრე ოქროპირიძის სწავლის პერიოდი,აფხაზეთსა და გურია-სამეგრელოს ეპარქიაში მოღვაწეობა.....159-171

§2. ალექსანდრე ოქროპირიძე და ქართული საგალობლები.....172-179

§3. ალექსანდრე ეპისკოპოსის ქველმოქმედება და მეცენატობა.....179-185

§4. ალექსანდრე ეპისკოპოსი და ქართული საზოგადოება.....186-188

§5. ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძის გარდაცვალება.....188-192

თავი VII აკაკი მეთოდეს ძე ხოშტარია.....193-194

§1. აკაკი ხოშტარიას სამრეწველო საქმიანობა და ქველმოქმედება.....194-200

დასკვნა.....201-204

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა.....205-213

დანართი.....214-229

ანოტაცია

სადოქტორო-სადისერტაციო ნაშრომი ,,ბრძოლა ეროვნული ღირებულებების პრაქტიკული რეალიზებისათვის საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში (ქველმოქმედნი და მეცენატნი),'' წარმოადგენს ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად გამიზნულ ნაშრომს.

1801 წლიდან საქართველოში დაიწყო რუსეთის კოლონიური პოლიტიკის განხორციელება, რაც მწვავედ აისახა ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროზე, ქართულ ენასა და კულტურაზე. ქართულმა საზოგადოებამ ხმა აღიმაღლა აღნიშნული პოლიტიკის წინააღმდეგ. ამგვარად ჩვენი მიზანია საზოგადოებას ვაჩვენოთ ქველმოქმედებისა და მეცენატების მოღვაწეობა, რომელიც კოლონიურ პოლიტიკას უპირისპირდებოდა.

ნაშრომში გადმოცემულია დიდი ქველმოქმედების, დავით სარაჯიშვილის, ძმები ზუბალაშვილების, გიორგი ქართველიშვილის, აკაკი ხოშტარიას,ალექსანდრე ოქროპირიძის და იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის მოღვაწეობა, ეროვნული ღირებულებების დაცვა განმტკიცებაში.

განსაკუთრებით საინტერესოა ნაშრომში გადმოცემული დავით სარაჯიშვილის მიერ 1911 წელს დატოვებული ანდერძის აღსრულების საკითხი, რაც წარმოადგენს ჩვენი კვლევის მთავარ ამოცანას.

საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ 1911 წლიდან 1918 წლამდე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ნიშნავდა სტიპენდიებს დავით სარაჯიშვილის მიერ დატოვებული თანხიდან. გარკვეულია იმ პირთა სახელები და გვარები, რომლებიც იღებდნენ დავით სარაჯიშვილის და ძმები ზუბალაშვილების დატოვებული თანხიდან სტიპენდიებს.

გარდა დავით სარაჯიშვილისა, ახალი საინტერესო ბიოგრაფიული ცნობებია მოძიებული აკაკი ხოშტარიაზე, კერძოდ ხოშტარიას ურთიერთობა ინგლისელ ემისრებთან საქართველოში–უორდროპებთან. საფიქრებელია, რომ აკაკი ხოშტარიამ დავით სარაჯიშვილის სახლი უორდროპებს დაუთმო დროებით საცხოვრებლად.

საინტერესოა აგრეთვე, გიორგი დავითის ძე ქართველიშვილის მოღვაწეობა, რადგანაც მის სახელთანაა დაკავშირებული ქართული კულტურის განსაკუთრებული მფარველობა, რაც გამოიხატებოდა ქართული წიგნების, ჟურნალ-გაზეთების, გამოცემის დაფინანსებაში. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა შოთა რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსნის'' პირველი ილუსტრირებული ვერსიის დაბეჭვდის დაფინანსება.

ეროვნული ღირებულებების დასაცავად განსაკუთრებით ხმა აღიმაღლა საქართველოს ეკლესიამ და მისმა ისეთმა თვალსაჩინო წარმომადგენლებმა როგორებიც იყვნენ: აფხაზეთის ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე და იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე, რომლებიც ქართველ ერს მოევლინენ არა მარტო როგორც დიდი სასულიერო მოღვაწენი არამედ დიდი ქველმოქმედები და მეცენატები.

სადოქტორო ნაშრომის მთავარ სიახლეს წარმოადგენს წარმოაჩინოს ზემოთ აღნიშნული მღვდელმთავრების განსაკუთრებული დამოკიდებულება ქართველი ახალგაზრდების მიმართ, რათა მათ მიეღოთ სწავლა განათლება. გარდა ამისა სადოქტორო ნაშრომში გადმოცემულია ალექსანდრე ოქროპირიძის დამსახურება ქართული საგალობლების გადარჩენის საქმეში, სწორედ მეუფე ალექსანდრეს ინიციატივით და დაფინანსებით შეიქმნა სპეციალური კომიტეტი კარბელაშვილების მეთაურობით, რომლებსაც ევალებოდათ უძველესი ქართული საგალობლების მოძიება და ნოტებზე გადაღება.

გამოკვლევაში ნათლადაა წარმოდგენილი ქართველი მეცენატებისა და ქველმოქმედების ბრძოლა ეროვნული ღირებულებების დაცვის კუთხით.

Resume

Doctoral thesis on "Fighting for practical realization of national values in Georgia by the end of the nineteenth century and at the beginning of the twentieth century (People of the arts and Philanthropists)" is intended for obtaining the academic degree of a Doctor of Historical Sciences.

Since 1801 Russia has started to carry out its colonial policy in Georgia, that sharply affected almost all fields of our life, including Georgian Language and Culture. Georgian society decided to fight against the mentioned policy. Thus, our aim is show the activities of the People of the arts and Philanthropists opposing colonial policy.

The given thesis shows the activities of great philanthropists David Sarajishvili, Brothers Zubalashvili, Giorgi Kartvelishvili, Akaki Khoshtaria, Aleksandre Okropiridze and Gabriel Kikodze (the Bishop of Imereti) in defending and consolidating national values.

The most interesting issue, given in this thesis is the fulfilment of the last will and testament left by David Sarajishili in 191, that is the main task of our scientific research.

From the data saved in archive, we learn that from 1911 to 1918, The Society of Propagation of Literacy among the Georgians, used to give scholarships from the amount left by David Sarajishvili. Even the names of those receiving scholarships from the money left by David Sarajishvili and Brothers Zubalashvili, are known to the society.

Besides David Sarajishvili, there are some interesting biographical data about Akaki Khoshtaria, namely, his relationship to the English diplomats in Georgia - the Wardrops. It's possible that Akaki Khoshtaria temporarily gave David Sarajishvili's house to the Wardrops.

The activities of Giorgi Kartvelishvili patronymic David are also of great importance as he particularly patronaged the Georgian culture, namely, financing the publication of Georgian books, magazines and newspapers. From this viewpoint, financing the publication of the first illustrated version of "Knight on the Panther's Skin" is particularly interesting.

Georgian church and its representatives like Aleksandre Okropiridze, the Bishop of Abkhazia and Gabriel Kikodze, the Bishop of Imereti, also fought for the protection of national values, who appeared to be not only great religious leaders, but people of the arts and philanthropists as well.

This doctoral thesis is aimed at presenting the particular attitude of the above mentioned clergymen towards the Georgian youth, who did everything to help them to get education. Besides this, the doctoral thesis emphasizes the achievement of Aleksadnre Okropiridze in saving Georgian

hymns; Aleksandre Okropiridze was the first who initiated and financed the establishment of a special committee, presided by brothers Karbelashvili, who were charged with the important mission of obtaining the Georgian hymns and copying them to music. The research clearly shows the fight of Georgian philanthropists and people of the arts for the protection of national values.

შესავალი

საკვლევი პრობლემის აქტუალობა. სადოქტორო სადისერტაციო თემის "ბრძოლა ეროვნული ღირებულებების პრაქტიკული რეალიზებისათვის საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში (ქველმოქმედნი და მეცენატნი)" აქტუალობა გამოდინარეობს იქიდან, რომ XIX საუკუნე ერთ-ერთი უმძიმესი პერიოდია საქართველოს ისტორიაში. ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურული სიტუაციის იდენტიფიცირებისას გასათვალისწინებელია ზაქარია ჭიჭინაძის სიტყვები: „ XIX საუკუნე გახლდათ ის რთული და უმძიმესი პერიოდი, როდესაც საქართველოში კვდომის გზას ადგა ქართული კულტურა, ქართველი ხალხი ვსულდგმულობდით, მხოლოდ და მხოლოდ წარსულის ისტორიით" **(ჭიჭინაძე 1911:221).**

ზაქარია ჭიჭინაძის ეს ნააზრევი ზედმიწევნით ასახავს რეალობას,რადგან XIX საუკუნეში დაიწყო და XX საუკუნემდე გაგრძელდა რუსეთის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში, რასაც შედეგად ჯერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვა ხოლო 1811 წელს კი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება მოჰყვა.

XIX საუკუნის 30-40-იან წლებში რუსულმა ბიუროკრატიულმა რეჟიმმა ქართული საზოგადოების წინააღმდეგ აშკარა აგრესიული პოლიტიკა აირჩია. 1873 წელს, თბილისში, ქართველების შესახებ საჯარო ლექცია წაიკითხა კლასიკური გიმნაზიის იმჟამინდელმა დირექტორმა ჟილიხოვსკიმ,რომელიც ამტკიცებდა -"კაცი იბადება, იზრდება, მერე ბერდება და ბოლოს კვდება, ასევეა დღეს ქართველების საქმე. ოდესღაც მათ ჰქონდათ კარგი დრო,ეხლა კი მათ თავიანთის გაუნათლებლობით და უკულტურობით დაამტკიცეს სრული უმეცრება. ამიტომ იგინი დღეს სამარეში წვანან და ერთი მიწის მიყრის მეტი სხვა აღარაფერი უნდათ **(ჭიჭინაძე 1911:28).** ჟილიხოვსკის აზრს იზიარებდა ქართველთმოძულე ეგიაზაროვიც, როცა წერდა: „ეს ხალხი იხატება როგორც უზრუნველი, მჭამელი, მსმელი, მომღერალი და მოთამაშე, სხვა არაფერი" **(ჭიჭინაძე 1911:29).**

რუსული კოლონიური პოლიტიკის მარწუხები განსაკუთრებით მწარედ შეეხო ახალგაზრდობას, რადგანაც სკოლებში სწავლა-სწავლება მიმდინარეობდა მათთვის გაურკვეველ ენაზე, რაც ქართველ ყმაწვილებს პრაქტიკულად უსპობდა განათლების მიღების საშუალებას. ისტორიას შემორჩა ამ ამბით შეწუხებული ზაქარია ჭიჭინაძის სიტყვები: „აგერ ჩვენს წინაშე, მთელმა საუკუნემ ისე განვლო, რომ ჩვენს შორის აქამდე, ქართველი არც ექიმი იყო, არც ინჟინერი, არც სხვა რამ, იყვნენ თითო ოროლა ვექილები მხოლოდ. მთელი საქართველოს სასწავლებლები სულ სხვა ტომთა შვილებით იყო სავსე, ქართველებს აქ თითო-ოროლას ნახავდით მეტს ვერა,ძნელად რომ ადრე თბილისის გიმნაზიაში წელიწადში ერთს ან ორს ქართველს გაეთავებინა სწავლა, პირველ კლასში, რომ ქართველი მოწაფე ოცი ყოფილიყოს, ბოლოს ერთი ან ორი თუ დაამთავრებდა“ **(ჭიჭინაძე,1911:221).** ასეთ რთულ პერიოდში ქართული საზოგადოებისაგან ეროვნული ღირებულებების დაცვის სადარაჯოზე დგომას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. სადოქტორო სადისერტაციო თემა „ბრძოლა ეროვნული ღირებულებების პრაქტიკული რეალიზებისათვის საქართველოში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში (ქველმოქმედნი და მეცენატნი)“ მთავარ მიზნად ისახავს წარმოაჩინოს იმ ქველმოქმედებისა და მეცენატების მოღვაწეობა და როლი, რომლებსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართველი ერის წინაშე. საანალიზოდ აღებულ ისტორიულ მონაკვეთზე დაკვირვება ცხადყოფს,რომ რუსეთის დიდპყრობელური იდეოლოგიით შეწუხებულმა ქართულმა საზოგადოებამ აქტიურად დაიწყო ეროვნული ღირებულებების დაცვა.მაგალითად,თუ ილია ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლები სიტყვითა და საქმით ცდილობდნენ ქართველ ერში ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას, სხვანი ამას ქველმოქმედებითა და მეცენატობით ახერხებდნენ. ამ უკანასკნელთა შორის მოვიაზრებთ არა მარტო მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენლებს, არამედ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მაღალ იერარქებსაც.

სადოქტორო სადისერტაციო თემის მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს - XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის გამოჩენილი ქართველი მეცენატებისა და ქველმოქმედების: დავით სარაჯიშვილის, ძმები ზუბალაშვილების, აკაკი ხოშტარიას, გიორგი ქართველიშვილის, ეპისკოპოსს ალექსანდრე ოქროპირიძისა და იმერეთის

ეპისკოპოსს გაბრიელ ქიქოძის მოღვაწეობის ასახვა არა როგორც კაპიტალისტებისა და სასულიერო იერარქების, არამედ მათი, როგორც ეროვნული ღირებულებების დამცველთა და მოამაგეთა წარმოჩენა.

თემის აქტუალობა იმითაცაა განპირობებული,რომ ქართველ ქველმოქმედთა ბიოგრაფიულ ცნობებში გარკვეული უზუსტობაა, მაგალითად, დავით სარაჯიშვილის შესახებ გამოთქმული მოსაზრება თითქოს იგი საზოგადოება „უღელის“ წევრი იყო, სინამდვილეს არ შეესაბამება, ასევე აკაკი ხოშტარიას მისამართით - ლალი მიქელაძის მოსაზრება, აკაკი ხოშტარიას მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისათვის ორი ლინკორნის ტიპის გემების შეწირვასთან დაკავშირებით,რაც დოკუმენტებით არ დასტურდება. ჩვენ შევეცადეთ აღნიშნული ხარვეზები გაგვესწორებინა, რაც თემას უფრო საინტერესოს ხდის.

სადოქტორო სადისერტაციო თემას აქტუალობას მატებს ის საარქივო მასალა, რომელსაც თან ერთვის 1908-1918 წლებში ძმები ზუბალაშვილების,დავით სარაჯიშვილისა და გიორგი ქართველიშვილის თანხებიდან დანიშნული სტიპენდიატების ნუსხა, ასევე იმ სტუდენტების ხელით დაწერილი ტექსტი, რომელშიც ისინი ზემოდასახელებულ პირთა სახელობის სტიპენდიას ითხოვდნენ, რაც სიახლეს წარმოადგენს ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩო. სადოქტორო სადისერტაციო თემის დასათაურებიდან გამომდინარე შევეხებით ქართველი მეცენატებისა და ქველმოქმედების (დავით სარაჯიშვილი, ძმები ზუბალაშვილები, აკაკი ხოშტარია, გიორგი ქართველიშვილი, ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე და იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე) მოღვაწეობას, მათ მიერ გაღებული შეწირულობის ისტორიას კულტურულ სფეროსა თუ ინდივიდუალური პირებისადმი, რაც მიმართული იყო და ემსახურებოდა მხოლოდ ერთს, ეროვნული ღირებულებების დაცვას და გადარჩენას.

სადოქტორო სადისერტაციო თემიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ორიოდე სიტყვით ვისაუბროთ ზემოაღნიშნული პირების ბიოგრაფიულ შტრიხებზე.

სადისერტაციო თემის შესწავლის მდგომარეობა. სადოქტორო სადისერტაციო თემის გარშემო მუშაობისას მოვიპოვეთ როგორც დოკუმენტური წყაროები და პერიოდული გამოცემები, ასევე გამოქვეყნებული ნაშრომები.

შევეცდებით მოკლედ მიმოვიხილოთ სადოქტორო სადისერტაციო თემის ირგვლივ არსებული ავთენტური წყაროები და ლიტერატურა.

ა) წყაროების მიმოხილვა. სადოქტორო სადისერტაციო თემის დამუშავებისათვის ჩვენთვის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული დოკუმენტები, რომლებშიც ასახულია დავით სარაჯიშვილის, ძმები ზუბალაშვილებისა და გიორგი ქართველიშვილის თანხებიდან დანიშნული სტიპენდიატების სია 1908-1918 წლებში. ამ მხრივ, განსაკუთრებით, საინტერესოა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდებში დაცული მასალები.(ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე №1277, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე №1269. ფონდი 481, ანაწერი 1,საქმე №1311, ფონდი 481, ანაწერი1,საქმე №1370, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე №1462, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე №1464, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე №1466, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე №1468, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე №466, ფონდი 481,ანაწერი 1, საქმე № 1200, ფონდი 481,ანაწერი 1, საქმე № 873ნ ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1468, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე № 1277, ფონდი 481,ანაწერი 1, საქმე № 1133, ფონდი 481,ანაწერი 1, საქმე №1056, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე №45, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე №454, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე №426. ამ დოკუმენტებში ძირითადად საუბარია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრების ურთიერთობაზე დავით სარაჯიშვილის ანდერძის ნების აღმსრულებლებთან, რომლებსაც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის ანდერძით გათვალისწინებული თანხის გადაცემა ევალებოდათ.

აღნიშნულ ფონდებში, აგრეთვე დაცულია, სხვადასხვა პირთა თხოვნა მათთვის დავით სარაჯიშვილის, ძმები ზუბალაშვილების და გიორგი დავითის ძე ქართველიშვილის სახელობის სტიპენდიის დანიშვნის შესახებ, კარგად იკითხება იმ პირთა გვარები, რომლებიც დავით სარაჯიშვილის გარდაცვალების შემდეგ მისი სახელობის სტიპენდიას იღებდნენ.

ქართველი ქველმოქმედებისა და მეცენატების მოღვაწეობის შესახებ მასალა ხშირად ქვეყნდებოდა პერიოდულ ქართულ გამოცემებში: (,,თემი'' №7-25-26-29:1911, ,,თემი'' №25:1912, ,,დროება'' №105:1880, ,,დროება'' №39-46:1882, ,,დროება'' №110-171-194-210:1884, ,,დროება'' №17:1885, ,,ივერია'' №235:1880, ,,ივერია'' №235:1880, ,,ივერია'' №28-138:1887, ,,ივერია'' №23-45-115-170-189-207-209:1888, ,,თემი'' №7-25-26:1911, ,,ცნობის ფურცელი'' №1430:1901, ,,ცნობის ფურცელი'' №17410:1902, ,,ცნობის ფურცელი'' №142-143:1904, ,,ცისკარი'' №2:1862, ,,კვალი'' №4-40:1901. ,,თეატრი'' №13:1886, ,,თეატრი და ცხოვრება'' №28-41:1914, ,,მწიგნობარი'' №121:2004.) იმის საშუალებას გვაძლევს, რომ საფუძვლიანად შევისწავლოთ ქართველი მეცენატებისა და ქველმოქმედების ღვაწლი ეროვნული ღირებულებების დაცვის საქმეში.

ბ)ლიტერატურული მიმოხილვა. სადოქტორო სადისერტაციო თემა „ბრძოლა ეროვნული ღირებულებების პრაქტიკული რეალიზებისათვის საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში (ქველმოქმედნი და მეცენატნი)“ მონოგრაფიულად არ არის შესწავლილი,მაგრამ ისტორიკოსთა გარკვეულ ნაწილს მაინც ჰქონდა შეხება აღნიშნულ საკითხთან.ინტერესს მოკლებული არც თანამედროვეთა ვრცელი მოგონებებია,სადაც ისინი წინამდებარე სადოქტორო თემაში მოხსენებულ ქველმოქმედთა და მეცენატთა შესახებ წერენ.

1898 წელს **მღვდელმა პოლიექტოს კარბელაშვილმა** გამოსცა წიგნი ,,ქართული საერო და სასულიერო კილოები, ისტორიული მიმოხილვა.'' სადაც ავტორი საინტერესო ცნობებს გვაწვდის უძველესი ქართული გალობის ნოტებზე გადაღების ისტორიის შესახებ, რაც ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძის სახელს უკავშირდება.

1903 წელს **ზაქარია ჭიჭინაძემ** გამოსცა ,,ალექსანდრე ეპისკოპოსი.'' იმავე წელს გამოსცა ,,სიტყვები და წერილები ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეზე.'' აღნიშნულ წიგნებში ზაქარია ჭიჭინაძე ეხება მეუფე ალექსანდრეს მოღვაწეობას და საუბრობს ყველა იმ სიკეთეზე რაც წმინდა ალექსანდრე ეპისკოპოსმა გააკეთა ქართველი ერის წინაშე.

1904 წელს **ზაქარია ჭიჭინაძემ** გამოსცა წიგნი ,,გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი'' სადაც ავტორი დეტალურად გადმოგვცემს გიორგი ქართველიშვილის არა მარტო სამრეწველო საქმიანობას არამედ მის საქველმოქმედო მოღვაწეობას.

ძმები ზუბალაშვილების შესახებ ცნობებს გვაწვდის **ზაქარია ჭიჭინაძის** წიგნები. 1904 წელს ზაქარია ჭიჭინაძემ გამოსცა წიგნი "მრეწველობის წარმომადგენელნი და ზუბალაშვილების გვარის ისტორია". ამ წიგნში განხილულია ზუბალაშვილების გვარის წარმომავლობა, აგრეთვე ძმები ზუბალაშვილების მოღვაწეობის მიმართულებები.

1911 წელს გამოვიდა **ზაქარია ჭიჭინაძის** "მრეწველობა ვაჭრობა-ხელოსნობა საქართველოში, დავით სარაჯიშვილი". ამ წიგნში ავტორი ვრცლად ეხება, კაპიტალიზმის განვითარების საკითხებს საქართველოში, ასევე საინტერესო ცნობებს გვაწვდის სარაჯიშვილების გვარის წარმომავლობაზე და თავად დავით სარაჯიშვილზე. ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნულ წიგნში გადმოგვცემს დავით სარაჯიშვილის მამის ზაქარია სარაჯიშვილთა მოღვაწეობას. საინტერესოა, აგრეთვე, იაკობ მანსვეტაშვილის "მოგონებები ნახული და გაგონილი", სადაც იაკობ მანსვეტაშვილი საუბრობს ილია ჭავჭავაძესა და დავით სარაჯიშვილის მეგობრულ ურთიერთობებზე. აგრეთვე იხსენებს იმ საზოგადო მოღვაწეებს, რომლებიც იკრიბებოდნენ დავით სარაჯიშვილის სახლში.

1911 წელს **ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილმა** გამოსცა კრებული "დავით სარაჯიშვილის სახსოვრად," რომელშიც შეკრებილი იყო ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი წერილები დავით სარაჯიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ეს კრებული იმითაცაა საინტერესო, რომ მასში არა მარტო ქართულ პრესაში დაბეჭდილი წერილებია გამოქვეყნებული, არამედ სომხურ და უცხოურ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მასალები.

1913 წელს მღვდელმა **მელიტონ კელენჯერიძემ** გამოსცა წიგნი ,,გაბრიელი ეპისკოპოსი იმერეთისა.'' რომელშიც საინტერესოდაა გადმოცემული მეუფე გაბრიელის მოღვაწეობა.

1936 წელს გამოიცა **იაკობ მანსვეტაშვილის** ,,მოგონებები ნახული და გაგონილი,'' სადაც ვრცლად იხსენებს იაკობ მანსვეტაშვილი დავით სარაჯიშვილის საქველმოქმედო მოღვაწეობას.

1954 წელს გამოვიდა **იაკობ გოგებაშვილის** ,,თხზულებების'' მესამე ტომი, სადაც იაკობ გოგებაშვილი იხსენებს გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობას თბილისის სასულიერო სემინარიაში.

ალექსანდრე სიგუამ 1958 წელს გამოსცა წიგნი „იშვიათი ბუნების კაცი“, რომელიც აღწერს დავით სარაჯიშვილის ღვაწლს. ეს წიგნი იმითაა საყურადღებო, რომ ალექსანდრე სიგუამ გამოთქვა მოსაზრება, რომ დავით სარაჯიშვილი საზოგადოება „უღელის“ წევრი იყო. ამის დამადასტურებელ მაგალითად მოჰყავს სურათი,რომელზედაც აღბეჭდილნი არიან ივანე მაჩაბელი, ოთარ დადეშქელიანი, ვასილ მაჩაბელი,პეტრე გრუზინსკი,ვანო ჯორჯაძე, დავით გურამიშვილი, ვასილ პეტრიაშვილი და დავით სარაჯიშვილი. სურათს უკან მხრიდან აქვს წარწერა „საზოგადოება „უღელის“ წევრები 1875-76 წლებში“.აღნიშნული წარწერა ეკუთვნის რუსუდან ნიკოლაძეს. ალექსანდრე სიგუას ზემოთაღნიშნული მოსაზრება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რადგანაც ცნობილია, რომ დავით სარაჯიშვილი მხოლოდ 1878 წელს გაემგზავრა საფრანგეთში. ლოგიკურია, რომ 1875-1876 წლებში იგი საფრანგეთში ვერ იქნებოდა.

ალექსანდრე სიგუას აღნიშნული მოსაზრება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რადგანაც ცნობილია, რომ დავით სარაჯიშვილი საფრანგეთში მიემგზავრება მხოლოდ. 1878 წელს. 1875-76 წლებში იგი საფრანგეთში არ იმყოფებოდა.

1961 წელს გამოვიდა **აკაკი წერეთლის** თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, მეცამეტე ტომში აკაკი წერეთელი იგონებს თავის ურთიერთობას მეუფე გაბრიელთან.

1968 წელს გამოიცა **,,ექვთიმე თაყაიშვილის რჩეული ნაწერების''** პირველი ტომი, სადაც ავტორი იხსენებს დავით სარაჯიშვილისა და იმდროინდელი საზოგადო მოღვაწეების ურთიერთობის შტრიხებს, განსაკუთრებით საინტერესოდ იგონებს ილია ჭავჭავაძისა და დავით სარაჯიშვილის ურთიერთობას.

1968 წელს **გიორგი აბზიანიძემ** გამოსცა წიგნი ,,ნარკვევები XIX საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიიდან". იგი იმითაა საინტერესო, რომ მასში დაწვრილებითაა აღწერილი საზოგადოება ,,უღელის" დაარსება და მოცემულია მისი წევრების სახელები. სწორედ ამ წიგნიდან ირკვევა, რომ საზოგადოება "უღელის" წევრი იყო ალექსანდრე სარაჯიშვილი და არა დავით სარაჯიშვილი.

1969 წელს **ირინა ტატიშვილმა** გამოსცა წიგნი ,,მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართველი ახალგაზრდობა '' სადაც ვრცლადაა საუბარი ძმები ზუბალაშვილების

სტიპენდიატებზე, რომლებიც სწავლობდნენ მოსკოვისა და რუსეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

1983 წელს **თეიმურაზ კომახიძემ** გამოსცა "ბათუმის ამაგდარნი", რომელშიც გადმოცემულია ბათუმის კათოლიკური ეკლესიის მშენებლობა, რომელიც ააშენეს ძმებმა ზუბალაშვილებმა.

1994 წელს გამოვიდა ქართული ემიგრანტული ლიტერატურის მესამე ტომი, სადაც გაკვრით მაგრამ, მაინც არის საუბარი აკაკი ხოშტარიაზე.

1996 წელს **გივი გუჯეჯიანმა** დაბეჭდა გამოკვლევა ,,დავით სარაჯიშვილის საქველმოქმედო საზოგადოება", რომელშიც ძირითადად საუბარია დავით სარაჯიშვილის სამრეწველო საქმიანობასა და საქველმოქმედო მისიაზე.

ზაქარია ჭიჭინაძის კალამს ეკუთვნის ძმები ზუბალაშვილების ქველმოქმედების ამსახველი წიგნი ,,ქველმოქმედნი ლევან, იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილები". საინტერესოა, მისი ცალკე გამოცემული წიგნი სტეფანე ზუბალაშვილზე ,,სამაგალითო ადამიანი, სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი", რომელშიც ძირითადად საუბარია სახალხო თეატრის მშენებლობის ისტორიაზე, რომელიც სტეფანე ზუბალაშვილის სახელს უკავშირდება.

XX საუკუნის 30-იან წლებში მოღვაწე აკაკი მეთოდეს ძე ხოშტარიას შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში მეტად მწირი ცნობებია, რადგანაც იგი იყო საბჭოთა ხელისუფლების მიერ დევნილი და აქიდან გამომდინარე მასზე წერა იკრძალებოდა. თუმცა მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს გარკვეული ცნობები აკაკი ხოშტარიაზე. ძირითადად მის შესახებ ინფორმაცია,დაცულია პირად მოგონებებში. მაგალითად: საინტერესოა გენერალ გიორგი მაზნიაშვილს მოგონება აკაკი ხოშტარიაზე, თუ როგორ გადაიყვანა აკაკიმ რეპრესირებული გენერალი ირანში.

1998 წელს **ლალი მიქელაძემ** დაიცვა დისერტაცია: ,,XIX საუკუნის მეორე ნახევრის და XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული საზოგადოებრივი აზროვნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შესახებ". ამ დისერტაციაში ცალკე თავი აქვს დათმობილი აკაკი ხოშტარიას, სადაც საუბარია აკაკი ხოშტარიას როგორც სამრეწველო საქმიანობაზე, ასევე მის ქველმოქმედებაზე.

როგორც დასახელებული დისერტაციიდან ირკვევა აკაკი ხოშტარიას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს დემოკრატიულ მთავრობასთან და ფინანსურადაც დიდ დახმარებას უწევდა მას, რასაც ადასტურებს 2005 წელს ჟურნალ ,,შტუდიებში" გამოქვეყნებული ოთარ ჯანელიძის სტატია: "მასალები ქართული ემიგრაციის ისტორიიდან." მასში საუბარია სპირიდონ კედიას წერილზე გრიგოლ ვეშაპელისადმი, სადაც მოხსენიებულია აკაკი ხოშტარია, რომელიც ფინანსურ დახმარებას უწევდა საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას.

2006 წელს გამოვიდა კრებული ,,წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე და აფხაზეთი.'' აღნიშნულ კრებულში დაწვრილებითაა გადმოცემული მეუფე ალექსანდრეს მოღვაწეობა აფხაზეთში.

2006 წელს დაიბეჭდა კრებული ,,წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა.'' აღნიშნულ კრებულში საუბარია გაბრიელ ებისკოპოსის საეკლესიო და საერო ღვაწლზე.

2007 წელს **ჯემალ გამახარიამ** გამოსცა წიგნი ,,წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) და აფხაზეთი'' სადაც ასახულია გაბრიელ ეპისკოპოსის საქმიანობა აფხაზეთში მოღვაწეობის პერიოდი.

2010 წელს **სერგო ვარდოსანიძემ** გამოსცა წიგნი ,,ქართელი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეებში). სადაც დეტალურადაა განხილული ალექსანდრე ოქროპირიძის საეკლესიო მოღვაწეობა, და მისმიერ გაკეთებული მამულიშვილური საქმეები.

საინტერესოა აგრეთვე, **ვაჟა კიკნაძის** ,,ეროვნული და საკაცობრიო პრობლემატიკა XIX საუკუნის ქართველი სასულიერო მოღვაწეების შემოქმედებაში'' (თბილისი, 2009), **სიმონ** ხუნდაძის ,,გადანახული საგანძურიდან''(თბილისი,1965), **ავთანდილ ნიკოლეიშვილის** ,,გაბრიელ ეპისკოპოსი'' (თბილისი, 1990).

ზემოხსენებულ ავტორთა სამეცნიერო ნაშრომები დაგვეხმარა სადოქტორო სადისერტაციო თემის გარშემო მასალების მოძიება-დამუშავებაში.

თავი I

ცოტა რამ მეცენატობისა და ქველმოქმედების წარსულიდან საქართველოში

,,ქველმოქმედებას ხანგრძლივი ისტორიული ფესვები გააჩნია. ძველი რომის დიდი მოაზროვნეები: ციცერონი, პლინიუსი და სხვანი მიუთითებდნენ, რომ უნდა დავეხმაროთ მათ ვისაც უჭირს. ჩვენს წელთ აღრიცხვამდე პირველი საუკუნის მოღვაწის გაიოზ მეცენატის მფარველობით და ქველმოქმედებით მრავალი ნიჭიერი ადამიანი დაფრთიანდა" **(გურეშიძე, 1995: 3)**

ქრისტიანობამ ქველმოქმედება ღმერთისადმი სამსახურის შემადგენელ ნაწილად გამოაცხადა და ორგანიზებული ხასიათი მისცა, ყოველივე ამან, ცხადია პრაქტიკული გამოხატულება ჰპოვა. საუკუნეთა განმავლობაში ქრისტიანულმა ეკლესიამ, რომელიც თავისი ჰუმანური იდეებით მკვეთრად გამოირჩეოდა აშკარად აგრესიული ხასიათის სხვა მსოფლიო რელიგიებისაგან, საქველმოქმედო ხასიათის არაერთი აქცია განახორციელა, რისთვისაც ფართოდ იყენებდა შემოწირულობებსა და სხვა და სხვა გზით შეგროვილ სახსრებს. ე.ი. ქველმოქმედება მოწოდებული გახლდა ქრისტიანული რელიგიით და სავსებით გამართლებული იყო.

ქველმოქმედება და მეცენატობა შინაარსობრივი თვალსაზრისით ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება; სიტყვა მეცენატი ნიშნავს: "მეცნიერებისა და ხელოვნების მდიდარ მფარველს. მდიდარი რომაელი პატრიციის მეცენატის სახელის მიხედვით" **(ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1958: 215)**, რაც შეეხება სიტყვა ქველმოქმედს ნიშნავს ღარიბი ადამიანის მფარველს, რომელსაც ფინანსურ დახმარებას უწევს ესა თუ ის კონკრეტული პიროვნება.

უნდა აღინიშნოს, რომ ქველმოქმედება და მეცენატობა ძირითადად დამახასიათებელია კაპიტალიზმის განვითარების პერიოდისათვის. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ თითოეული ტერმინის შინაარსს, განსაკუთრებით კი ქველმოქმედებისას, რეალურად დავინახავთ, რომ ქველმოქმედების ელემენტები საქართველოში ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში არსებობდა.

რა გვაძლევს ამის ფიქრის საბაბს? საქმე იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებაში ყოველთვის არსებობდა ისეთი ფენა, რომელიც საჭიროებდა დახმარებას. ამას მოწმობს ქართულ სიტყვიერებაში გაბნეული ისეთი ლექსიკური ერთეულები, როგორებიცაა: გლახაკი, უქონელი, უპოვარი და სხვ.

საქართველოში ქველმოქმედებას ეწეოდა როგორც სახელმწიფო ანუ ხელისუფლება, ასევე კერძო პირებიც. მაგალითად: ,,ჩვენში ბაგრატ კურაპალატმა დააწესა ,,გლახაკთ ნაწილი", რომელიც XIII საუკუნემდე არსებობდა. ეს იყო სახელმწიფო შემოსავლიდან 10%-ის გლახაკთადმი დარიგება, რომელიც ორგანიზებული იყო ქვეყნის მართველთაგან. ქველმოქმედების გაცემას თვალყურს ადევნებდნენ მეფის მიერ დანიშნული ზედამხედველები'' **(მეტრეველი, 1976:41)**

ქველმოქმედება უნდა იყოს წარმოებული ნებაყოფლობით და არა ძალდატანებით. ზემოთ აღნიშნული ქველმოქმედება იმითაა ხაზგასასმელი, რომ სახელმწიფო თავისი შემოსავლიდან კეთილი ნებით გასცემდა დახმარებას, ამას ადასტურებს ივანე ჯავახიშვილის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ,,ქართულ საზოგადოებაში ისეთი აზრი და რწმენა ტრიალებდა, რომ მხოლოდ იმ ფულისა და ქველსაქმარის მიცემა შეიძლება, რომელიც ადამიანს თავისი ოფლით და სინდისიერად ნაშოვნი და შეძენილი ჰქონდა". **(ჯავახიშვილი, 1929: 33)** ასეთ ქველმოქმედებას ჰქონდა დიდი ზნეობრივი მნიშვნელობა.

სახელმწიფოს გარდა ქველმოქმედებას ეწეოდა ეკლესია-მონასტრებიც, რომლებიც შეწირული თანხებით გლახაკებს ეხმარებოდა.

XIX საუკუნეში საქართველოში საფუძველი ეყრება კაპიტალიზმის განვითარებას, რამაც ბიძგი მისცა გარკვეული კაპიტალის დაგროვებას კაპიტალისტის ხელში. სწორედ ამიტომაა, რომ XIX საუკუნე ითვლება ქველმოქმედებისა და მეცენატობის განვითარების პერიოდად, რადგანაც ამ პერიოდში ქართველი კაპიტალისტები იწყებენ საქართველოში ქველმოქმედებას და მეცენატობას.

XIX საუკუნის 70-80-იანი წლებიდან საქართველოში ჩამოყალიბებას იწყებს სხვადასხვა სახის საქველმოქმედო საზოგადოება, რომლებიც დიდ დახმარებას უწევს მოსახლეობის დაჩაგრულ ფენას. ეს ორგანიზაციები გარდა ადამიანთა ფიზიკური

გადარჩენისა მიზნად ისახავდა საქართველოში სწავლა-განათლების გავრცელებას და ამ პროცესში ხალხთა ფართო ფენების ჩაბმას. ბუნებრივია, ეს ორგანიზაციები დამოკიდებული იყვნენ კერძო შეწირულობაზე.

XIX საუკუნეში მრავალი წვრილი ქველმოქმედი იყო მაგალითად: მიხეილ, დავით, გრიგოლ და გიორგი სარაჯიშვილებმა ალავერდის ეკლესიის კანკელი გააკეთებინეს, აგრეთვე, მათ შეუკვეთეს მოსკოვში და საქართველოში ჩამოაბრძანეს ვერცხლითა და ოქროთი შემკული მშვენიერი სახარება მარტყოფის ღვთაების ტაძრისა. ამავე ტაძარს მათ 1907 წელს ვერცხლის ტრაპეზის ჯვარი შესწირეს.

XIX საუკუნეში ძალიან ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ქართველი საზოგადო მოღვაწეები სწირავდნენ სტუდენტებისათვის თანხებს, ან ანდერძს ტოვებდნენ, მთელ თავიანთ ქონებას უნაწილებდნენ სხვადასხვა საზოგადოებებს, რომელთაცმიცემული კაპიტალი უნდა განეკარგად სწავლა-განათლების ან სხვადასხვა კულტურული საქმიანობის განსახორციელებლად. სწორედ ასეთ პიროვნებას წარმოადგენდა გაბრიელ ეპისკოპოსი.

1890 წელს გაბრიელ ეპისკოპოსმა დატოვა ანდერძი, რომელშიც აღნიშნულია "ბახვის სოფლის სკოლას გადაეცეს 12,200 მანეთი, საეპარქიო სამზრუნველო სასულიერო წოდების ღარიბთათვის იმერეთის ეპარქიას 2000 მანეთი, ქუთაისის საქალაქო საქველმოქმედო საზოგადოების ღარიბთათვის 1500 მანეთი, ქუთაისის სასულიერო სემინარიის ღარიბ მოსწავლეებს 3000 მანეთი, თბილისის სასულიერო სემინარიის ღარიბ მოსწავლეებს 3000 მანეთი, იმერეთის საეპარქიო სკოლას 5000 მანეთი, გელათის მონასტერს 1000 მანეთი გლახაკთათვის დასარიგებლად" **(კელენჯერიძე, 1913: 227)**

XIX საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში იწყება ქართველი სტუდენტებისათვის დახმარების გასაწევად ფულის შეგროვება, რომელსაც ძირითადად ხელმძღვანელობდნენ ქართველი საზოგადო მოღვაწენი. ფულს ისინი აგროვებდნენ შემდეგნაირად: ,,ერთი რომელიმე პირი ითავებდა ამ საქმეს და თავის ნაცნობ მეგობრებში მოაგროვებდა მცირე, მაგრამ ღარიბი სტუდენტებისათვის მაინც მნიშვნელოვან თანხას. პირადი ან რომელიმე ნათესავის საშუვალებით მიაწოდებდა ამ თანხას ვისთვისაც იყო განკუთვნილი" **(ტატიშვილი, 1960: 154)**

1862 წელს ,,ცისკარი" წერდა: ,,პროვიანტის მაღაზიის ჩინოვნიკებმა მოაგროვეს თავიანთში ფული, რომელიც შესდგა ცამეტი თუმანი და ერთი მანეთი. ეს ფული გაგზავნეს პეტერბურგის უნივერსიტეტში ღარიბი სტუდენტების შესაწევნელად" **(,,ცისკარი", 1862, №2 :212).**

70-იან წლებში შეიქმნა ე.წ. ,,თბილისის კეთილმოქმედი საზოგადოება" რომელიც თავდაპირველად არსებობდა მხოლოდ საწევრო შესატანით, მაგრამ საწევროთი შეგროვებული თანხები არასაკმარისი იყო, ამიტომ ხშირი იყო შემთხვევები როდესაც საზოგადოების წევრები მოსახლეობაში აგროვებდნენ ფულს.,,თბილისის კეთილმოქმედი საზოგადოება'' ატარებდა კონცერტებს, სპექტაკლებს და შემოსულ თანხას გზავნიდა სტუდენტებისათვის. 1885 წელს საჩხერეში დაიდგა სპექტაკლი, სადაც შემოვიდა 45 მანეთი, რაც მთლიანად ღარიბ სტუდენტებს გადაერიცხა.

,,თბილისის კეთილმოქმედი საზოგადოების'' არსებობას ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა, რადგანაც ეს საზოგადოება არა თუ ეხმარებოდა სტუდენტებს, არამედ იცოდა საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში რამდენი სტუდენტი სწავლობდა და ფლობდა ინფორმაციას მათი ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, რადგანაც სტუდენტები ხშირად წერდნენ წერილებს ზოგი სტიპენდიის დანიშვნაზე, ზოგიც სამადლობელოს.

1901 წლის კიევში ქართველმა სტუდენტებმა ჩაატარეს ეროვნული საღამო,მაგრამ დაედოთ ვალი 600 მანეთი. ამ მოტივით ისინი ქართულ ჟურნალ-გაზეთებს თხოვდნენ დახმარებას, რათა მათ დაებეჭდათ განცხადებები, რათა სტუდენტობას დახმარებოდნენ ვალის გადახდაში. სტუდენტების ამ მოთხოვნას დიდი მხარდაჭერა მოყვა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შორის. როგორც ირკვევა,სტუდენტებს 100მანეთით დახმარება აღმოუჩინა ვინმე ჯიშკარიანმა, რომლის შესახებაც "კვალში" სამადლობელი წერილი დაიბეჭდა. სტუდენტებს ვალის გადახდაში მღვდელი ქრისტეფორე ჯიოევი დაეხმარა, მან 14 მანეთი გაუგზავნა, ხოლო ანა ანდუყაფარი სტუდენტებს 21 მანეთით შეეწია.

1888 წელს გიორგი ქართველიშვილმა დააფინანსა "ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაცია, რომელიც შეასრულა მიხაილ ზიჩმა. გარდა ილუსტრაციისა, გიორგი ქართველიშვილმა დააფინანსა ,,ვეფხისტყაოსნის" ყდის ძვირფასად მოჭედვაც. ცნობილია, რომ როდესაც თამარ მეფეს შოთა რუსთაველი გადასცემს ,,ვეფხისტყაოსანს" შოთა რუსთაველის

პერსონაჟს განასახიერებს დავით სარაჯიშვილი.(მ.ზიჩი ,,ვეფხისტყაოსნის'' ილუსტრაციებს ,,ცოცხალი პერსონაჟებიდან'' ხატავდა).

ქველმოქმედებას და მეცენატობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც XIX საუკუნეში ქართველი ხალხის მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა: ცარიზმის კოლონიური რეჟიმის ლიკვიდაცია, პერსპექტივაში სრული ეროვნული და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვება, ქართველი ხალხის განათლება და ეროვნული თვითშეგნების აღზრდა და ქართული ენისა და კულტურის დაცვა. ეს გახლდათ XIX საუკუნის საქართველოს მთავარი ამოცანა. ბუნებრივია, ამ იდეის განხორციელებაში ჩაბმულნი იყვნენ არა მარტო საზოგადო მოღვაწენი, არამედ საქველმოქმედო საზოგადოებებიც და ის ქველმოქმედნი რომლებიც მოღვაწეობდნენ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში.

§1.ეროვნული მრეწველობის განვითარების ტენდენციები XIX საუკუნის საქართველოში

XIX საუკუნეში საქართველოში ეროვნული სამრეწველო წარმოება რთულად ვითარდებოდა. მრავალგვარ დამაბრკოლებელ გარემოებათა შორის შეიძლება გამოვყოთ ორი უმთავრესი მიზეზი: პირველი-ქართველების არაადეკვატური დამოკიდებულება ვაჭრობა-მრეწველობისადმი (ერთადერთი რაც XIX საუკუნეში ჩვენმა ხალხმა აითვისა მეფის რუსეთის ჯარში სამხედრო სამსახური იყო).მეორე, საქართველოში მრეწველობის განსავითარებლად ის გახლდათ, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომ გაიხსნა ქვეყნის საზღვრები,რასაც უცხოური კაპიტალის შემოსვლა და ფაქტიური ექსპანსია მოჰყვა.

საქართველოში უცხოელმა კაპიტალისტებმა კარგად მოიკიდეს ფეხი,მათ დაიწყეს ქარხნების,ბანკებისა და სხვადასხვა სამრეწველო ობიექტების მშენებლობა.ერთი შეხედვით,ამაში ცუდი არაფერი იყო,რადგანაც ქვეყანაში ვითარდებოდა მრეწველობა,მაგრამ უცხოელი მრეწველები მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი სამრეწველო

ინტერესებით ხელმძღვანელებდნენ და ეროვნულ საქმეს არ აკეთებდნენ.მიუხედავად ასეთი რთული მდგომარეობისა, საქართველოში ეროვნული მრეწველობა მაინც წინ მიიწევდა.როგორც ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავს: „XIX საუკუნის ქართველთ მრეწველობა და აღებმიცემა აღორძინდა ერთობ ღატაკის ნიადაგიდან“**(ჭიჭინაძე,1911:50).**ძირითადი მხარე მრეწველობისა იყო: პურის, ღვინის, არყის, შაქრის, ჩაისა და ნართის წარმოება.

საანალიზოდ აღებულ ისტორიულ პერიოდში, პურის სავაჭროების გარდა, ქართველმა მრეწველებმა შემოსავლიან საქმედ ჩათვალეს არყის წარმოება.რადგან რუსების საქრთველოში შემოსვლამდე არაყზე მოთხოვნა ნაკლები იყო. არაყს მოიხმარდნენ მხოლოდ მთაში, ზაქარია ჭიჭინაძის გადმოცემით: „ჭაჭა იმდენი იყო, რომ მას ვინ რაში გამოიყენებდა, იგი შინაური არყისათვის ყოფნიდათ და გადასაყრელადაც ბევრი რჩებოდა, რაისა გამო, იგი მინდვრებზედ იყრებოდა რასაც მხოლოდ ღორები ჭამდნენ“ **(ჭიჭინაძე,1911:115)**. მას შემდეგ, რაც საქართველოში რუსები შემოვიდნენ არაყზე მოთხოვნილება გაიზარდა და მომგებიან ბიზნესად იქცა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში არყის წარმოებას ხელი მოჰკიდა იაკობ ზუბალაშვილმა. 1838 წელს მან დასავლეთ საქართველოში დაარსა პირველი არყის ქარხანა, რომელსაც შეეძლო წელიწადში ეწარმოებინა 8000 ვედრო არაყი. იაკობ ზუბალაშვილი გლეხებისაგან იბარებდა ჭაჭას,, რომლისაგანაც შემდგომში არაყს ხდიდა. გარდა იაკობ ზუბალაშვილისა, დასავლეთ საქართველოში არყის წარმოებას მისდევდნენ ბერძნები და რუსები.

1850 წელს სამტრედიაში რუსმა გენერალმა არყის ქარხანა გახსნა, რომელმაც სულ რამდენიმე წელი იარსება. დასავლეთ საქართველოში ყველაზე დიდი არყის ქარხანა გაიხსნა 1865 წელს, რომელიც ეკუთვნოდა გიორგი ბოლქვაძეს. მას არყის გამოხდის ტექნოლოგია შესწავლილი ჰქონდა საბერძნეთში. საიდანაც ჩამოიტანა თანამედროვე არყის სახდელი დანადგარები, ამიტომაც იყო რომ ბოლქვაძის ქარხანამ ყველაზე დიდხანს იარსება სხვა არყის ქარხნებთან შედარებით.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში გარდა არყის წარმოებისა საქართველოში საფუძველი ეყრება შაქრის წარმოებას. 1835 წელს კონსტანტინე ზუბალაშვილმა პირველი შაქრის ქარხანა გახსნა ვერაზე. იგი აწარმოებდა 55 000 ფუტი შაქარი. ქართული შაქარი

იმით იყო განსხვავებული, რომ იგი იყო მოყვითალო, მეტად ტკბილი და მასთან ერთად საკმაოდ მდუნეც.

საქართველოში შაქრის ქარხნის გახსნას ხელი იმან შეუწყო, რომ რუსეთიდან ნაკლებად შემოდიოდა შაქარი, თანაც საქართველოში შაქრისადმი მოთხოვნილება დიდი იყო. თბილისში გახსნილ შაქრის ქარხანაში ძირითადად ქართველი გლეხები მუშაობდნენ, ხოლო რაც შეეხება ოსტატებს ისინი, ძირითადად, უცხოეთიდან იყვნენ ჩამოყვანილნი.

XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან საქართველოში დაიწყო რუსული შაქრის შემოტანა,რომელიც ქართულ შაქართან შედარებით გაცილებით იაფი იყო.რამაც ხელი შეუშალა ქართული შაქრის წარმოებას და ნიადაგი მოუმზადა საქართველოში შაქრის წარმოების გაუქმებას.

XIX საუკუნის 90-იან წლებში და XX საუკუნის 20-იან წლებში საქართველოში საფუძველი ეყრება ისეთი ახალი დარგების განვითარებას, როგორებიც არის: ნავთობის წარმოება და კონიაკის წარმოება. რამაც ფაქტობრივად შვა დიდი კაპიტალისტები დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი, სტეფანე, ლევან, პეტრე, იაკობ, კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილები და აკაკი მეთოდეს ძე ხოშტარია და სხვები.

თავი II

დავით სარაჯიშვილი

§1. დავით სარაჯიშვილის ოჯახი,სწავლის პერიოდი (კავშირი ,,უღელთან'')

სარაჯიშვილების გვარს, სულ რაღაც ორსაუკუნოვანი ისტორია აქვს. პირველად ისინი გამოჩნდნენ XVIII საუკუნეში ჩნდებიან საზოგადოებრივ ასპარეზზე. სარაჯიშვილები საკმაოდ გაწაფულნი იყვნენ აღებ-მიცემობაში, ამავდროულად მისდევდნენ ქველმოქმედებას და მეცენატობას. მაგალითად მიხეილ, დავით, გრიგოლ და გიორგი სარაჯიშვილებმა ალავერდის ეკლესიის კანკელი გააკეთებინეს, აგრეთვე, მათ მოსკოვში შეუკვეთეს და ჩამოატანინეს ვერცხლითა და ოქროთი შემკობილი მშვენიერი სახარება მარტყოფის ღვთაების ტაძრისათვის, ამავე ტაძარს 1807 წელს შეწირეს ტრაპეზის ვრცხლის ჯვარი.

დავით გიორგის ძე სარაჯიშვილი (დავით ზაქარიას ძის პაპა) ცნობილი გახლდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც შეძლებული ქველმოქმედი. მის საფლავზე ამოტვიფრულია შემდეგი წარწერა: "ღუბერსკის სეკრეტარი დავით გიორგის ძე სარაჯიშვილი" **(სიგუა,1985: 6).** მისი ძმა მიხეილი სურსათით ამარაგებდა თბილისში რუსის ჯარს. დავით გიორგის ძე სარაჯიშვილის უფროს ვაჟიშვილს პეტრეს ჰყავდა 14 შვილი, მათ შორის იყო საქართველოს განუმეორებელი ხმა და ბულბული ვანო სარაჯიშვილი.

დიდი სოვდაგრები იყვნენ გრიგოლ დავითის ძე (დავით და ზაქარიას ძის ბიძები) და ზაქარია დავითის ძე სარაჯიშვილები, რომლებსაც დიდი მამულები ჰქონდათ დიღომში. ზაქარია სარაჯიშვილის ინიციატივით დიღომში აშენდა თეთრი გიორგის ეკლესია, რომელიც შეამკო თავად აღმშენებელმა. ცნობილია, რომ ზაქარია სარაჯიშვილი (დავით სარაჯიშვილის მამა) იყო მეგობართა და ნათესავთა გამკითხველი.

დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის დედა იყო ელისაბედ სოლომონის ასული სავანელი, რომელიც ფრიად განათლებული ქალბატონი ბრძანდებოდა. დავითს ჰყავდა ორი და: ეკატერინე, რომელიც გათხოვილი იყო ნიკო ერისთავზე (სამხედრო პირი), ხოლო მეორე და ცოლად ჰყავდა დავით გიორგის ძე ერისთავს. (დავითი გახლავთ გიორგი ერისთავის, ,,სამშობლოს'' ავტორის შვილი). აი, ასეთი წინაპრები და სანათესაო გარემოცვა ზრდიდა დავით სარაჯიშვილს.

დავით სარაჯიშვილი დაიბადა 1848 წელს თბილისში. მან პირველდაწყებითი განათლება "ჰაკეს" პანსიონში მიიღო, რომლის დასრულების შემდგომ სწავლა ვაჟთა პირველ კლასიკურ, გიმნაზიაში გააგრძელა რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1866 წელს. ამავე წელს იგი სწავლის გასაგრძელებლად პეტერბურგში მიემგზავრება, სადაც მხოლოდ ერთი წელი დარჩა. პეტერბურგიდან დავით სარაჯიშვილი გერმანიაში, გადადის რადგანაც მას არ აკმაყოფილებს პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის დონე. ამასთან დაკავშირებით ალექსანდრე სარაჯიშვილი წერს: "პეტერბურგიდან გერმანიაში დათიკოს წასვლა მოუხდა იმიტომ, რომ მას არ აკმაყოფილებდა სწავლა, ამიტომაც იგი წავიდა გერმანიაში. ჩვეულებისამებრ გერმანიაში იგი ერთი უნივერსიტეტიდან გადადიოდა მეორე უნივერსიტეტში სადაც უკეთესი პროფესორი ეგულებოდა"**(სარაჯიშვილი, 1913: 8)** .

1878-79 წლებში დავით სარაჯიშვილი მიდის საფრანგეთში, სადაც ეუფლება მეღვინეობა-მევენახეობის დარგებს. დავით სარაჯიშვილის საფრანგეთში ყოფნის დროს პროფესორმა ალექსანდრე სიგუამ, გამოთქვა მოსაზრება, რომ დავით სარაჯიშვილი გაერთიანებული იყო საზოგადოება ,,უღელში". ამის დამადასტურებელ მაგალითად მიაჩნია ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილის რუსუდან ნიკოლაძის ხელნაწერი, რომელიც დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ალექსანდრე სიგუა აღნიშნავს რომ: ,,თბილისის მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული ნიკო ნიკოლაძის არქივში მივაგენით ერთ ფოტოსურათს, რომელიც პარიზშია გადაღებული. სურათზე აღბეჭდილნი არიან: ივანე მაჩაბელი, ოთარ დადეშქელიანი, ვასილ მაჩაბელი, პეტრე გრუზინსკი, ვანო ჯორჯაძე, დავით გურამიშვილი, ვასილ პეტრიაშვილი, დავით სარაჯიშვილი. სურათს უკანა მხრიდან პროფესორი რუსუდან ნიკოლაძის ხელით აწერია: ""უღელის" ჯგუფი პარიზში 1875-76 წლებში" ალექსანდრე სიგუას მიაჩნია, რომ დავით

სარაჯიშვილი აღნიშნულ სურათზე აღბეჭდილია და ამით იგი საზოგადოება ,,უღელის წევრია" რითიც ახალი ფურცელი იშლება დავით სარაჯიშვილის ბიოგრაფიასა და მის საზოგადოებრივ მოღვაწეობაში" **(სიგუა, 1985: 19) (დანართი №1).**

ალექსანდრე სიგუას მოსაზრება-დავით სარაჯიშვილის საზოგადოება ,,უღელთან" კავშირი არ მიგვაჩნია მთლად მართებულად, რადგანაც 1875-76 წლებში დავით სარაჯიშვილი არ იმყოფებოდა საფრანგეთში. ცნობილია, რომ დავით სარაჯიშვილი 1878-79 წლებში მიემგზავრება საფრანგეთში, მეღვინეობა-მევენახეობის დარგის შესასწავლად, მაშინ ბუნებრივია თუ დავით სარაჯიშვილი 1875-76 წლებში არ იმყოფებოდა საფრანგეთში, მაშინ როგორ იქნებოდა საზოგადოება ,,უღელის" წევრი. იგივე სურათი **(დანართი №2)** დაცულია ვანო მაჩაბლის ფონდში, სადაც არის აღნიშნული დავით გურამიშვილის (მხატვარი) მოგონება, იგი აღნიშნავს, რომ "ჩემი მაჩაბელთან გაცნობა მოხდა პარიზში 1878 წელს ვანო იყო პარიზის იმდროინდელი ქართული კოლონიის სულისკვეთების გამომხატველი და ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი... ვმართავდით დაუსრულებელ კამათს საქართველოს სინამდვილეში როგორ გამოგვეყვანა ევროპიელთა ნააზრევი თეორიები". რის შემდეგაც დავით გურამიშვილი იხსენიებს სურათზე აღბეჭდილ პირებს, მათ შორის დავით სარაჯიშვილსაც.

დავით გურამიშვილის ეს მოგონება ხაზგასმით მიუთითებს, რომ აღნიშნული სურათი გადაღებულია არა 1875-76 წლებში, არამედ 1878 წელს.

დავით სარაჯიშვილი საზოგადოება ,,უღელის'' წევრი არ ყოფილა, ამას მოწმობს ნიკო ნიკოლაძისა და რუსუდან ნიკოლაძის მოგონებები. ცნობილია რომ ნიკოლაძეები (იგულისხმება ნიკო ნიკოლაძის ოჯახი) იყვნენ საზოგადოება ,,უღელის" წევრები, მაგრამ არსად არ არის დაფიქსირებული, რომ დავით სარაჯიშვილი იყო საზოგადოება ,,უღელის" წევრი. ერთადერთ ადგილას რუსუდან ნიკოლაძე იხსენებს აკაკი წერეთლისა და ნიკო ნიკოლაძის საუბარს, სადაც აკაკი ეუბნება ნიკო ნიკოლაძეს: რა მეშველებოდა ჩემო ნიკო, დავით სარაჯიშვილი რომ არ მყავდეს, - არაფერია ჩემო აკაკი, შენ გაუძლებ სიღარიბეს, მაგრამ რა ეშველებოდა ქართულ თეატრს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და ღარიბ მსახიობებსა და მოსწავლეებს უდავითოდ" **(სიგუა, 1985:20).**

საზოგადოება ,,უღელის" მოღვაწეობას ვრცლად შეეხო მკვლევარი პროფესორი გიორგი აბზიანიძე, რომელმაც თავის წიგნში "ნარკვევები XIX საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიიდან" ვრცლად განიხილა პარიზში დაარსებული ქართული საზოგადოებების ისტორია და მათი წევრები.

გიორგი აბზიანიძის წიგნიდან ირკვევა, რომ საზოგადოება ,,უღელის'' წევრები იყვნენ: ,,გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, დავით მიქელაძე, ალექსანდრე სარაჯიშვილი, პ. იზმაილოვი, პ. მელიქიშვილი, ივ. თარხნიშვილი, კ. ნიკოლაძე, ეკატერინე მელიქიშვილი, ანა დობროლუბსკაია, ოლიმპიადა ნიკოლაძე, მაშიკო წერეთელი, ძმები ალექსანდრე და ვლადიმერ ჯანდიერები" **(აბზიანიძე, 1959:465).**

1874 წლის აგვისტოში ჟენევაში გაიმართა საზოგადოება "უღელის" კონგრესი, რომელზეც "კონგრესის თავმჯდომარედ აირჩიეს გიორგი წერეთელი, ხოლო მდივან მომხსენებლად ალექსანდრე სარაჯიშვილი"**(აბზიანიძე, 1959:492).**

ამ ცნობიდან ჩანს, რომ საზოგადოება ,,უღელის" წევრი იყო ალექსანდრე სარაჯიშვილი და არა დავით სარაჯიშვილი. მაშ, ბუნებრივია, დაიბადება კითხვა, საიდან აღმოჩნდა დავით სარაჯიშვილი აღნიშნულ ფოტოზე? საქმე იმაში მდგომარეობს, რომ დავით სარაჯიშვილს სურათზე აღბეჭდილ პირებთან განსაკუთრებული მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა, ცნობილია, რომ იგი ივანე მაჩაბლისა დავით გურამიშვილის დიდი მეგობარი იყო და ისიც ცნობილია, რომ მაჩაბლის ვაჟიშვილის ნიკოლოზის ნათლია იყო დავით სარაჯიშვილის მეუღლე ეკატერინე ფორაქიშვილი. 1910 წელს, როდესაც დავით სარაჯიშვილმა შეადგინა ანდერძი ნიკოლოზ მაჩაბელს დაუტოვა 1000 მანეთი.

დავით სარაჯიშვილისა და ივანე მაჩაბლის მეგობრობას ადასტურებს 1911 წელს გაზეთ ,,თემში" გრიგოლ დიასამიძის წერილი, სადაც იგი გვიამბობს თუ როგორ შეატყობინა ვანო მაჩაბლის დაკარგვა დავით სარაჯიშვილმა: ,,მახსოვს რა თავზარი დაეცა და როგორ გავექანეთ ჩვენ, ორივენი ვანო მაჩაბლის სახლისაკენ. ვანო მაჩაბელი დიდი მეგობარი იყო დავით სარაჯიშვილის და გასაკვირველი არ არის, რომ ის ძალიან აღელვებული იყო"**(,,თემი", 1911: №25,).** (გრიგოლ დიასამიძის და დავით სარაჯიშვილის შეხვედრა მოხდა გოლოვინის პროსპექტზე, არღუთინის სახლთან). ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ როდესაც 1878-79 წწ. დ. სარაჯიშვილი ჩავიდა საფრანგეთში, იგი შეხვდა თავის

მეგობრებს და გადაიღეს სურათი, რომელსაც შემდეგ მოგვიანებით რუსუდან ნიკოლაძემ მიაწერა საზოგადოება ,,უღელის" წევრები და ამით დავით სარაჯიშვილიც გააერთიანა ,,უღელში".

1911 წელს დავით სარაჯიშვილის პატივსაცემად ალექსანდრე სარაჯიშვილმა გამოსცა კრებული ,,დავითის სახსოვრად", სადაც აღბეჭდილია არა მარტო დავით სარაჯიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, არამედ ქართველი საზოგადო მოღვაწეების სამგლოვიარო წერილები, რომლებიც გამოქვეყნდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. რატომ შევჩერდით ალექსანდრე სარაჯიშვილის აღნიშნულ კრებულზე? საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ალექსანდრე სარაჯიშვილი იყო, საზოგადოება ,,უღელის" წევრი. თუ დავით სარაჯიშვილი მაშინ აღნიშნული საზოგადოების წევრი იყო ალექსანდრე სარაჯიშვილი ამის შესახებ აუცილებლად აღნიშნავდა. ჩამოთვლილი ფაქტებიდან გამომდინარე ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ დავით სარაჯიშვილი იყო საზოგადოება ,,უღელის" წევრი, რადგანაც ამის შესახებ არაფერს არ საუბრობს თავად რუსუდან ნიკოლაძე, საზოგადოება ,,უღელის" აქტიური წევრი გახლდათ ალექსანდრე სარაჯიშვილი.

1880 წელს დავით სარაჯიშვილი ბრუნდება საქართველოში. ამ პერიოდში დავითის მამა ახალი გარდაცვლილი იყო. მას მამისაგან ერგო 7000 მანეთი, რომლითაც მან დაიწყო საქართველოში არყისა და კონიაკის წარმოება.

§2. დავით სარაჯიშვილის სამრეწველო საქმიანობა

1885 წელს დავით სარაჯიშვილმა თბილისში გახსნა კავკასიაში პირველი სარექტიფიკაციო ქარხანა. 1887 წელს საფრანგეთიდან ჩამოიყვანა სპეციალისტები, ქარხანა გადააკეთებინა და დააარსა არყის გამომხდელი ქარხანა.

1888 წელს დავით სარაჯიშვილმა კონიაკის გამომხდელი ქარხანა გახსნა თბილისში, 1894 წელს -ერევანში, 1895 წელს-ბესარაბიაში, 1901 წელსკი-ბაქოს გუბერნიაში.

დავით სარაჯიშვილის სამრეწველო საქმიანობას ძალიან საინტერესო შეფასება მისცა ზაქარია ჭიჭინაძემ: "დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი გახლდათ ის პირველი მერცხალი, რომელმაც საქართველოში და არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთის იმპერიაში საფუძველი ჩაუყარა პატიოსნად არყის წარმოებას. მან მეცნიერულად მომზადებულმა თავისი შორსმჭვრეტელობის წყალობით და კაცთა ბუნების მარგებელი ანუ შემრგო სასმელთა შემოღების და გავრცელების მხრითაც დიდი სიკეთე მოუტანა კაცთა სიცოცხლეს"**(ჭიჭინაძე ,1911: 90).**

ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გამოთქმული ეს მოსაზრება სავსებით შეესაბამება სიმართლეს, რადგანაც XIX საუკუნის 80-იან წლებამდე საქართველოში არყის გამოხდა ხდებოდა ისე, რომ ,,ოღონდ გამოხდილიყო, თორემ დანარჩენთან საქმე არა აქვთ. იგი გინდა მავნე თვისებისა ყოფილიყო კაცთათვის და გინდა შემრგო, ორივე ერთი იყო" **(ჭიჭინაძე, 1911: 90).** ამიტომაც ითვლება დავით სარაჯიშვილი საქართველოში იმ პატიოსან მერცხლად, რომელმაც პირველმა გაამახვილა ყურადღება არყის წარმოების იმ გზით განვითარებაზე, როგორიც ევროპაში იყო.

დავით სარაჯიშვილმა ქართულ კონიაკს თოთხმეტი მედალი მოაპოვებინა, აქედან ცამეტი თავისავე სიცოცხლეში.1889 წელს პარიზის გამოფენაზე ქართულმა კონიაკმა ბრინჯაოს მედალი აიღო, 1894 პეტერბურგში ვერცხლის მედალი, 1896 წელს ნოვგოროდში აიღო ოქროს მედალი მოიპოვა. დავით სარაჯიშვილის ასეთმა წარმატებამ სომხურ ბურჟუაზიას ათქმევინა: ,,აფსუს, რომ დავით სარაჯოვი ქართველიაო, ეგეთი მრჩო, ნასწავლი და ყოჩაღი კაცი სომეხი უნდა იყოსო, ჩვენ გვიკვირს, რომ ქართველებში ასეთი შესანიშნავი კაცი გამოსულაო" **(ჭიჭინაძე, 1911: 111).**

1906 წელს დავით სარაჯიშვილმა №3 სარექტიფიკაციო ქარხნის ბაზაზე სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა სინდიკატი რექტიპიკატი შექმნა, რომელშიც გაერთიანებულები იყვნენ თბილისში არსებული სპირტის საწარმოების მეპატრონეები: ,,კვეზერელი, კოპაძე, სტეფანოვი, ბაღდასაროვი, ალექსანდროვი, ტუნე, ბიდერმანი და დავით სარაჯიშვილი"**(მირიანაშვილი, 1980:21).**

ამხანაგობა ,,რექტიპიკატს" ჰქონდა სარექტიპიკაციო არყის ქარხნები და სპირტის საბითუმო საწყობები მეტეხის ციხესთან, კვეზერელი-კოპაძე და სტეფანოვის სახლებში.

დავით სარაჯიშვილმა ვლადიკავკაზის სპირტის ქარხანა შეიძინა ტაიროვისა და ადამ ფორაქიშვილისაგან. ვლადიკავკაზის არყის ქარხანამ დავით სარაჯიშვილი კინაღამ გააკოტრა, რადგანაც ქარხანა მდებარეობდა ამიერკავკასიის და რუსეთის საზღვარზე. ამიერკავკასიაში ერთი კილოგრამი პურის სპირტის გამოხდაზე დაწესებული იყო 7 კაპიკი აქციისი. რუსეთის საზღვარზე ერთი კილოგრამი პურის სპირტის გამოხდა ჯდებოდა 9 კაპიკი, ამიტომ დავით სარაჯიშვილს უხდებოდა 9 კაპიკის გადახდა, რამაც დიდი ზარალი მოუტანა ქარხანას.

დავით სარაჯიშვილმა, შეძლო რომ 1886 წლის 28 ივნისიდან 1887 წლის 1 ივნისამდე ამიერკავკასიაში უაქციზოდ ეწარმოებინა სპირტის გამოხდა, რამაც ქარხნის მოგება საგრძნობლად გაზარდა და დავით სარაჯიშვილი გაკოტრებისაგან იხსნა.

1901 სარაჯიშვილის ქარხნებში 65 დასახელების სხვადასხვა არაყი გამოდიოდა. დავით სარაჯიშვილი გახლდათ პირველი ქართველი მრეწველი, რომელსაც რუსეთში გაჰქონდა ქართული არაყი და კონიაკი.

1901 წელს კონიაკის წარმოების მოგებამ დავით სარაჯიშვილის ქარხნებში საგრძნობლად გაიზარდა ,,ამ პერიოდში დავით სარაჯიშვილის კონიაკის ქარხანამ გაყიდა 400000 მანეთის ლიქიორი და 150000 მანეთის სპირტი. თუ 1895 წელს კონიაკის ქარხნის წლიური შემოსავალი იყო 35000 მანეთი, 1903 წლისათვის გაიზარდა 981 700 მანეთამდე" **(მირიანაშვილი,1980:137).**

1901 წელს სააქციზო ხარჯთა აკრეფის გამგემ, დავით სარაჯიშვილს კომერციის ,,სოვეტნიკის" წოდება მიენიჭა სპირტიანი სასმელების სუფთად წარმოების გამო. ,,მიმდინარე წლის აგვისტოში, ტფილისში იხსნება კავკასიური გამოფენა, სასოფლო

მეურნეობისა და მრეწველობის, საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლისთავისადმი აღსანიშნავად. ამ გამოფენაზე თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს არყისა და სხვა მაგარი სასმელების გამოფენაც, ამისათვის შესაფერისად მიმაჩნია თქვენს მაღალ-აღმატებულებას მოვახსენო, რუსეთში მეტად ცნობილი და ადგილობრივ მეტად გავრცელებული დავით სარაჯიშვილის მრეწველობა, შეიძლება თქვენმა მაღალ-აღმატებულებამ ამ საიუბილეო გამოფენის გამო უმაღლესი ჯილდოს ღირსად ცნათ, რადგანაც ამ ;ძვირფას დარგში, როგორიცაა ეხლა კონიაკის წარმოება, დიდი ღვაწლი მიუძღვის და დიდი სახელიც აქვს დამსახურებული სარაჯიევის ფირმას, რომელიც 17 წელიწადია რაც არსებობს. სამართლად მიმაჩნია სარაჯიევი წახალისებული ყოს კომერციის სოვეტნიკის წოდებით" **(სარაჯიშვილი, 1911: 17).**

დავით სარაჯიშვილს სპირტიანი სასმელების წარმოებამ მოუტანა უზარმაზარი კაპიტალი, რომელიც ქართველ ხალხს მოახმარა თავისი ქველმოქმედებითა და მეცენატობით.

§3. დავით სარაჯიშვილის ქველმოქმედება

XIX საუკუნის 80-იან წლებში მოღვაწე ქართველ ქველმოქმედთა შორის განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი, რადგანაც 1880 წლიდან 1911 წლამდე საქართველოში არ გაკეთებულა კეთილი საქმე, რომელშიც დავით სარაჯიშვილს მონაწილეობა არ მიეღო, ამიტომ იყო, რომ აკაკი შანიძე დავით სარაჯიშვილზე წერდა: ,,დავით სარაჯიშვილი არაჩვეულებრივი მოვლენაა საქართველოს ისტორიაში. კაცი უაღრესად ნიჭიერი და გამჭრიახი, კარგად მომზადებული და შორსმჭვრეტელი. იგი იყო თავისი დროის ქართველ მოღვაწეთა უნარჩევესთაგანი, რომელმაც დაუღალავი შრომითა და ჯაფით დიდი მრეწველის სახელი გაითქვა, საკმაო ქონება შეიძინა და ეს ქონება გონივრულად გამოიყენა. მას მხურვალედ უყვარდა მშობლიური ქართველი ერი და ყველაფერს ღონობდა, რომ ჩვენი ქვეყანა დაწინაურებულიყო და ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში უცხოელ დამპყრობთაგან მიღებული წყლულები მოეშუშებინა. პროგრესულად მოაზროვნე დავით სარაჯიშვილი დიდ დახმარებას უწევდა სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ქართულ

თეატრს, ქართველ მწერლობას. დავით სარაჯიშვილის სტიპენდიით მრავალმა ახალგაზრდამ მიიღო უმაღლესი განათლება, რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში. იგი უშუალოდ გულუხვად ხელის შემწყობი იყო ყველასათვის და ყველაფერში, რაც ჩვენი ქვეყნის წინსვლის საქმეს ემსახურებოდა" **(სიგუა,1985:3).**

დავით სარაჯიშვილის ქველმოქმედებაზე და მეცენატობაზე მეტყველებს ფილიპე გოგიჩაიშვილის მოგონება: ,,გაცემას ყოველთვის ისეთ ხასიათს აძლევდა თითქოს იგი თავისთავად მიმღებს ეკუთვნოდა და შენს პიროვნებასთან არავითარ კავშირი არ ჰქონდა" **(სიგუა, 1985:111).**

1880 წელს, როდესაც დავით სარაჯიშვილი დაბრუნდა საქართველოში, მან დაიწყო ახალი სახლის მშენებლობა ქალაქის ცენტრში სერგეევის ქუჩაზე. ეს სახლი არქიტექტორული თვალსაზრისით არის ,,ორიენტალური და ევროპული სივრცეების დაპირისპირება ერთმანეთში"**(მარჯანიშვილი, 1992: 165).**

დავით სარაჯიშვილმა აღნიშნული სახლის ასაშენებლად გერმანიიდან მოიწვია კარლ ცარი, ხოლო თანაშემწეებად იყვნენ ოზეროვი, ტატიშჩევი და მამცაშვილი. რატომ დავიწყეთ მაინცდამაინც დავით სარაჯიშვილის ამ სახლით საუბარი? საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ეს არ იყო მხოლოდ საცხოვრებელი სახლი, იგი იყო იმდროინდელი ინტელიგენციის თავშეყრის ადგილი. დავით სარაჯიშვილის სახლში კვირაობით იკრიბებოდნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, გრიგოლ გაბაშვილი, იაკობ მანსვეტაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვა საზოგადო მოღვაწეები.

დავითის სახლში ილია ჭავჭავაძემ წაიკითხა თავისი უკვდავი ქმნილებები: ,,განდეგილი" და ,,ოთარაანთ ქვრივი". ამიტომაც პროფესორმა აპოლონ მახარაძემ დავით სარაჯიშვილის სახლს ლიტერატურული სალონი უწოდა.

იაკობ მანსვეტაშვილი იგონებს თუ როგორ წაიკითხა ილია ჭავჭავაძემ ,,ოთარაანთ ქვრივი" დავით სარაჯიშვილის სახლში: "მოსვენებას არ ვაძლევდით ილიას, გვინდოდა რომ ,,ივერიისათვის" რაიმე მოთხრობა მოეცა, ვიცოდით რომ ჩანასახად უკვე ჰქონდა დაწყებული მოთხრობა, რომლისთვისაც წინა განზრახვა ჰქონია ,,მგონი ,,გიორგი" ეწოდებინა" სახელად, მერე კი ,,ოთარაანთ ქვრივი" დაარქვა. ახალშობილს მონათვლა უნდოდა. განუყრელი უცვლელი ნათლია ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებისა დავით

სარაჯიშვილი იყო. იმდენად გულუხვი, პატივცემული ნათლია რომ ნათლობასაც თვითონ იხდიდა. ასე იყო მონათლული ,,განდეგილი" და ამ წესრიგს არც ეხლა გადაუდგა დავით სარაჯიშვილი.

საღამოს რვა საათი იქნებოდა, სარაჯიშვილის ფართო მდიდრულ მოწყობილ სახლში, სოლოლაკში დიდძალ ქართველობას მოეყარა თავი. აქ იყო ,,ივერიის" ყველა თანამშრომელი, ქართველი მწერალნი და საზოგადო მოღვაწენი. მათ შორის: რაფიელ ერისთავი, ნიკო ნიკოლაძე, ვანო მაჩაბელი, პეტრე უმიკაშვილი. ილიამ წაიკითხა თავისი მოთხრობა, ამასობაში კარგა ხანმა გაიარა, შუაღამე გადასულიყო, პურადმა მასპინძელმა დავით სარაჯიშვილმა ყველანი ვახშმად მიგვიწვია, შევედით დიდ სასადილოში, სადაც დიდებული სუფრა იყო გაშლილი, ვახშამმა მხირულად ჩაიარა, მეტადრე ლაზათი დასდო თამადამ რაფიელ ერისთავმა"**(მანსვეტაშვილი, 1963:115-116).**

იაკობ მანსვეტაშვილის მოგონებიდან მშვენივრად ჩანს, რომ დავით სარაჯიშვილის სახლი იყო იმდროინდელი ქართველი საზოგადო მოღვაწეების საუკეთესო თავშეყრის ადგილი. მანსვეტაშვილის მოგონებიდან ისიც შესანიშნავად ჩანს, როომ დავით სარაჯიშვილი იყო ილია ჭავჭავაძის დიდი მეგობარი. ამას ადასტურებს არა მარტო იაკობ მანსვეტაშვილის მოგონება, არამედ თავად ილია ჭავჭავაძის წერილი ნიკო ცხვედაძესადმი: ,,ძმაო ნიკო! აღსრულდა შენი მეგობრული სურვილი და თითქმის მესამე კვირაა რაც ბერლინში ვარ ლეიდენთან. მე რომ აქ ბერლინში მოვედი, დათიკო სარაჯოვი აქ არ იყო, სამი თუ ოთხი დღის შემდეგ მოვიდა. ლეიდენის კლინიკაში მომზადებული ოთახები დამხვდა და პირველ დღესვე იმ კლინიკაში დავბინავდი. ეკატერინა იოვანოვნას (დავით სარაჯიშვილის მეუღლე) მადლობას ვუძღვნით, რომ მისის მეოხებით აქ ყველანი დიდი პატივისცემით დამხვდნენ" **(ჭიჭინაძე, 1961: 154).**

ილიას ამ წერილიდან შესანიშნავად ჩანს არა მარტო დავით სარაჯიშვილთან მისი მეგობრობა, არამედ ისიც რომ დავითი და ეკატერინე დაეხმარნენ ილიას გერმანიაში გამგზავრებაში.

ექვთიმე თაყაიშვილი იხსენებს, რომ დავით სარაჯიშვილი და ილია ჭავჭავაძე ერთმანეთთან შეკამათებულან: ,,დავით სარაჯიშვილს ხშირად ახასიათებდა ქართველი ხალხის კრიტიკა მეზობლების ქება, განსაკუთრებით სომხების. ამის გამო ნიკო

ღოღობერიძე ,,ველიკი პესიმისტს უწოდებდა", სწორედ ასეთი პესიმისტობის გამო ილიას დიდი გულისწყრომა დაუმსახურებია, _ ამისთანა გაგონილა?! ამ ოჯახში ქართველების ძაგების მეტს ვერაფერს გაიგონებს! თუ ერთი-ორი ვიღაცა აწუხებს და ფულსა თხოვს ეს მთელს ხალხზე გადააქვსო" **(თაყაიშვილი, 1968: 271).** მიუხედავად ილიასა და დავითს შორის მომხდარი კამათისა მათ ურთიერთობა ერთმანეთში არასოდეს გაუწყვეტიათ. ექვთიმე თაყაიშვილი იხსენებს ერთ მეტად კურიოზულ ამბავს: ,,ერთხელ მე და ილია ვიყავით დავით სარაჯიშვილთან სადილად, მასპინძელმა რაღაცა შესთავაზა კიდევ მიირთვიო და ილიამ უარი უთხრა, _ შენი სადილის შემდეგ ხშირად ავად ვხდებიო, - მაშ ნუღარ სჭამ ბევრსო, უთხრა სარაჯიშვილმა. როგორ არ ვჭამო, ისეთი გემრიელი საჭმელები მოგაქვს თავის შეკავება არ შემიძლია, მიუგო ილიამ" **(თაყაიშვილი,1968: 275).**

როდესაც ილია ჭავჭავაძე გარდაიცვალა ,,დავითი თითქმის ორი კვირის განმავლობაში შინიდან არ გამოსულა. ძალიან წუხდა, მის მეუღლეს კვირაში ორჯერ ნახულობდა და პატრონობდა. თავისი ხარჯით გაგზავნა რამდენჯერმე დასასვენებლად და სამკურნალოდ სხვადასხვა ადგილას" **(მირიანაშვილი, 1993: №65-66, 242).**

დავით სარაჯიშვილმა ილიას მეუღლე ოლღა გურამიშვილი გაგზავნა გერმანიაში სამკურნალოდ, პროფესორ ლაცარიუსთან. ამასთან დაკავშირებით ნინო მაჭავარიანი იხსენებს: ,,მე ილიას მეუღლეს ადრეც ვიცნობდი, მინახავს ჩვენს სახლში, მაგრამ არ დავლაპარაკებივარ (ნინო მაჭავარიანი გაზარდა დავით სარაჯიშვილმა საკუთარ სახლში და მას როგორც შვილს ისე უვლიდა), როდესაც ჯანმრთელობა საგრძნობლად შეერყა დავითმა და ეკატერინემ გერმანიაში წაიყვანეს სამკურნალოდ" **(მირიანაშვილი,1993: №65-66, 242).**

ზემოთ აღნიშნული მაგალითებიდან კარგად ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძეს და დავით სარაჯიშვილს ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა ჰქოდათ.

1905 წელს გურიაში მოხდა აჯანყება, ვორონცოვმა დამსჯელი ექსპედიცია გაგზავნა ალიხანდროვ ავარსკის მეთაურობით. ქართული საზოგადოება ილიას თან ერთად შეიკრიბა დავით სარაჯიშვილის სახლში, სადაც შექმნეს კომისია ვორონცოვ დაშკოვთან შესახვედრად. ილია ჭავჭავაძემ შეძლო მთავარმართებლის დაყოლიება გურიაში მეფის ნაცვლის გამოსაწვევად, მაგრამ გურულები მეორედაც გამოვიდნენ რუსების წინააღმდეგ,

რის გამოც ქართველ საზოგადოებას კვლავ მოუხდა დავით სარაჯიშვილის სახლში შეკრება ამჯერად ალექსანდრე ჩერქეზიშვილის, დავით სარაჯიშვილის, ვლადიმერ მიქელაძის, ეპისკოპოს გრიგოლ ალადაშვილის, სტეფანე ჭრელაშვილისა და ექვთიმე თაყაიშვილის მეთაურობით. როგორც ეს უკანასკნელი აღნიშნავს: "მათ ძალიან გაუჭირდათ მეფის ნაცვლის დაყოლიება, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც მოახერხეს"**(თაყაიშვილი, 1968:277).** ასე, რომ დავით სარაჯიშვილის სახლი წარმოადგენდა ადგილს, სადაც ხშირ შემთხვევაში საჭირო საკითხები წყდებოდა ქვეყნისათვის.

დავით სარაჯიშვილის ქველმოქმედებაზე მეტყველებს ის, რომ იგი დიდ დახმარებას უწევდა ქართველ მწერლებს და მეცნიერებს. თედო სახოკია იხსენებს: ,,ერთხელ ფული დამჭირდა მივედი ოლღას ქუჩაზე დავით სარაჯიშვილის კანტორაში, რომელიც შენობის მეორე მხარეზე იყო მოთავსებული, კაბინეტის კარი შევაღე, დავითი მაგიდასთან იჯდა, ესაუბრებოდა ვალერიან გუნიას და ვასო აბაშიძეს. მე დიდხანს არ დავრჩენილვარ, ყველას დავემშვიდობე და კაბინეტიდან გამოვედი, მაგრამ დავითი თან გამომყვა და მითხრა: თედო ხომ არაფერი გჭირს რამე? მომერიდა. არაფერი მითქვამს, მაგრამ ჩემი თხოვნის გარეშე ჯიბიდან 100 მანეთი ამოიღო და ჩუმად მომცა. რამდენიმე თვის შემდეგ ფული მოუტანე და დაუბრუნე, მაგრამ დავითმა ფული არ აიღო და დასძინა: როცა გავღარიბდები ჩემი 100 მანეთი მაშინ მომიტანე" **(თაყაიშვილი, 1968:277).**

1888 წელს დავით სარაჯიშვილის უშუალო ინიციატივით თბილისში შეიქმნა სპეციალური კომიტეტი ნიკო ცხვედაძის თავმჯდომარეობით, რომლის მთავარი მიზანი იყო ქართველი, ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, მათი გაგზავნა საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად. აღნიშნული კომიტეტის დაარსებას ჰქონდა ძალიან დიდი მნიშვნელობა, იმ ღარიბი მოსწავლეებისათვის, რომლებსაც ნიჭი ჰქონდათ, მაგრამ შესაძლებლობა ხელს არ უწყობდა სწავლა მიეღოთ რუსეთსა თუ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში.

ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავდა ,,სტიპენდია ჩვენში არავინ იცოდა თუ რა იყო, ამას გარდა იმასაც იძახდნენ, მე რა მენაღვლება ჩემი ფულებით სხვისმა შვილებმა რატო უნდა ისწავლონ, თავში ქვა უხლიათ და მუცელში სამართებელიო" **(თაყაიშვილი, 1968:277).** შეიძლება ზაქარია ჭიჭინაძის ეს სიტყვები ცოტა გადაჭარბებულია მაგრამ დავით

სარაჯიშვლი მართლაც ზრუნავდა ქართველ სტუდენტობაზე. მას თავისი ფონდიდან სასტიპენდიოდ გამოყოფილი ჰქონდა 30000 მანეთი ყოველწლიურად. მისი სტიპენდიატები იყვნენ: კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, ია კარგარეთელი, კოტე ფოცხვერაშვილი, მხატვრები: მოსე თოიძე, გიგო გაბაშვილი, გრიგოლ მესხი, მოქანდაკე: იაკობ ნიკოლაძე, მომღერალი: ვანო სარაჯიშვილი, პროფესორი სოლომონ ჩოლოყაშვილი, მიხეილ შალამბერიძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ილია ყიფშიძე, კალისტრატე ცინცაძე, არჩილ ქართველიშვილი.

დავით სარაჯიშვილის სტიპენდიატი გრიგოლ პართენის ძე მესხი იხსენებს თუ როგორ დაუნიშნა დავით სარაჯიშვილმა სტიპენდია სწავლის გასაგრძელებლად: ,,არ ვიცი საიდან და როგორ მოხდა ის, რომ დავით სარაჯიშვილმა და ნიკო ცხვედაძემ გაიგეს ჩემი წარმატებების შესახებ. ერთ დღეს (1890წელი) მე მივიღე წერილი სარაჯიშვილის ფირმიდან და მთხოვდნენ გამოვცხადებულიყავი კანცელარიაში. წერილს ხელს აწერდა ადამ ივანეს ძე ფორაქიშვილი. ვიფიქრე რაზე მეძახიან, ჩემთან რა საქმე აქვთ მეთქი? როდესაც კანტორაში მივედი იქ დამხვდა ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილი და ადამ ივანეს ძე ფორაქიშვილი. მათ დიდი მოწიწებით მითხრეს, რომ დავით სარაჯისვილის ინიციატივით, ჩვენმა ფირმამ ჩამოაყალიბა ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდების შემსწავლელი კომიტეტი, რომელსაც სათავეში უდგას ნ. ცხვედაძე. მისი მიზანია გამოავლინოს ყველა ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდა და ხელი შეუწყონ მათ სწავლის გასაგრძელებლად. როდესაც ნიკომ და დავითმა გაიგეს თქვენი წარმატებები, დაგვავალეს რომ გამოგვეძახებინეთ თქვენ. ეს ნიშნავდა იმას, რომ გრიგოლ პართენის ძე მესხს დაენიშნა სტიპენდია 1904 წლამდე" **(სტეფანიშვილი, 1988:51).**

საინტერესოა, ილია ყიფშიძის მოგონება: ,,1902 წელს დავამთავრე გიმნაზია, გადაწყდა ჩემი გერმანიაში გამგზავრება. იქ უნდა მიმეღო რაიმე სპეციალობა. მივედი ცნობილ დავით სარაჯიშვილთან, მან მკითხა, როგორ ვსწავლობდი გიმნაზიაში, პასუხის მაგიერ ატესტატი გაუწოდე. იმედი გამოთქვა, რომ კარგი ქართველი ვიქნებოდი და ოქროს დროს იქ გერმანიაში კარგად გამოვიყენებდი. ჩვენს ქვეყანას ესაჭიროება კარგი სპეციალისტი" **(სტეფანიშვილი,1988:53).** ამის შემდგომ ილია ყიფშიძე დავით სარაჯვშვილისაგან სტიპენდიას ხუთი წელი იღებდა.

დავით სარაჯიშვილის სტიპენდიატი იყო ვანო სარაჯიშვილი. რომელსაც დავით სარაჯიშვილმა დიდი წინააღმდეგობის შემდგომ დაუნიშნა სტიპენდია. რა იყო ამის მიზეზი? ვანო სარაჯიშვილი მეტად არხეინი და ლაღი პიროვნება იყო, ამიტომ დავით სარაჯიშვილს ეს არ მოსწონდა. იგი ყოველთვის არიგებდა ვანო სარაჯიშვილს, ხშირად ამაოდაც კი. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ვანო სარაჯიშვილი მეტად უცნაურ ამბებში გაეხვევოდა ხოლმე თავისი წინდაუხედაობით. ასე იყო მაგალითად როდესაც იმყოფებოდა ჯარში. იგი ხშირად ტოვებდა სამხედრო გარნიზონს და სახლში მიდიოდა. ერთ-ერთი ასეთი გასვლის დროს, ხიშტის გაკეთება დაავიწყდა თოფზე, მოულოდნელად შეეყარა ქალაქის კომენდანტი რეიტერი (რეიტერი იყო ნახევრად ქართველი. დედა ყავდა ქართველი. ამიტომ ქართული კარგად იცოდა). ვანო როდესაც კომენდანტმა უხიშტოდ შეამჩნია წაიყვანა კომენდანტურაში. ვანო სარაჯიშვილს არ აცდებოდა სასჯელი, მაგრამ როდესაც კომენდანტი მოუბრუნდა იქვე გაქვავდა: მის წინ ხიშტიანი ვანო გამოიჭიმა "

- რა გვარი ხარ?
- სარაჯიშვილი.
- სარაჯიშვილი თუ სარაჯევი?
- სარაჯიშვილი.
- დავით ზახარიჩს იცნობ?
- ნათესავი გახლავარ მისი
- მითხარით როგორ მომატყუეთ ... ოღონდ გულწრფელად.
- სასწრაფო საქმეზე მივეშურებოდი. შინიდან ისე გეახელით, რომ ხიშტი დამავიწყდა, როდესაც უკან მოგყვებოდით ამხანაგს მოვკარი თვალი, მოვიხედე და თქვენდა შეუმჩნევლად ...
- აჰა!... მაშ თქვენმა ამხანაგმა გოლვინის პროსპექტზე მოიხსნა ხიშტი და მოგცათ?
- მისი ბრალი არ გახლავთ, წავართვი!
- რა გვარია ის ვაჟი?
- უმორჩილესად გთხოვთ მე დამსაჯოთ... ის უდანაშაულოა
- მიბრძანდით

რამდენიმე დღის შემდეგ დავით სარაჯიშვილიმა კარგად მოზრდილი ,,სახარება" წაუკითხა ვანო სარაჯიშვილს" **(კაშმაძე, 1962:29).**

იაკობ მანსვეტაშვილი აღწერს დავით სარაჯიშვილისა და რუსი არტისტების საუბარს, რომლებიც ვლადიკავკაზში მიდიოდნენ მატარებლით: ,,მომღერალი ვანო სარაჯიშვილი ნათესავი ხომ არ არის? ეკითხება დავითს ერთი მომღერალი ქალი.

- დიახ ნათესავია. უპასუხა დავითმა.

- ხშირად მიმღერია მასთან, რა მომხიბლავი ხმა ჰქონდა! მშვენიერი საუცხოო რამ იყო, როგორც ადამიანი და ამხანაგი ისე მიყვარდა, როგორც ღვიძლი ძმა.

არა მჯერა უპასუხა დავითმა. თუ მართლა გულწრფელად გიყვარდათ, უნდა კისერში წამოგერტყათ და სცენიდან გადმოგეგდოთ, რა დროს მისი სიმღერა იყო. ჯერ კარგად უნდა ესწავლა სიმღერა.

მერე მე გამოველაპარაკე დავითს, ამის შესახებ და აი რას ჩიოდა: არ

მომწონს ქართველების ზნე-ქვენაობა, არ უყვართ საქმის ხეირიანად შესწავლა, ჩქარობენ და თვითონაც არ იციან სად მიეჩქარებათ, აი თუნდ საქებური ვანო ოთხი-ხუთი წელიწადი მაინც უნდა ყოფილიყო სწავლაში, რომ ეთქვა ვიცი რამეო, თორემ დაჰყო რაღაც ორი წელიწადი, დაჰკრა ფეხი და გამოიქცა, ახლა კი არტისტი ვარო, აი მაგისთანა არტისტი ქალებიც ტაშს უკრავენ, აქებენ, ნამდვილი არტისტი ხარო" **(მანსვეტაშვილი, 1936:233).**

სწორედ ასეთი თავქარიანობა იყო მიზეზი იმისა, რომ დავითი თავს იკავებდა ვანო სარაჯიშვილისთვის სტიპენდიის დანიშვნაზე.

გარდა დავით სარაჯიშვილისა, ვანოს თავს დასტრიალებდა გიორგი მაჩაბელი და ხაზინის მოხელე დიმიტრი ბახუტაშვილი, რომლებიც ყველანაირად ცდილობდნენ ვანოს საზღვაგარეთ გაგზავნას. ვანო სარაჯიშვილი ს. ევლახიშვილმა წაიყვანა ვაჩნაძეებთან წვეულებაზე, სადაც იმყოფებოდა სახაზინო პალატის გამგე მიხაილოვი. ევლახიშვილმა იცოდა, რომ მიხაილოვს ძალიან მოსწონდა მუსიკა, ამიტომაც წაიყვანა ვანო, რომ იქ ემღერა და ამ გზით დაემსახურებინა მიხაილოვის ყურადღება. მართლაც ვანომ შესანიშნავად იმღერა და გააოცა დამსწრე საზოგადოება. მიხაილოვმა იკითხა: რა ნებავს? სამსახური? რას მიქვია სამსახური! დღესვე უნდა შეუდგეს მეცადინეობას. სწორედ მაშინ წაიღიღინა ვანო სარაჯიშვილმა სიმღერა- ,,მხოლოდ შენ ერთს''.

მეორე დღეს მიხაილოვი სამსახურში აღარ წასულა. დავით სარაჯიშვილს ეწვია და საყვედურით მიმართა: ,,საოცარია, რომ ქართველები ყურს არ უგდებთ ასეთ დიდებულ ნიჭს. ჩემის მხრივ სამ თუმანს ვუნიშნავ სტიპენდიას. დავითმაც ხელი გამოიღო, მოიწვია ილია ჭავჭავაძე სხვა გავლენიან პირებთან ერთად და ამ წრეში მოუსმინა თავის ნათესავს. როდესაც ილიამ მოუსმინა თქვა: უსათუოდ უნდა გაიგზავნოს" **(კაშმაძე ,1962:33).**

ასე დაენიშნა სტიპენდია ვანო სარაჯიშვილს. (სხვათა შორის უნდა ითქვას, რომ როდესაც ვანო სარაჯიშვილი მღეროდა, ფორტეპიანოზე უკრავდა "სამშობლოს" ავტორის დავით ერისთავის ასული).

დავით სარაჯიშვილს პერსონალური სტიპენდიატების გარდა, ყავდა კიდევ მრავალი სტეპენდიატი, რომლებსაც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასტიპენდიო ფონდიდან ენიშნებოდათ სტიპენდიები, სადაც თანხას დავით სარაჯიშვილი ხშირად რიცხავდა. მაგალითად, 1909 წელს გაზეთი, ,,ჩანგი" წერდა: დავით სარაჯიშვილის სახელობის სტიპენდია დაენიშნათ შემდეგ პირებს: ,,ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტს ალექსანდრე ლომთათიძეს, მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტ ლევან ასათიანს, პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტ ვლადიმერ ყანჩელს, შალვა ქართველიშვილს, ვლადიმერ მენთეშაშვილს, სოლომონ ფურცელაძეს, გიორგი ბერძენიშვილს და დავით ცხვედაძეს" **(,,ჩანგი", 1909: №4, 2).**

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში არა მარტო დავით სარაჯიშვილის სიცოცხლეში ხდებოდა თანხის შეწირვა სტიპენდიებისათვის, არამედ მისი გარდაცვალების შემდეგაც, რადგანაც დავით სარაჯიშვილმა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უანდერძა თანხა, რომლიდანაც აღნიშნულ საზოგადოებას უნდა დაენიშნა სტიპენდიები. ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულ დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ დავით სარაჯიშვილის სტიპენდიებს ნიშნავდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება 1911 წლიდან 1918 წლამდე.

1915 წელს საქართველოს გაზეთი იუწყებოდა "27 ამა თვესა, წერა-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ დ.ზ.სარაჯიშვილის სახელობის ფონდიდან სტიპენდია დაუნიშნა მოსკოვის კომერციული ინსტიტუტის სტუდენტს, დავით ჩადუნელს და

ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტს ალექსანდრე შვანგირაძეს"(**„საქართველო", 1915: №32,3).**

დავით სარაჯიშვილს ჰქონდა ერთი მეტად კარგი ჩვეულება, როდესაც მისი სტიპენდიატები არდადეგებზე საქართველოში ბრუნდებოდნენ დავით სარაჯიშვილი თავისთან მოიწვევდა ხოლმე. ამასთან დაკავშირებით აკაკი მგალობლიშვილი იგონებს: „აუცილებლად უნდა მივსულიყავით დავითთან. ეს თვითონ დავითს ჰქონდა, „ნაბრძანევი" და რამდენიც არ უნდა მივსულიყავით, ყველას 100 ან 150 მანეთს გვაჩუქებდა. ამას ის აკეთებდა ისეთი სახით რომ მადლობის თქმაც კი ზედმეტად გვეჩვენებოდა" **(ტატიშვილი, 1960:169).**

დავით სარაჯიშვილის სტიპენდიის დანიშვნას ცდილობდა არაერთი ქართველი სტუდენტი. სწორედ ასეთ მსურველთა რიცხვს ეკუთვნოდა ვაჟა-ფშაველას ვაჟიშვილიც, ამაზე შუამდგომლობას თვითონ ვაჟა შეეცადა. 1910 წელს იგი ნიკო ცხვედაძეს წერს: "შეუძლებელს მე არაფერს გთხოვთ, პირადად ჩემი თავი ჯანდაბას, ხოლო ჩემმა შვილმა რა დააშავა, როგორც მისი მამაა გარიყული და მივიწყებული ჩემს შვილსაც ასე გულგრილად ეპყრობიან, ნორჩ ახალგაზრდა კაცს, რომელსაც სწავლა-განათლება ეჭირება, რომელიც შეიძლება ფრიად სასარგებლო კაცი დადგეს, ჩემმა შვილმა როგორც სხვა ათასმა მოწმობით გაათავა სათავადაზნაურო გიმნაზია და უსახსრობის გამო ორი წელიწადია შინ მყავს სოფელში და ლამის რაც უსწავლია ისიც დაივიწყოს. ეს ჩემთვის მეტისმეტად გულსაკლავი მოვლენაა და ვგონებ ვისაც ცოტაოდენი ჩემი პატივისცემა აქვს, არც უნდა ესიამოვნოს ეს ამბავი. ამიტომ მოგმართავთ თქვენ, როგორც პატიოსან ქართველ კაცს უანგარო მუშაკს და გთხოვთ რომ როგორც გამგე სარაჯიშვილის სტიპენდიისა, დაუნიშნოთ ჩემს შვილს სტიპენდია, რათა გავგზავნო სწავლის გასაგრძელებლად ყირიმში ან სხვაგან სადმე, რათა შეისწავლოს პრაქტიკულად ყველის ან ერბოს კეთება და მისთანები, რაც ფრიად საჭირო და გამოსადეგია მათში, რათა ეს ცოდნა გაავრცელოს თავის თანამოძმეთა შორის. იმედი მაქვს ჩემს თხოვნას არ დასწიხლავთ და არც მე დამგმობთ ამგვარი თხოვნისათვის" **(ჯორბენაძე, 1984:287).**

სამწუხაროდ არაა ცნობილი მიიღო თუ არა ვაჟა-ფშაველას შვილმა სტიპენდია, რადგანაც ჯერჯერჯერობით,არ შეგვხვედრია დოკუმენტი, სადაც ვაჟას ვაჟიშვილი დავით

სარაჯიშვილის სტიპენდიატად მოიხსენიება. არც ისაა ცნობილი ვაჟა-ფშაველა რომელ ვაჟზე საუბრობს, რადგან წერილი ისე მთავრდება, რომ ვაჟა არ მიუთითებს რომელ ვაჟზეა საუბარი.

დავით სარაჯიშვილის სტიპენდიატი იყო აგრეთვე მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეც. დავით სარაჯიშვილის ნათესავმა გოგი სარაჯიშვილმა გადმოგვცა თეონა ნიკოლაძესთან საუბრის დროს ჩაწერილი ცნობები: ,,როდესაც მამა დაბრუნდა საქართველოში, დავით სარაჯიშვილმა მას დაუთმო კასრების შესაკრავი ბოქსი ქარხნის ტერიტორიაზე სახელოსნოდ, სადაც იაკობ ნიკოლაძე მუშაობდა 1910 წლიდან 21 წლამდე, ხოლო იაკობ ნიკოლაძის მეუღლე ბრონისლავა ნიკოლაძე იხსენებს, რომ დავით სარაჯიშვილმა ახალგაზრდა იაკობ ნიკოლაძეს პარიზში, კაზმული ხელოვნების აკადემიაში სწავლის პერიოდში დაუნიშნა სტიპენდია თვეში 50 მანეთის ოდენობით".

დავით სარაჯიშვილმა, როდესაც რაფიელ ერისთავი გარდაიცვალა იაკობ ნიკოლაძეს გადასცა თანხა, რათა მას გაეკეთებინა რაფიელის ნიღაბი. ამასთან დაკავშირებით იაკობ ნიკოლაძე იგონებს: ,,კრუზენის ქუჩაზე, ერთ-ერთ საზოგადო დაწესებულებაში შეკრებილნი იყვნენ ილია ჭავჭავაძე, დავით სარაჯიშვილი, ნიკო ცხვედაძე და კიდევ რამდენიმე საზოგადო მოღვაწე. მათ გვერდით ტრიალებდა სოსიკო მერკვილაძეც.

მაშინ ახალგაზრდა სკულპტორი ვიყავი, 25 წლისა ვიქნებოდი, მე მათ მივმართე წინადადებით რაფიელ ერისთავის ნიღაბს გადავიღებ თქო. მაშინ ეს ჩვენში ახალი ამბავი იყო. სოსიკომ ხელად შეადგინა ზეპირი ხარჯთაღრიცხვა 17 მანეთი და მოახსენა დავით სარაჯიშვილს. დავითმა მაშინვე ჯიბიდან საფულე ამოიღო და მომცა ეს თანხა"**(ნიკოლაძე ,1976:21).** რის შემდეგაც იაკობ ნიკოლაძემ აიღო რაფიელ ერისთავის ნიღაბი.

დავით სარაჯიშვილის მიერ ქართველი სტუდენტებისადმი დახმარებას ძალიან დიდ მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც ქართველი სტუდენტობა ფინანსურ გაჭირვებაში იმყოფებოდა. ქართველი სტუდენტების ყოფა-ცხოვრებაზე მოგვითხრობს აკაკი შანიძის წერილი ნიკო ცხვედაძისადმი, რომელიც იმ დროს დავით სარაჯიშვილის სტიპენდიების გამგე იყო ,,დღეს დღეობით ძვირი ჯდება სწავლის მიღება, უმთავრესად კი რუსეთის, სატახტო ქალაქში, სადაც ყველაფერი ძვირია. ავადმყოფობის გარდა სხვას რომ თავი

დავანებოთ, უბრალო ოთახის ფასი 20 მანეთამდის ადის, ეხლა საჭმელ სასმელი, ტანისამოსის, სახელმძღანელო წიგნების და სხვა" **(ჯორბენაძე, 1984:158).**

დავით სარაჯიშვილი არა მარტო სტუდენტობასა და ინტელიგენციას ეხმარებოდა არამედ თავის ქარხანაში მომუშავე მუშა-მოსამსახურეებსაც. იგი ყველანაირად ცდილობდა, რომ სწავლა-განათლება შეეტანა მუშებში. დავით სარაჯიშვილი ქარხნებში აკეთებდა ბიბლიოთეკებს მუშებისათვის, ხოლო იმ მუშას რომელიც წერა-კითხვას ისწავლიდა მეტ ჯამაგირს აძლევდა.

დავით სარაჯიშვილის დიდ ქველმოქმედებაზე მეტყველებს თავის ქარხანაში მომუშავე ბოთლების მრეცხავი მუშისადმი დახმარება, რომელიც სისხლის გათეთრებით დაავადდა. ამის შესახებ დავითისათვის მოუხსენიებია ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილს. დავითი მუშას თვითონ ხლებია სახლში: ,,შენ უნდა იმკურნალო, მე შემიძლია ყოველ თვე 25 მანეთი სახლში მოგცე, ანდა ერთიანად 500 მანეთი მკურნალობისათვის" უთქვავს ქველმოქმედს **(სტეფანიშვილი, 1988:33).**

ზემოთ ჩვენ ავვღნიშნეთ, რომ დავით სარაჯიშვილს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქართველი ინტელიგენციასთან, მაგრამ უნდა ითქვას, რომ დავითს მეგობრობა აკავშირებდა არტურ ლაისტთან, ვაგნერთან, ბარონ დე ბაისთან და სხვა უცხოელ საზოგადო მოღვაწეებთან.

დავით სარაჯიშვილთან ხშირად იმყოფებოდა არტემ ახნაზაროვი, რომელსაც დავითისათვის უთქვამს: ,,საქართველოს კულტურა XIII საუკუნის კულტურაა, ასეთი ქალაქები და სოფლები გერმანიაში ამ ექვსი საუკუნის წინ იყო" **(ნანიტაშვილი, 1993:47).** ამას დავითი ძალიან შეუწუხებია. 1910 წელს დავით სარაჯიშვილი როდესაც გერმანიაში ოპერაციის გასაკეთებლად ჩავიდა არტემ ახნაზაროვი უნახავს და შეუჩივლია: ,,არტემ მოესწრება როდისმე საქართველო, რომ ისეთი მდიდარი იყოს განათლებულის ხალხით და ისეთი მოწესრიგებული, როგორიც გერმანიაა"**(თაყაიშვილი, 1968:313).**

საქართველოში როდესაც ჩამოვიდა ბარონ დე ბაი დავით სარაჯიშვილთან ცხოვრობდა. დავით სარაჯიშვილს მისთვის უნდოდა ეჩუქებინა ,,ვეფხისტყაოსნის" ერთ-ერთი უძველესი ხელნაწერი დასურათებული ირანულად, რომელიც ეკუთვნოდა საჩხერელ წერეთლებს, ამ უკანასკნელეთ ,,ვეფხისტყაოსანი" თბილისში აღსადგენად

ჩამოუტანიათ, შემდეგ კარგად დამთვრალან და ეტლში დარჩენიათ. მეეტლეს დავით სარაჯიშვილთან მიუტანია, რომელსაც 30 მანეთი მიუცია მისთვის. ამასთან დაკავშირებით ექვთიმე თაყაიშვილი იგონებს: "დავითმა მიმიწვია კვირა დღეს თავისთან. მისვლისთანავე ხელში მომაჩეჩა აი საშენო, საშენოაო. დავხედე და უთხარი ამას თან წავიღებ და გულმოდგინედ შევისწავლი მეთქი: წაიღე, ოღონდ მალე დამიბრუნე, ბარონ დე ბაის უნდა ვაჩუქოო"**(თაყაიშვილი, 1968:313).** შემდგომში ეს ხელნაწერი აღმოჩნდა ერთ-ერთი უძველესი, ამიტომ ექვთიმე თაყაიშვილმა ეს ხელნაწერი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შეწირა და ამით გადაარჩინა დაკარგვას.

დავით სარაჯიშვილის დიდ ქველმოქმედებად უნდა ჩაითვალოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის თავის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების შეწირვა. დავითის ბიბლიოთეკა შედგებოდა ათი განყოფილებისაგან: ,,პირველი განყოფილება იყო ბელეტრისტული ლიტერატურა 99 წიგნი, მეორეში პუბლიცისტიკა 386 წიგნი, მესამეში ფილოსოფია, ლოგიკა, ფსიქოლოგია 50 წიგნი, მეთხე ისტორია, მემუარები, ბიოგრაფიები 121 წიგნი, მეხუთეში კრიტიკა, ხელოვნება 48 წიგნი, მეექვსეში სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ვაჭრობა 174 წიგნი, მეშვიდეში – ბუნებისმეტყველება, ანატომია, ქიმია 26 წიგნი, მერვე – კავკასიისმცოდნეობა 67 წიგნი, მეცხრეში – საცნობარო 47 წიგნი, მეათეში – პერიოდული გამოცემა 42 წიგნი" **(ნანიტაშვილი, 1993:60).**

დავით სარაჯიშვილის ამ ქველმოქმედებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მომავალი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გასამდიდრებლად. ისიც აღსანიშნავია, რომ დავით სარაჯიშვილის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების რაოდენობა მეტყველებს მის ფართო ერუდიციაზეც. ამიტომ იყო რომ ნოე ჟორდანიამ თქვა: ,,შეადარეთ ქართული გულკეთილობა და პურმარილი ევროპულ საქმიანობასთან და მიიღებთ დავით სარაჯიშვილს. ამ პიროვნებაში სამაგალითოდ შეზავდა საქები ქართველობა და საქები ევროპიელობა" **(სარაჯიშვილი, 1911:51).**

§4. დავით სარაჯიშვილი-მეცენატი

დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი იყო როგორც ქველმოქმედი ასევე დიდი მეცენატიც, რადგანაც ქართული კულტურისა და ხელოვნებისათვის ბევრი სასიკეთო საქმე აქვს გაკეთებული.

1891 წელს დავით სარაჯიშვილმა სოფელ დიღომში გახსნა დაწყებითი სასწავლებელი. ამ სასწავლებლის გახსნის თაობაზე თავად დავით სარაჯიშვილმა თხოვნით მიმართა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ხოლო წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ვალდებულად ჩათვალა, რომ დავით სარაჯიშვილი ყოფილიყო ამ სკოლის მზრუნველი. სკოლის დაარსებას, ბუნებრივია, ჰქონდა კულტურული მნიშვნელობა, ამიტომაც ეს ფაქტი უნდა ჩაითვალოს მეცენატობად.

დავით ზაქარიას ძემ სარაჯიშვილმა დააფინანსა ქართველი მაჰმადიანებისათვის ყურანის ქართულად თარგმნა, რასაც ჰქონდა როგორც კულტურული, ასევე დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა. რადგანაც ქართველი მაჰმადიანები (ყარსში და არდაგანში მცხოვრებნი) ეთნიკური თვალსაზრისით ქართველები იყვნენ, მაგრამ მათში ქართული ენა თანდათანობით დავიწყებას ეძლეოდა. ბუნებრივია, ქართულად თარგმნილი ყურანი ქართველ მაჰმადიანებში,ქართულ ენას განამტკიცებდა.

1901 წელს მოეწყო ექსპედიცია, რომლის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტული და დავიწყებას მიცემული ქართულ ხალხური სიმღერებისა და ფოლკლორული მასალების შეგროვება. ამ პერიოდში ჩაიწერა მრავალი უნიკალური ქართული ხალხური სიმღერა. ექსპედიციაში მონაწილეობას ღებულობდა დიმიტრი არაყიშვილი, ხოლო ექსპედიცია დააფინანსა დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილმა.

დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილმა 60000 მანეთი შეწირა ქართველ თავადაზნაურთა შენობის აგებას. აღნიშნულ მშენებლობას სხვა ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან ერთად ხელმძღვანელობდა ნიკო ცხვედაძე, რომელიც დავით სარაჯიშვილს ხშირად თხოვდა თანხას გიმნაზიის მშენებლობისათვის: ,,ვინ იცის დათიკო? ეუბნება ნიკო ცხვედაძე იქნებ მოვიდეს დრო და ქართულ უნივერსიტეტს მოხმარდეს ეს შენობა" **(სტეფანიშვილი, 1988:38),** მართლაც, 1918 წელს ამ შენობაში განთავსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ილია ჭავჭავაძე როდესაც გაზეთ ,,ივერიიდან" წავიდა ხელმძღვანელობა

ჩაიბარა ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილმა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ღირსეულად აგრძელებდა ილია ჭავჭავაძის საქმეს, გამომცემლობა მაინც ფინანსურ კრიზისში მოექცა. დავით სარაჯიშვილმა ,,ივერიას" აღმოუჩინა მატერიალური დახმარება და გაზეთი დახურვისაგან ისხნა.

დავით სარაჯიშვილი დიდ დახმარებას უწევდა ექვთიმე თაყაიშვილს არქეოლოგიურ ექსპედიციებში მონაწილეობისათვის. როდესაც დაიწყო ახალციხე-ახალქალაქ-არტაანის მაზრაში არქეოლოგიური გათხრები დავით სარაჯიშვილმა ექვთიმე თაყაიშვილს 100 მანეთი მისცა. ამასთან დაკავშირებით მეცნიერი წმინდანი წერს: ,,ერთხელ მივედი დავით სარაჯიშვილთან კანტორაში, მინდოდა გამეგო ალექსანდრე ცაგარელის მისამართი, დავით სარაჯიშვილმა მკითხა, ვიცი რომ შენ კარგი აზრისა ხარ ცაგარელზე (ამ პერიოდში ცაგარელს ქართული ინტელიგენცია დაუპირისპირდა, თავის ცნობილი ნაშრომის გამო), მაგრამ მისი მისამართი მაინც რად გინდა? მე ვუთხარი, ერთი წიგნი მჭირდება ძალიან, აქ არ იშოვება და ვაპირებ მივწერო ან მიშოვოს ან დროებით მათხოვოს მეთქი, მერე მკითხა, ამ ზაფხულს რა გაქვს განზრახული? ვუთხარი ახალციხე-ახალქალაქ-არტაანის მაზრაში მივდივარ არქეოლოგიურ ექსპედიციაში, მან მკითხა ფული მჰქონდა თუ არა, ვუთხარი მოსკოვის არქეოლოგიურმა საზოგადოებამ მომაწოდა 200 მანეთი უვაროვის მეშვეობით, მაგრამ ფულს ხომ უკვე შეჭამდი? როგორ თუ შევჭამდი, საარქეოლოგიო მუშაობისათვის გამოგზავნილი ფულის სხვა რამეზე დახარჯვა როგორ შეიძლება, მაშინ ხომ ქსპედიციაში ვეღარ წავალ-მეთქი? მერე სად ინახავ ფულს, - სად შევინახავ ჯიბეში – აბა მაჩვენე? შემდეგ ფორაქიშვილს მოატანინა 100 მანეთი. მიეცი ამას არქეოლოგიისათვისო" **(თაყაიშვილი, 1968:328).**

დავით სარაჯიშვილი იყო ინიციატორი სვეტიცხოვლის სარესტავრაციო კომიტეტის შექმნისა, რომელიც არა მარტო სვეტიცხოვლის რესტავრაციის საკითხებზე მუშაობდა, არამედ დიდუბის, მთაწმინდის, ლურჯი მონასტრის და სხვა ხუროთმოძღვრული ძეგლების გადასარჩენად.

დავით სარაჯიშვილმა ალექსანდრე ხახანაშვილს ქართულიდან რუსულად ათარგმნინა ,,ვეფხისტყაოსანი". 1895 წლის 28 დეკემბერს ნიკო ცხვედაძე ალექსანდრე ხახანაშვილს წერს წერილს: "დათიკო სარაჯიშვილი გეტყოდათ, ,,ვეფხისტყაოსანი" ჩემის

აზრით მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ გადათარგმნოთ რუსულად სიტყვა სიტყვით, თუ მაგას აღასრულებთ დათიკო სარაჯიშვილი მოგცემთ შრომის ფასს". **(ნანიტაშვილი 1993:60)**

ზემოთმოხმობილი მასალა ასაბუთებს,რომ დავით სარაჯიშვილი იყო დიდი მეცენატი, რომლის წყალობითაც ქართულმა კულტურამ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში დიდ მზრუნველობას დაექვემდებარა, რაც სამომავლოდ წაადგა ქართველ ერს.

§5. დავით სარაჯიშვილის გარდაცვალება და ანდერძი

1910-11 წლები უმძიმესია ქართველი ერის ცნობიერებაში, რადგანაც ქვეყანას გამოაკლდა დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი. ,,ძველ საქართველოში'' ვკითხულობთ: "წლევანდელი წელი ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში უბედურ წელიწადად უნდა ჩაითვალოს, მით რომ დავკარგეთ ისეთი უდარო მოღვაწე, როგორიც იყო დავით სარაჯიშვილი" **(ძველი საქართველო ,1911:8).**

1910 წელს დავით სარაჯიშვილს დაუდგინეს სწორი ნაწლავის კიბო. მაისის ბოლოს იგი ბერლინში მიემგზავრება სამკურნალოდ. დავით სარაჯიშვილს თან გაჰყვნენ ეკატერინე ფორაქიშვილი, ალექსანდრე სარაჯიშვილი, ანდრო მამაცაშვილი და მისი მეუღლე ნინო მაჭავარიანი. სანამ ბერლინში ჩავიდოდნენ დავითი განგებ გაჩერდა როსტოვში, სადაც დაამოწმებინა თავისი ანდერძი, ისე რომ მხოლოდ ალექსანდრე სარაჯიშვილმა იცოდა.

ბერლინში ჩასულებს დახვდათ დავითის მეგობარი პროფესორი ლაცარიუსი, რომლის კლინიკაშიც დაიდო ბინა დავითმა. ლაცარიუსი თერაპევტი იყო, ამიტომ მისი რეკომენდაციით ერთ-ერთმა ცნობილმა პროფესორმა დავითს ოპერაცია გაუკეთა.

ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, ერთი წლის შემდეგ დავითისათვის ოპერაცია კიდევ უნდა გაეკეთებინათ, მაგრამ 1911 წელს დავითის მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ მომაკვდავი ჩაიყვანეს გერმანიაში და ამიტომ მას მეორე ოპერაცია აღარ ჩაუტარეს.

1911 წელს 20 ივნისს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დავით სარაჯიშვილი. დავით სარაჯიშვილის გარდაცვალებას მთელი მსოფლიოს საზოგადოება გამოეხმაურა გულისტკივილით. პრესაში იბეჭდებოდა სამგლოვიარო წერილები დავითის

პატივსაცემად. განსაკუთრებით საინტერესოა სომხურ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული წერილები, სადაც პირველად ჩანს, რომ სომეხი საზოგადო მოღვაწეები თავიანთ მრეწველებს მოუწოდებდნენ მიბაძონ დავით სარაჯიშვილს. მაგალითად, სომხური გაზეთ ,,შმაკ"-ში დაიბეჭდა სტატია, სადაც ვკითხულობთ: ,,1911 წლის 20 ივნისს გარდაიცვალა მძიმე ავადმყოფობით, ცნობილი ქართველი ქველმოქმედი და საზოგადო მოღვაწე, მსხვილი მრეწველი და კაპიტალისტი დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი 60 წლის ასაკში (აქ ასაკი სწორად არ არის მითითებული, დავითი გარდაიცვალა 63 წლის ასაკში) ქართველებში ძალიან მცირეა მსხვილი კაპიტალისტები და მრეწველები, ასე რომ დავით სარაჯიშვილი ითვლებოდა ერთ-ერთ მსხვილ მეწარმედ, ის იყო ცნობილი თავისი გულუხვობით და არნახული ქველმოქმედებით, ყოველი საზოგადო სასწავლებლები იღებდნენ მისგან თავის წილს. მის ხარჯზე სწავლობდა ბევრი ახალგაზრდა, დავით სარაჯიშვილის გარდაცვალებით ქართული საზოგადოება ეთხოვება თავის ერთ-ერთ საუკეთესო წევრს. მისი სახით კავკასიამ დაკარგა ერთ-ერთი მსხვილი მრეწველი, ხოლო საქართველომ თავისი კეთილი შვილი" **(დავით სარაჯიშვილის სახსოვრად, 1911:107).**

გაზეთი ,,Сурандакъ"-ი წერდა: ,,ქველმოქმედები ძირითადად ეხმარებიან ბერებს, მღვდლებს, ეკლესიებს წირავენ ზარებს, ჩვენ ქველმოქმედებს არ ახსენდებათ თავისი მოკავშირეები, რომლებიც დიდი შრომით ქმნიან მათ ქონებას, ხოლო ქართველი ქველმოქმედი, აწ განსვენებული დავით სარაჯიშვილი თავისი ანდერძით მაგალითს აძლევს სხვა ქვლმოქმედებს თუ როგორ უნდა მოიქცნენ" **(დავით სარაჯიშვილის სახსოვრად, 1911:75).**

1911 წელს გაზეთი ,,თემი" წერდა: ,,დავით სარაჯიშვილი იშვიათი ბუნების კაცი იყო, ყოველ მის მოქმედებას, ყოველ გადადგმულ ნაბიჯს თავისი ღრმა აზრი ჰქონდა, რომელსაც პირველი შეხედვით შეიძლება ვერც კი მიმხვდარიყო ვერავინ, მაგრამ როდესაც ჩაუკვირდებოდით ყველაფერს, მაშინ წარმოიდგენდით თვალწინ მის ნაფიქრის გონიერებას"**(,,თემი", 1911:№26,1).**

ლუარსაბ ბოცვაძე გაზეთ "თემში" წერდა: "თავისი დახმარებით განსვენებული ეუბნებოდა ჩვენს ახალგაზრდობას, ისწავლე და ქვეყანას გამოადექიო". (,,თემი" 1911:№7,2)

დავით სარაჯიშვილის სტიპენდიანტი მოსე თოიძე წერდა: "ვისაც დავით ზაქარიას ძე ეხმარებოდა არ გრძნობდა მოვალეობის მძიმე უღელს კერძო პირისადმი, მას უყურებდა როგორც სამშობლოს წარმომადგენელს. ამისთანა დახმარება დაუფასებელია"**(დავით სარაჯიშვილის სახსოვრად, 1911:30).**

1911 წლის 26 ივნისს დილის 9 საათზე დავით სარაჯიშვილი გამოასვენეს სერგეევის ქუჩიდან ერევნის მოედნისაკენ, იქიდან ბაზრის გავლით სიონის ტაძრისაკენ, პროცესიას წინ მიუძღოდა თბილისის ამქარი დროშებით, მიჰქონდათ 300 გვირგვინი, მათ შორის 33 ვერცხლის (ეს ვერცხლის გვირგვინები 1921 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა წაიღო საფრანგეთში). სიონის ტაძარში დავით სარაჯიშვილს პარაკლისი გადაუხადა ეპისკოპოსმა ლეონიდემ, რომელმაც პარაკლისის დამთავრებისთანავე წარმოთქვა გამოსათხოვარი სიტყვა: ,,ზოგჯერ მიცვალებულები კუბოდან უფრო მძლავრ, უძლეველ და დიდებულ მოძღვრად გამოიყურებიან ხოლმე, ვიდრე სიცოცხლეში გვეჩვენებოდნენ და ასეთ რჩეულ გვამად დასაფლავების იერი უფრო დღესასწაულობს ვიდრე გლოვობს, ასეთია სწორედ დავით ზაქარიას ძის სიკვდილი და კუბო. დავითისთანა კაცები არასოდეს არ კვდებიან" **(,,თემი", 1911: №6, 3).**

სიონის ტაძრიდან გამოსვენებული დავით სარაჯიშვილი დაასვენეს ქალაქის თვითმართველობის წინ, სადაც სიტყვა წარმოთქვა ქუთაისის ქალაქის თავმა, შემდეგ კი დავით სარაჯიშვილის ცხედარი დაასვენეს კონიაკის ქარხანასთან, სადაც სიტყვა წარმოთქვა აკაკი წერეთელმა: ,,მთელ საქართველოს კიდით-კიდემდე ზარის ხმასავით გაისმის დათიკოს სიკვდილი, სიტყვა დათიკოს მე აქ განზრახ ვხმარობ, რადგანაც მხოლოდ ამ სახელით იცნობდა აწ განსვენებულს მთელი შეგნებული ქართველობა და სიტყვა დათიკო კნინობითი კი არ არის, გულის გამოძახილია... ჩვენ რომ ვერ დაგივიწყებთ, გასაკვირველი არ არის... მაგრამ არ დაგივიწყებს შენ ჩვენი შთამომავლობა"**(წერეთელი ,1961:429).** აკაკის სიტყვის წარმოთქმის შემდეგ ცხედარი დიდუბის პანთეონში დაკრძალეს.

დავით სარაჯიშვილის გარდაცვალების შემდეგ იაკობ ნიკოლაძეს დაევალა, რომ მას შეექმნა ძეგლი, რომლის შინაარსი უნდა ყოფილიყო სიკვდილისა და განუსაზღვრელი მწუხარების სიმბოლო იგი უნდა დადგმულიყო დავით სარაჯიშვილის საფლავზე. იაკობ

ნიკოლაძის მსგავსად დავით სარაჯიშვილის საფლავზე დასადგმელ ძეგლზე მუშაობდა გერმანელი არქიტექტორი ცანისი. თუმცა უპირატესობა იაკობ ნიკოლაძის პროექტს მიანიჭეს, რომელიც არაჩვეულებრივად შეასრულა. როდესაც აკაკი წერეთელმა ნახა ნიკოლაძის მიერ შესრულებული ესკიზი აღფრთოვანებულმა განაცხადა: "ეს ძეგლი წარმოადგენს ერთად თავმოყრილს სამ ქალს, ერთი მათგანი მოხუცია, შუაში რომ სდგას ემბლემაა მწუხარებისა, მარჯვნივ უდგას ნუგეში, იმედის გამომხატველი ქალი და სევდიანი ღიმილით ამხნევებს" **(ნიკოლაძე, 1973:27).**

აი, ასეთი შესანიშნავი ძეგლი შექმნა იაკობ ნიკოლაძემ, მაგრამ სამწუხაროდ ვერა და ვერ მოხერხდა ამ ძეგლის დადგმა დავით სარაჯიშვილის საფლავზე, რაც დამსახურება იყო ეკატერინე ფორაქიშვილისა. იგი ყოველთვის გაიძახოდა ჩემს ქმარს გულზე ქვას ვერ დავადებო.

უნდა აღინიშნოს, რომ დავით სარაჯიშვილის გარდაცვალების შემდეგ მეტად უცნაურად იქცეოდა ეკატერინე ფორაქიშვილი. ჯერ ერთი ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილი, რომელიც ითვლებოდა დავითის მარჯვენა ხელად, მოიშორა თავიდან. საფიქრებელია, იმიტომ რომ იგი ესწრებოდა დავით სარაჯიშვილის ანდერძის შედგენას. ამას ადასტურებს ალექსანდრე მამაცაშვილის მოგონება: ,,ეკატერინე ფორაქიშვილი ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილზე იყო ნაწყენი, რადგან ანდერძის შედგენას იგი ესწრებოდა და ამაზე ეკატერინეს არაფერი უთხრა. შეიძლება ერთ-ერთი ამის მიზეზი იყო ისიც, რომ დავითის სიკვდილის შემდეგ 1912 წელს ალექსანდრემ თავი დაანება კანტორის მმართველობას და საცხოვრებლად თავის ცოლთან და შვილებთან ერთად სამუდამოდ გადავიდა ბაკურციხეში, სადაც დ.ზ.სარაჯიშვილის მიერ ნაჩუქარი სახლი და ვენახი ჰქონდა" **(მირიანაშვილი, 1993:248)**. მეორე კიდევ როდესაც გარდაიცვალა ნიკო ღოღობერიძე, დაკრძალეს დავით სარაჯიშვილის გვერდით. მოგვიანებით იაკობ გოგებაშვილი მიუსვენეს, ამაზე ერთი ამბავი ატეხა ეკატერინე ფორაქიშვილმა, რომელიც იმჟამად უცხოეთში იმყოფებოდა და ახალი ჩამოსული იყო. ,,აი, ნიკო ღოღობერიძე რომ დაგიმარხავთ ჩემი ქმრის გვერდით, იმაზე უკეთესს ვის დამარხავდით, მაგრამ მე მინდოდა ის ადგილი სულ შემეძინა და ვარდები დამერგო ზედაო" **(თაყაიშვილი, 1968:330).**

1939 წელს დავით სარაჯიშვილის ნეშთი გამდასვენეს დიდუბის პანთეონიდან (პანთეონის დირექტორი- ე.ნიკოლაიშვილი) იმ ბანალური მიზეზით, რომ პანთეონში დაკრძალული მხოლოდ მწერლები უნდა ყოფილიყვნენ.

დავით სარაჯიშვილის ნეშთი გადასვენებული იქნა ვაკის მიყრუებულ სასაფლაოზე.

1995 წელს ქალაქის მერს ნიკო ლეკიშვილს აცნობეს წერილობით, რომ დავით სარაჯიშვილი და ეკატერინე ფორაქიშვილი ვაკის სასაფლაოდან გადმოესვენებინათ ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში. ქალაქის მერმა მოთხოვნა დააკმაყოფილა და შეიქმნა დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ,,ბუბუტეიშვილი, ფირმა ,,ბემის" თავმჯდომარე, გ. შენგელია ქალაქის მუნიციპალიტეტის პრემიერის მოადგილე, გ. გუჯეჯიანი დავით სარაჯიშვილის საქველმოქმედო საზოგადოების პრეზიდენტი, გ. ხანიშვილი, გ. ნიშნიანიძე, ნ. ბახტაძე და სხვ კომისიამ განიხილა და დაამტკიცა განსვენებულთა ნეშთის გადმოსვენებასთან დაკავშირებული ყველა ორგანიზაციული საკითხები" **(გუჯეჯიანი, 1996:143).**

დავით სარაჯიშვილისა და ეკატერინე ფორაქიშვილის გადმოსვენების საკითხს აღფრთოვანებით შეხვდა საქართველოს საპატრიარქოც და გააკეთა შემდგომი სახის განცხადება: ,,მიგვაჩნია, რომ დავით სარაჯიშვილის გადმოსვენება იქნება ისტორიული სამართლიანობის აღდგენა და დამსახურებული პატივის მიგება სამშობლოს ამ უერთგულეს შვილთადმი, ასევე სამაგალითო ნიშანსვეტი მომავალი თაობისათვის. გამოსვენება დაიწყება ვაკის სასაფლაოდან24 ივნისს 18 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში 25 ივნისს 10 საათზე დაიწყება წირვა, 17 საათიდან დანიშნულია სამგლოვიარო პანაშვიდი, 19 საათზე ქაშვეთის ტაძრის ეზოში დაიკრძალება დავითის და ქალბატონ ეკატერინეს ნეშთი საქართველოს საპატრიარქოს პრეს ცენტრი. თბილისი. 16.06.95" **(გუჯეჯიანი, 1996:140).**

დავით სარაჯიშვილის ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში გადმოსვენებით, მართლაც აღსდგა ისტორიული სამართალი, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ამ დიდ მამულიშვილებს მოსვენებას არც იქ აძლევენ, ხშირად ვაბრალებთ კომუნისტებს (და არც თუ უსაფუძვლოდ) ქართველი საზოგადო მოღვაწეებისადმი განსაკუთრებულ აგრესიულობას, მაგრამ დღეს კომუნისტები აღარ არიან, განა კომუნისტების ბრძანებით მოხდა დავით და ეკეტერინე სარაჯიშვილების საფლავის გვერდით სულ რაღაც ერთიოდე

ნაბიჯში ხატების მაღაზიის გახსნა, ამასაც კომუნისტებს დავაბრალებთ? მისასალმებელია, რომ ერი დაუბრუნდა დედა- ეკლესიას, გაიზარდა მოთხოვნილება ხატებზე და ჯვრებზე, მაგრამ ეს ჩვენ ხომ არ გვაძლევს საბაბს იმისას, რომ საზოგადო მოღვაწეთა საფლავების გვერდით გაიხსნას ხატების მაღაზია. განა ბევრი გვყვავს დავით სარაჯიშვილის მსგავსი მამულიშვილები? ვფიქრობ, არა დაარა! ვინც გვყავს მათაც უნდა გავუფრთხილდეთ. ამიტომ როდესაც რაღაცას ვაკეთებთ ყველამ წინ გავიხედოთ, რათა ჩვენი კეთილდღეობას ერის სინდისი არ ვანაცვალოთ.

1910 წელს ქალაქ როსტოვში, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ დავით სარაჯიშვილმა დაამოწმებინა ნოტარიუსს ანდერძი, რომელშიც აღნიშნული იყო:

"მე დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი ვუტოვებ ანდერძს საყვარელ მეუღლეს ეკატერინე ივანეს ასულ სარაჯიშვილს, რომელიც სიკვდილის შემდეგ უნდა გადავიდეს მის საკუთრებაში, როგორც ჩემი კანონიერი მემკვიდრე.

1.ასევე მთელი ქონება სოფელ დიღომში, შემავალი ტფილისის მაზრაში ვენახითურთ.

2.ასევე მთელი ქონება ქ. თბილისში, კერძოდ: უძრავი ქონება სასახლის ქუჩაზე, მაღაზიითურთ და სასახლის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთი.

3. უძრავი ქონება გორკის ქუჩაზე, სადაც მდებარეობს არყის ქარხანა, მშენებლობანი, საცდელი აპარატურა და აგრეთვე ორსართულიანი სავაჭრო წერტილი, აგრეთვე ვაძლევ წილს ჩემს ახლობელს დავით და სიმონ პარაკოვებს, ვაძლევ აგრეთვე წილს ეგზარხოსის ქუჩაზე ჩემს საყვარელ დებს, აგრეთვე აგარაკი რომელიც მდებარეობს სიღნაღის მაზრაში, სოფ. ბაკურციხეში, ყურძნის ბაღით უანდერძებ ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილს, თავად ვაჩნაძეს მიეცეს უძრავი ქონების ნაწილი სიღნაღის მაზრაში და დაჩის ნაწილი წოდარეთში. აქედან გაყიდული თანხის ნაწილი მიეცეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ქართული მუზეუმისა და რუსეთის იმპერიაში შემავალი სასწავლებლის სტუდენტებს. ასევე საზღვარგარეთ მყოფ ქართველ სტუდენტებს. ყველა დანარჩენი ქონების ნაწილს ფაბრიკებს, ქარხნებს, სახლებს, მიწას და სხვა დანარჩენ მოძრავ ქონებას ვუანდერძებ ჩემს მეუღლეს ეკატერინე ივანეს ასულ სარაჯიშვილს.

ჩემი სიკვდილის ორი წლის შემდეგ ჩემმა მეუღლემ აწარმოოს შემდეგი სახის შეწირულობა:

1.განათლების საზოგადოებას, პროფესიული სკოლების დასაარსებლად და შესანახად 50 000 მანეთი.

2.თბილისში მომავალი პოლიტექნიკური ან სხვა რომელიმე უმაღლესი სასწავლებელი იქნება ფიზიკური კაბინეტის მოსაწყობად 50 000 მანეთი.

3.ქართული საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოებას 25 000 მანეთი.

4.კავკასიის ქართულ სკოლას 10 000 მანეთი.

5.დიდუბის ეკლესიას 10 000 მანეთი.

6.ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებას 5 000 მანეთი.

7.წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, სამოსწავლო წიგნების გამოსაცემად 100 000 მანეთი.

8.დარის მონასტერს ავლაბარში 500 მანეთი.

9.ქუთაისის დრამატულ საზოგადოებას 25 000 მანეთი.

10.ქალაქ ქუთაისის საქალაქო თეატრის ასაგებად 15 000 მანეთი.

11.დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიას 1000 მანეთი.

12.სიტყვა კაზმულ მწერლობის საზოგადოებას საუკეთესო ბელეტრისტული ნაწარმოებისათვის 20 000 მანეთი.

13.ღვთისმშობლის ეკლესიას 500 მანეთი.

14.ქართულ დრამატულ საზოგადოებას 1000 მანეთი.

15.კალოუბნის ეკლესიას თბილისში 1000 მანეთი.

16.მცირეწლოვან დამნაშავეთა ახალშენს 10 000 მანეთი.

17.სიონის ეკლესიას 10 000 მანეთი.

18.მცხეთის ეკლესიას 1000 მანეთი.

19.მცხეთის სამთავისის დედათა მონასტერს, სკოლის საჭიროებისათვის 5 000 მანეთი.

20.მარტყოფის ეკლესიას 500 მანეთი.

21.მოსკოვის ქართულ საზოგადოებას 10 000 მანეთი.

22.ქალაქ თბილისის სადასტაქრო საავადმყოფოსათვის შენობის ასაგებად 200 000 მანეთი.

23.პროფ. ალექსანდრე ცაგარელს 5 000 მანეთი.

24.ნიკოლოზ ზევედეს ძე ცხვედაძეს 1000 მანეთი.

25.დავით ალექსანდრეს ძე პარკოვს 1000 მანეთი.

26.ნიკოლოზ ივანეს ძე მაჩაბელს 1000 მანეთი (ივანე მაჩაბლის ვაჟიშვილი).

27.ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილს 1000 მანეთი.

28.მარი გიორგის ასულ მამნეევს 1000 მანეთი.

29.ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ტარსაიძეს 1000 მანეთი.

30.ანდრო მიხეილის ძე მამაშოვს 1000 მანეთი.

31.მალაქია კერვალიშვილს 1000 მანეთი.

32.ელიზავეტ სულხანოვს 500 მანეთი.

ვალდებულია ჩემი ცოლი ეკატერინე ივანეს ასული სამი წლის თავზე ყველა ჩემს მუშას, ხელოსანს რომლებმაც იმსახურეს ჩემთან არაუმეტეს ორი წლისა მიეცეთ 25 მანეთი”**(სცა ფონდი №481,ანაწერი№1,საქმე №1269, ფურცელი 9,2).** დავით სარაჯიშვილის ეს ანდერძი, შემოკლებული სახით არის გადმოცემული, ძალინ საინტერესოა იმით, რომ მასში შესანიშნავად ჩანს დავით სარაჯიშვილის მეცენატობაც და ქველმოქმედებაც.

ანდერძის ერთ-ერთ მუხლში აღნიშნულია, რომ ქ. ქუთაისში უნდა აშენებულიყო თეატრი. საფიქრებელია, რომ ასეც მოხდა, რადგანც 1912 წელს გაზეთ ,,კოლხიდაში” დაიბეჭდა ცნობა ქალაქის მოურავის ი. ჩიქოვანის თბილისში ჩამისვლაზე ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილთან. ,,ქალაქის მერს ი. ჩიქოვანს თბილისში მოულაპარაკებია ა. პ. სარაჯიშვილთან ქუთაისში დ. ზ. სარაჯიშვილის სახელზე თეატრის აშენების შესახებ. ა. პ. სარაჯიშვილს დაუდასტურებია, რომ ქალბატონ ეკატერინე სარაჯიშვილს განსვენებულის ქვრივს, რომელიც ამჟამად გერმანიაშია დიდი სურვილი აქვს ეს საქმე რაც შეიძლება მალე მოიყვანოს სისრულეში.

მაშ, საქმეს რაღა უდგას წინ, გარდა იმისა, რომ ქალაქმა და დრამატულმა საზოგადოებამ, დროით გადაჭრან თეატრისათვის ადგილის არჩევის საქმე და საუკეთესო

ადგილადაც ჩვენ მიგვაჩნია ქალაქის ბაღის დასავლეთი ნაწილი, ოცხელების მამულის პირდაპირ" **(,,კოლხიდა," 1912, №12:2).**

ამ წერილიდან ჩანს, რომ ქუთაისში დავით სარაჯიშვილის სახელობის თეატრი უნდა აგებულიყო. საფიქრებელია, რომ თეატრის შენობა აიგო სწორედ იმ თანხიდან, რომელიც დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილმა უანდერძა ქუთაისის დრამატულ საზოგადოებას.

§6. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ დავით სარაჯიშვილის თანხიდან დანიშნულ სტიპენდიატთა სია (1911-1918 წლამდე)

დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილმა დაავალა თავის ნების აღმსრულებლებს ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილს და ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილს ,,გარდაცვალების დღიდან სამი წლის განმავლობაში გაჰყიდოს ქვემოთ განხილული ადგილები და აღებული ფული გადასცენ ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოებას, იმ პირობით რომ ნახევარი მოხმარდეს ქართული ეროვნული მუზეუმის აშენებას, ხოლო მეორე ნახევარი სტიპენდიების დაარსებას" **(სცა ფონდი №481, ანაწერი №1,საქმე №1269, ფურცელი 9,1).**

საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში ინახება ჩამონათვალი იმ ადგილებისა, რომლებიც უნდა გაყიდულიყო ანდერძის თანახმად: ,,ფრიდონოვთან სანახევრო ქარხანა. თბილისში ელისაბედის, აბასთუმნისა და ანდრეევეის ქუჩაზე მდებარე მიწა (გაიყიდა), წყნეთის ქუჩაზე მდებარე ადგილი ვენახებით (გაიყიდა), შორაპნის მაზრაში მდებარე მიწები (გაიყიდა), სიღნაღის მაზრაში მდებარე მამული (გაიყიდა), თავად ვაჩნაძესთან საზიარო ტყე, ალაზნის პირას (გაიყიდა), თბილისის მაზრაში მდებარე საზიარო და საკუთარი მამულები (გაიყიდა), გაყიდული მამულებიდან ფულის რაოდენობა 1916 წლის 1 იანვარს უდრიდა 160,751-68 კაპ. აქედან სამუზეუმო თანხას შეადგენდა 80,375-84 კაპიკს. სასტიპენდიო 80,375-84 კაპ"**(სცა ფონდი №481, ანაწერი №1,საქმე №269, ფურცელი 9,2).**

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დავით სარაჯიშვილის მიერ ნაანდერძევი ქონებიდან "1913 წელს მიიღო 25 751 მანეთი და 68

კაპიკი. ამავე წლის 10 სექტემბერს მიიღო 10 000 მანეთი, სულ 1913 წელს მიიღო 35 751 მანეთი და 68 კაპიკი. 1914 წელს მიიღო 125 000 მანეთი. 1916 წელს კი 19 000 მანეთი, ხოლო 1913 წლიდან 1916 წლამდე მიიღო 179 751 მანეთი და 68 კაპიკი" **(სცა ფონდი №481, ანაწერი №1,საქმე №269, ფურცელი 9,2).**

როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას არაფერი მიუღია 1915 წელს ანდერძით გათვალისწინებული თანხიდან. დავით სარაჯიშვილის ანდერძის აღსრულება, ხშირ შემთხვევაში იგვიანებდა, რადგანაც როგორც ანდერძის აღმასრულებლები აღნიშნავდენენ, გასაყიდ ობიექტებს ვერ ყიდიდნენ. ამასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ექვთიმე თაყაიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ანდერძის ნების აღმასრულებლები სათანადოდ არ ეკიდებოდნენ მათ მოვალეობას, ამიტომ ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოებაში ხშირად იმართებოდა შეხვედრები ანდერძის ნების აღმასრულებლებთან.

1914 წლის 22 აპრილს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას წერილით მიმართა ამავე საზოგადოების წევრმა გ. რცხილაძემ: ,,თანახმად გამგეობის და განსვენებული დ. სარაჯიშვილის ჭირისუფლის ე. სარაჯიშვილის სურვილისა ნაფიცმა ვექილმა ირაკლი გუნცაძემ, სერგეი გუნცაძემ და მე (გ. რცხილაძემ) ამ თვის 19-ს ვიქონიეთ მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა გზით უნდა აღსრულდეს განსვენებულის სურვილი ფულის გადაცემის შესახებ სასტიპენდიო და სამუზეომო თანხით. წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობისათვის ეხლანდელ პირობებში, როდესაც გამოირკვა, რომ ანდერძში აღნიშნული ვადის განმავლობაში განსვენებული სარაჯიშვილის მამულების გაყიდვა ვერ ხერხდება, ვექილმა ერთ მხრივ საუკეთესო საშუალებად აღიარა თვით ეს მამულები დამტკიცებულ იქნეს ნასყიდობის აქტის შედგენით წერა-კითხვის საზოგადოების სახელზე. ამასთან მოგახსენებთ, რომ ნაფიც ვექილის ჯაფარიძის აზრით, სასარგებლო იქნებოდა წინასწარ შეჰკითხვოდნენ ჭირისუფალნი ნოტარიუსს უარს ხომ არ იტყვის დამტკიცებაზე, როდესაც ამ აქტს წარუდგენენ მას" **(სცა ფონდი №481, ანაწერი №1,საქმე №4043, ფურცელი 29,9).**

ამ დოკუმენტიდან შესანიშნავად ჩანს, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ხშირ შემთხვევაში აჭარბებს, რომ თითქოს ნების აღმასრულებლები თავს ვერ ართმევენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. შესაძლებელია მათ,მართლაც სურდათ, რომ

ანდერძით გათვალისწინებული ქონება ძვირად გაეყიდათ, (რაც თავისთავად კარგი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის) რადგანაც უფრო მეტ თანხას მიიღებდნენ.

1911 წლიდან 1918 წლის ჩათვლით წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში მსურველთა უამრავი განცხადება შედიოდა თხოვნა მათთვის დავით სარაჯიშვილის სახელობის სტიპენდიის დანიშვნის მოთხოვნით.

1911 წლის 30 ივლისს წერა-კითხვის საზოგადოებამ მიიღო ვლადიმერ ალექსანდრეს ძე მიქელაძის თხოვნა: ,,ორი წელიწადი კიდევ დამრჩა, რომ უმაღლესი სასწავლებელი გავათაო (არ მიუთითებს სად სწავლობს) მაგრამ ნივთიერი შევიწროების გამო იძულებული ვარ დავრჩე საქართველოში, როგორც შევიტყვე განსვენებულ დ. სარაჯიშვილს 150 000 მანეთი დაუტოვებია სტიპენდიებისათვის. როგორც ერთი ღარიბთაგანი სტუდენტი, მოგმართავთ თხოვნით თუ ღირსი ვიქმენი, სტიპენდია დამინიშნოთ და ამით მომცეთ საშუალება უმაღლესში სწავლის გაგრძელებისა“**(სცა ფონდი №481, ანაწერი №1,საქმე №277, ფურცელი 214,82).**

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მიმართავდნენ არა მარტო ის პირები, რომელთაც დავით სარაჯიშვილის ანდერძით დატოვებული თანხიდან სურდათ სტიპენდიის დანიშვნა, არამედ ის სტუდენტებიც რომლებსაც დავით სარაჯიშვილის სიცოცხლეშივე გაგზავნილი ჰქონდათ კანტორაში წერილები სტიპენდიის დანიშვნის შესახებ. ასეთი იყო ალექსანდრე გიორგის ძე ფირცხალაიშვილი: ,,გავათავე რა ერთი წლის წინათ ეკატერინოდარის გიმნაზია, შევედი კიევის უნივერსიტეტში ფილოლოგიურ ფაკულტეტზედ, თუმცა მატერიალურად ძლიერ შევიწროვებული ვიყავი. დედა და მამა ჩემი ცხრა შვილის პატრონია, ცდილობენ ყველა მათგანს მიაღებინონ სწავლა-განათლება, მაგრამ შეიძლება კი არ აქვთ, ამისათვის მე ვერაფერ დახმარებას ვერ მაძლევენ. ეხლა იძულებული ვარ თვითონ გამოვძებნო სახსარი სწავლის გასაგრძელებლად. გასული წლის ენკენობის თვეში ბ.დ.ზ. სარაჯიშვილს მიმართა კიევის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სათვისტომომ, რომ რამე დახმარება აღმოეჩინათ ჩემთვის და მეც პირადად ვთხოვე, მაგრამ თხოვნის გაგზავნა დაგვიანდა და როცა მიიღეს სტიპენდიები უკვე განაწილებული იყო. ისე შეპირებულები იყვნენ რომ მომცემდნენ

სტიპენდიას, მაგრამ ეხლა პირობები შეიცვალა, ამიტომ მოგმართავთ თხოვნით თქვენ, რომ სტიპენდიების განაწილების დროს მიქონიოთ მხედველობაში”(**სცა ფონდი №481, ანაწერი №1,საქმე №1277, ფურცელი, 214,112**).

წერა-კითხვის გამავრცელებლ საზოგადოებას მიმართავდნენ თხოვნით ისეთი სტუდენტებიც, რომლებსაც დანიშნული ჰქონდათ დავით სარაჯიშვილის სტიპენდია, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო შეუწყდათ. სწორედ ასეთ პიროვნებას წარმოადგენდა ალექსანდრე ციციშვილი, რომელმაც 1916 წელს მიმართა თხოვნით წერა-კითხვის საზოგადოებას: ,,ენკენობის თვეში 1913 წელს გამოვედი უნივერსიტეტიდან, რადგანაც უნდა მომეხადნა სამხედრო ბეგარა, იმ დროიდან მომესპო განსვენებული დავით სარაჯიშვილის სტიპენდია. გავნთავისუფლდი თუ არა მოვალეობიდან მაშინათვე შევედი ხელმეორედ იმავე სასწავლებელში კურსის დასამთავრებლად. თიბათვიდან 1916 წელს ამიტომ მოგმართავთ უმორჩილესი თხოვნით, რადგანაც ძალიან გაჭირვებული გახლავართ, გთხოვთ დამინიშნოთ წყარო არსებობისა, რომელიც მჰქონდა აღქმული კურსის დამთავრებამდის ჩვენი ფრიად პატივცემული დავით სარაჯიშვილისაგან” (**სცა ფონდი №481, ანაწერი №1,საქმე №462, ფურცელი,10).**

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ განიხილა ალექსანდრე ციციშვილის თხოვნა. ალექსანდრე სარაჯიშვილი წინააღმდეგი გამოვიდა, რომ ციციშვილისათვის დაენიშნათ ერთდროული დახმარება 100 მანეთის ოდენობით, მაგრამ წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ციციშვილს მაინც დაუნიშნა ერთდროული დახმარება. ამას მოწმობს არქივის მასალები სადაც აღნიშნულია, რომ: ,,სტუდენტ ალექსანდრე იოსების ძე ციციშვილს მიეცეს ერთდროულ დახმარებად 100 მანეთი დ. სარაჯიშვილის სახელობის სასტიპენდიო ნაშთიდან” (**სცა ფონდი №481, ანაწერი №1,საქმე №462, ფურცელი,13).**

გარდა სტუდენტებისა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას თხოვნით მიმართავდა ქუთაისის ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების განყოფილებაც. 1915 წლის 3 აგვისტოს ქ.შ.წ.კ. საზოგადოებამ მიიღო ქუთაისის საზოგადოებიდან წერილი, სადც ვკითხულობთ: ,,ქუთაისის განყოფილების გამგეობაში შემოაქვთ ხოლმე თხოვნა სტუდენტებს მათთვის სტიპენდიის დანიშვნის შესახებ. წელსაც

შემოვიდა თხოვნები შემდეგი სტუდენტებისაგან: სტუდენტ გალაკტიონ ტაბიძე, (ეს გახლავთ დიდი ქართველი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე, რომელსაც სურდა შესულიყო შანიავსკის უნივერსიტეტში.) შხვაცაბაია კონსტანტინე, ჩადუნელი დავით, ჩახუნაშვილი ეფრემ, ჯაკობია გიორგი, ბოკუჩავა ნესტორ, დონდუა ვარლამ, ლაბაძე ვლადიმერ, ლორთქიფანიძე გრიგოლ, ნიკოლეიშვილი ალექსანდრე, ნიჟარაძე კალისტრატე, სვანიძე ბესარიონ და ყურაშვილი ტერენტი. გამგეობამ იქონია ორ თავის სხდომაზე მსჯელობა თითოეულ მთხოვნელზე ცალ-ცალკე და თავის მოვალეობად ჩათვალა აცნობოს მთავარ გამგეობას, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ყმაწვილთ ის იცნობს დაახლოვებით, ყველა ფრიად ღარიბია, შრომის მოყვარე ღირსი ქონებრივი დახმარებისა, განსაკუთრებით პირველი ხუთი, რომელნიც დაჯილდოებულნი არიან როგორც ნიჭით, ასევე საზოგადოებრივი ალღოთი” **(სცა ფონდი №481, ანაწერი №1,საქმე №462, ფურცელი,14).**

სამწუხაროდ, ზემოთ აღნიშნული პირებიდან სტიპენდია დაენიშნა მხოლოდ დავით ჩადუნელს 1916 წლის იანვარს 300 მანეთი.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ შეიმუშავა წესი სტიპენდიების დანიშვნის შესახებ. სტუდენტები ვალდებულნი იყვნენ, რომ წარმოედგინათ ცნობა სასწავლებლიდან, რომ ნამდვილად სწავლობდნენ, ასევე ცნობა ოჯახური მდგომარეობის შესახებ.

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 1914 წლიდან 1918 წლამდე დავით სარაჯიშვილის სტიპენდია ანდერძით გათვალისწინებული თანხიდან დაუნიშნა შემდეგ პირებს:

1915-1916 წლებში დავით სარაჯიშვილის სტიპენდიას იღებდნენ:

,,1. დალაქიშვილი გიორგი ვასილის ძე. დაენიშნა 1914 წლის 1 თებერვლიდან, წელიწადში 300 მანეთი. 1914 წელს სულ აიღო 275 მანეთი, ხოლო 1915 წელს 225 მანეთი. სულ ორივე წელს აიღო 500 მანეთი. ე.ი. სტიპენდიას იღებდა ორი წლის განმავლობაში.

2. ოქროპირიძე გაბრიელ გრიგოლის ძე. დაენიშნა 1914 წლის 1 თებერვალიდან 1916 წლამდე. 1914 წელს აიღო 275 მანეთი. 1915 წელს აიღო 300 მანეთი, ხოლო 1916 წელს აღებული აქვს 100 მანეთი. სულ სამივე წელს აიღო 675 მანეთი.

3. ქიქოძე შალვა გერასიმეს ძე. დაენიშნა 1914 წლის 1 თებერვლს და იღებდა 1918 წლამდე. 1914 წელს აღებული აქვს 275 მანეთი. 1915 წელს აიღო 300 მანეთი. 1916 წელს 275 მანეთი. 1917 წელს მიღებული აქვს 280 მანეთი. ხოლო 1918 წელს მიიღო 240 მანეთი.

4. ქრისტეფორე გიორგის ძე ამილახვარი. დაენიშნა 1914 წლის 1 ივლისს. 1914 წელს აიღო 200 მანეთი. 1915 წელს აღებული აქვს 400 მანეთი. 1916 წელს კი აიღო 175 მანეთი.

5. რამიშვილი იაკობ ისიდორეს ძე. დაენიშნა 1914 წლის 1 ივლისს, იღებდა 1916 წლამდე. 1914 წელს აიღო 150 მანეთი. ხოლო 1916 წელს აიღო 195 მანეთი.

6. ყანჩელი ვლადიმერ ისიდორეს ძე. დაენიშნა 1914 წლის 1 ივლისს და იღებდა ერთი წელი. აღებული აქვს 106 მანეთი.

7. ციციშვილი ალექსანდრე დიმიტრის ძე. დაენიშნა 1914 წლის 1 ივლისს და იღებდა 1916 წლამდე. 1914 წელს აიღო 200 მანეთი. 1915 წელს აიღო 400 მანეთი. ხოლო 1916 წელს 100 მანეთი.

8. ციციშვილი ნინო სოლომონის ასული. დაენიშნა 1914 წლის 1 ივლისს. იღებდა 1916 წლამდე. 1914 წელს აიღო 200 მანეთი. 1915 წელს 400 მანეთი, 1916 წელს 350 მანეთი.

9. ნიჟარაძე რაფიელ ბესარიონის ძე. დაენიშნა 1914 წლის 1 ივლისს და იღებდა 1915 წლის 1 ივლისამდე. სულ ორივე წელს აიღო 400 მანეთი.

10. ემუხვარი ვლადიმერ კონსტანტინეს ძე. დაენიშნა 1914 წელს 1ივლისს აიღო მხოლოდ 1915 წელს 350 მანეთი.

11. ინგოროყვა პავლე იესეს ძე.

1915 წელს დავით სარაჯიშვილის სტიპენდია დაენიშნა მხოლოდ სამ კაცს

12. კოტეტიშვილი ვახტანგ ილიას ძე. დაენიშნა 1915 წლის 1 თებერვალს და იღებდა 1917 წლამდე. 1915 წელს აიღო 275 მანეთი. 1916 წელს 200 მანეთი და 1917 წელს 125 მანეთი.

13. ჩიხლაძე რაისა რაფიელის ასული. დაენიშნა 1915 წლის 1 თებერვალს და იღებდა ერთი წლის განმავლობაში 175 მანეთი.

14. ხუხუნაიშვილი მამია არსენის ძე. დაენიშნა 1915 წლის 1 თებერვლიდან და იღებდა 1916 წლამდე. 1915 წელს აიღო 276 მანეთი. 1916 წელს აიღო 100 მანეთი.

1916 წელს დავით სარაჯიშვილის სტიპენდიას იღებდა ხუთი კაცი

15. შვანგირაძე ალექსანდრე. დაენიშნა 1916 წლის 1 ივლისს და იღებდა ორი წლის განმავლობაში. 1916 წელს აიღო 90 მანეთი, ხოლო 1917 წელს 60 მანეთი.

16. ძინძიბაძე ვასილ. დაენიშნა 1916 წლის ენკენობის თვეს და იღებდა 1917 წლამდე. 1916 წელს აიღო 100 მანეთი. 197 წელს 125 მანეთი.

17. ცირეკიძე ალექსანდრე. დაენიშნა 1916 წლის პირველ ენკენობის თვეს და იღებდა ორი წელი. 1916 წელს აიღო 100 მანეთი. 1917 წელს კი 320 მანეთი.

18. თაბუკაშვილი შალვა. დაენიშნა 1916 წლის პირველ ენკენობის თვეში და იღებდა ორი წელი. 1916 წელს აიღო 100 მანეთი. 1917 წელს კი 300 მანეთი.

19. ბარნაბიშვილი დიმიტრი. დაენიშნა 1916 წელს პირველი ენკენობის თვეში და იღებდა ორი წელი. 1916 წელს აიღო 100 მანეთი. 1917 წელს კი 320 მანეთი.

1917 წელს დავით სარაჯიშვილის სტიპენდიას იღებდნენ:

20. ჯაკობაია გიორგი პავლეს ძე. დაენიშნა 1917 წლის 1 იანვარს და იღებდა ერთი წელი. 1917 წელს აიღო 225 მანეთი.

21. ჭიჭინაძე გრიგოლ გაბრიელის ძე. დაენიშნა 1917 წლის 1 იანვარს და იღებდა ერთი წელი. 1917 წელს აიღო 125 მანეთი.

22. მუჯირი პროკოფი ნესტორის ძე. დაენიშნა 1917 წლის 1 იანვარს და იღებდა 1918 წლამდე. 1917 წელის 16 ოქტომბერს აიღო ენკენობის და ღვინობის თვის სტიპენდია 80 მანეთი. 1918 წლის 10 აპრილს აიღო ექვსი თვის სტიპენდია 240 მანეთი.

1918 წელს დავით სარაჯიშვილი სახელობის სტიპენდიას იღებდნენ:

23. ჯანაშია სიმონ. დაენიშნა 1918 წლის პირველ ენკენობის თვიდან. თვეში 100 მანეთი. 20 სექტემბერს აიღო 100 მანეთი. 1 ნოემბერს ოქტომბრის თვის 100 მანეთი.

24. აბულაძე სავლე. დაენიშნა 1918 წლის ენკენობის თვიდან. 5 ნოემბერს აიღო სექტემბრის და ოქტომბრის თვის სტიპენდია 80 მანეთი" **(სცა ფონდი №481, ანაწერი №1,საქმე №468, ფურცელი,1).**

ეს დოკუმენტი ძალიან საინტერესოა, რადგან მასში აღნუსხულია სტიპენდიატთა სია 1914 წლიდან 1918 წლამდე. აგრეთვე, კარგად ჩანს თუ როგორ იკლებს 1918 წლისათვის სასტიპენდიო თანხა. 1914-15 წლებში წერა-კითხვის საზოგადოება უნიშნავს ორწლიან სტიპენდიას დავით სარჯიშვილის ანდერძით დატოვებული თანხიდან 1918 წლისათვის წერა-კითხვის საზოგადოება ნიშნავს მხოლოდ ერთ ან ორთვიან სტიპენდიებს.

ამავე დოკუმენტში მითითებულია, რომ დავით სარაჯიშვილის სტიპენდიატი იყო პავლე ინგოროყვა. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში ინახება პავლე ინგოროყვას რამოდენიმე წერილი, წერა-კითხვის გამავრცელებლი საზოგადოებისადმი სადაც იგი წერს: "ვთხოვ პატივცემულ გამგეობას დამინიშნოს რომელიმე თავისუფალი სტიპენდია და ამით მომცეს შესძლებლობა სწავლა მივიღო. ამასთანავე ვაუწყებ პატივცემულ გამგეობას, რომ განზრახული მაქვს ჰაიდენბურგის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე შესვლა" **(სცა ფონდი №481, ანაწერი №1,საქმე №468, ფურცელი,3).**

მეორე წერილში პავლე ინგოროყვა აღნიშნავს: ,,მაისის ბოლოს მე ვთხოვე პატივცემულ გამგეობას დაენიშნა ჩემთვის სტიპენდია, რომ შეძლება მქონოდა მიმეღო ჰეიდენბურგის უნივერსიტეტში უმაღლესი სწავლა, რადგან ომიანობის გამო ჩემი წასვალ გერმანიაში სრულიად შეუძლებელი გახდა ვთხოვ პატივცემულ საზოგადოების გამგეობას ეს სტიპენდია პეტერბურგის უნივერსიტეტისათვის დამინიშნოს. გადაწყვეტილი მაქვს ქართული ენათმცოდნეობის შესწავლა"**(სცა ფონდი №481, ანაწერი №1,საქმე №468, ფურცელი,4).**

გარდა პავლე ინგოროყვასი წერა-კთხვის საზოგადოებას თხოვნით მიმართა ექვთიმე თაყაიშვილმა, რომელიც ცდილობდა, საზოგადოება დაერწმუნებუნა თხოვდა ინგოროყვასათვის სტიპენდია დაენიშნათ. ექვთიმე თაყაიშვილი პავლე ინგორიყვას შემდეგნაირად ახასიათებს წერილში: ,,უნარი კვლევისა მას საოცარი აქვს, მეთოდი ანალიტიკური და სინთეტური ერთგვარად ემარჯვება, ნიჭი მისი მრავალგვარია, შრომისმოყვარეობა საოცარი, ენთუზიაზმი გამოუთქმელი. მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ რა საგანსაც ეს ხელს მოატანს და თავის მიზნად გაიხდის, ყველგან შესამჩნევ კვალს დატოვებს ჩვენ ლიტერატურაში და ჩვენს ცხოვრებაში”**(სცა ფონდი №481, ანაწერი №1,საქმე №1277, ფურცელი,85).**

ამრიგად, როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა დავით სარაჯიშვილის მიერ დატოვებულილი თანხიდან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მრავალ ნიჭიერ ახალგაზრდას დაუნიშნა სტიპენდია, რომლებმაც შემდგომ დიდი მეცნიერის სახელი მოიხვეჭეს. მაგალითად, სიმონ ჯანაშიამ და პავლე ინგოროყვამ. ასე, რომ დავით სარაჯიშვილის ამაგი ფასდაუდებელია ქართული საზოგადოებისათვის, როგორც მის სიცოცხლეში, ასევე გარდაცვალების შემდეგ.

თავი III

სტეფანე,ლევან,იაკობ,პეტრე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილები

§1. ზუბალაშვილების გვარის ისტორია და ძმები ზუბალაშვილების მშობლები

ზუბალაშვილების გვარს საქართველოში საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს, ისინი მთელი საქართველოს მაშტაბით თითქმის ყველა კუთხეში იყვნენ მიმოფანტული. შუა საუკუნეებში ზუბალაშვილები ცხოვრობდნენ სოფ. ხედში, უფრო ადრე კი- ცხინვალში.

XVIII საუკუნეში ზუბალაშვილები გვხვდებიან გორში, ზუბალაშვილები ძველად იწოდებოდნენ ზუბაშვილებად, ხოლო XVIII საუკუნიდან უკვე მოიხსენიებიან ზუბალაშვილებად, (მას შემდგომ რაც ისინი გამოჩდნენ ახალციხეში). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ზუბალაშვილების გვარი სხვადასხვა სახით გვხვდება. მაგალითად: ზუბაშვილი, ზუბიანი და ზუბალაშვილები. მართალია ეს გვარი ერთმანეთისაგან განსხვავდება, მაგრამ ფუძე ერთი აქვთ.

ზუბალაშვილების გვარის შესახებ ზაქარია ჭიჭინაძე წერს: "ზემო ქართლში დაშთენილია შემდეგი გადმოცემა, რომ ზუბალაშვილები მესხები არიან, ძველთაგანვე ისინი მესხეთში ცხოვრობდნენ. მესხეთიდან ქართლში გადმოსახლდნენ, შემდეგ დროებში ისევ მესხეთს გადასულან. ახალციხეს, ქვაბლიანს, ოცხეთს, ჯავახეთს და ბორჯომის ხეობაზედ. სოფელ აწყვერში სახლობდნენ. აწყვერში მცხოვრებ ზუბალაშვილებს ძველთაგანვე ვაჭრობა დაუწყიათ, ზოგი მათგანი სავაჭროდ კონსტანტინოპოლსაც კი წასულა" **(ჭიჭინაძე ,1904:6).**

ზუბალაშვილების გვარი ძველთაგანვე მისდევდა ვაჭრობა-მრეწველობას. ,,ძველად მთელს ქართლს, სამცხე-საათაბაგოს და თბილისს ერთ ქართველ კაცს ვერ ნახავდით, რომ მას ზუბალაშვილის გვარის ამბები არ სცოდნოდა. ამათ დიდი ხმა და გავლენა ჰქონდათ,

რამდენსამე ალაგას სახლები, სავაჭროები, ფართო აღებმიცემა და მასთან კაი ქარხნებიც, სადაც თბილისის ხალხი მრავლად მუშაობდა”**(ჭიჭინაძე, 1904:8).-** აღნიშნავს ზაქარია ჭიჭინაძე.

ზუბალაშვილის გვარმა შეძლო, რომ მას მეფის რუსეთის შემზღუდავი წნეხის მიუხედავად, XIX საუკუნეში შეექმნათ დიდი სამრეწველო დაწესებულებები და უზარმაზარი კაპიტალი დაეგროვებინათ. ზუბალაშვილებს XIX საუკუნის 30-იან წლებში თბილისში ჰქონდათ შაქრის ქარხანა, რომელიც ეკუთვნოდა იაკობ ზუბალაშვილს, მისსავე მფლობელობაში იყო დასავლეთ საქართველოში მდებარე პირველი არყის სახდელი ქარხანა. იაკობ ზუბალაშვილს ჰქონდა სახელმწიფოს თანხმობა დასავლეთ საქართველოში წურბელების დაჭერისა, რომელებსაც შემდგომ ყიდდა.

აგრეთვე, ზუბალაშვილებს ეკუთვნოდა ნავთობის სარეწები ბაქოში, რომელიც 1860 წელს შეიძინა კონსტანტინე ზუბალაშვილმა (ძმები ზუბალაშვილების მამამ). კონსტანტინე ზუბალაშვლი დაიბადა 1828 წელს ქ. თბილისში. მისი მშობლები ერთ-ერთი წარჩინებულები იყვნენ დედაქალაქში. კონსტანტინე ზუბალაშვილი ჯერ სწავლობდა თბილისის კათოლიკურ სკოლაში, შემდეგ კი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. 1844 წელს კონსტანტინე ზუბალაშვილი ქართულ მილიციაში შევიდა. იმავე წელს იგი მონაწილეობას ღებულობს დაღესტნელებისა და მთიელების წინააღმდეგ ბრძოლაში, მამაცობისათვის იგი დაჯილდოებული იყო მილიციის პრაპორშჩიკის ხარისხით. 1846 წელს კონსტანტინე ზუბალაშვილმა სამსახურს თავი დაანება 33 წლის ასაკში (ერთ-ერთი სამხედრო დავალების შესრულების დროს იგი დაჭრეს). კონსტანტინე ზუბალაშვილის მეუღლე იყო ელისაბედ თუმანიშვილი (ქალიშვილი მიხეილ თუმანიშვილისა). კონსტანტინე და ელისაბედი დაქორწინდნენ 1853 წელს. 1856 წელს შეეძინათ ვაჟიშვილი ანდრია, რომელიც გარდაიცვალა 1860 წელს. შემდეგ კი შეეძინათ ოთხი ვაჟიშვილი: სტეფანე, ლევანი, პეტრე და იაკობი, რომლებიც შემდგომში ცნობილი მეცენატები და ქველმოქმედები გახდნენ.

§2. სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი (მეცენატობა და ქველმოქმედება)

სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი დაიბადა 1860 წელს ქ.თბილისში.განათლება მიიღო ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიაში. სტეფანე ზუბალაშვილი, როგორც ზაქარია ჭიჭინაძე წერს: ,,იყო ის კაცად-კაცი, რომელმაც სიტყვა საქმედ აქცია და ქართველებს ყველა ის დანაპირები შეუსრულა, რასაც კი დაჰპირდა" **(ჭიჭინაძე ,1904:185).**

სტეფანე ზუბალაშვილის მთავარ შემოსავლის წყაროს (ისევე როგორც მისი ძმებისას) წარმოადგენდა მამის მიერ დატოვებული ნავთობის სარეწები ბაქოში, ე.წ ,,ბიბი-ეი-ბათის" სარეწები. ნავთობის წარმოებამ ზუბალაშვილები ერთ-ერთ კონკურენტუნარიანი მრეწველებად აქცია.

სტეფანე ზუბალაშვილი, გარდა მრეწველისა, იყო დიდი ქველმოქმედი და მეცენატი. მის სახელს უკავშირდება ბათუმში კათოლიკური ეკლესიის აგება, რომელიც დაუჯდა 200 000 მანეთი. იმ ადგილზე ,,სადაც ახლა კათოლიკების ეკლესიაა იქ იყო განიერი ტბა, სავსე გარეული ფრინველებით და იქ იცოდნენ ხოლმე სანადიროდ გასვლა მონადირეებმა. ტყის გადაღმა დასავლეთისაკენ იყო უდაბური ტყე" **(კომახიძე ,1993:113).**

ბათუმის კათოლიკური ეკლესია აგებულია გოთიკურ სტილზე. ეკლესიის სიგრძე 33,6 მ, სიგანე 23,1 მ., სიმაღლე 44,1მ. ეკლესიას აქვს სამი გუმბათი, მთავარი შესასვლელის მარჯვნივ და მარცხნივ წმინდა ნინო და ანდრია პირველწოდებული არიან გამოქანდაკებულნი. შესასვლელშივე ქართულ და ფრანგულ ენაზე ამოტვიფრულია ტაძრის აღმშენებელთა ვინაობა: ,,ტაძარი ესე ყოვლად წმინდა ღვთისმშობლისა მარიამისა, თვისის ზღუდითურთ, აღვაგე მე სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილმა საცხოვნელად სულისა ჩემისა, მშობელთა და დათა ჩემთა" **(კომახიძე, 1993:113).**

ტაძრის მშენებლობა დასრულდა 1902 წელს, 1903 წელს კი იგი აკურთხა, სტეფანე ზუბალაშვილის ინიციატივით სარატოვიდან ჩამოყვანილმა, კათოლიკე ეპისკოპოსმა ბარონდე-რაპიმ.

სტეფანე ზუბალაშვილის მიერ კათოლიკური ეკლესიის აგება, უდაოდ დიდ ქველმოქმედებად ითვლება. სტეფანე ზუბალაშვილისა და მისი ძმების დიდ მეცენატობად უნდა ჩაითვალოს სახალხო თეატრის შენობის აგება (დღევანდელი მარჯანიშვილის

თეატრი). ამასთან დაკავშირებით დავით გურამიშვილი იხსენებს: "მეორე დღეს ნეტარხსენებულმა სტეფანემ მკითხა:

_ ჩვენ ძმებმა 100 000 მანეთი გადავდეთ, ჩვენი მამის სამახსოვროდ, ხოლო ის კი ვერ გადაგვიწყვეტია რას მოვახმართ. შენ რა აზრის იქნები, რა სჯობია რო გავაკეთოთ?

_ მოგეხსენებათ, რომ განსვენებულმა როინიშვილმა ქართულ წერა-კითხვის საზოგადოებას 800 თუმნად ღირებული თავისი მუზეუმი დაუტოვა.

_ ვიცი, როგორ არ ვიცი, მოსაწონი საქმეა,

_ მაგრამ მხოლოდ შესაფერი ადგილი არ მოეპოვება, ეს ძვირფასი განძი ერთ კუნჭულში უყრიათ, ჩემი აზრით, დიდებული საქმე იქნება ეგ თანხა ქართული მუზეუმის შენობისათვის მოგეხმარათ.

_ მართალია, მაგრამ როდესაც არ გვინდა, სხვა ერმა ნაციონალისტობაში ჩამოგვართვას, ვფიქრობ ყველა ეროვნებისათვის ერთი რამ აშენდეს, სადაც უფრო მუშა ხალხს შეეძლება სარგებლობა, ე.ი. სახალხო სახლი.

_ ეგეც დიდებული საქმეა.

_ მეც აგრე მგონია. გუნებაში მაქვს, ყველა წესიერად მოვმართოთ და ისრე გადავსცე ქალაქის გამგეობას, რომ ერთი ნემსის საყიდელი არ ქონდეთ!

_ როგორც თქვენ ბრძანებთ, ეგ თანხა არ გეყოფათ!

_ ეგ არაფერია, ჩემმა ძმებმა რაც თავიანთი წილი გადადეს ისიც რომ უკან წაიღონ მე მაინც ავაშენებ, კატა ხომ არ მომიკლავს სულ ეკლესიები ვაშენო, მაგას რომ მოვრჩები მერე შეუდგები მუზეუმის აშენებას" (**„თეატრი და ცხოვრება," 1914,№41, 6).**

1901 წელს ცნობის ფურცელი იუწყებოდა: "თბილისის სახალხო სახლის აშენების საქმეს ბედი ეწია, თბილისის ქალაქის თვითმმართველობისა და საზოგადოების გულგრილობამ ძალიან შეაფერხა ეს საქმე. საზოგადოებაში ძლივს შეგროვდა 14000 მან. რამაც გამოიწვია უიმედობა შენობის აგებისა, გამგეობამ გადაწყვიტა აეგო პატარა შენობა ფრიად უხერხულ ადგილზე, ვერაზე, მტკვრის ნაპირზე.

საბედნიეროდ, ამჟამად ეს დიდი საქმე გამობრუნდა და ეხლა სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სასურვლად კარგად დაგვირგვინდება, ეს სასიამოვნო სასწაული მოახდინა ძმათა ზუბალაშვილთა შეწირულობამ. მათ სახალხო სახლის აშენებისათვის 100 000 მან.

გადაიხადეს" (**,,ცნობის ფურცელი," 1901, №1430, 2**) . სწორედ, რომ დიდი საქმე იყო სახალხო სახლის აგება, რადგანაც ქართულ თეატრს რომელსაც ღია ცის ქვეშ უხდებოდა სპექტაკლების გამართვა ექნებოდა შენობა, რაც გამოიწვევდა თეატრალური ხელოვნების განვითარებას.

სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შეწირა 10 000 მან. ამის შესახებ თავად სტეფანე ზუბალაშვილმა მიწერა წერა-კითხვის საზოგადოებას: ,,პატივისცემით ვაუწყებთ გამგეობას, რომ ჩვენი საზოგადოების 25 წლის ფრიად თვალსაჩინოდ და განუწყვეტელის შრომის აღსაბეჭდად მე, განვიზრახე შეძლებისდაგვარად დავეხმარო ამ საზოგადოებას, ამასთანავე გიგზავნით 10000 მანეთს და გთხოვთ მიიღოთ ეს წვლილი ჩემგან, როგორც ერთ გულშემატკივარის?! ქართველისაგან" (**ჭიჭინაძე, 1905:1).**

სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილს თავის ცხოვრების დევიზად ჰქონდა დასახული მეცენატობა და ქველმოქმედება და თავის ძმებსაც უბიძგებდა ამ კეთილშობილური საქმისაკენ. ამის დამადასტურებელი მაგალითია დავით გურამიშვილის მოგონება, რომელიც თავად შესწრებია სტეფანე ზუბალაშვილისა და მისი ძმის პეტრეს საუბარს: ,,იცი ძმაო რა გითხრა! ჩვენ რომ ღმერთი გვაძლევს, ჩვენც ხელ გაშლით უნდა ვიცხოვროთ, რომ ხალხს სარგებლობა მოვუტანოთ, თორემ ზედ რომ კრუხებივით დავსხდეთ ბევრს ვერაფერს გამოვჩეკავთ, ჩვენთვისაც დაკარგული იქნება და ხალხისთვისაც" (**,,თეატრი და ცხოვრება,'' 1914, №28,5).**

სტეფანე ზუბალაშვილი აგრეთვე აფინანსებდა ზაქარია ჭიჭინაძის მოგზაურობას დასავლეთ საქართველოში, სადაც ზაქარია ჭიჭინაძემ აღწერა კათოლიკური ეკლესიები და შემდეგ წიგნად გამოსცა სტეფანე ზუბალაშვილის დახმარებით. სოფ. ხიზამბავრის ქართველ კათოლიკეთა სკოლა განიცდიდა მაჰმადიანების ზეწოლას, რაც საბოლოო ჯამში მიმართული იყო იქითკენ, რომ მომხდარიყო ქართველების ასიმილაცია მაჰმადიანებში. სწორედ, ასეთ ძნელბედობის ჟამს სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილმა აღნიშნულ სკოლას შეწირა 10 000 მან. ქართული წიგნების შესაძენად, რაც ითვლება დიდ მეცენატობად.

სტეფანე ზუბალაშვილმა მატერიალური მხარდაჭერა აღმოუჩინა ივანე როსტიაშვილს, რათა მას დაებეჭდა სხვადასხვა სამეცნიერო წიგნები მდაბიოთათვის, რაც თავის თავად დიდ ქველმოქმედებად უნდა ჩაითვალოს.

1903 წელს სტეფანე ზუბალაშვილმა გაზეთ ,,ივერიას" გაუგზავნა წერილი, სადაც ვკითხულობთ: "მე არ ვიცოდი თუ ,,ივერიის" საქმე ასე იყო, რედაქციისადმი დახმარება მე დიდ სიამოვნებას მანიჭებს და მე მზად ვარ ამ გაზეთს ყოველთვის დავეხმარო" **(ჭიჭინაძე, 1924:68).** ამ წერილიდან შესანიშნავად ჩანს, რომ სტეფანე ზუბალაშვილი გაზეთ ,,ივერიას'' არა ერთჯერადად, არამედ ყოველთვის ეხმარებოდა ხოლმე.

ნიკო ცხვედაძეს,როგორც თავად-აზნაურთა გიმნაზიის შენობის აგების მოთავეს, ძმებმა ზუბალაშვილებმა სოლიდური თანხა შესწირეს როგორც ზაქარია ჭიჭინაძე წერს: ,,სტეფანე ზუბალაშვილს უთქვამს: "მეტად დიდ შენობა დაუწყვია ნიკო ცხვედაძეს, ამისთანა შენობას მილიონი უნდა აქ კი ესენი არსად არის, მეტად კარგი საქმე კია, იქნება ამ შკოლით მაინც გვეშველოს რამე, რომ ჩვენი თავად-აზნაურთა შვილები აღიზარდნონ კარგათ, ყველა ჩვენთაგანმა თითო აგური უნდა მიიტანოს და დადოს, მე ჩემი აგურები მოვიტანე, ასევე ჩემმა ძმებმაც" **(ჭიჭინაძე, 1924:70).**

აი, ასეთ შესანიშნავ პიროვნებას წარმოადგენდა სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი.

§3. ლევან კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი

ლევან კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი დაიბადა 1862 წელს ქ.თბილისში. იგი ძირითადად მოსკოვში მოღვაწეობდა. ლევან ზუბალაშვილი, სტეფანესაგან განსხვავებით, უფრო ქველმოქმედი იყო ვიდრე მეცენატი. მის სახელს უკავშირდება მოსკოვის უნივერსიტეტში ქართველი სტუდენტებისათვის თავისი მეუღლის და შვილის სახელობის სტიპენდიის დანიშვნა- თვეში 50 მან. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ძმები ზუბალაშვილები ერთად ნიშნავდნენ სტიპენდიებს. ამასთან დაკავშირებით გაზეთი "ისარი" 1908 წელს წერდა: ,,შაბათს 5 იანვარს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ გაანაწილა ძმები ზუბალაშვილების სახელობის სტიპენდიები. გამგეობამ აირჩია 29 კაცი და ამათგან ხმის უმეტესობით სტიპენდიები დაენიშნა შემდეგ მოსწავლეებს: ავალიშვილ შალვას, ჯაჯანაშვილ არჩილს, ცინცაძე იაკობს, ორჯონიკიძე ვლადიმერს, ფაღავა აკაკის, მგელაძე ვასილს. მდივანს, მირზაშვილს, ვასილ რცხილაძეს, ქიქოძე გერონტის და შურღაია ლაზარეს"**(,,ისარი," 1908,№6,2).**

ძმები ზუბალაშვილები წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ხშირად წირავდნენ თანხებს სტიპენდიებისათვის, რის გამოც შემდგომ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას წერილობით მიმართავდნენ სხვადასხვა სტუნდენტები, რომ მათთვის ზუბალაშვილების სტიპენდია დაენიშნათ. მაგალითად, 1911 წლის 11 ივნისს ზაქარია ალექსანდრეს ძე ყანჩელმა მიმართა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას თხოვნით: "უკიდურესი მატერიალური გაჭირვება ჩემი მშობლებისა, იძულებულს მყოფს უმაღლეს სასწავლებლის გაგრძელებას შუა გზიდან (იგი ხარკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა) ამისათვის გთხოვთ დამინიშნოთ თავისუფალი სტიპენდია ძმათა ზუბალაშვილებისა და ამით მომცეთ შესაძლებლობა სწავლის გასაგრძელებლად" **(სცა ფონდი №481, ანაწერი №1,საქმე №1277, ფურცელი,39).**

1911 წლის 3 იანვარს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას თხოვნით მიმართა გიორგი ანდრიას ძე ნამორაძემ: ,,სრული სამი წელია კიევის უნივერსიტეტში ვიმყოფები, ამ ხნის განმავლობაში ბევრჯერ დამდგომია გაჭირვება, მაგრამ არავისთვის

მიმიმართავს, ვცხოვრობდი საკუთარი შრომით და სახლიდან ცოტაოდენი დახმარებით. მამაჩემსაც არ აქვს შესაძლებლობა და ამიტომ ეხლა უფრო, როდესაც ჩემი მეორე ძმაც წამოვიდა უმაღლესში სასწავლებლად. გამიჭირდა ცხოვრება, მხოლოდ ამ მატერიალური შესაძლებლობებისა და გაჭირვების ბრალია, რომ ვბედავ თხოვნით შეგაწუხოთ, თუ შეიძლება კონსტანტინე ზუბალაშვილის სახელობის სტიპენდია დამინიშნოთ ან უკიდურეს შემთხვევაში ერთდროული დახმარება მაინც აღმომიჩინოთ" **(სცა ფონდი №481, ანაწერი №1,საქმე №1277, ფურცელი,91).** ეს დოკუმენტი იმით არის საინტერესო რომ ძმებ ზუბალაშვილებს დანიშნული ჰქონდათ თავიანთი მამის კონსტანტინე ზუბალაშვილის სახელობის სტიპენდია. ზემოთ აღნიშნული დოკუმენტებიდან შესანიშნავად ჩანს, რომ ძმები ზუბალაშვილები ქართველ სტუდენტებს დიდ დახმარებას უწევდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ლევან ზუბალაშვილი. ლაზარე შურღაია იგონებს, თუ როგორ მფარველობდა ლევან ზუბალაშვილი მოსკოვში მყოფ ქართველ სტუდენტებს: "ჩვენ თუ 5 მან-ის სათხოვნელად მოვიდოდით, ის 50 მან. გვაძლევდა, ჩვენ თუ ერთი პალტოს ფულს დავესესხებოდით ის სამი პალტოს ფულს გვაძლევდა, თქვენ უახლოეს ამხანაგებსაც უყიდეთო, ხშირად თვეობით დავდიოდით მასთან სადილად" **(ტატიშვილი ,1960:168).** ლევან ზუბალაშვილმა მოსკოვში დააარსა სტუდენტური კლუბები და სამკითხველოები, ამისათვის მან ალექსანდრე ჯავახიშვილს გადასცა 40000 მან.

1914 წელს ლევან ზუბალაშვილმა ნახევარი მილიონი მანეთი შესწირა მოსკოვის ქართველთა საზოგადოებას. რაც შეეხება მოსკოვის ქართველთა საზოგადოებას, იგი შეიქმნა ქართველი სტუდენტების დასახმარებლად. ამ საზოგადოებაში გაერთიანებულები იყვნენ მოსკოვში მყოფი ქართველი ინტელიგენცია. მაგ: მსახიობი ალექსადნრე სუმბათაშვილი, პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილი, ქიმიკოსი ალექსანდრე ჯავახიშვილი და სხვ.,

საზოგადოების წევრები იკრიბებოდნენ ხან ლევან ზუბალაშვილის სახლში, ხან სუმბათაშვილთან. ერთ-ერთ შეხვედრაზე სუმბათაშვილმა წამოჭრა წინადადება ქართველთა გაერთიანებისა ერთ მთლიან საზოგადოებად. საზოგადოებას დასჭირდებოდა შენობის აგება. ლევან ზუბალაშვილმა ერთდროულად გაიღო 40 000 მანეთი და შემდეგ სისტემატურად დაიწყო საზოგადოების დაფინანსება.

1910 წლიდან მოსკოვში იწყება ქართველი სტუდენტების რიცხვის ზრდა, რამაც, ბუნებრივია, გამოიწვია არსებული ბიბლიოთეკების მაშტაბების გაზრდის მოთხოვნა. 1914 წელს ლევან ზუბალაშვილმა ალექსანდრე ჯავახიშვილს გადასცა 10000 მან. ბიბლიოთეკის გასაფართოებლად.

აი, ასეთმა შესანიშნავმა მამულიშვილმა 1914 წელს დაასრულა თავისი სიცოცხლე ლევან ზუბალაშვილის გარდაცვალებას გაზეთი ,,სახალხო ფურცელი" იტყობინებოდა: ,,6 დეკემბერს, მოსკოვში გარდაიცვალა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ლევან კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი, განსვენებულს როგორც უხვ ქველმოქმედს იცნობდა არა მარტო ქართველობა, არამედ მთელი რუსეთი, რომელთაც ახსოვდათ განსვენებულისა და მისი ძმათ მრავალი კაცთმოყვარული და კულტურული საქმიანობები. მადლიანმა თბილისის მმართველობამ განსვენებული და მისი ძმები თბილისის საპატიო მოქალაქეებად აირჩიეს" **(,,სახალხო ფურცელი" 1914, №161, 2).**

ლევან ზუბალაშვილი ჩამოასვენეს მოსკოვიდან და დაკრძალეს კათოლიკურ ეკლესიაში.

§4. იაკობ და პეტრე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილები

იაკობ და პეტრე ზუბალაშვილებიც თავისი ძმების მსგავსად, დიდი ქველმოქმედები იყვნენ (განსხვავებით სტეფანესაგან, რომელიც მეცენატიც იყო).

1902 წ. იაკობ ზუბალაშვილმა ქალაქის მმართველობას გადასცა 2000 მან., რათა მათ ღატაკი ხალხი დაეპურებინათ. ,,ეს ფული სააღდგომოდ იმ ღატაკ პირებს დაურიგეთ, რომელთაც ამ დღისათვის სანოვაგე არ ექნებათ" **(ჭიჭინაძე, 1905:73).**

სტეფანე ზუბალაშვილის გარდაცვალების გამო იაკობმა 10000 მან. შეწირა თბილისის გამგეობას ღარიბი ხალხისა და ბავშვების დასახმარებლად. გარდა ამისა, მან ბაქოს ტექნიკური ლაბორატორიის გასამართავად 1500 მან, 50 000 მან. კი ქართველ თავადაზნაურთა სკოლის შენობის აგებას შესწირა.

იაკობ ზუბალაშვილის ინიციატივით შედგა სწავლულთა წრე, რომელსაც მიზნად ჰქონდა ქართულსა და რუსულ ენაზე მეცნიერული ენციკლოპედიის შედგენა და გამოცემა. აგრეთვე უნდა დაებეჭდათ, რომ საქართველოს ენციკლოპედია ინგლისურ ენაზე, რასაც

უდაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც ევროპა გაიცნობდა საქართველოს და მის კულტურას.

პეტრე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი ძირითადად დაკავებული იყო ქართველი სტუდენტობისათვის დახმარების აღმოჩენით. 1906 წელს ჟენევაში დააარსა ბიბლიოთეკა ქართველი სტუდენტებისათვის. მან თავისი ფულით მრავალი წიგნი შეიძინა: ,,იყიდა ბიბლიოთეკისათვის ინვენტარი, გამოუწერა წიგნები, ჟურნალ-გაზეთები და 500 ფრანკით დაეხმარა" **(ჩხიტუნიძე ,1980:63).** შემდეგ ამ ბიბლიოთეკას წიგნების გამოსაწერად 287 ფრანკი, ჟურნალ-გაზეთების შესაძენად 1000 ფრანკი, ხოლო საწევროს გადასახდელად 120 ფრანკი, შესწირა.

ამრიგად, ძმებმა ზუბალაშვილებმა თავიანთი ქველმოქმედებითა და მეცენატობით სიცოცხლეშივე დაიდგეს უკვდავების გვირგვინი, მათ ყველას დაანახეს, რომ რელიგიური განსხვავებულობა ჩვენს თანატომელებს ხელს არ უშლიდათ ყოფილიყვნენ სამშობლოს გულმხურვალე პატრიოტები.

§5. ძმები ზუბალაშვილების სტიპენდიატები 1908–1914 წლებში

ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ძმები ზუბალაშვილები სხვადასხვა პროექტების განსახორციელებლად ხშირად თანხას სწირავდნენ...

სტეფანე ზუბალაშვილის გარდაცვალების შემდეგ მისმა ძმებმა ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შეწირეს 1000 მანეთი, რათა საზოგადოებას ეს თანხა სტუდენტების დასახმარებლად გამოეყენებინა.

1906 წლის 17 დეკემბერს გაიმართა ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წლიური კრება, რომელშიც ვკითხულობთ: ,,გამგეობამ მოახსენა საზოგადოების წევრთა კრებას ძმათა ლევან,პეტრე და იაკობ ზუბალაშვილების მიერ შემოწირულ თანხის 1000 თუმნის შესახებ. 1904 წლის 18 ოქტომბერს ბატონმა იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილმა საკუთრად და თავისი ძმების ლევან და პეტრე ზუბალაშვილების მხრიდან შემოსწირა საზოგადოებას 1000თუმანი, მათი გარდაცვლილი

ძმის, სტეფანე კონსტანტინეს–ძის სახსოვრად, იმ პირობით, რომ ეს ფული შენახულ იქნება ხელუხლებელ თანხად და მხოლოდ მისი სარგებელი მოხმარდეს საზოგადოებას თუ წერა–კითხვის საზოგადოება დაიკეტა, ეს ფული გადაეცეს თბილისის თავად–აზნაურობას, რომელმაც ამ ფულის სარგებელი უნდა მოახმაროს ქართველი ბავშვების აღზრდას, განურჩევლად წოდებისა და სარწმუნოებისა ’’ **(სცა ფონდი 6481, ანაწერი 61, საქმე 873, ფურცელი 51).**

ქართველთა შორის წერა – კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მადლობის ნიშნად, ლევან და პეტრე ზუბალაშვილები ამავე საზოგადოების საპატიო წევრებად აირჩია, ამასთან დაკავშირებით წერა–კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ წერილიც კი მისწერა ძმებს. ,, წარსული წლის 17 დეკემბერს მოხდა საზოგადო კრება. ქართველთა შორის წერა – კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ მოახსენა კრებას თქვენი და თქვენი ძმების ლევანის და პეტრეს 1000 თუმნის შემოწირულობა სახსოვრად თქვენი ძმის, საზოგადოებისთვის დაუვიწყარის სტეფანე კონსტანტინეს ძის. საზოგადოება უსაზღვრო მადლობით მიეგება თქვენს უხვ შემოწირულობას და ერთხმად აგირჩიათ თქვენ და თქვენი ძმები ლევანი და პეტრე საპატიო წევრებად ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა.

გამგეობა სიამოვნებით გაუწყებთ საზოგადო კრების ამგვარ გადაწყვეტილებას და თავის მხრივ განმეორებით გიძღვნით დიდ მადლობას თქვენი უხვი შემოწირულობისათვის. ’’ **(სცა ფონდი 6481, ანაწერი 61, საქმე 1200, ფურცელი 274).** (ზემოაღნიშნული წერილი წერა–კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გაუგზავნა იაკობ ზუბალაშვილს).

ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ძმები ზუბალაშვილების მიერ შემოწირული თანხიდან არაერთ გაჭირვებულ სტუდენტს საშუალება მისცა, რომ ესწავლათ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ შეიმუშავა ძმები ზუბალაშვილების სტიპენდიის დანიშვნის წესი და პირობები: აღნიშნული დოკუმენტი ინახება ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში და შემდეგი შინაარსის მატარებელია: ,,1. ძმათა ზუბალაშვილების სტიპენდიას

ნიშნავს ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა, 2.სტიპენდიები ეძლევათ უპროცენტო სესხად საზოგადოდ რუსეთისა და საზღვარგარეთის დაბალ და საშუალო სპეციალურ და მაღალს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველებს, უფრო კი რუსეთის დაბალ, საშუალო და მაღალ სპეციალურ სასწავლებლებში მოსწავლეებს, ან ამგვარსავე სასწავლებლებში ახლად შემსვლელთ განურჩევლად სქესისა, წოდებისა და სარწმუნოებისა, 3. წერა–კითხვის საზოგადოების გამგეობა უპირატესობას აძლევს სტიპენდიის მიღების მსურველთა შორის იმათ, ვინც ცნობილ იქნება გამგეობის მიერ, რომ ღარიბია, ნიჭიერი მოყვარე შრომისა და პატრონი განსაკუთრებულის ზნეობისა, 4. რაოდენობა თვითეული სტიპენდიისა არის 300 მანეთი წელიწადში, მაგრამ გამგეობამ შეუძლია ამაზე ნაკლები დაუნიშნოს მთხოვნელს სტიპენდია, 5. სტიპენდია ეძლევა მოსწავლეს იმ ხნის განმავლობაში, რომელიც საჭიროა მისთვის სრული კურსის გასათავებლად, უკეთუ ეს ვადა არ აღემატება 1911 წლის 31 დეკემბერს, ვინაიდგან ძმანი ზუბალაშვილნი მხოლოდ ამ ვადამდის არიან სასტიპენდიო ფულს დაპირებულნი, 6. სტიპენდიებს ნიშნავს საზოგადოების გამგეობა აგვისტოს დამდეგს, ხოლო შემთხვევით განთავისუფლებულ სტიპენდიებს სხვა დროსაც სასწავლო წლის განმავლობაში, ადგილობრივ ქართულ გაზეთებში გამოცხადებულ უნდა იქნეს, რომ ეს და ეს სტიპენდია თავისუფალია, 7. თხოვნები–სტიპენდიები დაგვინიშნეთ უნდა შემოიტანონ ქ.შ.წ.გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის სახელზე, ერთი თვით ადრე მაინც მოსწავლეებმა ან მათმა მშობლებმა და ნათესავებმა, 8. თხოვნაში აღნიშნული უნდა იყოს: ა) სასწავლებელი, რომელშიც სტიპენდიის მთხოვნელი სწავლობს, აგრეთვე კლასი ან კურსი, რომელზედაც იგი არის, ბ) სასწავლებელი რომელშიაც მთხოვნელს მიუღია მოსამზადებელი სწავლა და ის სასწავლებელი რომელშიც იგი შესვლას აპირებს. გ)ოჯახური და ნივთიერი მდგომარეობა სტიპენდიის მთხოვნელისა, 9. თხოვნასთან წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტები: ა)მოწმობა სასწავლებლის მთავრობისა, სადაც მთხოვნელი სწავლობსა, ბ) მოწმობა იმ სასწავლებლისა, რომელშიც მთხოვნელს მოსამზადებელი სწავლა მიუღია,თუ იგი ახლა შედის დაბალ და საშუალო სპეციალსა ან მაღალს სასწავლებელში, 10. სასწავლებელში ახლად შემსვლელთ დანიშნული სტიპენდია მიეცემათ მას შემდეგ, რაც ისინი გამგეობას წარმოუდგენენ

თავიანთ სასწავლებლის მთავრობის მოწმობას,რომელშიაც დამოწმებული იქნება, რომ ისინი მიღებულნი და ჩარიცხულნი არიან სასწავლებელში მოსწავლეებად, 11. თუ ასეთი მოწმობა (მუხლი 10) სტიპენდიანტმა არ წარმოუდგინა გამგეობას სამოსწავლო წლის დაწყების დღიდან ერთი თვის განმავლობაში იგი ჰკარგავს სტიპენდიის მიღების უფლებას და მისი სტიპენდია, გამგეობის ამორჩევით, სხვა მთხოვნელს გარდაეცემა. 12. ყოველი სტიპენდიანტი ვალდებულია: ა) აცნობოს ხოლმე გამგეობას თავისი მისამართი, ბ) აცნობოს გამგეობას ყოველი თვალსაჩინო ცვლილება, რომელიც მოხდა მის ნივთიერ ყოფა–მდგომარეობაში, გ) გაუგზავნოს ყოველ თვეს გამგეობას საკუთარი ხელმოწერილი კვიტანცია, რომ მან ნამდვილად მიიღო გამგეობის მიერ გაგზავნილი თვიური სტიპენდია, დ) ყოველ წელს არაუგვიანეს პირველი აგვისტოსა, წარმოუდგინოს გამგეობას სასწავლებლის მთავრობის მოწმობა რომელშიაც აღნიშნული უნდა უყოს, რომ იგი სასწავლებელში მოსწავლედ ითვლება, კლასიდან კლასში ან კურსიდან – კურსზე გადავიდა, 13. გამგეობა სტიპენდიანტებს მოუსპობს სტიპენდიას: ა) როცა ძმები ზუბალაშვილნი შეუწყვეტენ ქ.შ.წ.გამავრცელებელ საზოგადოების განკარგულებაში სასტიპენდიო, ფულის ძლევას, ბ) როცა სტიპენდიანტი დანიშნულ ვადაზე ვერ წარმოადგენს იმ მოწმობას, რომელიც მე–12 მუხლში არის აღნიშნული და აგრეთვე დააგვიანებს პატივსაცემ საბუთებს, გ) როცა სტიპენდიანტი ერთსა და იმავე კლასში ან კურსზე დარჩება და მიზეზი მისი დარჩენისა გამგეობის მიერ არ იქნება შეწყნარებული, დ) როცა სტიპენდიანტი კურსს დაასრულებს სასწავლებელში ან როცა იგი კურსის დასრულებამდის თვითონ თავს დაანებებს სასწავლებელს, ე) როცა სტიპენდიანტს დაითხოვენ სასწავლებლიდან, რა მიზეზითაც უნდა იყოს გამოწვეული მისი დათხოვნა, ვ) როცა სტიპენდიანტი გამოიცვლის სასწავლებელს ან ფაკულტეტს გამგეობის ნებადაურთველად, ზ) სხვა მიზეზის გამოც რომელიც გამგეობის აზრით, საკმაო საფუძველი იქნება სტიპენდიის მოსასპობათ, 14. ყოველი სტიპენდიანტი ვალდებულია როცა მას სტიპენდია დაენიშნება მისცეს წერა–კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას ხელწერილი, რომ იგი სტიპენდიას იღებს სესხად და ვალდებულია შემდეგში სასწავლებლიდან გამოსვლის შემდეგ, მიუხედავად იმისა გამოვა იქიდან კურსდამთავრებული თუ არა. სტიპენდიის სახით აღებული ვალს ნაწილ–ნაწილ

გადაუხდის გამგეობას იმ წესით რომელიც ქვევით არის აღნიშნული, სტიპენდიანტი თუ მცირე–წლოვანია, ასეთ ხელწერილს დებს მასთან ერთად მისი მშობელი ან აპეკუნი ან მზრუნველი. 15. იმ ხელწერილით რომელსაც სტიპენდიანტი აძლევს გამგეობას სტიპენდიის დანიშვნის დროს იგი ვალდებულია ორი წლის შემდეგ დღიდან სასწავლებელში კურსის დასრულებისა ან თუ სწავლა არ დაასრულა, დღიდან კურსის დაუსრულებლად სასწავლებლიდან გამოსვლისა, დაიწყოს სტიპენდიის სახით მიღებული სესხის ნაწილ–ნაწილ გადახდა, იმ სტიპენდიანტებმა რომელთაც მუდმივი ადგილი და განსაზღვრული ჯამაგირი ექნებათ უნდა გადაიხადონ 15 % თავიანთი შემოსავლისა ყოველ წელს, ვიდრე მთელს ვალს გაისტუმრებენ. იმ სტიპენდიანტებმა კი, რომელთაც განსაზღვრული ჯამაგირი არ აქვთ და მაშასადამე ვალის გასასწორებლად მათ მიერ წლიურად გადასახდელი ვერ იანგარიშება შემოსავლის პროცენტების მიხედვით, უნდა გადაიხადოს იმდენი რამდენსაც წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა დაუნიშნავს წლიურ გადასახადად, 16. გამგეობას შეუძლია სტიპენდიის ფული ერთდროულად მოსთხოვოს ყოფილ სტიპენდიანტებს, 17. იმ შემთხვევაში თუ ყოფილი სტიპენდიანტი განსაკუთრებით შევიწროვებულ ნივთიერ მდგომარეობაში იმყოფება, გამგეობას შეუძლია ვალის გადახდის ვადა გაუგრძელოს, აგრეთვე სრულიადაც გაანთავისუფლოს ვალის გადახდის მოვალეობისაგან, 18. ყოფილი სტიპენდიანტებისაგან დაბრუნებული ფული, შემომწირველთა სურვილის მიხედვით ისევ ქართველთა სწავლა–განათლების საქმეს მოხმარდება ან ისევ სტიპენდიებზე დაიხარჯება, ახლანდელი სახელწოდებით ანდა სწავლა–განათლების სხვა რამ საგნისთვის გადაიდება, რომელსაც აგრეთვე ძმათ ზუბალაშვილთა სახელი დაერქმევა“ **(სცა ფონდი 5481, ანაწერი 51, საქმე 1468, ფურცელი 61).**

ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში უამრავი წერილი შედიოდა ძმები ზუბალაშვილების სახელობის სტიპენდიის დანიშვნასთან დაკავშირებით სტუდენტების მხრიდან, რაც სავსებით გასაგებია, რადგან აღნიშნულ პერიოდში ქართველი სტუდენტები უმძიმეს პირობებში სწავლობდნენ. იმისთვის, რომ ნათლად წარმოჩნდეს იმდროინდელი სტუდენტების ეკონომიკური მდგომარეობა,

განვიხილოთ რამდენიმე წერილი, რომელიც ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მისწერეს სტუდენტებმა.

1911 წელს ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას თხოვნით მიმართა სტუდენტმა, ივანე კონსტანტინეს ძე არსენიშვილმა, რომელიც ითხოვდა ,, მე გახლავარ შვილი დიდად–ღარიბი მამისა, თანამდებობით მედავითნისა, რომელსაც ჩემს გარდა კიდევ ჰყავს ოთხი შვილი, ამისთვის მოკლებულია ყოველგვარ საშუალებას, რამე ნივთიერი დახმარება აღმომიჩინოს და მით ხელი შემიწყოს სწავლის გასაგრძელებლად ინსტიტუტში (სწავლობს კიევის კომერციულ ინსტიტიტში).

ამიტომ იძულებული ვარ უმორჩილესად გთხოვოთ და შემოგვედრებთ ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას, შეხვიდეთ ჩემს გაჭირვებულ მდგომარეობაში და დამინიშნოთ ერთდროული დახმარება იმ თანხიდან რომელიც აქვს მინდობილი ძმებ ზუბალაშვილებს გამგეობისათვის, რითაც მომცემთ საშუალებას დავამთავრო სწავლა უმაღლეს კომერციულ ინსტიტუტში და შევძლო გავხდე სასარგებლო წევრი ქართული საზოგადოებისა, ცოდნით და მომზადებით აღჭურვილი“**(სცა, ფონდი ნ481, ანაწერი ნ1, საქმე 1277, ფურცელი 8).**

გარდა სტუდენტებისა, წერა–კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას თხოვნით მიმართავდნენ სტუდენტების მშობლებიც, მაგალითად 1911 წლის 20 აგვისტოს საზოგადოებას მიმართა, ელისაბედ მღებრიშვილმა ,, უკიდურესი ნივთიერი მდგომარეობა მაიძულებს მოგმართოდ უმორჩილესი თხოვნით დაუნიშნოთ ჩემს შვილს გიორგი მღებრიშვილს, კიევის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის მეორე კურსის მოწაფეს სტიპენდია ზუბალაშვილების, ჩემს უკიდურეს მდგომარეობის აღწერას არ შეუდგები ეს ისედაც იციან გამგეობის წევრებმა: ფილიპე გოგიჩაიშვილმა, ა.მდივანმა, ალ.ყიფშიძემ და შიო დედაბრიშვილმა. იმედი მაქვს ესენი გაცნობებენ პატივცემულ საზოგადოებას ჩემს მდგომარეობას და მით მიცემენ ჩემს შვილს შესაძლებლობას დაასრულოს უმაღლესი სასწავლებელი’’**(სცა. ფონდი 481,ანაწერი 1, საქმე 1277, ფურცელი 77).**

1910 წელს კიევის კომერციული ინსტიტუტის სტუდენტმა ნიკოლოზ უკლებამ წერა–კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მიწერა თხოვნით :,,1910 წლის სექტემბერში მე შევედი კიევის კომერციულ ინსტიტუტში და მაქვს სურვილი შევასრულო აღნიშნულ

ინსტიტუტში სწავლა, მაგრამ ამ ჩემს სურვილს ეღობება უკიდურესი სიღარიბე ჩემის მშობლებისა, მამაჩემს მღვდელ მეთოდე უკლებას, ჰყავს ჩემს გარდა სხვადასხვა სასწავლებელში ოთხი შვილი, რომელთაც ზრდის თავის ხარჯზე დიდის გაჭირვებით, რის გამოც ისინი მოკლებულნი არიან მრავალგვარ საჭიროებას. მათ გარდა, ჰყავს კიდევ სხვა შვილებიც სასწავლებელში შესაყვანი, მაგრამ მეტი სიღარიბის გამო ისინი კიდევ სკოლის გარეშე იმყოფებიან და ჩვენც რომლებიც გზაზე ვდგავართ და ვსწავლობთ მეტი აუტანელი სიღარიბის გამო მოგველის გზის მოსპობა, ესეთ მდგომარეობაში მყოფი მე ღარიბი სტუდენტი ვბედავ მოვიქცე თქვენ გამგეობისადმი სრულის იმედით, რომ მომექცევა მე ყურადღება და აღმომიჩნდება დახმარება იმ თანხიდან რომელიც ძმათა ზუბალაშვილებს აქვს მინდობილი გამგეობას, წერა–კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას სტუდენტთა სტიპენდიებისათვის და ამით მომეცემა საშუალება განვაგრძო სწავლა ზემორე აღნიშნულ სასწავლებელში“ **(სცა. ფონდი 481,ანაწერი 1, საქმე 1277, ფურცელი 109).**

საინტერესოა სტუდენტ ვასო თოფურიას წერილი ,,მე ვსწავლობ თბილისის სამოქალაქო სკოლაში, ვარ მეექვსე კლასის მოსწავლე, ვარ ღარიბი დედმამიშვილი, მამაჩემი ცალფეხმოჭრილი კაცია, ორის ჯოხით დადის მოხუცი, დედა მრეცხველი მყავს, ქირითა ვდგავართ მეორე თუმანოვის ქუჩაზე ნინო ციბაძის სახლში. მთელს კურს ისე ვამთავრებ, რომ ერთხელ ტანზედ ახალი პალტო არა მცმია, დიდ სიცივეებშიც ხალათის ამარა მივდივარ. ეხლა ამ წლის ამ უკანასკნელ კურსზედ დიდად მიჭირს სწავლის ფული, სულ არ მომეძებნება საიდან გადავიხადო არ ვიცი, გადაუხდელობაც კი არ იქნება, სწავლის ფული 24 მანეთი საჭიროა.

ამიტომ მოვმართავ წერა–კითხვის სამმართველოს და ვთხოვ, რომ უკანასკნელ გასაჭირში დამეხმაროს. დახმარება, 24 მანეთი, თუ სესხად მივიღებ და მერე დავუბრუნებ იმ თანხას, რომელიც მომეცემა დასახმარებლად, მე ვთხოვ დახმარებას წერა–კითხვის გამავრცელებელ გამგეობას თანხიდან რომელიც გამოუყვეს ძმებმა ზუბალაშვილებმა. მოიმედე ვარ, რომ ეს ჩემი ერთადერთი უკანასკნელი თხოვნა დაჯილდოებული იქნება და ღონისძიება მომეცემა სწავლა შევასრულო ”**(სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე1277, ფურცელი 176).**

ზემოაღნიშნული წერილებიდან ნათლად ჩანს, თუ რა გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ქართველი ახალგაზრდები, გამომდინარე აქედან თამამად შეიძლება ითქვას, რომ ძმები ზუბალაშვილების მიერ შეწირულ თანხას სტიპენდიების დასანიშნად უდიდესი მამულიშვილური მნიშვნელობა ჰქონდა. ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში ინახება ძმები ზუბალაშვილების სახელობის სტიპენდიატების სრული სია.

1908 წელს ძმებ ზუბალაშვილებს ჰყავდათ 21 სტიპენდიატი ესენი იყვნენ:

1. ავალიშვილი იოსებ გიორგის –ძე, 2. ამირეჯიბი შალვა, 3. დგებუაძე ალექსანდრე, 4. დადვანი პავლე, 5. ელიავა შალვა, 6. იმნაიშვილი ნიკიფორე, 7. იმნაძე ვალერი, 8. მდივანი ვასილ, 9. მირზაშვილი მიხეილ, 10. ორჯონიკიძე ვლადიმერ, 11. რცხილაძე ვასილ, 12. ფაღავა აკაკი, 13. ქიქოძე გერონტი, 14. შიუკაშვილი თამარ, 15. შურღაია ლაზარე, 16. ცინცაძე იაკობ, 17. ჯაჯანაშვილი არჩილ, 18. ჯიჯავაძე ელენე, 19. ორჯონიკიძე იაკობ, 20. კაკაბაძე სარგის, 21. ჟღენტი ალექსანდრე'' **(სცა. ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1113, ფურცელი 1).**

1908 წლის სტიპენდიატთა სიაში არის რამდენიმე შემდგომში ცნობილი პიროვნება, მაგალითად: შალვა ელიავა, სარგის კაკაბაძე, გერონტი ქიქოძე და სხვები.

ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში ინახება გერონტი ქიქოძის წერილები, რომლებიც მან გაუგზავნა ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

1911 წელს გერონტი ქიქოძემ თხოვნით მიმართა ლევან, პეტრე და იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილებს, რომ მისთვის დაენიშნათ სტიპენდია, აღნიშნული წერილი ინახება წერა –კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში და შემდეგი შინაარსისაა. ,,სულ წელიწად ნახევარი მიკლია სწავლის დამთავრებას, მაგრამ უმწეოთ, უდედმამოთ დარჩენილი იძულებული ვარ დაწყებულ საქმეს გამოვეთხოვო, გთხოვთ უმორჩილესად, დამინიშნოთ თქვენი საქველმოქმედო თანხიდან საჭირო დახმარება და ამით შეძლება მომცეთ დაწყებული საქმე დავაგვირგვინო'' **(სცა. ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1056, ფურცელი 1).**

გერონტი ქიქოძის თხოვნა დააკმაყოფილეს და ძმები ზუბალაშვილების სახელობის სტიპენდია დაენიშნა, ამას მოწმობს თავად გერონტი ქიქოძის წერილი, რომელიც მან გაუგზავნა ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას: ,,მოწყალეო ხელმწიფევ ბატონო სამსონ! იმ მთხოვნელთა რიცხვში რომელთაც მიიღეს სტიპენდია ძმები ზუბალაშვილთა თანხიდან ვწერივარ მეც ლეიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის სტუდენტი გერონტი ქიქოძე. გიგზავნით ჩემს ადრესს და გთხოვთ რაც შეიძლება ჩქარა გამომიგზავნოთ ფული და ამასთანავე შემატყობინოთ რა პირობებში დამენიშნა ეს სტიპენდია“ **(სცა. ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1056, ფურცელი 3).**

საინტერესოა 1911 წლის, 22 ივლისს, გერონტი ქიქოძის მიერ გაგზავნილი წერილი წერა–კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისადმი ,, ვაუწყებ პატივცემულ გამგეობას, რომ მიმდინარე წლის მაისიდან ვირიცხები ბერნის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის კანდიდატად, სადოქტორო დისერტაციისათვის თემა უკვე აღებული მაქვს და ახლო მომავალში გასათავებელს ეგზამენების ჩაბარებას ვაპირებ,რადგან უცხოეთში საცხოვრებლად არავითარი სახსარი არ გამაჩნია და ამასთანავე ჩემი ჯანმრთელობა ხანგრძლივი მატერიალური გაჭირვების გამო შერყეულია, ამიტომ ვთხოვ პატივცემულს გამგეობას დამინიშნოს ძმები ზუბალაშვილების მიერ გადაღებული თანხიდან სტიპენდია ხუთი თუმანი თვიურად, ამითვე ვამოწმებ, რომ ვკისრულობ ყოველ ვალდებულებათა შესრულებას რომელიც ხსენებული სტიპენდიის მიღებასთან არის დაკავშირებული“ **(სცა. ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1056, ფურცელი 5).**

1913 წლის 30 აგვისტოს გერონტი ქიქოძე წერა–კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას თხოვნით მიმართავს, რომ სტიპენდია გაუგრძელონ. ,, უმორჩილესად ვთხოვ პატივცემულ გამგეობას გამიგრძელოს სტიპენდიის ვადა 1913 წლის 1 სექტემბრიდან 1914 წლის აგვისტომდე, შეძლებისამებრ ვეცდები სტიპენდია უფრო ადრე განვანთავისუფლო’’**(სცა. ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1056, ფურცელი 8).**

1913 წელს გერონტი ქიქოძე მეორე წერილს წერს წერა–კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომელშიც იგი ითხოვს, რომ ერთდროულად დაეხმარონ 150 მანეთის ოდენობით. ,, უმორჩილესად ვთხოვ გამგეობას გამომიგზავნოს 150 მანეთი ჩემის სტიპენდიის თანხიდან ამ ფულის ერთი ნაწილი თვიური ხარჯის და ვალის

გასასტუმრებლად მჭირდება, ხოლო მეორე სამშობლოში დასაბრუნებლად, რადგან გადაუდებელი საქმის გამო ჩემი დაბრუნება ძლიერ საჭიროა, ვთხოვ ეს ქაღალდი რამდენადაც შეიძლება ადრე იქნეს განხილული''**(სცა. ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1056, ფურცელი 9).**

გერონტი ქიქოძის ზემოაღნიშნული წერილი განიხილა ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ და უპასუხა, ,,დიდად პატივცემულო ბატონო გერონტი! თქვენი უკანასკნელი თხოვნა გამგეობისადმი 150 მანეთის გამოგზავნის შესახებ მივიღე 11 ამა თვეს, (1913 წლის 11 აპრილი) ხუთშაბათს და რადგან იმ დღეს გამგეობის სხდომა იყო დანიშნული, იმავე საღამოს მოვახდინე მეცნობებინა გამგეობის წევრებისათვის, გამგეობამ შესაძლებლად ვერ დაინახა თქვენი თხოვნის დაკმაყოფილება, რადგან იგი ეწინააღმდეგება გამგეობის პრინციპიალურ გადაწყვეტილებას, სტიპენდია წინდაწინ არავის მიეცეს,.

ამ დადგენილებას გამგეობა ადასტურებს, ამიტომ ყოველივე ცდა სტიპენდიებისა, რომ წინასწარ მიიღონ ფული სტიპენდიის ანგარიშიდან უნაყოფო რჩება, ასე ჩემო ბატონო სხვა რამე უნდა იღონოდ, თუ წამოსვლასა და ვალის გასტუმრებას აპირებ.

ამასთანავე გამგეობა გთხოვთ შეგვატყობინოთ, როდის ამთავრებთ თქვენ სწავლას და როდემდისაა თქვენთვის საჭირო სტიპენდიები, წერა–კითხვის საზოგადოება სტიპენდიას ოთხი წლით აძლევს, 300 მანეთი წელიწადში, თქვენ 1908–1909 წლებში მიღებული გაქვთ 700 მანეთი, მეორე ენკენობის თვეში 1911 წლისა დღემდე ორწელიწადს ერთი თვე უკლია, მიღებული გაქვთ 575 მანეთი, სულ 4 წელიწადში მიღებული გაქვთ 1275 მანეთი თუ ენკენის თვიდან კიდევ საჭიროა თქვენთვის სტიპენდია, უნდა დასაბუთებული მოხსენება გამოგზავნოთ ამის შესახებ და შიგ აღნიშნოთ რა მიზეზის გამო აქამდის ვერ დაგისრულებიათ სწავლა და როდემდის იქნება კიდევ საჭირო სტიპენდია''**(სცა. ფონდი 481, ანაწერი1, საქმე 1056, ფურცელი 9).**

ზემოაღნიშნული წერილები იმითაა საინტერესო, რომ მასში ნათლად ჩანს თუ როდის დაენიშნა გერონტი ქიქოძეს ძმები ზუბალაშვილების სახელობის სტიპენდია და რა რაოდენობის თანხა მიიღო სწავლის პროცესში.

1909 წელს ზუბალაშვილების სტიპენდიას იღებდნენ შემდეგი სტუდენტები : ,, 1. დადიანი შოთა, 2. ებრალიძე გიორგი, 3. კაპანაძე ანნა, 4. ნიჟარაძე ტარასი, 5. ჩხენკელი იასონ, 6. ხარაბაძე თამარ.''

1910 წელს ზუბალაშვილებს ჰყავდათ მხოლოდ ორი სტიპენდიატი, ძნელაძე თამარი და ხახუტაშვილი ანა.

1911 წელს ზუბალაშვილების სტიპენდიატები იყვნენ: 1. გოგოლაშვილი იოსებ, 2. ელიოზიშვილი დავით, 3. ლასხიშვილი ნინო, 4. მჭედლიშვილი დავით, 5. ტატიშვილი შალვა, 6. ფიცხელაური სიმონ, 7) ყიფიანი სალომე, 8. ჩიტაია გიორგი, 9. ჩხეიძე დავით.

1913 წელს ძმები ზუბალაშვილების სახელობის სტიპენდიას იღებდნენ შემდეგი სტუდენტები: 1. ახვლედიანი ვალერიან, 2. მოსიძე შალვა, 3. შენგელაია ლეო.

1914 წელს ზუბალაშვილების სტიპენდია დაენიშნათ, 1. გობეჯიშვილ მალაქიას, 2. რაჭველიშვილ ქრისტეფორეს, 3. მელაძე დავითს, 4) სოლოღაშვილ ალექსანდრეს, 5. გუნთათიშვილ მურადს, და კაკიაშვილ სულეიმანს“**(სცა ფონდი 481,ანაწერი 1, საქმე 1133, ფურცელი 2).**

ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში დაცულია ზეოაღნიშნული სტუდენტების მიერ სტიპენდიის სახით აღებული თანხის სრული მონაცემები.

სარგის კაკაბაძე ზუბალაშვილების სახელობის სტიპენდიას იღებდა სამი წლის განმავლობაში, 1908 წელს სარგის კაკაბაძემ აიღო სექტემბრის,ოქტომბრის და დეკემბრის თვეებში, (25 მანეთი თვეში), 1909 წელს სარგის კაკაბაძის მიერ აღებული სტიპენდიის საერთო რაოდენობა შეადგენდა 300 მანეთს, რომელიც აიღო შემდეგი თანმიმდევრობით: ,, 23 იანვარი 25 მანეთი, 21 თებერვალი 25 მანეთი, 9 მარტი 25 მანეთი, 24 აპრილი 25 მანეთი, 23 მაისი 25 მანეთი, 19 ივნისი 15 მანეთი, 6 ივლისი 25 მანეთი, 25 სექტემბერი 50 მანეთი, 30 ოქტომბერი 25 მანეთი, 3 დეკემბერი 25 მანეთი, 28 დეკემბერი 85 მანეთი'' 16 **(ს.ც.ა ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე1133, ფურცელი 42).**

1910 წელს სარგის კაკაბაძემ აიღო შემდეგ თვეებში სტიპენდია: 15 იანვარი 25 მანეთი, 4 თებერვალი 25 მანეთი, 5 აპრილი 25 მანეთი, 8 მაისი 25 მანეთი, 8 ივნისი 25

მანეთი, 7 ივლისი 25 მანეთი, 4 სექტემბერი 25 მანეთი''**(სცა ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე1133, ფურცელი 42).**

როგორც წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდის დოკუმენტებიდან ჩანს, სარგის კაკაბაძემ ზუბალაშვილების სასტიპენდიო ფონდიდან სტიპენდიის სახით სამი წლის განმავლობაში მიიღო 575 მანეთი, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სარგის კაკაბაძემ 1911 წელს წერა–კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მიმართა თხოვნით, რომ გაეგრძელებინათ ზუბალაშვილების სტიპენდია. ,, ახლო მომავალში საზღვარგარეთ ვაპირებ წასვლას, საქართველოს ისტორიის შესახებ საჭირო მასალების შესაკრებად, ვთხოვ გამგეობას განმიახლოს ძმათა ზუბალაშვილების სტიპენდია ამა წლის პირველ ნოემბრამდის და ერთდროული დახმარებაც აღმომიჩინოს, ხოლო თუ გამგეობა სტიპენდიის განახლებას ჩემთვის შეუძლებლად სცნობს ვითხოვ ერთდროულ დახმარებას, სასტიპენდიო თანხის ნაშთიდან''**(სცა. ფონდი 481,ანაწერი1, საქმე 1200, ფურცელი 136).**

ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ოქმებიდან არ ჩანს დააკმაყოფილეს თუ არა სარგის კაკაბაძის თხოვნა, თუმცა ერთი რამ ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ ის თანხა, რაც წერა –კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ძმები ზუბალაშვილების დახმარებით გადასცა სარგის კაკაბაძეს, მართლაც, ზუბალაშვილების მხრიდან დიდ ქველმოქმედებად უნდა ჩაითვალოს.

1908–1909 წლებში ალექსანდრე ჟღენტი ზუბალაშვილების სტიპენდიას იღებდა. 1908 წელს აიღო 45 მანეთი, რომელიც განაწილებული იყო შემდეგ თვეებზე,'' 22 აგვისტო 21 მანეთი, 8 ნოემბერი 12 მანეთი, 18 დეკემბერი 12 მანეთი'' **(სცა. ფონდი 481,ანაწერი1, საქმე 1133, ფურცელი 44).**

1909 წელს ალექსანდრე ჟღენტმა აიღო 36 მანეთი შემდეგი თანმიმდევრობით. ,,30 იანვარი 6 მანეთი, 21 თებერვალი 6მანეთი, 9 მაისი 6 მანეთი, 21 აპრილი 6 მანეთი, 30 მაისი 6 მანეთი, 21 აგვისტო 6 მანეთი'' **(სცა. ფონდი 481,ანაწერი1, საქმე 1133, ფურცელი 44).**

დადიან შოთას სტიპენდია დაენიშნა 1099 წელს და იღებდა 1913 წლამდე. ,, 1099 წელს აიღო 125 მანეთი, (თვეში 25 მანეთი) 1910 წელს 301 მანეთი, 1911 წელს 300 მანეთი,

1912 წელს 400 მანეთი, ხოლო 1913 წელს 200 მანეთი“ **(სცა.ფონდი 481,ანაწერი1, საქმე 1133, ფურცელი 44–46).**

ებრალიძე გიორგის დაენიშნა სტიპენდია 1909 წელს და იღებდა 1912 წლის ჩათვლით. ,, 1099 წელს 100 მანეთი აიღო, 1910 წელს 120 მანეთი, 1911 წელს 120 მანეთი, 1912 წელს აიღო 50 მანეთი სულ ჯამში აიღო 390 მანეთი'' **(სცა.ფონდი 481,ანაწერი1, საქმე 1133, ფურცელი 47–48).**

კაპანაძე ანნა დაენიშნა 1909 წელს და იღებდა 1913 წლის ჩათვლით ,,1909 წელს აიღო 48 მანეთი, 1910 წელს 156 მანეთი, 1911 წელს 180 მანეთი, 1912 წელს 180 მანეთი, 1913 წელს აიღო 90 მანეთი, ჯამში აიღო 654 მანეთი'' **(სცა.ფონდი 481,ანაწერი1, საქმე 1133, ფურცელი 49–50).**

ნიჟარაძე ტარასი დაენიშნა 1909 წელს და იღებდა 1916 წლამდე. ,,1909 წელს აიღო 125 მანეთი, 1910 წელს 325 მანეთი, 1911 წელს აიღო 300 მანეთი, 1912 წელს აიღო 300 მანეთი, 1913 წელს 300 მანეთი და 1914 წელს 175 მანეთი''**(სცა.ფონდი 481,ანაწერი1, საქმე 1133, ფურცელი 52–53),** (თვეში იღებდა 25 მანეთს). 1915 წელს ნიჟარაძე ტარიელმა როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა ვერ აიღო სტიპენდია, ხოლო 1916 წელს მხოლოდ ერთი თვის აიღო 25 მანეთი.

ჩხენკელ იასონს დაენიშნა 1909 წელს სტიპენდია და იღებდა 1911 წლის ჩათვლით. ,, 1909 წელს აიღო 100 მანეთი, 1910 წელს აიღო 120 მანეთი, ხოლო 1916 წელს აიღო 60 მანეთი, სულ ჯამში აიღო 280 მანეთი''**(სცა.ფონდი 481,ანაწერი1, საქმე 1133, ფურცელი 54).**

ხარაბაძე თამარს დაენიშნა 1909 წელს და იღებდა 1912 წლამდე. ,,1909 წელს აიღო 74 მანეთი, 1910 წელს აიღო 96 მანეთი, 1911 წელს 106 მანეთი, 1912 წელს აიღო 70 მანეთი,სულ ჯამში აიღო 360 მანეთი''**(სცა.ფონდი 481,ანაწერი1, საქმე 1133, ფურცელი 56–57).**

ძნელაძე თამარს 1910 წელს დაენიშნა სტიპენდია და იღებდა 1916 წლამდე თვეში 25 მანეთს. ,,1910 წელს აიღო 100 მანეთი, 1911 წელს აიღო 300 მანეთი, 1912 წელს 350 მანეთი, 1913 წელს 300 მანეთი, 1914 წელს 300 მანეთი, 1915 წელს 300 მანეთი და 1916 წელს 100 მანეთი'' **(სცა.ფონდი 481,ანაწერი1, საქმე 1133, ფურცელი 57–58).**

ხახუტაშვილი ანნას დაენიშნა სტიპენდია 1910 წელს და ირებდა 1915 წლამდე თვეში 25 მანეთს. ,, 1910 წელს აიღო 100 მანეთი, 1911 წელს 300 მანეთი, 1915 წელს 125 მანეთი.''

(სცა.ფონდი 481,ანაწერი1, საქმე 1133, ფურცელი 59–60). როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს ხახუტაშვილ ანნას სტიპენდია არ აუღია 1912 წელს.

გოგებაშვილი იაკობ ალექსანდრეს ძე დაენიშნა ზუბალაშვილების სახელობის სტიპენდია 1911 წელს და იღებდა 1912 წლამდე. ,, 1911 წელს აიღო 100 მანეთი, 1912 წელს 125 მანეთი'' **(სცა.ფონდი 481,ანაწერი1, საქმე 1133, ფურცელი 62).**

ელიოზიშვილ დავითს დაენიშნა ზუბალაშვილების სტიპენდია 1911 წელს და იღებდა 1914 წლამდე თვეში 25 მანეთს, ,,1911 წელს აიღო 100 მანეთი, 1912 წელს 300 მანეთი, 1913 წელს 300 მანეთი, და 1914 წელს აიღო 175 მანეთი.'' (სცა.ფონდი 481,ანაწერი1, საქმე 1133, ფურცელი 64–65).

ლასხიშვილ ნინო გიორგის ასულს დაენიშნა სტიპენდია 1911 წელს და იღებდა 1914 წლამდე, თვეში 25 მანეთს. ,,1911 წელს აიღო 100 მანეთი, 1912 წელს აიღო 300 მანეთი, 1913 წელს 300 მანეთი, ხოლო 1914 წელს 125 მანეთი'' **(სცა.ფონდი 481,ანაწერი1, საქმე 1133, ფურცელი 65–66).**

მჭედლიშვილი დავით ლევანის ძეს ზუბალაშვილების სტიპენდია დაენიშნა 1911 წელს და იღებდა 1913 წლამდე თვეში 25 მანეთს. ,,1911 წელს აიღო 100 მანეთი, 1912 წელს 300 მანეთი, 1913 წელს 250 მანეთი''**(სცა.ფონდი 481,ანაწერი1, საქმე 1133, ფურცელი 67–68).**

ტატიშვილ შალვა გრიგოლის ძეს ზუბალაშვილების სტიპენდია დაენიშნა 1911 წელს და იღებდა 1916 წლამდე თვეში 25 მანეთი. ,, 1911 წელს აიღო 100 მანეთი, 1912 წელს 300 მანეთი, 1913 წელს 300 მანეთი, 1914 წელს აიღო 300 მანეთი, 1915 წელს 300 მანეთი, 1916 წელს 125 მანეთი'' **(სცა.ფონდი 481,ანაწერი1, საქმე 1133, ფურცელი70).**

ფიცხელაურ სიმონს დაენიშნა სტიპენდია 1911 წელს და იღებდა 1916 წლამდე თვეში 25 მანეთი. ,,1911 წელს აიღო 100 მანეთი, 1912 წელს 300 მანეთი, 1913 წელს 300 მანეთი, 1914 წელს 300 მანეთი, 1915 წელს 300 მანეთი და 1916 წელს 150 მანეთი'' **(სცა.ფონდი 481,ანაწერი1, საქმე 1133, ფურცელი70).**

ყიფიან სოლომონს დაენიშნა 1911 წელს და იღებდა სტიპენდიას 1916 წლამდე, თვეში 25 მანეთს. ,,1911 წელს აიღო 100 მანეთი, 1912 წელს აიღო 300 მანეთი, 1913 წელს 300 მანეთი, 1914 წელს 300 მანეთი, 1915 წელს აიღო 300 მანეთი და 1916 წელს 200 მანეთი'' **(სცა.ფონდი 481,ანაწერი1, საქმე 1133, ფურცელი75).**

ჩიტაია გიორგი სპირიდონის ძეს დაენიშნა 1911 წელს ზუბალაშვილების სტიპენდია თვეში 25 მანეთი და იღებდა 1916 წლამდე. ,,1911 წელს აიღო 100 მანეთი, 1912 წელს აიღო 300 მანეთი, 1913 წელს 300 მანეთი, 1914 წელს 300 მანეთი, და 1916 წელს 100 მანეთი'' **(სცა.ფონდი 481,ანაწერი1, საქმე 1133, ფურცელი76–77).**

ჩხეიძე დავითს დაენიშნა 1911 წელს სტიპენდია თვეში 25 მანეთის ოდენობით და იღებდა 1915 წლის ჩათვლით. ,,1911 წელს აიღო 100 მანეთი, 1912 წელს 300 მანეთი, 1913 წელს 300 მანეთი, 1914 წელს 300 მანეთი და 1915 წელს 150 მანეთი''**(სცა.ფონდი 481,ანაწერი1, საქმე 1133, ფურცელი79–80).**

მოსიძე შალვას სტიპენდია დაენიშნა 1913 წელს და იღებდა 1915 წლამდე თვეში 25 მანეთი. ,,1913 წელს აიღო 30 მანეთი, 1914 წელს აიღო 300 მანეთი და 1915 წელს აიღო 300 მანეთი.'' (სცა.ფონდი 481,ანაწერი1, საქმე 1133, ფურცელი82–83).

შენგელაია ლეოს დაენიშნა სტიპენდია 1913 წელს თვეში 25 მანეთი და იღებდა 1915 წლამდე. ,, 1913 წელს აიღო 300მანეთი, 1914 წელს 300 მანეთი, 1915 წელს 350 მანეთი'' **(სცა.ფონდი 481,ანაწერი1, საქმე 1133, ფურცელი82–83).**

გობეჯიშვილ მალაქია გიორგის ძეს, ზუბალაშვილების სტიპენდია დაენიშნა 1914 წელს და იღებდა 1917 წლის ჩათვლით, თვეში 25 მანეთს. ,,1914 წელს აიღო 275 მანეთი, 1915 წელს 300 მანეთი, 1916 წელს 300 მანეთი, 1917 წელს 175 მანეთი'' **(სცა.ფონდი 481,ანაწერი1, საქმე 1133, ფურცელი85–86).**

რაჭველიშვილ ქრისტეფორეს ძმები ზუბალაშვილების სტიპენდია დაენიშნა 1914 წელს და იღებდა 1916 წლის ჩათვლით თვეში 25 მანეთს. ,,1914 წელს აიღო 325 მანეთი, 1915 წელს აიღო 300 მანეთი, 1916 წელს კი აიღო 275 მანეთი'' **(სცა.ფონდი 481,ანაწერი1, საქმე 1133, ფურცელი 88).**

მელაძე დავითს გიორგის ძეს სტიპენდია დაენიშნა 1914 წელს და იღებდა 1916 წლამდე თვეში 50 მანეთს. ,, 1914 წელს აიღო 200 მანეთი, 1915 წელს 450 მანეთი, 1916 წელს 50 მანეთი.'' **(სცა.ფონდი 481,ანაწერი1, საქმე 1133, ფურცელი 88).**

სოლოღაშვილ ალექსანდრეს, ზუბალაშვილების სტიპენდიას იღებდა 1914–1916 წლებში. ,,1914 წელს აიღო მხოლოდ ნოემბრის და დეკემბრის სტიპენდია 100 მანეთი, 1915

წელს აიღო 450 მანეთი, 1916 წელს აიღო მხოლოდ მაისისა და ივნისის სტიპენდია 100 მანეთის ოდენობით'' **(სცა.ფონდი 481,ანაწერი1, საქმე 1133, ფურცელი 92).**

გუნთაიშვილ მურადს, დაენიშნა სტიპენდია 1914 წელს და იღებდა 1918 წლამდე. ,,1914 წელს აიღო 100 მანეთი, 1915 წელს აიღო 285 მანეთი, 1916 წელს 341 მანეთი, 1917 წელს 549 მანეთი, ხოლო 1918 წელს 290 მანეთი'' **(სცა.ფონდი 481,ანაწერი1, საქმე 1133, ფურცელი 94–95).**

კაიკაციშვილ სულეიმანს, ზუბალაშვილების სახელობის სტიპენდია წერა–კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ დაუნიშნა 1914 წელს და იღებდა 1918 წლის ჩათვლით. ,,1914 წელს აიღო 100 მანეთი, 1915 წელს 264 მანეთი, 1916 წელს 341 მანეთი, 1917 წელს 581 მანეთი და 1918 წელს 240 მანეთი'' **(სცა.ფონდი 481,ანაწერი1, საქმე 1133, ფურცელი 94–95).**

როგორც ზემოაღნიშნული დოკუმენტებიდან ირკვევა, ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, ზუბალაშვილების მიერ შეწირული თანხიდან ორმოცდაშვიდ სტუდენტს დაუნიშნა სტიპენდია, რაც დროს მართლაც,რომ დიდი საქმე იყო,ეს ის პერიოდია, როდესაც ქართველი სტუდენტობა განსაკუთრებულ გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და ადვილი შესაძლებელი იყო მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდას უსახსრობის გამო ვერ მიეღო საფუძვლიანი განათლება და საქართველოს დაკარგვოდა, მათი ტალანტი.

თავი IV

გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი-ქველმოქმედი და მეცენატი

გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი განეკუთნება იმ საზოგადო მოღვაწეთა დასს,რომელთა შესახებაც ბიოგრაფიული ცნობები ქართულ ისტორიოგრაფიაში ძალზე მცირეა. ცნობილია, რომ გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი დაიბადა 1830 წლის 10 ნოემბერს თბილისში,მეტად ხელმოკლე ოჯახში. მას უმაღლესი განათლება არ მიუღია, მაგრამ ამას სრულიად არ შეუშლია ხელი იმაში, რომ იგი წარმატებული პიროვნება გამხდარიყო.

გიორგი დავითის ძე ქართველიშვილს საქართველოში ჰქონდა არა ერთი სამრეწველო ობიექი, მაგრამ მის მთავარ შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა ატენის ხეობაში შექმნილი ხე-ტყის გადამამუშავებელი კომპანია, რომელიც ცნობილი იყო ,,ქართველიშვილი ზეზემანის'' სახელით, ამ კომპანიის შესახებ იმდროინდელ პრესაში არა ერთი სტატია დაიბეჭდა, მაგალითად, 1888 წელს გაზეთ ,,ივერიაში'' გამოქვეყნდა ერეკლე რამიშვილის წერილი ,,გ.დ.ქართველიშვილისა და ამხანაგობას ხის სახარში ქარხანა გორის რკინიგზის სადგურიდან აქვს გაყვანილი, ორმოცდაათის ვერსის მანძილზე. საკუთარი რკინიგზის გზა ატენის ხეობაში, სადაც აქვს მრავალი ორთქლის მაშინები, ვაგონები და ამ სიშორეზედ არის რამდენიმე უზარმაზარი სადგურები,სახელოსნო, სატელეფონო და სხვანი, აგრეთვე ქარხნები ორთქლისა სხვა-და-სხვა მასალების სახერხნი და მოსახარშნი. მუშაობენ ყოველ დღე. სადაც მუშაობენ ათასი კაციდან ორიათასამდე. თვიურად აქვთ ჯამაგირი მუშებს თვრამეტი მანეთიდგან სამას მანეთამდე, დღიურ მუშას ოთხი აბაზიდან ერთ მანეთამდის. აქ მუშაობს აგრეთვე მრავალი ხარი,კამეჩი და ცხენი. მუშა ხალხი ყველა რჯულისა, მაგრამ უფრო და უფრო მეტი ჩვენი ქართველობაა. ამ ქარხნის გამართვამდის მე თვითონ ვიცი,რომ იქ ხვნისა, თესვისა და მკის გარდა, დღეში მუშას იშოვიდი ხუთ შაურად, ორ აბაზად, დღეს კი თუნდა შუაგულ ზამთარში, ვერ იშოვი მანეთის ნაკლებად,ან

კი რად დადგება სხვასთან ნაკლებად, როცა ამ ქარხანაში ეძლევა იმდენი და როცა უნდა, ყოველთვის იმუშავებს, ყოველთვის ალაგიც არის, როცა სურს, თავისი შესახვედრის ფულს მიიღებს და სიხარულით დაბრუნდება თავის ცოლ-შვილში. ნუთუ ყოველივე ეს დიდად სასრგებლო საქმედ არ ჩაითვლება?

ამ საქმის გამო, ამ ჩვენს საქართველოში, ყოველწლივ მილიონამდის ფული ტრიალებს. ვსთქვად, რომ ამხანაგობამ თუნდა სარგებლობაც ვერა ნახოს, ამ მუშა ხალხს ჩვენს საქართველოსას და სხვა მრავალს მაინც სარგებლობა აქვს და ექნება ასე დიდად, ვრცლად და საფუძვლიანად დაწყებულის საქმისაგან. მაგრამ ზოგის ენა კი აქაც არ დადგა და მხოლოდ იმიტომ სანსარებს, რომ დაჰკბინოს, დაშხამოს ვინმე, კაცი ვართ, ცოდვა და ცდომა ყველას თავს ტრიალებს, იქნება ხანდახან სტყუიან და უკაცრავად იქცევიან ზოგიერთნი წევრნი ამხანაგობისა, იქნება ათასში ერთხელ უსამართლოდაც იჩაგრება ვინმე და ჯამაგირი დაეჭირება ხოლმე, მაგრამ ყოველივე ეს უსამართლობა კაცის ბუნების ნაკლებულებას მიეწერება და არა ბუნების საქმისას. ამას გარდა დიდი არაფერია, მხოლოდ წვეთია ზღვაში, ამ დიდსა და კეთილს საქმეში და დიდი ცოდვაა, ვიძახოთ ზოგიერთ გორელ მატრაკვეცასავით: ,,არა,ეგ საქმე სულ ტყუილზეა აშენებულიო" არა, ტყუილზე აშენდეს და ამოდენა საქმე! ღმერთო, შენ დაგვიხსენ უარესისაგან: მაგრამ რას ავტეხილვართ ჩვენცა და ვრეკავთ ყურუმსაღებისავით, იმათი საქმე ხომ დარდიმანდობაა, მთელს თავიანთს სიცოცხლეს ასეთი ვაჟბატონები ისე ატარებენ, რომ ზარის რეკაზე ერთხელაც არ დაიწერენ პირჯვარს გულითა და სულით, სასოებით,ადამიანობით'' **(,,ივერია," 1888, №170,3).**

ერეკლე რამიშვილის ამ წერილიდან ჩანს, რომ გიორგი ქართველიშვილის კომპანია იმ პერიოდში ერთ-ერთი წარმატებული იყო და იქ დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეებს ყველანაირი პირობა ჰქონდა სამუშაოდ. გიორგი დავითის ძე ქართველიშვილს რუსეთ-თურქეთის ომის დროს, კავკასიის გზის გავლით, საქართველოში რუსეთიდან შემოქონდა პურის მარცვალი.

1889 წელს ატენის ხეობაში მოხდა სტიქიური უბედურება, რამაც ძალიან დააზარალა გიორგი ქართველიშვილის კომპანია, ფაქტობრივად იგი გაკოტრების პირას მივიდა. სტიქიური უბედურება იმდენად ძლიერი იყო, რომ იმდროინდელი პრესის

არცერთი ნომერი არ დარჩენილა ისე, რომ მომხდარის შესახებ არ დაეწერა, მაგალითად, გაზეთი ,,ივერია'' იუწყებოდა: ,,ზარალი,როგორც ატენის ხეობის მცხოვრებლებისა, ისე ქრთველიშვილი-ზეზემანის კომპანიისა საგრძნობელია. როგორც მოგეხსენებათ, ამ კომპანიამ დიდი ფული ჩააბნია ატენის ხეობაში, შპალების სახერხ-სახარშ ქარხნებისათვის შეისყიდეს რკინის-გზის ლიანდაგებისათვის ადგილები, გაიყვანეს გორიდან ატენის ხეობაში გზა ოცდაათი ვერსის მანძილძე, როგორც გაიმართნენ წელში და საქმე ისე დასდგა,რომ მოგება უნდა მოეცა, სწორედ ამ დროს უმუხთლა ბუნებამ, სოფელ ატენიდან სოფელ იკნევამდე კარგა მანძილძე რკინიგზის ლიანდაგი ისე მოჰგლიჯა, რომ ნაალაგევი ძლივსღა ეტყობა, ხოლო ალაგ-ალაგ კიდევ ემჩნევა, რომ აქ გზა უნდა ყოფილიყო " **(,,ივერია',' №113,2).** მიუხედავად ასეთი დიდი ზარალისა, გიორგი ქართველიშვილს არ შეუწყვეტია თავისი ერისთვის კეთილი საქმის კეთება.

გიორგი ქართველიშვილი იმ პერიოდში მოღვაწე მრეწველების უმრავლესობისაგან გამოირჩეოდა თავისი კეთილსინდისიერებითა და ერისადმი დიდი სიყვარულით. 1901 წლის ივერიაში გამოქვეყნდა ერთი მეტად საინტერესო წერილი, სადაც ვკითხულობთ: ,,ჩვენი დროის ვაჭრობა და აღებ-მიცემობაში ერთგვარი მოძღვრება და კატეხიზმო ბრძანებლობს, აქ გაბატონებულია აღვირ-აწყვეტილი პირადი სარგებლობა, რომელიც არაფერს არ ერიდება, არც სიყალბეს და არც მოტყუებას, არც ორპირობას და არც უნდობლობას. ამისთანა ,,საკომერციო" მოძღვრება და კატეხიზმო გიორგი ქართველიშვილს გულით ეჯავრება, ვაჭრობასა და აღებმიცემობაშიაც იგი ზნეობით ხელმძღვანელობდა, ყველგან და ყველაფერში კაცური კაცი იყო" **(,,ივერია,"1901,№210,3).**

გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი, დიდი მრეწველის, გარდა იყო დიდი ქველმოქმედი და მეცენატი. მის სახელს უკავშირდება არაერთი კეთილი საქმის წამოწყება. სანამ გიორგი ქართველიშვილის მეცენატობაზე და ქველმოქმედებაზე ვისაუბრებდეთ მანამდე აღნიშვნის ღირსია გიორგი ქართველიშვილის დამოკიდებულება იმდროინდელი საზოგადოებისადმი, კერძოდ, იგი განეკუთნებოდა ქართველ მამულიშვილთა იმ კატეკორიას, რომლებიც მხოლოდ ჩვენი ერის ქება-დიდებით არ იყო დაკავებული, არამედ ხშირად ჩვენი ერის სისუსტეებზეც ხმამაღლა საუბრობდა, ამასთან დაკავშირებით ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: ,,ქართველნი თავიანთ მამულებს მარჯვნივ და მარცხნივ ფანტავენ ისე,

რომ თითონაც არ იციან რისთვის, ვისთვის და რათა?! ყოველივე მათ ხელიდან ეცლებათ, მხოლოდ მუცლის თამაშისა და ქეიფის გამო. რამდენი დიდი გვარი ოჯახი დაეცა ცუდის შვილების მეოხებით"**(ჭიჭინაძე,1904:5).** ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს გიორგი ქართველიშვილის დამოკიდებულება იმ სენისადმი, რომელითაც დაავადდა იმდროინდელი საზოგადოების გარკვეულ ნაწილი, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ქართველიშვილი არ თანაუგრძნობდა თავის თანამოძმეებს.

ზაქარია ჭიჭინაძე იხსენებს თუ როგორ გატაცებით საუბარობდა გიორგი ქართველიშვილ: ,, ქართველი ტომის დაწინაურების შესახებ... ამ საუბრის დროს მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, სამწუხარო ამბავი კიდევ მასზედ დიდს ზეგავლენას ახდენდა, მის მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა" **(ჭიჭინაძე, 1904:6).**

გიორგი ქართველიშვილი დიდ დახმარებას უწევდა ქართველ სტუდეტებს, სამწუხაროდ, ჩვენამდე არაა მოღწეული, იმ სტიპენდიანტთა სია, რომლიც გიორგი ქართველიშვილის ხელშეწყობით ეუფლებოდნენ მეცნიერების საფუძვლებს.

ბევრი თანამედროვე საუბრობს ქართველი ახალგაზრდების მიმართ გიორგი ქართველიშვილის დამოკიდებულებაზე, მაგალითად ზაქარია ჭიჭინაძე წერს: ,,ქართველ მოსწავლეებზედ მას ერთობ დიდი ფული აქვს დახარჯული, სადაც კი ხელის მოწერა გაიმართებოდა მოსწავლეთა სასარგებლოდ, იქ გიორგი დავითის ძე პირველ რიცხვშივე მოჰყვებოდა, ვინც კი მივიდოდა მასთან,თუნდ უცხო, თქვენ არ მომიკვდეთ, რომ. იგი მისი სახლის ზარის რეკით არ დაიღლებოდა, ვინც კი ჩამოკრავდა ზარს, მაშინვე მზად იყო მსახური კარის გასაღებად'' **(ჭიჭინაძე ,1904:24).**

გიორგი ქართველიშვილი ხშირად ყიდულობდა სახალხო წიგნებს და ურიგებდა გაჭირვებულ ოჯახისშვილებს,რომლებიც მოკლებულნი იყვნენ ამ ფუფუნებას, გარდა ამისა, იგი ფინანსურ დახმარებას უწევდა ქართულ თეატრს, ამასთან დაკავშირებით ზაქარია ჭიჭინაძე იხსენებს, რომ ,,1878 წელს ქართული თეატრის დაფუძნებას დიდის სიხარულით შეხვდა, მაშინ თეატრის ბილეთებს აქა-იქ სახლებში ვგზავნიდით, ხან მეც კი მიმქონდა, ასევე უგზავნიდით გიორგი დავითის ძეს და უნდა მოგახსენოთ, რომ იგი არცერთხელ თეატრის ბილეთს უკან არ დააბრუნებდა. ეს როგორც სხვა იმ დროის

ქართველებმა იცოდნენ, გიორგი ბილეთის ხვედრი ფულის მაგიერ მეტსაც იხდიდა ხოლმე და წარმოდგენებსაც თავის დღეში არ დააკლდებოდა'' (ჭიჭინაძე, 1904:19).

ზაქარია ჭიჭინაძის ამ მოგონებიდან ნათლად ჩანს გიორგი ქართველიშვილის დამოკიდებულება ქართული კულტურისადმი, მას ძალიან კარგად ესმოდა, რომ იმ პერიოდში, მხოლოდ ქართული კულტურის კერებს შეეძლო აღეზარდა ახალგაზრდობა ეროვნული სულისკვეთებით, რათა მომავალში საქართველოს თავი დაეღწია კოლონიური რუსეთის მარწუხებისაგან.

გიორგი ქართველიშვილი ხშირად ყიდულობდა სხვადასხვა ენაზე გამოცემულ წიგნებს საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ. შემდეგ საქართველოში ჩამოსულ მოგზაურებს თავისთან იწვევდა და წიგნებს ჩუქნიდა. ამით იგი ცდილობდა, უცხოელებისათვის ეჩვენებინა ქართული კულტურა და გაეზიარებინა ჩვენი ტრადიციები.

გიორგი ქართველიშვილის სახელს უკავშირდება გაზეთ ,,დროების" გამოცემის დაფინანსება. ცნობილია,რომ როდესაც სერგეი მესხი დაავადდა და აღარ შეეძლო გაზეთის რედაქტორობა, დადგა გაზეთის დახურვის საშიშროება მართალია, ივანე მაჩაბელს სურდა გაზეთის შეძენა და გამოეცემა, მაგრამ მას საკმარისი თანხა არ გააჩნდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, გაზეთ ,,კვალში'' ვკითხულობთ: ,, როცა სერგეი მესხი დაავადმყოფდა და იძულებული შეიქმნა ლიტერატურული მოღვაწეობისათვის თავი დაენებებინა და გაზეთ ,,დროების'' გამოცემა სხვისთვის გადაეცა, მაშინ ივანე მაჩაბელმა მოიწადინა ,,დროების'' შეძენა, მაგრამ ხელმოკლეობის გამო მაჩაბელს არ შეეძლო გაზეთის შეძენა, ამნაირად გაზეთის გამოცემა უნდა შეჩერებულიყო. მაგრამ ,,დროება'' იხსნა განსაცდელისაგან გიორგი ქართველიშვილმა, რომელმაც გადასცა მაჩაბელს ხუთას-ექვსას თუმნამდე''(,,კვალი,"1901,№40, 852-853).

თბილისში არსებობდა ობოლთა გამგეობა, რომლის მთავარ ფუნქციას ღარიბებისთვის დახმარება, წარმოადგენდა მაგრამ გამგეობის ზოგიერთი წევრი მასზე დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად არ ასრულებდა,ამიტომ გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი იმ პერიოდში, როგორც თბილისში ყველაზე კაცთმოყვარე და ღატაკთა შემწე, აირჩიეს ობოლთა გამგეობის მზრუნველად. გიორგი ქართველიშვილმა გამოასწორა

ის რთული მდგომარეობა, რაც გაბატონებული იყო ობოლთა საზოგადოებაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი ქართველიშვილმა არაერთხელ შეწირა ობოლთა გამგეობას თანხა.

გიორგი ქართველიშვილის დიდ მეცენატობად უნდა ჩაითვალოს საქართველოს ისტორიული ალბომის დაფინანსება, რომელიც შეასრულა ცნობილმა ფოტოგრაფმა ერმაკოვმა. 1888 წელს გაზეთი ,,ივერია'' იუწყებოდა: ,, შარშან ბატონმა გიორგი დავითის ძე ქართველიშვილმა ცნობილ ფოტოგრაფს ერმაკოვს შეუკვეთა საქართველოს ისტორიული ალბომი, ამ ხანებში ეს ალბომი ერმაკოვს უკვე შეუსრულებია, მთელი ალბომი იყოფა ექვს ნაწილად, ანუ ექვს დიდ წიგნად. ალბომში სისტემატურად ჩატანილია სურათები საქართველოს ყველა მონასტრებისა და ეკლესიებისა, იმათის კედლების ჩუქურთმებისა, ეკლესიათა სამკაულისა, ჭურჭლისა და აგრეთვე სურათები არქიელთა და კათოლიკოსთა შესამოსლისა და ყოველგვარ ეკლესიურ იარაღისა. ხელოვნურად გადმოღებულია სხვათა შორის, გელათის სახარების ზოგი მინიატურები და მრავალი ძველი წარწერები" **(,,ივერია," 1888,№189,1-2).**

გიორგი ქართველიშვილის მიერ გაკეთებული ზემოაღნიშნული საქმე უდაოდ დიდ მეცენატობად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ქართველიშვილის მიერ ერმაკოვის ხელით გამოცემულ ალბომს უდიდესი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა,როგორც საქართველოს ისტორიისათვის, ასევე ქართული ხელოვნების ისტორიისათვის. საქართველოს ისტორიული ალბომი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს დღეს იმ ისტორიული თუ კულტურული ძეგლების შესახებ, რომლებიც სამწუხაროდ აღარ არსებობს, ამიტომ აქედან გამომდინარე გიორგი დავითის ძის ამგვარი საქციელი, მართლაც რომ ფასდაუდებელია.

გიორგი ქართველიშვილის სახელს უკავშირდება 1845 წელს ვახუშტი ბატონიშვილის ,,ქართლის ცხოვრების" გამოცემა, რომლის დასაბეჭდად გამზადება დაავალა დიმიტრი ბაქრაძეს, ხოლო რუკა შეადგინა და დაურთო, ცნობილმა ქართველმა ფოტოგრაფმა ბ.წილოსანმა. (გიორგი ქართველიშვილის სიძე) გიორგი ქართველიშვილს სურდა ვახუშტი ბატონიშვილის ,,ქართლის ცხოვრების" მეორე ტომიც გამოეცა, მაგრამ ვერ შეძლო, რადგანაც მისი ეკონომიკური მდგომარეობა აღნიშნულ პერიოდში საგრძნობლად შეირყა.

გიორგი ქართველიშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრობის სწავლა-განათლება. იგი ხშირად აღნიშნავდა, რომ თუ გვინდა განვითარდეს ქვეყანა როგორც კულტურული, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით, საჭიროა დავაფინასოთ მომავალი თაობის განათლება. ამისათვის, გიორგი ქართველიშვილის აზრით, საჭიროა დავამკვიდროთ თანამედროვე ტექნოლოგიები. იგი ხშირად აღნიშნავდა ,,წავიდა ის დრო, როცა ქართველის კაცის აღებ-მიცემა ორის ძველის დავთრით წარმოებდა. ეხლა აღარც ის დრო არის და აღარც ის ანგარიშები გამოდგება, ამის სამკურნალოდ არამცთუ მარტოდ წიგნებია ქართულს ენაზედ საჭირო, არამედ თვით კომერციული სკოლაც, რომ აქ მოზარდ თაობამ იაროს და აღებ-მიცემის ვითარება შეიტყონ. ასეთ წიგნთა თარგმნის საჭიროებას დიდი მნიშვნელობა უნდა დაეთმოს თვით ჩვენგანაც, რადგანაც ქართულის ენაზედ ასეთის წიგნების სრულიად არაფერი არსებობს, ნუთუ ამის დრო არ მოვიდა, მოსვლით კი მოვიდა, მაგრამ პატრონი არ არის, რომ ამ საჭირო მხარეს ყურადღება მიაქციონ და პატრონობა გაუწიონ" **(ჭიჭინაძე, 1904:39).**

გიორგი ქართველიშვილს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან,'' უფრო მეტიც 1882 წლის 17 ივნისს გაიმართა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომა, სადაც უნდა აერჩიათ თავმჯდომარის ამხანაგი,(მოადგილე), ხაზინადარი, სეკრეტარი და საქმის-მწარმოებელი, როგორც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ოქმებიდან ჩანს სხდომას ესწრებოდნენ იაკობ გოგებაშვილი, გიორგი ქართველიშვილი, სერგეი მესხი და ივანე მაჩაბელი, სხდომამ მიიღო შემდეგი სახის გადაწყვეტილება: ,, თავმჯდომარის ამხანაგად არჩეულ იქნა თ.ი.გ.ჭავჭავაძე, ხაზინადარად ბ.გ.დ ქართველიშვილი, სეკრეტარად ა.ი.სარაჯიშვილი, საქმის მწარმოებლად გ.თ.ყიფშიძე" **(სცა ფონდი 481,ანაწერი 1, საქმე №45, ფურცელი 65).**

გიორგი ქართველიშვილის კავშირი ,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან'' ამით არ შემოიფარგლებოდა, მან აღნიშნულ საზოგადოებას კანცელარიის მოსაწყობად შესწირა ასი მანეთი. გარდა ამისა ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ'' გიორგი ქართველიშვილისაგან მიიღო შეწირულობა სტამბის შესაძენად. ბუნებრივია, იბადება კითხვა, იმასთან დაკავშირებით,

რომ იმ პერიოდში თბილისში არა ერთი სტამბა არსებობდა და რა საჭირო იყო ,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას'' საკუთარი სტამბა ჰქონოდა? საქმე იმაში მდგომარეობს, რომ სტამბების უმრავლესობა წიგნების გამოსაცემად უზარმაზარ თანხებს თხოულობდა, ან ხშირ შემთხვევაში დამკვეთს ატყუებდა, რაც იყო მიზეზი იმისა, რომ მრავალი კარგი წიგნი დღის სინათლეს ვერ ეღირსა, სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა,რომ გიორგი ქართველიშვილი იყო ინიციატორი ,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას'' ჰქონოდა საკუთარი სტამბა, რისთვისაც მან საზოგადოებას შეწირა მის მიერ გამოცემული ვახუშტი ბატონიშვილის ,,ქართლის ცხოვრება'' და შოთა რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსანი.''

გიორგი დავითის ძე ქართველიშვილმა აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ წერილობით აცნობა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას'' სადაც ვკითხულობთ: ,,1884 წელს როდესაც განვიზრახეთ გამოცემა სურათებიანი ,, ვეფხვის ტყაოსნისა'' რომლისთვისაც იყო შემდგარი კომისია, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, რომ ისრე იმ სახით როგორიც ეხლა არის გამოცემული გავრცელდეს ქართულ საზოგადოებაში. მაშინ მე სახეში მქონდა და ნათქვამიც იყო ჩემგანვე,რომ რაც გაყიდულიყო მე ჩემი დახარჯული ფული უნდა ამომეღო. დანარჩენი რაც დარჩებოდა ესე იგი ექვსი ათასი უნდა მოხმარებოდა საზოგადოებას, რომ იმ ფულით გამართულიყო სტამბა, რადგანაც ვერ გამართლდა ჩვენი სურვილი იმ მიზეზით, რომ ვერ გაიყიდა ამისთვის მივმართავ საზოგადოების მართველობას მიიღოს ჩემგან როგორც ,,ვეფხვისტყაოსანი'' ისრეთ ისტორია ვახუშტისა გამოცემული ჩემგანვე ზემოხსენებული წერილი პირობით, რომ უფლებას ვაძლევ საზოგადოებას, გაჰყიდოს ეს ხსენებული გამოცემანი რა ფასადაც თითონ დაინახოს სასარგებლოთ, აღებული შემოსავალიდან ნახევარი მე მომცეს და ნახევარი დარჩეს სასარგებლოდ საზოგადოებისა და ის ფული, რომელიც დარჩება სასარგებლოთ საზოგადოებას გამართოს სტამბა, რადგანაც პირველშივე ჩვენი განძრახვა ეს იყო, უკეთუ საზოგადოებამ დაინახოს სხვა უმჯობესი რამ საგნისათვის მოხმარება, მაშინაც წინააღმდეგი არ ვიქნები'' **(სცა ფონდი 481,ანაწერი 1, საქმე №454, ფურცელი 2).**

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში გაიმართა სხდომა გიორგი ქართველიშვილის შეწირულობის შესახებ ,,წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა თავის მოვალეობად სთვლის მოახსენოს საზოგადოების საერთო კრებას შემდეგი სასიამოვნო ამბავი: ამ რამდენიმე დღის წინად ბატონმა გიორგი დავითის ძე ქართველიშვილმა შეატყობინა გამგეობას წერილობით, რომ მას სურს გადასცეს წერა-კითხვის საზოგადოებას თავის მიერ გამოცემული სურათებიანი ,,ვეფხისტყაოსანი'' (800 ცალამდე) და ვახუშტის ,,საქართველოს ისტორია'' (1000 ცალამდე) იმ პირობით, რომ ამ წიგნების გაყიდვიდან შემოსული ფულის ნახევარი მიეცეს მას, ხოლო ნახევარი დარჩეს საზოგადოების სასარგებლოდ. გამგეობამ მადლობით მიიღო ასეთი შესანიშნავი შემოწირულობა და დაადგინა, რომ საზოგადოებას მოხსენებოდა'' **(სცა ფონდი 481,ანაწერი 1, საქმე №426, ფურცელი 18).**

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ სამადლობელი წერილი მიწერა გიორგი ქართველიშვილს, სადაც აღნიშნულია, რომ ,,წერა –კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ, მიიღო რა თქვენი წერილი, თქვენს მიერ გამოცემულს ,, ვფხვისტყაოსნისა'' და ვახუშტის ,,საქართველოს ისტორიის'' გადმოცემის შესახებ, იმ პირობით, რომ გაყიდულთაგან შემოსავლის ნახევარი თქვენ მოგცეთ და ნახევარი დარჩეს საზოგადოებას სასარგებლოდ. საზოგადოებამ 14 თებერვალს ამა წლის (1895 წელი) დაადგინა ბ.გ.დ. ქართველიშვილის შემოწირულობა მიღებულ იქნას იმ პირობით,რა პირობაც მოხსენებულია ამ წერილში.(იგულისხმება გიორგი ქართველიშვილის წერილი გაგზავნილი,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისადმი)'' **(სცა ფონდი 481,ანაწერი 1, საქმე № 454, ფურცელი 2).**

1887 წელს გიორგი ქართველიშვილმა თხოვნით მიმართა ,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას,'' რომ იგი დაკავებული თანამდებობიდან გაეთავისუფლებინათ. ამასთან დაკავშირებით 1887 წლის 7 თებერვალს გამოსულ გაზეთ ,,ივერიაში'' ვკითხულობთ: ,,ბ.ნ.ი.გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი ხუთი წლის განმავლობაში ასრულებდა ერთგულად და უსასყიდლოთ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხაზინადარობის თანამდებობას, ხოლო ახლა

გამგეობამ მისი სურვილისამებრ, გაანთავისუფლა იგი ამ თანამდებობისაგან. გამგეობა აღნიშნულის საზოგადოებისა დიდს მადლობას უცხადებს ბ.ნ. გიორგი ქართველიშვილს ხანგრძლივის მისის მოღვაწეობისათვის საზოგადოების სასარგებლოდ'' **(,,ივერია,"1887,№28,2).**

XIX საუკუნის ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შორის მუსირებდა აზრი იმის შესახებ, რომ მათ როგორმე მოეხერხებინათ შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილების ,,ვეფხისტყაოსნის'' ილუსტრილებული ფორმით დაბეჭვდა, გარდა იმისა, რომ იმდროინდელ საზოგადო მოღვაწეებს უნდა მოეძიათ სპონსორი, რომელიც დააფინანსებდა ,,ვეფხისტყაოსნის' გამოცემას, საჭირო იყო მოეძიათ ,,ვეფხისტყაოსნის'' უძველესი გამოცემები, რომლებიც გაბნეული იყო ქართველ თავად-აზნაურთა ოჯახებში.

1888 წლის 30 ნოემბერს საქართველოს ყველა კუთხეში-ცნობილ ოჯახებს დაეგზავნათ გრიგოლ ორბელიანის ხელმოწერით სპეციალური მიმართვა, სადაც აღნიშნული იყო, რომ თუ ვინმეს გააჩნდა ,,ვეფხისტყაოსანის'' უძველესი გამოცემები დროებით მიეწოდებინათ რედაქციისათვის, რომელებიც ტექსტის დადგენის შემდეგ კვლავ მფლობელებს დაუბრუნდებოდათ.

გრიგოლ ორბელიანის ზემოაღნიშნულმა იდეამ თავისი შედეგი გამოიღო და რედაქციას გადაეცა 22 ხელნაწერი. ამ ხელნაწერებიდან აირჩა ყველაზე ძველი ხელნაწერები. ნ.კორინთელის (1646 წლის) და ბეჟან წერეთლის (1671 წლის) ხელნაწერები დასახელდა. გამომცემელთ ხელთ ჰქონდათ აგრეთვე ყველა ადრეული გამოცემა ისეთები როგორებიც იყო: ვახტანგისეული (1712 წლის), ბროსე-ჩუბინიშვილ-ფალავანდიშვილისა (1841 წლის), ჩუბინიშვილის (1860 წლის) და სხვ

გრიგოლ ორბელიანი გამოვიდა ინიციატივით,რომ რედაქციისადმი გადაცემულ ,,ვეფხისტყაოსნის'' ხელნაწერებიდან ყურადღება შეეჩერებინათ ვახტანგისეულ გამოცემაზე, რადგან მისი აზრით, ვახტანგი მეფე იყო და მის ხელთ მოექცეოდა ,, ვეფხისტყაოსნის'' გამოცემის საუკეთესო ვერსია. მაგრამ ტექსტის შერჩევასთან დაკავშირებით არსებობდა სხვადასხვა მოსაზრება. მაგალითად, ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა, რომ ყველა ხელნაწერი ხმამაღლა უნდა წაეკითხათ და შეერჩიათ ხმათა უმრავლესობით.

1881 წლის 6 თებერვალს გაიმართა პირველი ოფიციალური სხდომა გრიგოლ ორბელიანის თავმჯდომარეობით, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, რომ ტექსტი გამოსაცემად უნდა მოემზადებინა ილია ჭავჭავაძეს, რაფიელ ერისთავს, ივანე მეუნარგიასა და ივანე მაჩაბელს. სარედაქციო კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს ილია ჭავჭავაძე.

,, ვეფხვისტყაოსნის'' ტექსტის შერჩევასა და გამოცემაში აქტიურად ჩაბმულნი იყვნენ აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, სერგეი მესხი, ალექსანდრე სარაჯიშვილი, დიმიტრი ერისთავი, ვანო მაჩაბელი და სხვ. ზემო აღნიშნული პირებიდან განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ვანო მაჩაბელი, რომლის სახელსაც უკავშირდება ,, ვეფხისტყაოსნის''გამოსაცემად დამფინანსებლის მოძიება, ამასთან დაკავშირებით ილია ჭყონია იგონებს: ,, ერთ დღეს დროების რედაქციაში ივანე მაჩაბელს ეწვია ცნობილი ქართველი მეცენატი გიორგი ქართველიშვილი და უთხრა: ვანო, ერთი მილიონი დამიგროვდა, საქმე ვერ მომიძებნია, აბა, ერთი მწერალს და ბანკირს თუ გაქვს ნიჭი მოსაგები რამ მირჩიო.

___ სწორედ დღეს მოვიდა კორესპონდენცია ქართლიდან პურის მოსავალი კარგია, მაგრამ მყიდველი არ ჩანსო, იყიდე მაგ ფულით და მოუგებლობა ხომ არ იქნებაო'' **(,,მწიგნობარი,''2004,117)**. მართლაც გიორგი ქართველიშვილმა შეიძინა პურის მარცვალი საიდანაც საკმაოდ კარგი მოგება ნახა, და 1000 მანეთი გადადო ,,ვეფხისტყაოსნის'' გამოსაცემად.

ვანო მაჩაბლისა და გიორგი ქართველიშვილის საუბრის შესახებ ,,მნათობი'' იუწყებოდა, რომ ,,1000 მანეთი გადამიდვია შენს განკარგულებაში, რა საქმესაც მეტყვი, იმას დავახარჯებ. მაჩაბელმა უთხრა ,,ვეფხისტყაოსნის'' მდიდრული გამოცემა, ისიც დათანხმდა და საქმე გაიჩარხა''**(,,მნათობი,'' 1928, №7,224).**

როგორც აღვნიშნეთ,,ვეფხისტყაოსნის'' გამოსაცემად შეიქმნა კომისია, რომელსაც ტექსტზე მუშაობა ევალებოდა, აღნიშნულ კომისიასთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა გიორგი ქართველიშვილს. 1884 წლის №210 გამოცემა გაზეთ ,,დროებისა'' იუწყებოდა: ,,გუშინწინ საღამოს სურათებიანი ,,ვეფხისტყაოსნის'' გამომცემლის ბ.ნ.გ. ქართველიშვილის წინადადებით შემდგარმა კომისიამ რომელმაც უნდა განაგოს როგორც ამ წიგნის დაბეჭვდისა და ზიჩის მიერ სურათების დახატვის საქმე, ისე თვით ამ ორი წლის

წინათ გასწორებულის ,,ვეფხვისტყაოსნის'' ტექსტის აღდგენაც, როგორც ვიცით ,,ვეფხისტყაოსნის'' გამასწორებელმა კომისიამ შეასრულა მხოლოდ ერთი ნაწილი თავის შრომისა, ნაწილი მცირე და მარტივი ახლა ახალს კომისიას ვალად ედება უფრო ძნელი რთული და დიდად საგონებელი საქმე. რაც პირველმა კომისიამ ვარიანტები აღმოაჩინა, ახლა ახალმა უნდა განიხილოს, უნდა არჩევანში შევიდეს და გამოარჩიოს ის ფრაზა, ის სიტყვა, ის განმარტება, რომელიც იმის აზრით, უფრო ეკუთვნის რუსთველის კალამს. საქმე როგორც ხედავთ, დიდად და დიდად მძიმეა.

ამას გარდა, კომისიის ვალია გადათარგმნოს ფრანგულ ენაზე ბ.ზიჩისთვის ის ადგილები ,,ვეფხისტყაოსნისა,'' რომელებიც შეიცავენ აღწერას ზიჩის მიერ დასახატ სურათებისას.

თუ მივიღებთ კიდევ მხედველობაში, რომ კომისიისსავე ვალია ყოველივე მიწერ-მოწერა აწარმოოს ამ საქმის შესახებ შეუკვეთოს და გამოიწეროს ახალი შრიფტი, სათაური ასოები, ცალკე მოსართობი ნახატები, ვინეიცკები და საორნამენტო კუთვნილებანი როგორც დაბეჭვდა თვით ზიჩის სურათებისა ან პეტერბურგის და რომელსამე საზღვარ-გარეთის ლიტოგრაფიაში, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ კომისიას არა მცირე შრომა და ჯაფა მოელის ,,ვეფხვის ტყაოსნის' დაბეჭვდის დროს'' **(,,დროება,'' 1884, №210, 2).**

1888 წელს გაზეთ ,,ივერიაში'' გამოქვეყნდა წერილი ,,ვეფხისტყაოსნის'' გამოცემასთან დაკავშირებით კიდევ ერთი საინტერესო წერილი: ,, თუმცა განცხადებისამებრ სურათებიანი ,,ვეფხისტყაოსანი'' ამ წლის იანვრის პირველამდე უნდა გამოსულიყო, მაგრამ ამ ძნელს და ძვირფასს გამოცემას ბევრი დაბრკოლება დახვდა და ამის გამო პირობა ვადის შესახებ ვერ შევასრულეთ ერთი დაბრკოლება აუცილებელია თვით დიდ ქალაქშიაც და ადვილად წარმოსადგენია თბილისისთანა ქალაქში სადაც ჯერ ძვირფასი გამოცემა არ დაბეჭდილა. ჩვენ მივიღეთ ყოველივე ღონისძიება ამ დაბრკოლებათა ასაცილებლად და სრული იმედი გვაქვს, რომ წიგნი უეჭველად აპრილის დამდეგს გამოვა და გამოსვლისთანავე გაზეთში იქნება გამოცხადებული. ვისაც ხელი აქვს მოწერილი, მაშინ უნდა მოჰმართონ გამომცემელს წიგნის მისაღებად'' **(,,ივერია,''1888,№23,1).**

როგორც ამ წერილიდან ირკვევა გიორგი ქართველიშვილის მიერ დაფინანსებული ,,ვეფხისტყაოსნის'' გამოცემა გარკვეული მიზეზების გამო გაჭიანურებულა,მართალია, წერილში არაა დასახელებული ის მიზეზი, რამაც შეაფერხა პოემის გამოცემა, მაგრამ თუ წერილის შინაარსს დაუკვირდებით შესაძლებელია მივხვდეთ მიზეზს.

საფიქრებელია, რომ ,,ვეფხვისტყაოსნის'' გამოცემა არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ფინანსურ საკითხებთან, რადგანაც გიორგი ქართველიშვილს აღნიშნულ პერიოდში ეკონომიური მდგომარეობა საკმაოდ წარმატებული ჰქონდა ამიტომ უნდა მივიჩნიოთ, რომ პოემის გამოცემას აფერხებდა სათანადო სტამბის არარსებობა საქართველოში, ილუსტრირებული წიგნების დაბეჭვდის ტრადიციაც იმ პერიოდში არცთუ ისე იყო განვითარებული.

მიუხედავად დაბრკოლებებისა 1888 წელს პირველად საქართველოს ისტორიაში დაიბეჭდა ილუსტრირებული ,,ვეფხისტყაოსანი,'' რომლის გამომცემლად მოგვევლინა გიორგი ქართველიშვილი. სამართლიანად აღნიშნავდნენ გერმანელი მწერლები ბრეტა და არტურ ზუტენბერები, როდესაც გიორგი ქართველიშვილზე წერდნენ: ,,ძნელად მოსაფიქრებელია, ქართველმა კომერსანტმა ახალმა მეცენატმა 1000 თუმნამდე გადაიხადოს ლიტერატურულ ნაწარმოებთა დასაბეჭდად, ამგვარი ფაქტი ერთადერთია კავკასიის ლიტერატურის ისტორიაში და ამიტომ ღირს ამაზე ლაპარაკი'' **(,,მწიგნობარი,'' 2004,№121, 118).**

1887 წელს საქართველოში ჩამოვიდა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე-III, თავის მეუღლესთან ერთად, გიორგი ქართველიშვილმა ,,ვეფხისტყაოსნის'' შინაარსი თავის ხარჯით ათარგმნინა რუსულად, რომელიც შემდეგ ცალკე წიგნად დაიბეჭდა და რუსეთის იმპერატორ ალექსანდრეს მეუღლეს მიართვა, იმპერატრიცასაგან გიორგი ქართველიშვილმა სამადლობელი წერილი და ბეჭედი მიიღო. ამ ფაქტს გამოეხმაურა 1888 წლის №207 გამოცემა გაზეთი ,,ივერიისა,'' ,,პარასკევს, 30 სექტემბერს, ბ.ნ.თ.გ.დ. ქართველიშვილმა და ი.მ. მეუნარგიამ მიართვეს მის უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატრიცას, მისგან გამოცემული სურათებიანი ,,ვეფხისტყაოსანი'' ხავერდის ყდით, რომელზედაც ოქროს ასოებით იყო წაწერილი ქართული ასოებით მ.დ.თ. და მეორე მისგან შედგენილი რუსულ ენაზე წიგნაკი, რომელშიაც მოკლედ გამოთქმული იყო რუსთველის

პოემის შინაარსი. ბ.ნ.გ.ქართველიშვილი და ი.მეუნარგია ღირსნი გახდნენ მისი უდიდებულესობის მადლობისა'' (,,ივერია,'' 1888,№207,1), ხოლო იმავე წლის ივერიის №209 ნომერში დაიბეჭდა კიდევ ერთი წერილი, სადაც გაზეთი იუწყებოდა,რომ ,,ბ.ნ.გ.დ.ქართველიშვილსა და ივანე მეუნარგიას რომლებმაც მის უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატრიცას მიართვეს ძვირფასი სურათებიანი ,,ვეფხისტყაოსანი'' და რუსულად გადაღებული ,,ვეფხისტყაოსანი'' უმაღლესად ებოძათ ბეჭდები,იაგუნდით და ბრილიანტებით შემკული'' (,,ივერია,'' 1888, №209, 2).

გიორგი დავითის ძე ქართველიშვილმა ილუსტრირებული ,,ვეფხისტყაოსანი'' თბილისის სათავადაზნაურო სკოლასაც გადასცა. თბილისის სათავადაზნაურო სკოლის დირექტორმა ალექსანდრე ჭიჭინაძემ სამადლობელი წერილი გამოაქვეყნა გაზეთ ,,ივერიაში'',, ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით, მადლობა გადავუხადო ბატონს გიორგი ქართველიშვილს, რომელმაც შემოსწირა რწმუნებულსა ჩემდამი თბილისის სათავად-აზნაურო სკოლას გამოცემული მის მიერ სურათებიანი ,,ვეფხისტყაოსანი'' (,,ივერია,''№115,2).

გიორგი ქართველიშვილის მიერ გამოცემული ,,ვეფხისტყაოსანი'' იმდენად ღირებული იყო, რომ ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ'' საჩუქრად გაუგზავნა ქალაქ მაინცის გუბერნატორს, ხოლო ამ უკანასკნელმა ,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას'' სამადლობელი წერილი მოწერა, რომელიც 1900 წელს დაიბეჭდა ,,კვალში'' ,, წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გაგზავნა ქალაქ მაინცში გუტენბერგის იუბილესთვის ბ.ქართველიშვილის მიერ გამოცემული ,,ვეფხისტყაოსანი'' ამ დღეებში მაინცის ქალაქის თავისაგან საზოგადოებას მოუვიდა მადლობის წერილი, რომელშიდაც ქალაქის თავი ატყობინებდა, რომ რუსთველის პოემა შეინახება გუტენბერგის სახსოვრად დაარსებულ ქალაქის მუზეუმში'' (,,კვალი,''1900,№7, 104).

გიორგი ქართველიშვილის მეცენატობას და ქველმოქმედებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ემსახურებოდა ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას სწორედ გიორგი ქართველიშვილისნაირმა საზოგადო მოღვაწეებმა შეძლეს ის, რომ უმთავრესი ეროვნული ღირებულებები გადაერჩინათ რუსული კოლონიური რეჟიმის არსებობის

პირობებში, დარწმუნებული ვართ,რომ გიორგი ქართველიშვილი კიდევ ბევრი მამულიშვილური საქმის ორგანიზატორი იქნებოდა, რომ არა მისი უეცარი გარდაცვალება.

1901 წელს ქართულმა საზოგადოებამ უკანასკნელ გზაზე გააცილა სასიქადულო მამულიშვილი გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი. მისი გარდაცვალება იქცა ტრაგედიად იმდროინდელი საზოგადოებისათვის, მის დაკრძალვას ესწრებოდნემ არა მარტო ქართველი საზოგადო მოღვაწენი, არამედ უბრალო მოქალაქენიც და გულისტკივილით, სიამაყით იხსენებდნენ გიორგი ქართველიშვილის ღვაწლს ქართველი ერის წინაშე.

განსვენებულს პანაშვიდი გადაუხადა გორის ეპისკოპოსმა კირიონმა, გალობდნენ კარგარეთელისა და კავსაძის გუნდები, პანაშვიდის გადახდის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა პოეტმა გრიგოლ აბაშიძემ: ,,ყოველი სული ქვეყნად მოვლენილი უნდა ასრულებდეს ციურ სამ ცნებას: ღვთისა და ეკლესიის სამსახურს, სწირავდეს ტაძარს სანთელსა და საკმეველს, ცოლშვილის ხელის შემწე იყოს, გზა ჭეშმარიტებისა და შრომა-მოღვაწეობა აღუნიშნოს და განათლებით უხელმძღვანელოს თავის საყვარელ სამშობლოს, თავის მემამულეთ. შემწეობა აღმოუჩინოს შეძლებისდაგვარად და მისი სიყვარული, სასოება საგალობელ საგნად აღსთქვას, ეს სამივე ცნება შენმა ჭკვიანმა და მგრძნობიარე სასოებით აღვსილმა გულმა პატიოსნად აღასრულა, ამისათვის ძვირფასო ყველასათვის გიორგი, არ ჩაირიცხები განსვენებულთა რიცხვში, რადგანაც შენი ხსენება, სიყვარული და მოღვაწეობა სამუდამოდ ერის გულში ექნება აღჭურვილი, ცად აღვლენილი შენი სახელობისა ვედრება ტკბილად მომღერალ სიმებათ გარდაიქცევა, გიგალობებს შენ და ეგ ვარდები რომელიც საკაცეს გიმკობენ არ დაჭკნებიან არამედ ყოველთვის გულს შეგიმკობენ ნეტარს ცხოვრებაში და იქიდანაც შეიძლება მოუვლინო ღაღადი შენს სახლობასა და ქრისტეს ვედრება, სახლობის მფარველობა მამულისა და ერის სიყვარული ასწავლო'' **(,,ივერია,'' 1901,№213,2).**

გიორგი ქართველიშვილის დაკრძალვას ესწრებოდა ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების'' თითქმის ყველა წევრი, დრამატული საზოგადოების წევრები, ქალაქის მოურავის მოადგილე შესტაკოვი, ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლები, თბილისის სათავადაზნაურო სკოლის მასწავლებლები.

გიორგი ქართველიშვილის დაკრძალვაზე სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე მღვდელმა კალისტრატე ცინცაძემ (შემდგომში საქართველოს კათალიკოს პატრიარქი) ,, ვინ არ იცის მაგალითად, თუ რამდენად სასარგებლო ადამიანი იყო აწ განსვენებული გიორგი! ღვთისა და ეკლესიის მოყვარე, მამულისა და სამშობლოს ერთგული, ოჯახისა და ცოლშვილისათვის თავდადებული, განათლებისა და მწიგნობრობის მოტრფიალე მღვდელთა და მონაზონთა პატივისმცემელნი, ქვრივთა და ობოლთა განმკითხველი, პატიოსნებით აღვსილი, დაუღალავი მუშაკი და საუკეთესო წარმომადგენელი ძველი ქართველი, დარბაისელი მამაკაცისა, ვის გულს არ მოხვდა ამბავი ამის სიკვდილისა, ვის არ ეუცხოვა სიკვდილი ამისა'' (**,,მწყემსი,'' 1901, №20,14).**

გიორგი ქართველიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ჟურნალმა ,,კვალმა'' გამოაქვეყნა საკმაოდ ვრცელი სტატია, სადაც აღნიშნულია, ,, 26 სექტემბერს, თბილისში გარდაიცვალა ჩვენში საკმარისად ცნობილი გიორგი ქართველიშვილი. განსვენებულს სკოლაში განათლება არ მიუღია, მაგრამ თავისი შრომით და მტკიცე ენერგიით მან დიდი პატივისცემა დაიმსახურა ადგილობრივ საზოგადოებაში კერძოდ: ცხოვრებაში გიორგი ქართველიშვილი ცნობილი იყო, როგორც სინდისიერი და განათლებული კომერსანტი, მაგრამ არა ამ მხრით არის საყურადღებო განსვენებულის ცხოვრება ქართველი საზოგადოებისათვის. გ.დ.ქართველიშვილს უყვარდა ქართული ლიტერატურა და მისი აღორძინება წარმატებისათვის ზრუნვა, ყველა იცნობს განსვენებულის მიერ გამოცემულ სურათებიან ,,ვეფხვისტყაოსანს,'' რომელიც მას 200 მანეთი დაუჯდა. ეს კიდევ არაფერი, გიორგი ქართველიშვილს მიუძღვის უფრო დიდი ამაგი ქართული ლიტერატურისადმი. როცა სერგეი მესხი დაავადმყოფდა და იძულებული შეიქმნა ლიტერატურული მოღვაწეობისათვის თავი დაენებებია და გაზეთის ,,დროების'' გამოცემა სხვისთვის გადაეცა, მაშინ ივანე მაჩაბელმა მოიწადინა ,,დროების'' შექმნა, მაგრამ ხელმოკლეობის გამო მაჩაბელს არ შეეძლო გაზეთის შექმნა. ამნაირად გაზეთის გამოცემა უნდა შეჩერებულიყო, მაგრამ ,,დროება'' იხსნა განსაცდელიდან გიორგი ქართველიშვილმა. განსვენებულმა გადასცა 500-600 თუმნამდე, როგორც მოგვითხრობს ბ.ურბნელი და თვითონაც გამომცემლობა იკისრა. გარდა ამისა განსვენებული სხვა კეთილ და სასარგებლო

საქმეებშიაც ყველას დახმარებას უჩენდა, რისთვისაც მას პატივისცემით მოიხსენებენ'' **(„კვალი'', 1901,№4,853).**

აი, ასეთი შესანიშნავი მამულიშვილი 1901 წლის 30 სექტემბერს მის მიერვე აღდგენილ დიდუბის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის ეზოში, მიაბარეს მშობლიურ მიწას.

თავი V

იმერეთის ეპისკოპოსი წმინდა გაბრიელ ქიქოძე

§1.იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელის ბავშვობა, სწავლა და სამღვდელმთავრო მოღვაწეობა

იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, ერისკაცობაში გერასიმე დაიბადა 1825 წელს სოფელ ბახვში. გაბრიელის მამა იყო გურიის მთავრის მამია გურიელის კარის მოძღვარი, ის ოჯახი სადაც გერასიმე ქიქოძე (გაბრიელი) დაიბადა, მეტად ხელმოკლედ ცხოვრობდა, მელიტონ კელენჯერიძე შემდეგნაირად აღწერს იმ სახლს, სადაც ბავშვობაში იზრდებოდა გაბრიელ ეპისკოპოსი: ,,დაახლოებით წარმოიდგინეთ იმერული, გინდა გურული ღარიბი გლეხის სადა, ფიცრული, ერთოთახიანი დაბალი სახლი, უფანჯრო, უიატაკო, უჭერო, წინა და უკანა კარით, დერეფნით და ისლით დახურული'' **(კელენჯერიძე, 2006:19).**

გაბრიელ ეპისკოპოსს დედა ადრე გარდაეცვალა, იგი გაზარდა მამამ მაქსიმე ქიქოძემ რომელსაც ბევრი შვილები ჰყავდა, გაბრიელი თვისი მშობლების უმცროსი შვილი იყო, მას ჰყავდა ტყუპისცალი, რომელიც ნაადრევად გარდაიცვალა.

გაბრიელ ეპისკოპოსს მეტად მძიმე ბავშვობა ჰქონდა, იგი დედმამიშვილებთან და მამასთან ერთად იმისთვის, რომ მშივრები არ დახოცილიყვნენ ძალიან ხშირად ფიზიკურად მუშაობდა. დეკანოზი მელიტონ კელენჯერიძე იხსენებს გაბრიელ ეპისკოპოსის ნათქვამს თუ როგორ შრომობდა იგი ფიზიკურად: ,,მამა ძალიან მოხუცებული იყო, მაგრამ ჯერ კიდევ მხნედ იყო, რაკი მნახა ჯამრთელად ვიყავი, ძველებურად დამაწყებინა მუშაობა ყანაში და ბოსტანში, ხან მათოხნინებდა, ხან მამარგლინებდა, ხან რას მაკეთებინებდა და ხან რას''**(კელენჯერიძე ,2006:27).**

გაბრიელ ეპისკოპოსის გაჭირვებულ ბავშვობაზე მეტყველებს მისი კიდევ ერთი მოგონება: ,,ერთხელ აღდგომა დღეს, წირვის შემდეგ საუზმეზედ მიგვიწვია ივანოვის ცოლმა თავის სახლში და იქ პირველად ვნახე და გავიგე ჩაის, პასკისა და კულიჩის გემო, რომლითაც უხვად გაგვიმასპონძლდა თავაზიანი დიასახლისი''**(კელენჯერიძე, 2006:32).** მიუხედავად ასეთი გაჭირვებისა გაბრიელ გაბრიელ ეპისკოპოსი ბავშობაში მეტად

ხალისიანი, ცელქი და მოუსვენარი ბავშვი იყო, რაც მას ბოლომდე გაჰყვა, მიუხედავად იმ დიდი ტრაგედიისა რაც მან გადაიტანა.

თავის სიცელქისა და მოუსვენრობის შესახებ მეუფე გაბრიელი იხსენებს: ,,ერთხელ მამაჩემმა, რომ ცოტათი მაინც დავეწყნარებინე თავისი მოუსვენარი შვილი უბრძანა სახლში ვიღაცას, დაიჭირეთ და მიაკარით სვეტზე თოკითაო. როცა ეს მისი ბრძანება აღასრულეს, საშინლად დავღონდი და დავიწყე, რაც ძალა და ღონე მქონდა, თოკის გლეჯა,რომ დამეღწია თავი იქედან, როცა ამ ცდამ ამაოდ ჩაიარა, დავმშვიდდი, მამას თითქოს სრულიად გადავავიწყდი. გავიდა ასე კარგა ხანი უცებ მესმის მამაჩემის ყვირილი, ,,მიშველე ბავშვი კვდება!'' მე საჩქაროდ ამხსნეს მახსოვს, რომ ამ ფაქტმა გამიელვა მაშინ თავში: ,,თუკი ასე უყვარდი მამაჩემს, რატომ ასე სასტიკად მსჯისთქო''**(კელენჯერიძე, 2006:31).**

1837 წელს მაქსიმე ქიქოძემ თავისი ვაჟები წაიყვანა თბილისის სასულიერო სემინარიაში სადაც ძმებთან ერთად გაბრიელ ეპისკოპოსი დასვეს სასწავლებლად ,,მცირე განყოფილებაში'' (ამ პერიოდში თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლება მიმდინარეობდა განყოფილებების მიხედვით, ,,უმცროსი, მცირე და მაღალი განყოფილება'').

მეუფე გაბრიელმა თბილისის სემინარიაში მიყვანის დროს უკვე იცოდა როგორც ქართული წერა-კითხვა, ასევე რუსული ენაც, რომელიც მას ასწავლა გურიაში ერთ-ერთმა რუსმა სამხედრომ, რომელიც მედავითნეობაში ეხმარებოდა გაბრიელის მამას მსახურების დროს როცა იგი რუსი სამხედროებისთვის წირავდა. ამასთან დაკავშირებით მეუფე გაბრიელი წერს: ,,მამაჩემის თხოვნით და მისივე ხელმძღვანელობით, ფელთფებელმა დამიწყო სლავური ანბანის, ლოცვების და წერა-კითხვის სწავლება, მაგრამ მაინც და მაინც ძალას არ მატანდა სწავლის დროს. მახსოვს მხოლოდ, ჩემი მასწავლებელი მიაბავდა ძაფს მაგიდაზე და მიბრძანებდა, ,,სანამ გაკვეთილი არ დაისწავლო არ გაბედო აქედან ფეხის მოცვლაო,'' მაგრამ ამ ძაფს მალე ვწყვეტდი ხოლმე და გავიქცეოდი სათამაშოდ'' **(კელენჯერიძე, 200:32).**

1839 წელს გაბრიელ ეპისკოპოსი გადაიყვანეს სემინარიის ,,მცირე განყოფილებაში'' (მანამდე იგი იყო უმცროს განყოფილებაში'') პირველი ხარისხით.

სასულიერო სემინარიის 1839 წლის №55 ოქმში ვკითხულობთ: ,, გადაყვანილ არიან თბილისის სასულიერო სემინარიის დაბალ განყოფილებაში, სასულიერო წოდების პირველი ხარისხით, გერასიმე ქიქოძე ყოფაქცევაში 1, ნიჭში 1, საღმრთო რჯულში 1, რუსული გრამატიკაში 1, ოსურ ენაში 1, თათრულში 1, საღმრთო ისტორიაში 1, ბერძნულში 1, გეოგრაფიაში 1, არითმეტიკაში 1'' **(კელენჯერიძე, 2006:35-36).** (1-თი ნიშნავდა ,,5-ს'' რადგან მაშინდელი განათლების სისტემაში მოსწავლის შეფასება ხდებოდა ზემოდან ქვემოთ)

თბილისის სასულიერო სემინარიაში გაბრიელ ეპისკოპოსი სულ მალე მცირე განყოფილებიდან გადაიყვანეს მაღალ განყოფილებაში, რის გამოც შეიკრიბა სემინარიის პედაგოგიური საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ : ,,რექტორი, არქიმანდრიტი სერგი, ფლამიანე, ინსპექტორი იღუმენი, პორფილი,მასწავლებელი ფილოსოფიისა პლატონ იოსელიანი, პროფესორი სიტყვიერებისა მაგისტრი კლიმენტი კანევსკი, მასწავლებელი რუსული და ქართული ისტორიისა ალექსი მარსოვი, ეკონომი მღვდელი იოანე ბასხაროვი, თათრულის მასწავლებელი ქსენოფონტოვი, ოსურის მასწავლებელი ესტ ხუნდუხოვი" **(კელენჯერიძე, 2006:36)**.

1841 წელს გაბრიელ ეპისკოპოსი თბილისის სასულიერო სემინარიიდან სასწავლებლად გადადის ფსკოვის სემინარიაში, მისი პედაგოგის ვლ.კანევსკის დახმარებით.

1841 წლის 22 ნოემბერს გაბრიელ ეპისკოპოსმა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორს მიწერა შემდეგი შინაარსის წერილი: ,, დიდი ხნიდან მქონდა მე სურვილი შუაგულ რუსეთში მყოფ რომელსამე სემინარიაში შესვლის, რომ მიმეღო განათლება მისივე წყაროდან, მაგრამ აქამდის არ მომეცა მე შემთხვევა შემესრულებინა ეს ჩემი ერთადერთი სურვილი და რადგან ახლა ყოფილი პროფესორი თბილისის სემინარიისა კირილ კანევსკი თანახმა არის წამიყვანოს ჩემი თხოვნით ფსკოვის სემინარიაში, სადაც იგი გადაყვანილია მთავრობის განკარულებით და არც მე მაქვს დაბრკოლება მშობლის მხრით, რომელმაც დამლოცა მე და ნება დამრთო შემთხვევის დროს მოვიყვანო სისრულეში ჩემი სურვილი, ამიტომ უმორჩილესად ვთხოვ სემინარიის მართველობას ინებოს განკარგულება ჩემი

გადაყვანის შესახებ თბილისის სემინარიიდან ფსკოვში და მომცეს მე ბილეთი თბილისიდან ფსკოვამდი სამგზავროდ'' **(კელენჯერიძე, 2006:38).**

თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორმა საქართველოს ეგზარქოსს ევგენის, მიწერა წერილი რათა ნებართვა მიეცათ გაბრიელ ეპისკოპოსისათვის ფსკოვის სასულიერო სემინარიაში გადასვლაზე ეგზარქოსმა დაამტკიცა გერასიმე ქიქოძის თხოვნა და თბილისის სემინარიას შემდეგი შინაარსის წერილი მიწერა: ,,განცხადებული ამისა მოწაფე თბილისის სასულიერო სემინარიისა გერასიმე ქიქოძე შემდეგ დათხოვისა მოხსენებული სემინარიიდან სემინარიის გამგეობის მიერ მიდის თბილისიდან გუბერნიის ქალაქ ფსკოვში სწავლის გასაგრძელებლად ფსკოვის სასულიერო სემინარიის უწყებაში, სადაც მოწაფე ქიქოძე გამოცხადების თანავე ვალდებულია წარუდგინოს ეს ბილეთი იქაურ სემინარიის მთავრობას, რის გამოც უ.უ. წინამძღოლნი ,,ზასტავებძე'' კეთილ ინებებენ მისცენ ქიქოძეს თავისუფალი მსვლელობა თბილისიდან ფსკოვამდი, დასარწმუნებლად რასზედა მიეცა მას ქიქოძეს ბილეთი ესე თბილისის სემინარიის მართველობიდან ჯეროვანი ხელის მოწერით წევრისა მისისა მიერ და დასხმათა სახელმწიფო ბეჭდისათა 1841 წელი დეკემბრის თექვსმეტსა დღესა'' **(კელენჯერიძე, 2006:39).**

ეგზარქოსის თანხმობის შემდეგ გერასიმე ქიქოძე მიემგზავრება ფსკოვის სასულიერო სემინარიაში სწავლის გასაგრძელებლად, სადაც სადაც სწავლობდა 1842-1843 წლებში.

1844 წელს გერასიმე ფსკოვიდან სასწავლებლად გადადის სანკ-პეტერბურგის სასულიერო სემინარიაში, რომელსაც ამთავრებს 1845 წელს და ამავე წლის აგვისტოში სწავლას აგრძელებს სასულიერო აკადემიაში, რომელიც დაამთავრა 1849 წელს.

მეუფე გაბრიელი პეტერბურგში გატარებულ სტუდენტობას მეტად ტკბილად იხსენებს: ,, აქ ჩემს თავს დიდად ბედნიერად ვგრძნობდი, ერთი იმიტომ, რომ შემეძლო განმეგრძო სწავლა და მეორეც იმიტომ, რომ შემეძლო განმეგრძო სულიერი კავშირი და ჭეშმარიტი მეგობრობა ამხანაგებთან, რომელთა შორის ბევრი ეხლაც დღეგრძელ არიან და იღვწიან თავიანთ სამშობლოს კეთილდღეობისათვის.. ეხლაც სიამოვნებით ვიგონებ იმ დროს, როცა სასულიერო აკადემიის სტუდენტთა ამხანაგობა ერთად მოგროვდებოდა და ნამდვილი ყმაწვილური გატაცებით დაიწყებდნენ იმ ოცნებას თუ რა ყმაწვილურის

თავგანწირვით შევებრძოლებით ქვეყნის ყოველ ჭირსა და ვარამს.ზოგნი სასწავლებლის დასრულებამდეც კი ჰფიქრობდნენ წასულიყვნენ მისიონერებად, თორემ აკადემიის დასრულების შემდეგ ხომ გადაწყვეტილი ჰქონდათ გაფანტულიყვნენ თვალგადაუწვდენელ ჩინეთის იმპერიაში და ქადაგებით დაეხსნათ მისი ოთხასი მილიონიანი მცხოვრები საშინელის უმეცრებისაგან. აზრათ ჰქონდა მოესპოთ იქ მოწამვლა ერისა თრიაქით, რომელიც ბლომათ მიჰქონდათ იქ სხვადასხვა განათლებული ზღვით-მოგზაურ გაიძვერა ვაჭრებს და ავრცელებდნენ მცხოვრებლებში, რათა გაებრუებიათ ჩინელნი და უკეთ ესარგებლათ იმათი სიმდიდრით.'' **(კელენჯერიძე 2006:41)**

1849 წელს მას შემდგომ რაც გაბრიელ ქიქოძემ დაასრულა სწავლას ეგზარქოსს მიმართა თხოვნით, რომ იგი დაენიშნათ თბილისის სასულიერო სემინარიაში ინსპექტორად,რაც ეგზარქოსმა დაუკმაყოფილა კიდეც.

მეუფე გაბრიელის მოღვაწეობა თბილისის სასულიერო სემინარიაში მეტად ნაყოფიერი გამოდგა, როგორც ახალგაზრდა პედაგოგისთვის ასევე მისი მოსწავლეებისთვისაც იგი თავს არ ზოგავდა სემინარიისთვის და ახლო ურთიერთობა ჰქონდა სტუდენტებთან : ,,კეთილი, ჯანსაღი, და ზნეობრივი ცხოვრების საუკეთესო საშუალებათ ის თვლიდა გონებრივი და ფიზიკური შრომის ერთმანეთთან შენაცვლებას, ამ წეს ის თვითონვე მკაცრად იცავდა... მოსწავლეები ბაძავდნენ თავიანთ ინსპექტორს და თვითონაც ხშირად ჭრიდა შეშას, მონაწილეობდა სამეურნეო საქმეში'' **(სხირტლაძე, 1965:174).**

1851 წლის 11 დეკემბერს გერასიმე ქიქოძეს ნიშნავენ ფიზიკისა და მათემატიკის პროფესორად და ანდობენ ფიზიკური კაბინეტის მართვას. სწორედ ამ პერიოდში მეუფე გაბრიელმა მოახერხა, რომ შეექმნა და აღეჭურვა ფიზიკის კაბინეტი იმ პერიოდისთვის თანამედროვე აპარატურით.

გაბრიელ ეპისკოპოსს თბილისის სასულიერო სემინარიაში მოღვაწეობა მეტად რთულ პერიოდში მოუხდა, რადგანაც როგორც იაკობ გოგებაშვილს წერს: ,,სასულიერო სასწავლებელსა და სემინარიაში გამეფებული იყო გამომმყეყეჩებელი ზეპირობა, ზუთხვა, იშვიათად ესმოდა რომელიმე მოსწავლეს მექანიკურად გაზეპირებული გაკვეთილების შინაარსი, იშვიათად თუ ვისმეს შეეძლო რამდენადმე მაინც თავისუფლად გამოეთქვა აზრი

რუსულად სემინარიის კურსის დასასრულს თორმეტი და თოთხმეტი წლის სწავლების შემდეგაც კი, სახელმძღვანელოების შინაარსის მექანიკური, უაზრო გაზეპირება, აი ასეთი იყო მაშინ თითქმის მთელი სწავლება'' **(გოგებაშვილი, 1954:40).** სწორედ ასეთი ,,გამომყეყეჩებელი'' სწავლების შეცვლას შეეცადა გაბრიელ ეპისკოპოსი თბილისის სასულიერო სემინარიაში.

გაბრიელ ეპისკოპოსის სახელთანაა დაკავშირებული თბილისის სასულიერო სემინარიაში საერო ჟურნალ-გაზეთების გამოწერა,რათა მომხდარიყო სემინარიელების ინტელექტის გაფართოება გაზრდა, გარდა ამისა, გაბრიელ ეპისკოპოსმა მოახერხა, რომ სემინარიას დაეწყო სხვადასხვა მწერლების თხზულებების გამოწერა, ყოველივე ამან გაბრიელ ეპისკოპოსის ავტორიტეტი მეტად გაზარდა სემინარიაში,როგორც პედაგოგების ასევე მოსწავლეთა თვალში.

გაბრიელ ეპისკოპოსის სიყვარულისა და ავტორიტეტის ზრდა განპირობებული იყო არამარტო იმით,რომ მან არაერთი რეფორმა განახორციელა სემინარიაში,არამედ როგორც იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავს: ,,ქიქოძის პიროვნების გავლენას მეტად შეუწყო ხელი აგრეთვე ერთმა თვისებამ, რაც უაღრესად დიდ კეთილ გავლენას ახდენდა აღსაზრდელთა ზნეობრივ მხარეზე, მისი სიტყვა და საქმე ყოველთვის ერთი იყო, ნამდვილი გულწრფელობა და სამართლიანობა ახასიათებდა ყველა მის ქცევას, მოქმედებას და მთელ მის ცხოვრებას, მის ბაგეს ერთი-არამართალი სიტყვაც არასოდეს წამოცდენია'' **(გოგებაშვილი, 1954:42).**

1854 წელს გერასიმე ქიქოძე, მიუხედავად მისი თავგანწირული შრომისა, თბილისის სემინარიის ინსპექტორის თანამდებობიდან გაანთავისუფლეს და დანიშნეს ქალების ინსტიტუტის საღმრთო სჯულის მასწავლებლად. როგორც ჩანს გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობა მიუღებელი აღმოჩნდა რუსეთის კოლონიური რეჟიმისათვის და ამიტომაც იგი აიძულეს, რომ პირადი თხოვნის საფუძველზე გაენთავისუფლებინათ თბილისის სასულიერო სემინარიიდან, რუსმა ჩინოვნიკებმა ძალიან კარგად იცოდნენ თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის სასულიერო სემინარიას,რადგანაც სწორედ სემინარიაში უნდა აღზრდილიყვნენ ის ახალგაზრდები, რომლებიც შეეცდებოდნენ ეროვნული ღირებულებების დაცვას მომავალში, ეს ყველაფერი მეუფე გაბრიელსაც კარგად ესმოდა და

ამიტომაც იყო,რომ იგი მუხლჩაუხრელად შრომობდა რათა გაეთავისუფლებინა ქართველი ახალგაზრდობა იმ მძიმე მარწუხებისაგან რომელშიაც რუსულმა კოლონიურმა პოლიტიკამ მოაქცია ჩვენი ახალგაზრდობა.

მას შემდეგ რაც გერასიმე ქიქოძე თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის თანამდებობიდან გაანთავისუფლეს აქტიურად შეუდგა მეცნიერულ მუშაობას მას გარდა თეოლოგიისა და მათემატიკისა მეტად იტაცებდა ფსიქოლოგია.

გაბრიელ ეპისკოპოსის კალამს ეკუთვნის ცნობილი ნაშრომი ფსიქოლოგიაში ,,ცდისეული ფსიქოლოგიის'' შექმნა, რომელიც მეტად პოპულარობით სარგებლობდა არამარტო საქართველოში, არამედ რუსეთშიც.

1849 წელს გერასიმე ქიქოძემ ცოლად შეირთო მღვდელ ნიკოლოზ ვლადიკინის ქალიშვილი, რომელთანაც მას შეეძინა ხუთი შვილი.

1856 წელს გერასიმე ქიქოძეს თავს დაატყდა დიდი უბედურება მას გარდაეცვალა მეუღლე და ხუთი შვილი, რამაც ახალგაზრდა მღვდელზს დიდი სულიერი ტრამვა მიაყენა, ერთი პერიოდში გერასიმე ქიქოძე მღვდლობის დატოვებასაც კი ფიქრობდა, მაგრამ მაშინდელმა ეგზარქოსმა ისიდორემ გადააფიქრებინა აღნიშნული განზრახვა: ,,შენ ვითარცა გონიერ კაცსა კარგად უნდა გესმოდეს და იცოდე,რა საკვირველება ქმნა შენზედ ღმერთმა იცი შენა, შენი სამშობლო ქვეყანა საქართველო დიდად მოკლებულია კარგ და შეგნებულ ხელმძღვანელ მღვდელ-მთავრებს, რომელნიც არიან და ყოფილან ამ მოკლე დროებაში,ყველანი უსწავლელი და გაუნათლებელნი ყოფილან. რომლის გამო მათ სამწყსოში არავითარი გავლენა არა აქვთ და არ ჰქონდათ. ამით მთელი ხალხი, თუმცა არის ქრისტეს აღმსარებელი, უგუნურებაშია დაფლული, მას უნდა მღვდელმთავარნი და ხელმძღვანელნი რიგიანნი და მცოდნენი, რომლისთვისაც ნათლად სჩანს, გირჩევს შენ უფალი არ ხედავ, რა გიყო უფალმა? ცოლი მოგაშორა, შვილები მოგაშორა და შერაცხა ანგელოზებად და მათ ნაცვლად გაძლევს ქართველთა ერთა, რათა უწინამძღვრო მათ, ასწავო გზა ჭეშმარიტებისა და მიუძღვნა უფალსა ერი იგი განათლებული და განწმენდილი ყოვლისა ბოროტებისაგა'' **(კელენჯერიძე, 2006:67).** როგორც აღმოჩნდა ეგზარქოსის ამ დარიგებამ ნაყოფი გამოიღო და 1856 წელს ბერად აღიკვეცა. ბერობის სახელი გაბრიელი ეწოდა.

1858 წლის 5 იანვარს გაბრიელ ქიქოძე აკურთხეს არქიმანდრიტად და ჩააბარეს დავით გარეჯის მონასტერი, იმავე წლის 6 დეკემბერს იგი გორის ეპისკოპოსად აკურთხეს.

გაბრიელ ეპისკოპოს მეტად მძიმე პერიოდში მოუხდა მოღვაწეობა, ეს ის დროა როდესაც საქართველოში არსებობს უმძიმესი ზეწოლა რუსული კოლონიური პოლიტიკისა, მაგალითისათვის საკმარისია გავიხსენოთ ეგზარქოსის მხრიდან არნახული ცენზურა, იმისათვის,რომ გაბრიელ ეპისკოპოსს ექადაგებინა მსახურების შემდეგ აუცილებლად შეთანხმებული უნდა ყოფილიყო ეგზარქოსთან. ,, გაბრიელი წარადგენდა, ეგზარქოსი წაუშლიდა ბევრს ადგილს, აზრებს უკუღმა გადაატრიალებდა და ისე დაავალებდა თქმას გაბრიელი უმეტეს ნაწილად ჯიუტობდა და ისევ თავისებურად ამბობდა. ნამეტურ მაშინ,თუ ქართულად იყო სათქმელი სიტყვა'' **(კელენჯერიძე, 2006:97).** უფრო მეტის თქმა შეიძლება -თბილისის სემინარიის რექტორთან შეთანხმების გარეშე მას არ შეეძლო სტუდენტებთან ქადეგებაც კი.

1860 წლის 2 ივლისს გაბრიელ ეპისკოპოსი გორიდან გადაიყვანეს იმერეთის ეპარქიის წინამძღვრად (ამ პერიოდში იმერეთის ეპისკოპოსად იყო ექვთიმე წულიკიძე რომელიც 1856 წელს გადააყენეს).

გაბრიელ ეპისკოპოსს იმერეთში მოუხდა მთელი რიგი დაბრკოლებების გადალახვა, განსაკუთრებით მწვავედ იდგა კეთილმოწესე ოქროპირ წერეთლის საკითხი, რომელიც გამოირჩეოდა მლიქვნელობით და გაიძვერობით, როდესაც ოქროპირ წერეთელმა შეიტყო გაბრიელ ეპისკოპოსის ქუთაისში წასვლის ამბავი იგი მას დახვდა სურამში და შემდეგი სიტყვებით მიმართა: ,,ბატონო, ახლ სამწყსოში თქვენ მრავალი ეკალი და კუროს თავი დაგხვდებათ, მაგრამ იმედია ყველას ძირიანად აღმოფხვრით, როგორც განათლებული პირი, გაბრიელ ეპისკოპოსმა კარგად იცოდა კეთილმოწესის პირფერობის შესახებ და უპასუხა ვგონებ პირველი ეკალი და კუროს თავი შენ უნდა იყო ,,ბლაღოჩინო!'' **(კელენჯერიძე, 2006:100).** ამ სიტყვების შემდეგ ბლაღოჩინი ოქროპირი მეტად განცვიფრებული დარჩა გაბრიელის სიტყვებით, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბლაღოჩინი მეტად გადაემტერა გაბრიელ ეპისკოპოსს და ისეთი სამარცხვინო ცილი დასწამა, როგორიც იყო თ. კანდელაკის ცოლისადმი სიმპათია.

ბლაღოჩინ ოქროპირ წერეთლის ნათქვამი ეკლისა და კუროს თავის დახვედრის შესახებ სიმართლეს შეესაბამებოდა, რადგანაც იმერეთში ჩასულ მეუფე გაბრიელს ეკლესიაში დახვდა ისეთი უწესრიგობა. როგორიც იყო მაგალითად, ტაძარში შესაძლებელი იყო მგალობელი გენახათ მძინარე, ან ხალხი, რომლებიც ეპისკოპოსს სახლიდან ტაძრამდე გალობით მიაცილებდა და სხვ.

გაბრიელ ეპისკოპოსის მართველობამდე, იმერეთის ეპარქიის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაძლევს ბერი გიორგი იოსელიანის მოგონება: ,, მე ვსწავლობდი ქუთაისის ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებელში, იმ დროს, როცა იმერეთის ეპარქიის ეპისკოპოსად იყო გერმანე ეს სწორედ ის დრო იყო, როცა თითქმის ყველა სკოლაში ფიზიკურ დასჯას პირველი ადგილი ეჭირა სწავლა-აღზრდის საქმეში, ეპისკოპოსის სადგომი ისე ახლოს იყო ჩვენი სკოლის ნახევრად დანგრეულ შენობასთან, რომ მღვდელმთავარს და სხვებსაც ძლიერ კარგად ესმოდათ ბროწეულის წკეპლებით ნაცემი ყმაწვილების წივილ-კივილი, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა, რადგან ეს ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნდათ სკოლის შენობის ქვემო სართულში მოთავსებული იყო ეგრეთწოდებული ბურსი, სადაც ინახავდნენ მღვდლების ობოლ შვილებს. ბურსში სუფევდა გამოუთქმელი სიღარიბე და უსუფთაობა, ამიტომაც ხშირად ჩნდებოდა ყოველ-გვარი გადამდები სნეულება, რომელთა მსხვრპლი ხდებოდნენ გარედან მოსიარულე შეგირდებიც, სწავლა-აღზრდას არავინ ყურადღებას არ აქცევდა და ამიტომაც, რასაკვირველია ძლიერ ცუდ მდგომარეობაში იყო მასწავლებელი კლასში, განსაკუთრებით საღამოს გაკვეთილებზე, გულდაგულ ეძინათ მაგიდაზე დაბჯენილებს და ამ დროს შეგირდები სულგანაბულები ისხდნენ, მანამ ზარის რეკა არ გაისმოდა და გაკვეთილი არ დამთავრდებოდა'' **(კელენჯერიძე, 2006:111).**

აი, ასეთ რთული მდგომარეობა იყო იმერეთის სასულიერო სასწავლებელში, იქ სადაც უნდა გაზრდილიყვნენ მომავალი სასულიერო პირები და განათლებული თაობა უნდა გამოსულიყო.

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა გახლდათ იმერეთის სასულიერო იერარქიაში ამასთან დაკავშირებით მღვდელი დავით ნემსაძე წერს: ,, იმერეთის ეპარქიის ეპისკოპოსები სოფრომ (წულუკიძე), გერმანე (გოგოლაშვილი), ექვთიმე (წულუკიძე), დავით მიტროპოლიტი (წერეთელი), იყვნენ ტანად ახოვანნი, ენამჭეველნი, ამათთან ვერ

მიხვიდოდით, თუ ძღვნად არ მიიყვანდი ძროხას ან ცხვარს, დაბარებითაც ხშირად იბარებდნენ მღვდლებს(ძღვნისათვის) არც კურთხევა შეიძლებოდა უძღვნოდ, მღვდელმთავრებს მაგდენი ჯამაგირი არ ჰქონდათ და კრებული მთლად მღვდლების იმედად იყო, უმეტესი ნაწილიდან ანაფორა არ ეცვათ, განირჩეოდნენ ერისკაცთაგან გრძელი წვერით და თმით, თუ ვინმეს განურისხდებოდნენ მღვდელმთავრები თვით პირადად შეხსნიდნენ ქამარს და რა ვადითაც სურდათ გადააყენებდნენ კანტორას არას მოახსენებდნენ ქართული წერა-კითხვა უმრავლესმა სამღვდელოებამ არ იცოდა, ცხოვრობდნენ ეპისკოპოსები დიდებულად, არჩევდნენ მრავალ მათხოვრებს''**(კელენჯერიძე, 2006:114).**

მღვდელ დავით ნემსაძის მოგონებიდან ნათლად ჩანს თუ რაოდენ რთული მდგომარეობა იყო იმერეთის ეპარქიაში, ერთ მხარეზე იყვნენ ძველი თაობის სასულიერო პირები, რომლებიც ნებსით თუ უნებლიეთ თავიანთი საქციელით ემსახურებოდნენ რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას საქართველოში და მეორეს მხრივ ახალგაზრდა ერუდირებული ეპისკოპოსი გაბრიელი, რომელიც მთლიანად მიმართული იყო ეროვნული ღირებულებების დაცვისაკენ.

გაბრიელ ეპისკოპოსი თავად იყო მისაბაძი მაგალითი თავისი ცხოვრებით ყველასათვის, იგი გამოირჩეოდა მეტად უბრალოებით, როდესაც ეპისკოპოსს გაბრიელთან რუსი მოხელეები მიდიოდნენ სტუმრად გაკვირვებას ვერ მალავდნენ იმდენად უბრალოდ ცხოვრობდა მეუფე გაბრიელი,მის ოთახში კაცი ვერ ნახავდა ძვირფას ხალიჩებს, ლამაზ მაგიდას, სამაგიეროდ ნახავდა და ერთ ძველ მაგიდას, რომელზეც მუდამ იდო გაჭვარტლული სასანთლე, ჭუჭყიანი საწერი საშუალებები და დამტვრეული სკამები, მეუფე გაბრიელის უბრალოებაზე მეტყველებს მარკოზ სხირტლაძის ერთი მეტად საინტერესო მოგონება(მღვდელი მარკოზ სხირტლაძე იყო გაბრიელ ეპისკოპოსის ნდობით აღჭურვილი პირი) : ,,მე დავესწარი საბლერისა და სინოდის კანცლერის მდივნის ჩამოსვლას, მათი სადილის მირთმევაზე ძლიერ მეშინოდა, რა ვიცი მაგათი სადილის გაწყობის მეთქი, მოვახსენე ბატონს; ლაქია მოვიხმაროთ ვინმე მეთქი, მაგრამ სრულებითაც ყურადღება არ მომაქცია, მიბრძანა კმარა რაც იცი, რა საჭიროა ბევრი ცრემონია, მე მოვახსენე, მეუფეო, მაგიდის საფრები ძველები გახლავს აქა-იქ ნაჭრებიც კი აკერია და ის

მაინც ვიყიდოთ ახალიმეთქი გამიჯავრდა, შენმა სიცოცხლემ სტოლის საფრებს გიყიდი კი არა, სხვა არაფერი გნებავს კიდეო? წადი, მე რითაც ვცხოვრობ იმით დავხვდები ნუ სწუხარ შენო რაღას ვიქმოდი, როგორც იყო მივართვი სადილი ძველი სტოლსფრებით, ძველი სალფეტკებით, ძველი-დანა ჩანგლებით და ძველი ფრაჟის კოვზებით, მადლობა ღმერთს ჩემი შეხედულებებით კმაყოფილები დარჩნენ და მადლობა უთხრეს ბატონს, როცა წავიდნენ გამობრუნდა და მითხრა, რომ სწუხდი ხომ ყველაფერი კარგად გამოვიდა, არ გვრცხვენია, მადლობაც კი სთქვესო'' **(კელენჯერიძე, 2006:151).**

იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელის პიროვნების შეფასება მეტად საინტერესოდაა შეფასებული ავთანდილ ნიკოლეიშვილის მიერ: ,,თავისი ეროვნული მოღვაწეობით გაბრიელ ეპისკოპოსი ღირსეული წარმომადგენელია მე-19 საუკუნის ქართული პროგრესული ინტელიგენციისა. იგი თავგამოდებით იღვწოდა ქართველთა ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, გმობდა და უპირისპირდებოდა რუსი კოლონიზატორების ყოველგვარ ცდას ხელეეპყრყოთ და მოესპოთ ჩვენი ხალხის ისტორიული ფასეულობანი'' **(ნიკოლაიშვილი, 1990:28)** . ავთანდილ ნიკოლაიშვილის ეს შეფასება მართლაც, რომ არ არის გადაჭარბებული, რადგანაც გაბრიელ ეპისკოპოსი განეკუთვნებოდა იმ საზოგადო მოღვაწეთა დასს, რომლებიც ცდილობდნენ ეროვნული ღირებულებების გადარჩენას.

1866 წლის 11 აპრილს იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი აირჩიეს კავკასიაში მართმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების წევრად. 1867 წლის 14 მაისს საეგზარქოსოს გადაწყვეტილებით დაჯილდოვებულ იქნა წმინდა ანას პირველი ხარისხის ორდენით.

რუსეთის კოლონიურმა რეჟიმმა ჯერ კიდევ ალექსანდრე ოქროპირიძის აფხაზეთში ყოფნის დროს გეიმანის მეშვეობით შეიმუშავა ვერაგული გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა აფხაზეთის ეპარქიის გაუქმებას, გეიმანის აზრით, აფხაზეთში საკმარისი იქნებოდა ყოფილიყო ერთი საკეთილმოწესო, რომელსაც სათავეში ჩაუდგებოდა უფროსი ბლაღოჩინი და ეს უნდა ყოფილიყო დეკანოზი დავით მაჭავარიანი.

1868 წლის 20 აპრილს კავკასიის მთიელთა სამართველომ და კავკასიაში მართმადიდებლობის აღმდგენმა საზოგადოებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ,,ეთხოვოს ეპისკოპოს გაბრიელს წინასწარ მიმოიხილოს აფხაზეთის სამრევლოები და იქაური

სამღვდელოებისა და მრევლის სულიერი თუ მატერიალური სიდუხჭირის თაობაზე ადგილზე ცნობების შეკრების შემდეგ მათ შესახებ აცნობოს საბჭოს მის აღმოსაფხვრელად აუცილებელი ზომების მითითებით'' **(გამახარია, 2007:30)**

გაბრიელ ეპისკოპოსმა ზედმიწევნით შეისწავლა აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობა და დასკვნის სახით წარუდგინა თავისი შეხედულებები კავკასიაში მართმადიდებლობის აღმდგენ საზოგადოებას.

ეპისკოპოს გაბრიელის შეხედულებები რადიკალურად განსხვავდებოდა გეიმანის იდეებისაგან, გაბრიელ ეპისკოპოსი მართებულად არ მიიჩნევდა აფხაზეთის ეპარქიის გაუქმებას, თუმცა გეიმანს ერთში ეთანხმებოდა. კერძოდ როდესაც ის; აფხაზეთის სამღვდელოების განათლების დაბალ დონეს აღნიშნავდა. რაც შეეხება აფხაზეთში რუსი სამღვდელოების შესვლის კატეგორიული წინააღმდეგი იყო, რასაც იგი ხსნიდა იმ რთული გეოგრაფიული პირობებით რაც აფხაზეთში იყო, სინამდვილეში გაბრიელ ეპისკოპოსს შესანიშნავად ესმოდა,რომ თუ აფხაზეთში რუსი სამღვდელოება შევიდოდა მოხდებოდა აფხაზი ხალხის გარუსება და ამ საქმეში რუსი სასულიერო წოდება დიდ წვლილს შეიტანდა, მეუფე გაბრიელი კავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოებას სთხოვდა, რომ აფხაზეთში აუცილებელი იყო სასულიერო სასწავლებლის გახსნა, სადაც სწავლება უნდა ყოფილიყო როგორც ქართულ ასევე აფხაზურ ენებზე, ხოლო აფხაზ სამღვდელოპირების განათლება აუცილებლად თბილისის სასულიერო სემინარიაში უნდა მიეღოთ. გარდა ამისა გაბრიელ ეპისკოპოსი აუცილებლად თვლიდა ძველი ეკლესია-მონასტრების აღდგენას და სამრევლო სკოლების გახსნას.

რუსეთის საეგზარქოსომ მოიწონა მეუფე გაბრიელის შეხედულებები აფხაზეთის ეპარქიაში გასატარებლი რეფორმების შესახებ და 1868 წლის 11 ივლისს, მეფის ნაცვალთან შეთანხმებით საქართველოს ეგზარქოსმა შუამდგომლობა წარადგინა უწმინდესი სინოდის წინაშე, ეპისკოპოს გაბრიელის სოხუმის ეპარქიის მმართველად დანიშვნის შესახებ.

1869 წლის 30 მაისის ბრძანებულებით ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე გადაიყვანეს გორის ეპარქიის მართველად, ხოლო აფხაზეთის ეპარქია გაბრიელ ეპისკოპოსს ჩააბარეს.

აფხაზეთის ეპარქიაში განწესებულის შემდეგ გაბრიელ ეპისკოპოსი აქტიურად შეუდგა ეკლესია-მონასტრების განახლება-აღდგენას და სამრევლო სკოლების გახსნას. ,, აფხაზეთში ახალი სამრევლოების გასახსნელად სესხის სახით გამოიყენა ეპარქიის ეკონომიიდან 38 000 მანეთი, სოხუმის საკათედრო ტაძრის ასაშენებლად დადებული 15 ათასი მანეთი, რაზეც მეფის ნაცვლისა და უწმინდესი სინოდის ნებართვა დასჭირდა'' **(გამახარია, 2007: 62).** როგორც ჩანს, გაბრიელ ეპისკოპოსმა მოახერხა მეფისნაცვლისა და წმინდა სინოდისაგან თანხმობის მიღება რაზეც მეტყველებს 1868-1886 წლებში წმინდა გაბრიელის მიერ აფხაზეთში აღდგენილი შემდეგი ეკლესია-მონასტრები: ,,აბუაყვის, აკაფის, არანდუს, აჭანდარის, ბაღიქითას, ბარღების, მეორე ბედიის, ბიჭვინთის, ბლაბურხევის, გალის, გიორგიევსკაიას, გუდაუთის,გუფის, დაკოპიტის, დრანდის, გურლიფშის, ეშკეტის, ვარძეთის, ზანდრიფშის, თაგილონის, კალდახვარის, კვიტოელის, ვინდლის,მაზოხის, მარინინსკაიას, მერხეულის, მარინინსკაიას, მოქვის, მეგუძირხევის, ანასტასიევსკოეს, ოთხარის, მეორე ოტობაიის, ოჩამჩირის, რეჩხის,მეორე საბერიოს, სოხუმის, ტამიშის, ტყვარჩელის, შუაწყლის,ცხირის, ჯირხვის ეკლესიები, სულ 51 ეკლესია-მონასტერი'' **(გამახარია, 2007: 62).**

ამ მასშტაბით ეკლესია-მონასტრების აშენება-განახლებას აფხაზეთისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა,რადგანაც ამ ქმედებით საფუძველი ეყრებოდა ქრისტიანობის განმტკიცებას აფხაზ მოსახლეობაში, გარდა ამისა საგანმანათლებლო თვალსაზრისითაც ფასდაუდებელი იყო.

გაბრიელ ეპისკოპოსის აფხაზეთში მოღვაწეობის შესახებ 1871 წლის 9 თებერვალს გაგზავნილ წერილში რუსი მეცნიერი და მოგზაური ა.ნ.მურავიოვი წერს: ,,ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო, თუმცა მე პირადად ვერ გიცნობთ თქვენ, მაგრამ, ალბათ, თქვენი მეუფება მიცნობს მე.. მე, ჩემის მხრით, დიდი სიხარულით წავიკითხე ,,მართმადიდებელ მიმოხილვაში'' თქვენი მისიონერული მიზნით, მოგზაურობა აფხაზეთში და ამ თქვენი მოგზაურობის წაკითხვამ აღმიძრა სურვილი, რომ წრიულობით გამომეცხადებინა თქვენთვის ის უღრმესი პატივისცემა რომელსაც მე იმ დღიდან თქვენდამი ვგრძნობ, მადლობა ღმერთს, რომ ეს ველური მხარე, რომელიც მე ვნახე 1847 წელში და ბოლოს ეღირსა ისეთი განმანათლებლ, რომელსაც როგორც ადგილობით მკვიდრს უფრო

სინამდვილით ეცოდინება მისი სულიერი საჭიროებანი, ვინემ ყველა იმ მისიონერთ, რომელთაც სრულებით უსარგებლოთ გზავნიდნენ აფხაზეთში გაცოცხლდა ხელახლა ძველი ბიჭვინტა და განახლდება ეკლესია სიმონ კანანელისა, დრანდის მონასტერი და სხვა მრავალი გაოხრებული ეკლესიები. ნეტავი აჭარა და ახალციხის მხარეც, სადაც ადგილობითი ქართველები დიიდს ერთგულებით აღიარებენ მაჰმადის სარწმუნოებასა, ეხლაც კი როცა ეს მხარეები რუსეთის მფლობელობაში იმყოფებიან ეღირსებოდნენ თქვენისთანა მქადაგებლის, როგორსაც ეღირსა აფხაზეთი, რომელიც თქვენდამი რწმუნებულ ეპარქიას არც კი ეკუთვნის''**(გამახარია, 2007:79-80) .**

გარდა აფხაზეთისა და იმერეთის ეპარქიისა გაბრიელ ეპისკოპოსი აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. იგი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საპატიო წევრი.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას იაკობ გოგებაშვილმა მიმართა წერილობითი თხოვნით, სადაც იგი ასაბუთებდა გაბრიელ ეპისკოპოსის დიდ ღვაწლს ქართველი ერისადმი და თხოვდა საზოგადოებას, რომ გაბრიელ ეპისკოპოსი აერჩიათ საზოგადოების საპატიო წევრად, (ამ პერიოდში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე იყო ილია ჭავჭავაძე) ,, გაბრიელმა, ეპისკოპოსმა იმერეთისამ, ფრიად დიდი სამსახური გაუწია ხალხის განათლებას საქართველოში.

პირველად: ორ კლასიანი, კეთილმოწყობილი სკოლის დაარსებით გურიაში, სოფელ ბახვში თავისი საკუთარი ხარჯით.

მეორედ: მრავალი სამრევლო სკოლების დაარსებით თავის ეპარქიაში და სხვა ღონისძიებებითაც, რომელთა წყალობით წერა-კითხვა ეხლა ძლიერ გავრცელებულია იმერეთის მხარეში.

მესამე: თავისი ფრიად შესანიშნავი ქადაგებით, ხალხისათვის გასაგები ენით დაწერილნით, რომელნიც ორ ტომად დაიბეჭდნენ რამდენიმე გამოცემად და რომელნიც ინგლისურის ენაზედ კიი თარგმნენ.

და მეოთხე: იმით, რომ თავდაპირველადვე... გაბრიელმა ნამდვილი თანაგრძნობა გამოიჩინა ჩვენს საზოგადოების, წესდებას ხელი მოაწერა, როგორც დამფუძნებელმა წევრმა

და იმ თავითვე შემოიტანა 30 თუმანი ფული ხვედრი დამფუძნებელ წევრებისა და ყოველ წლივ შემოაქვს საწევრო ფული" **(ნიკოლეიშვილი, 1990:26)**

1890 წლის 21 ნოემბერს ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების საერთო კრებამ გაბრიელ ეპისკოპოსი აირჩია საზოგადოების საპატიო წევრად, რის შესახებაც თავად ილია ჭავჭავაძემ აცნობა, გაბრიელ ეპისკოპოსს: ,, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამვრცელებელი საზოგადოების საერთო წევრთა კრებამ 21 ნოემბერს 1890 წლის ერთბაშად აღიარა უღრმესის პატივისცემით და გულითადის მადლობით თქვენი მრავალგვარი სამაგალითო მოღვაწეობა საზოგადო და ქართული მწიგნობრობის გავრცელებისათვის საკუთრად და ერთხმადვე, დაადგინა. უმორჩილესად გთხოვთ მიიღოთ ამ ,,საზოგადოების'' საპატიო წევრობა, რათა თქვენი ბრწყინვალე სახელი ჩაერთვას მისთა საქმეთა და თქვენმა მონაწილეობამ გაუადვილოს ,,საზოგადოებას'' გზა მისაღწევად მისდა დანიშნულებისა.

უმორჩილესად მოგახსენებ რა თქვენს ყოვლად უსამღვდელოესობას ამ განაჩენს ,,საზოგადოებისა'' ვალად ვრაცხ ზედ დავძინო, რომ ,,საზოგადოების'' გულწრფელი ნატვრაა ინებოთ თქვენ მისი საპატიო წევრობა მის და სასიქადულოდ და თავ-მოსაწონად.'' (ნიკოლიშვილი 1990:26,27).

ილია ჭავჭავაძის ამ წერილის შემდეგ გაბრიელ ეპისკოპოსმა რედაქციას მისწერა სამადლობელი წერილი სადაც აღნიშნავდა: ,, უმორჩილესად გთხოვთ, ი.ჭავჭავაძეს, - გადასცეთ ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების'' კრებას,რომ დიდ პატივად და ჯილდოდ ვრაცხ ჩემ თავს მათგან საპატიო წევრად არჩევისა; ამისთვის მზად ვარ მივიღო, ჯეროვანი მონაწილეობა საზოგადოებაში, რომელსაც ამისთანა მოწოდებისათვის შევწირავ უგულითადეს მადლობასა, ხოლო თქვენ ბრწყინვალებას ვსთხოვ მიიღოს ჩემგან უღრმესი და უწრფელესი მადლობა თქვენ წერილში გამოთქმული პატივისცემისათვის. მე არ ვრაცხ ჩემს თავს ღირსად ამ საქმისა, რომელიც ამოვიკითხე თქვენს წერილში და ვგონებ ერთმა მხოლოდ თქვენმა მეგობრულმა განწყობილებამ შეგაგონათ თქვენ ჩემდამი ამოდენი ჩემი ქება'' **(ნიკოლეიშვილი ,1990:27).**

1888 წელს საქართველოში ჩამოვიდა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III, რომელსაც შეხვდა გაბრიელ ეპისკოპოსი ამ შეხვედრასთან დაკავშირებით ივანე

ზურაბიშვილი წერს: ,,1888 წელს შემოდგომაზე ალექსანდრე III ჩამოვიდა საქართველოში, ჯერ თბილისს მოვიდა, მოიარა კახეთი და ბოლოს ქუთაისს მოვიდა.

აქ სადგურიდგან პირდაპირ სობორში გაემართა, სადაც გაბრიელს პარაკლისი უნდა გადაეხადა ეტლის საბორის კიბესთან გაჩერდა, ხელმწიფემ ამალის თანხლებით აიარა კიბე, შევიდა სობორში,და ამბიონისაკენ გაემართა, როდესაც ეპისკოპოზის ხმა მოესმა:

_ შესდექ, რუსეთის ხელმწიფევ ...

ხელმწიფე შეყოყმანდაო, ამბობდნენ დამსწრენი, უნდოდა სვლა განეგრძო, მაგრამ უნებლიედ შედგა კარიბჭეში, სადაც ეპისკოპოზის შემოძახებამ მოასწრო და ცხადის უკმაყოფილებით მოისმინა ეპიზკოპოზის სიტყვა.

_... ეს ქვეყანა უძვირფასესი მარგალიტია შენს გვირგვინში, - უთხრა სხვათაშორის თავის მისალმებაში გაბრიელმა, -და როგორც ასეთი სხვა ყურადღებისა და სხვა ზრუნვის ღირსია, სხვა მოპყრობასა მოითხოვს, ვიდრე ის, რომელსაც ადგილი აქვს ...''**(ზურაბიშვილი, 1962:70).**

1878-1899 წლებში კავკასიის ოლქის მზრუნველად დაინიშნა იანოვსკი, რომელმაც აქტიურად დაიწყო ქართული ენის წინააღმდეგ ბრძოლა, სწორედ იანოვსკის დროს აქტიურ ფაზაში შევიდა სკოლებიდან და სახელმწიფო მართვის აპარატიდან ქართული ენის განდევნა,მაგრამ სამწუხარო იყო ის,რომ ამ ვანდალური გეგმის მხარდამჭერად არაერთი ქართველი მოგვევლინა, სწორედ ასეთი იყო ქართველი თავადიშვილი მუხრანსკი, რომელიც გამოვიდა იდეით, თითქოს პატარა ერებს არ ჰქონდათ უფლება,რომ ჰქონოდათ მშობლიური ენა და ამ ენაზე აღზრდილიყვნენ თაობები, სწორედ ამ მზაკრული იდეის წინააღმდეგი გამოვიდა გაბრიელ ეპისკოპოსი, მან მრავალი წერილი დაბეჭდა და გამოაქვეყნა პრესაში. უფრო მეტიც, მან გიორგი მუხრან-ბატონს წერილიც მიწერა, სადაც იგი ცდილობდა,რომ ეჩვენებინა გიორგი მუხრანბატონისათვის ის,რომ ქართველებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო მშობლიური ენის დაცვა.

გაბრიელ ეპისკოპოსი მუხრან-ბატონს წერს: ,, ენა კაცისათვის და მეტადრე საზოგადოთ ხალხისათვის ის არის,რაც სული ხორცისათვის.'' სხვა ვისმესთან, არა ისე განათლებულთან და ლოღიკის მცოდნესთან რომ მქონდეს ბაასი აქ, მე ამ სახით ვუპასუხებდი: თუ ენას დიდი მნიშვნელობა აქვს, მით უმეტესად ბნელია და შეუძლებელი

ხალხისათვის მისი მოსპობა, მით უმეტესად უნდა ეცადოს ხალხი მისს შეკეთებას, გავრცელობას,დამარხვას და არა დაკარგვას და აქვე მოვიყვანდი საღმთო წიგნისაგან ამ სიტყვებს: ,,რა სარგებლი არის შეიძინოს კაცმა სოფელი ყოველი და სული მისი იზღვიოს; ანუ რა მისცეს კაცმა ნაცვლად სულისა მისისა? მაგრამ ვიცი,რომ ამისთანა პასუხი მე შენთან არ გამივა შენ მაშინვე სიტყვას გამიწყვეტ და მიპასუხებ! ,,თუ კი ბუნებითი წესი და კანონი არის,რომ მცირე ხალხის ენა მოისპოს და დიდი ხალხის გავრცელდეს, რაც გინდა იწუხოს და იზრუნოს პირველმა,ბუნება მის წესზედ ვერ გადავა'' მართლა,თუ ის აზრი, რომელსაც შენ ამტკიცებ ბროშურაში-ბუნების კანონი არის, უსარგებლო იქნება ყოველი წინააღმდეგი ზრუნვა და ლაპარაკი. ბუნების წესი, ვით თვით ღმერთის წესი, სრულდება ჩვენდა დაუკითხავად. მისთვის სულ ერთია-მოგწონს თუ არა მისი კანონი.მაგრამ რით ამტკიცებ შენ,რომ ის მოვლენა (მცირე ხალხის ენის განქარვება) არის ბუნებითი წესი? ამას შენ ბროშურაში ამტკიცებ მარტო ლოღიკური თეორიით, მართალია ღრმათ მოსაზრებული და ღონივრულად გამოთქმული თეორიით, მაგრამ მაინც თეორიით. ამ შენი თეორიის თავსაკიდური აზრი ეს არის ,,სახელმწიფო არის და უნდა იყოს ერთი ორგანიზმი,ერთ ორგანიზმს ერთი სული უნდა ჰქონდეს, ენა სულია ორგანიზმისა, მაშასადამე ერთი ენა უნდა იყოს სახელმწიფოში; წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო არ იქნება მაღალი და მკვიდრი. ეს აზრი თეორეთიკულია, შედარებით ანუ დამსგავსებითი შეიძლება სთქვას კაცმა, რომ სახელმწიფო არის შეერთება მრავალთა განყოფილთა ორგანიზმთა, ესე იგი ადამიანთა. რაც გინდა მჭიდროდ და მაგრათ იყვნენ იგინი შეერთებულნი ასო-ასოდ ერთ ორგანიზმს ვერ შეადგენენ. პრაქტიკა, გამოცდილება ამტკიცებს, თუ არა ამ შენ თეორიას? შენ ჩემზე უკეთ იცი,რომ თეორია გამოცდილებაზე უნდა იყოს დამყარებული, ფაქტებიდან უნდა იყოს გამოყვანილი და არა უკუღმა, ესე იგი ფაქტები თეორიიდან არ გამოიყვანება. მართალია, შენ წიგნში კი მოიყვან რომელთამე ფაქტებთა დასამტკიცებლად შენი თეორიისა, მაგრამ ბროშურაში ფაქტები არ მოგყავს; მხოლოდ ამბობ; ისტორიული განხილვა მეორე ნაწილში იქნებაო. თეორია,რაც გინდა ღრმა და საფუძვლიანი იყოს, ვერასოდეს ვერ ახსნის მრავალ-ფეროვანსა, მრავალ კერძოსა,დაუცხრომელად მოძრავსა, მუდამ ცვალებადსა კაცობრივის ისტორიულ ცხოვრებასა. ახლა გადავალ იმ ფაქტების განხილვაზედა, რომელთა შენ მოიყვან წიგნში. მაგრამ წინაპირველად ჩემი მხრით

მოვიყვან აქ ერთ შესანიშნავს, საზოგადო ფაქტს: დედამიწის ზურგზე, დასაბამიდან ქვეყნისა ვიდრე აქამოდე და ახლაც ჩვენ დროებაში,არ ყოფილა და არ არის ისეთი დიდი სახელმწიფო, რომელსა შინა ყოველნი მცხოვრებნი ლაპარაკობდნენ ერთი ენით: ყოველ დიდ-დიდ სახელმწიფოში ყოველთვის და ყველგან, გარდა ერთი უმთავრესი სამმართველო ენისა, ყოფილან სხვა წვრილ-წვრილნი ენები, გარნა ეს გარემოება არაფერს არ უშლის, ე.ი მარტო ამ გარემოებას სახელმწიფო არსად არ დაურღვევია, არც დასუსტებია. შენს წიგნში მოყვალილი ფაქტები, ჩემი შეხედვით, არ ამტკიცებენ შენი ბროშურის თეორიას, არამედ იმის წინააღმდეგ. შვეიცარიას უჩვენებს და იტყვით,რომ აქ სამი ენა არისო, და ამისთვის აქ ერთი მკვიდრი სახელმწიფო არ არისო. შვეიცარია დიაღ მკვიდრი და მაგარი სახელმწიფო არის, ანუ ფედერაციას და რესპუბლიკას შენ სახელმწიფოდ არ სთვლი? ნუ თუ მარტო მონარხია არის მკვიდრი და მაგარი სახელმწიფო და რესპუბლიკა არა? ვგონებ შვეიცარიისთანა განათლებული, მაგარი ერთობით და თანხმობით სავსე სახელმწიფო არც კი არის ევროპაში.

მართალია, ავტორი, რომელსაც შენ მოიყვან შემდგომ შვეიცარიისა მაგალითად, თითქოს შენს აზრს ამართლებს, ავსტრიაში სამი თესლი, ანუ ენაა, ნემცური, მადიარული, სლავიანური, ერთმანეთში უთანხმოდ და სიძულვილით სცხოვრობენ; მაგრამ აქ ენების განსხვავება არაფერ შუაში არის, არამედ სხვანი ისტორიულნი მიზეზნი და გარემოებანი. ზემოხსენებულნი სამნი თესლნი მახლობელ დროებაში შეადგენდნენ სამთა მძლავრთა სახელმწიფოთა. მერმე ხელოვნებით, და არა ბუნებითის წესით,იქმენ შეერთებულნი ერთ სახელმწიფოს ქვეშ. საუბედუროდ მათთა, მართებულობა სწორი სამართლით არ ეპყრობა ყოველ თესლებს; ნემცები და მადიარები ავიწროვებდნენ ჩეხებს და სხვა სლავიანებთა; ბოლოს ერთმანეთშიც აქვთ შური და ცდილობენ მოიპოვონ უპირატესობა, ამ მიზეზებით და არა ენის განსხვავებით არის ავსტრიაში არეულობა და შფოთი.

ისტორია, მართალია იხსენებს მრავალთა თესლთა და ენებთა, რომელნიც თითქმის განქარდნენ ისტორიულ ასპარეზიდან, მაგრამ რა იყო ამის მიზეზი? ძალადობა, მტრებისაგან შევიწროვება,იძულება, ამოწყვეტა! თუ ამ სახით ენის მოსპობას უწოდებ შენ ისტორიულ კანონად და წესად, მაშინ წინააღმდეგ ვერავინ დაგიმტკიცებს. ამ სახით მოისპო გალების თესლი და ენა, რომელსაც შენ ახსენებ წიგნში. გალები ნახევარი

ამოწყვიტეს და დაფანტეს რომაელებმა, ნახევარი ფრანგებმა; მაგრამ ამბობენ, რომ ფრანციაში,ესე იგი ნორმანდიას პროვინციაში ახლაც არიან ნაშთნი მათის თესლისა სველტები,რომელთაც ენაც აქვთ შენახული მათი ძველი. რადგანაც ფრანციას შეეხო სიტყვა, აჰა ერთი შესანიშნავი ჩვენი საგნის ასახსნელად ფაქტი: სუყველანი ამბობენ,რომ ფრანციასთან ერთ-გვაროვანი და ერთ-ენოვანი სახელმწიფო არ არისო ევროპაში; მაგრამ აქაც, სამხრეთის კერძო, ისპაანის საზღვრებთან ახლაც ცხოვრობს ერთი ძველი იბერეთის დანარჩენი ხალხი, სახელად ბასკი, რომელიც ახლაც თავის ძველს ენას ხმარობს,ასე, რომ სასამართლოებში მათ ფრანციული მეთარგმნე უნდებათ, გაშინჯე, რომ ევროპის პირველმა ენამ ვერ მოსპო ბასკების ველური, ძველი ენა, რომელსა ხმარობს ერთი მუჭა ხალხი,ორიათასი წლის განმავლობაში! რასაც შენ ამბობ მეორე ნაწილში შენის ბროშურისა იმაზე, რომ მცირე ხალხისათვის მიუცილებელი საჭიროება და სარგებლობა არისო შეერთება დიდ ხალხთან, მისი ენის სწავლა, მისი ენით მიღება განათლებისა-ეს ყოველი დიაღ პატიოსანი და ჭეშმარიტი, თუ გინდა ბუნების წესი და კანონიც არის ბუნებაში ყოველიფერი სუსტი და მცირე ეძიებს შეერთებას და გაძლიერებას უღონიერესის შემწეობით: სხვა საბუთი და დამტკიცება რომ არ იყოს ამ აზრისა, მარტო ჩვენ ქართველთა მაგალითი და გარემოება ცხადყოფს ამას. ჩვენ შთანთქმულ ვიქნებოდით მაჰმადიანობის სიბნელეში, ამას წინააღმდეგ ვინ იტყვის, გარდა ჭკუით დაბნელებულისა? და თუ მართლა ბუნებას ისეთი წესი და კანონი აქვს, ღვთისაგან მიცემული, რომ მცირე ხალხის ენა და თესლი უთუოდ უნდა შთანთქმულ იქნეს დიდი ხალხისაგან, კურთხეულ არს დიდი და მოწყალე ღმერთი, რომელმან არ დაანება ჩვენი ტომი შთანთქმას თათრებისა და ყიზილბაშებისა, წყეულთა და შეჩვენებულთა. დეე ისევე შთავინთქათ ვრცელ რუსეთის ზღვაში! მაგრამ არ! შეერთება სხვა არის, და შთანთქმა სხვა. ყოველისფერით შეიძლება შეერთდეს მცირე ხალხი დიდთა: სულით, გულით, აზრით, ინტერესებით, მაგრამ მისი ენის მოსპობა არ შეიძლება, და არც არაფერს დააშავებს, ანუ დაუშლის ენა ამ ერთობას. შენ ამბობ, რომ მცირე ხალხი თავის ღარიბ ენის საშუალებით ვერ მიიღებს ცივილისაციასაო.. განა არ შეიძლება, რომ დიდი ხალხის ენით მიიღოს კაცმა სწავლა და განათლება და მისი ენაც არ დაივიწყოს? რა დაგიშალა შენ ქართული ენის ცოდნამ? დიდი განათლება მაინც მიგიღია რუსული, ფრანციული და სხვა ენების საშუალებით, და შენი ენაც არ

დაგიკარგავს. ამ სახითვე იქცევიან ყოველნი პირნი, დიდი განათლების მაძიებელნი, ხალხის ხალხთან ერთობა მარტო ენით არ მოხდება, არც დაბრკოლება; ამას გვიმტკიცებს ისტორია ცხადად. ენაზე უდიდესნი არიან სხვანი კავშირნი, რომელნიც შეაერთებენ უფრო მაგრად ხალხთა და ტომთა: შინაგანი კაცის და ხალხის გრძნობა,აზრი,ხასიათი ენაზე-უდიდესია; ენა არის მხოლოდ გამოთქმული, გარეგანი სახე. თუ სიყვარული, ნდობა,ინტერესების ერთობა არ შეაკავშირებენ კაცს კაცთან, ხალხს ხალხთან, ენა იქ ვერაფერს იქს, და სუყველა ამაზე უდიდესი,გაუწყვეტელი კავშირი ხალხთა შორის, ჩემი აზრით, არის სჯულის აღსარება. თუ ერთი სჯული და აღსარება აქვს ორ შეერთებულ ხალხს, ამაზე უმეტესი კავშირი სხვა აღარ იქნება მათ შორის.

შენი ბროშურის აზრს, თუ უკაცრავად არ ვიქნები ამის თქმით, ის ავნებს,რომ იგი არის გამოთქმული კატეღორიულად, ანუ აკსიომის მზგავსად ე.ი. არა აქვს განსაზღვრება. აქსიომები მარტო მათემატიკაში არიან მისაღებნი, ისტორიაში და ფილოსოფიაში ძნელად მოიპოვებიან ისინი, მართლა, პირველად მცირე ხალხები სხვა და სხვა ნაირი არიან. მათშიც დიდი განსხვავება არის. ჩვენც, ქართველნი და სომეხნი მცირე ხალხნი ვართ ერთი მხრით:;-მეორე მხრით-აფხაზნი,ოსნი, ლეკნი, ვთქვათ, რუსეთში-მორდავა, ჩერემისი და სხვანი-მცირე ხალხნი არიან; მაგრამ ნუ თუ ორივე ამ ღრუპპა ხალხზე ერთი და იგივე ითქმის შესახებ მათი ენისა? მეორე ღრუპპის ენები არიან უკიდურესად მართლა ღარიბნი, მათი ენით არც ერთი განყენებული აზრი არ გამოითქმის; ანბანი და წიგნობრობა მათ არ აქვს, ლიტერატურა მით უმეტესად: თითქმის მამაო ჩვენო ხეირიანად ვერ გადაითარგმნება აფხაზურ ენაზე. ისტორიული თავისი ცნობა მათ არ აქვთ, ერთი სიტყვით, არც ერთი ელემენტი არ აქვს მათ ენას მყოფლობისა, ანუ არსებისა ამისთანა ხალხებზე მარტო,რომ გეთქვა ის აზრი შენი, მაშინ არ გაუძნელდებოდა კიდევ კაცის გონებას მიღება მისი; მაგრამ ქართულის, სომხურის და ამათ მსგავსთა ენათა ზედაც თუ გაავრცელეთ ის აზრი, მაშინ არავინ არ შეიწყნარებს მას, ქართველის და სომხების ენა თუმცა მცირე ხალხის ენები არის, მაგრამ არა ღარიბი; ამ ენებს აქვს მწიგნობრობა, ლიტერატურა,საღმრთო წერილი და მრავალნი წმ.მამათა წერილნი ნათარგმნი; ამ ორ ენაზე ყოველი მეცნიერება და აზრი გამოითქმის; მათ აქვს ორი ათასი წლის მეტი ისტორია; ისინი იყვნენ ოდესმე თვით მდგომარენი სახელმწიფონი, ერთი სიტყვით, აქვთ მათ ყოველნი ელემენტნი არსებობისა

და სიცოცხლისა, ამისთვის მათი განქარვება ძნელად საფიქრებელია, შეუძლებელია. მეორე განსაზღვრება ის უნდა მიგეცა შენი აზრისათვის,რომ შესაძლებელია და მრავალ გზის მომხდარა მცირე ხალხის ენის შეერთება, ანუ უმჯობესად, გადასვლა მისი ერთ გვაროვანის, მაგრამ განსხვავებულის დიდი ხალხის ენასთან; მეგრული ენის ქართულთან და სხვა. მაგრამ ეს იქნება ენის გადაკეთება და გაკეთებაც და არა განქარვება. თავით პოლშური, ბოლღარული,ჩეხური,გალლიჩანური და სხვა. სლავიანების ენები,რომ გადაკეთდნენ რუსულ ენად ესეც გასაკვირველი არ იქნება, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ამისთანა მოვლენაც ძვირად მოხდება. უფრო შესაძლებელია და უფრო ხშირად ამისი წინააღმდეგი მომხდარა, ე.ი.ერთი ძირი დედაენის მრავალ შტოებად განყოფა გარნა ორი, სრულიად სხვა-და-სხვა გვარის ენა შეერთდეს, ანუ მცირე ხალხის სრულიად სხვა გვარის ენა რომ თავისთავად, გარეშე ყოვლის იძულებისა განქარდეს და მისი მაგიერად სრულიად სხვა გვარის ენა რომ მიიღოს, რაც გინდ მცირე იყოს ხალხი, ეს შეუძლებელია. მომეტებული ცენტრალიზაცია როგორც ყველგან მავნებელია, ისე ენებშიაც მომეტებული დეცენტრალიზაციაც არა არის კარგი, მაგრამ ისევ ეს სჯობია პირველს. ე.ი. ცენტრალიზაციას. ამისთვის მე ვგონებ, მავნებელი იქნება ისიც,რომ ენები მცირე ხალხების სულ განქარდეს, და დიდი ხალხების დარჩეს. მესამე განსაზღვრება ის უნდა მიგეცა შენ აზრისთვის, რომ მცირე ხალხში ყოველნი დაწინავებულნი პირნი, თავად-აზნაურები სამღვდელონი. ხშირად ივიწყებენ თავის ენას და დიდი ხალხის ენას მიიღებენ, და არა მთელი ხალხი მისიით ან რა სახით შეიძლება ეს? ავიღოთ ერთი სოფელი, მაგალითებრ, დიღომში ანუ კულაში იმერეთში. აქ გლეხი კაცი და ქალი დაიბადება, სიცოცხლეს ატარებს თავის ოჯახში თავის ენით, ათასში ერთხელ ვერ გაიგონებს სხვა ენასა, რა სახით დაიწყებს ის მის ენას? შკოლებში მოაშლევინებენ მათ ენას? შკოლა სოფლისა ვერასოდეს ვერ იმოქმედებს ისე, რომ თავისი ენა დაივიწყოს. სხვა არის, როდესაც ღიმნაზიაში, აკადემიაში, უნივერსიტეტში ისწავლის კაცი, მაშინ ხშირად დაივიწყებენ თავის ენას; მაგრამ ამისთანა მაღალი სასწავლებელი არასოდეს არ ყოფილა მთელი ხალხისათვის გახსნილი, არამედ ათასში ერთისათვის. მე მგონია, რომ რადგანაც შენ იურისტი ხარ და გონება ყოველთვის გართული გაქვს დიდ-დიდ სამოქალაქო საქმეებში, ამისთვის ნამეტარი ფიცხელი იდეალი შეგიყენებიათ სახელმწიფო მკვიდრობაზე და სიმაგრეზე. ამ შემთხვევაში შენზედაც

ითქმის ის ანდაზა, რომელსა ამბობენ შენებრ ფიცხელ იურისტებზე ქვეყანა თუ დაიქცა, სამართალი ვისთვის იქნება საჭირო. შენ ერთი მხრით ასე ამბობ: სუყველა მცირე ენები განქარდეს, მხოლოდ (ოღონდ) სახელმწიფო გამაგრდესო. მაგრამ საქმე ის არის, რომ ამით სახელმწიფო ვერ გამაგრდება. თუ კიდევ უკაცრავად არ ვიქნები ამის კითხვაზე, წაგიკითხავს თუ არა უცხო ფილოსოფიის დჟონ სტიუარტი მილლის, თხზულება თავისუფლებაზე მესამე ინდივიდუალობა ეს იგი ყოველი საკუთარი განსხვავებული თვისება, ხასიათი საჭირო არის ყოველკაცის (მაშასადამე ხალხისათვის) კეთილ დგომისათვის და ბედნიერებისათვის? ხალხის ინდივიდუალობის უმთავრესი ელემინტი არის ენა. მაშასადამე, ისიც საჭირო არის ხალხის ბედნიერებისათვის. თუ ეს ასე არის, მაშინ ენის გამოცვლა არც მცირე ხალხს არგებს, არც დიდი ხალხისთვის, რომლის ენას მცირე ხალხი მიიღებს, არის სასურველი. მცირე ხალხი, რომ შეერთდება დიდ ხალხთან რაიმე მცირე მაინც თავისი საკუთარი კარგი ელემენტი უნდა შეიტანოს და დაუმატოს დიდ ხალხს, წინააღმდეგ შემთხვევაში დიდ ხალხს უსარგებლო ტვირთი დაედება კისერზე; როგორც,რომ კარგ მუშა, მშრომელს ოჯახს ეშვილოს უღონო ზარმაცი კაცი, არაფერს სარგებლობას არ მისცემს გარდა მისა,რომ ოჯახის ნაოფლარ პურს შესჭამს. მცირე ხალხი, მოკლებული თავის ენასა, იქნება მოკლებული ყოველ ინდივიდუალური ხასიათითა და თვისებითა და უსარგებლო იქნება თავისთვინაც და სხვისთვინაცა, როგორადაც კერძო პირი, არ მექონი პირადი თვითი-მდგომარეობისა, ვერაფერს კეთილს და სასარგებლო საქმეს ვერ იქმს.

ამ ჩვენ ურთიერთ შორის მიწერ-მოწერას ვგონებ შენ არ აძლევ არავითარსა პოლიტიკურ მნიშვნელობასა, ვითარცა მეც არ ვხედავ მას შინა სხვა არაფერს, მხოლოდ ერთ სამეცნიერო ისტორიულ საგანზე ბაასსა. ახლა ისეთი დრო, დადგა, რომ თვით უბრალო მეგობრულ ლაპარაკში ეძიებენ ზოგიერთნი პირნი პოლიტიკურ განძრახვას, ამისთვის დავთვალე საჭიროდ ამისი თქმა. ბოლოს ერთ ბოდიშს კიდევ მოვიხდი. გძელი წიგნით თავი მოგაწყინე; მაგრამ ისეთ საგანზე ვლაპარაკობ, რომელიც შენ გიყვარს და რომელზე ბაასი არ მოგწყინდება. ამისთვის გავბედე გრძელი წიგნის მოწერა.უკაცრავად ვარ აგრეთვე, რომ ცუდი ხელით-ნაწერი არის ეს ჩემი წიგნი'' **(კელენჯერიძე, 2006:131).** იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელის ეს წერილი მრავალმხრივაა საინტერესო, მასში კარგად

ჩანს გაბრიელ ეპისკოპოსის დამოკიდებულება და სიყვარული მშობლიური ენისა და სამშობლოსადმი, გარდა ამისა, აღნიშნული წერილი ნათლად მეტყველებს გაბრიელ ეპისკოპოსის განათლებაზე და იმაზეც, რომ იგი კარგად იცნობს იმდროინდელ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, ამის დასტურია, მისი საუბარი, ფინეთში, პოლონეთსა, და სხვა ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ მეუფე გაბრიელი კატეგორიულად არ ეთანხმება გიორგი მუხრან-ბატონის მოსაზრებისა ქართული ენის გაქრობის შესახებ, იგი თავის წერილში მეტად კორექტულია, წერილში ერთი აბზაციც კი არ მოიძებნება სადაც მეუფე გაბრიელი გიორგი მუხრან-ბატონს არაეთიკურად მიმართავდეს, რაც მეტყველებს გაბრიელ ებისკოპოსის უდაოდ დიდ კაცთმოყვარეობაზე.

ბუნებრივია, გაბრიელ ეპისკოპოსის ასეთი აქტიური ბრძოლა ეროვნული ღირებულებების დასაცავად შეუმჩნეველი არ იქნებოდა მეფის რუსეთისათვის.

რუსეთის ხელისუფლებამ ძალიან კარგად იცოდა, რომ გაბრიელ ეპისკოპოსის წინააღმდეგ ბრძოლა გაუჭირდებოდათ, რადგანაც წმინდა მღვდელმთავარი დიდი სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობდა იმდროინდელ საზოგადოებაში, ამიტომ რუსეთის კოლონიურ რეჟიმს უნდა მოეფიქრებინა ისეთი ცრუ ბრალდებები, რომლებიც გაბრიელ ეპისკოპოსს ავტორიტეტს შეუბღალავდა და, რაც მთავარია, ეს ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო ქრთველი სამღვდელოების ხელით.

რუსეთის ეგზარქოსის ევსევის (ილინსკი) წაქეზებითა და მხარდაჭერით ამხედრდა იმერეთში სამღვდელოების გარკვეული ნაწილი, რომლებიც ყველა ღონეს ხმარობდნენ,რომ გაბრიელ ეპისკოპოსის წინააღმდეგ სხვადასხვა ბრალდებები შეეთხზათ. პირველი პრალდება რაც იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელს წაუყენეს იყო, გელათის მონასტრიდან უძველესი სიწმინდეების გატანა და გაყიდვა რუს კოლექციონერ პრ.უვაროვაზე და ბაბრინსკიზე, საქმე იმდენად გახმაურდა, რომ იმდროინდელი პრესა გადაჭრელებული იყო აღნიშნული საკითხით, არადა საქმე სრულიად სხვაგვარად იყო, როგორც ცნობილია, მეუფე გაბრიელმა ქუთაისის გუბერნატორს და მის მეუღლეს (ლევაშოვი) ნება დართო, რომ გელათის მონასტრიდან წაეღოთ ძველი და ნაკლები ღირებული საეკლესიო ნივთები სამაგიეროდ გელათის მონასტრისათვის გადაეცათ საეკლესიო ხმარებისათვის ახალი

ნივთები. მაგრამ გელათის მაშინდელმა წინამძღვარმა ბესარიონ დადიანმა რუს კოლექციონერებს გადასცა უძველესი გელათის სახარება რომელიც მინანქარში იყო გაკეთებული, ამის შესახებ მეუფე გაბრიელმა არაფერი არ იცოდა. ,, ნაკლებ ღირებული საეკლესიო ნივთების გადარჩევა, მეუფემ გელათის მაშინდელ წინამძღვარს ბესარიონს (დადიანი) მიანდო . ბესარიონ დადიანმა კი, ლევაშოვასა და მის ძმას პანინს გადასცა არა მოძველებული და უარგისი, არამედ ბევრი ისეთი ნივთი, რომელიც შეუფასებელი ღირებულების იყო ამასთან პანინს, ეს ნივთები,ბესარიონმა მეუფე გაბრიელთან შეთანხმების გარეშე მისცა საბაბი ასეთი იყო-თითქოსდა ქველმოქმედი ლევაშოვა და მისი ძმა, ამ ნივთებს განაახლებდნენ და ისე დაუბრუნებდნენ გელათის მონასტერს''**(კიკნაძე, 2009:17).** რაც ბუნებრივია, ლევაშოვას არ გაუკეთებია. მართალია, გელათის უძველესი სახარება დააბრუნა, მაგრამ მას მინანქარი მთლიანად მოხსნილი ჰქონდა ყდიდან, რაც გახდა მიზეზი იმისა, რომ გაბრიელ ეპისკოპოსისათვის დაებრალებინათ გელათის სიძველეების გაყიდვა რაშიც მეუფე გაბრიელს არანაირი ბრალი არ მიუძღოდა პირიქით, იმერეთის ეპისკოპოსი სიცოცხლის ბოლომდე წერილს-წერილზე გზავნიდა რუსეთში, რომ გელათის სახარებისთვის მოპარული მინანქარი დაებრუნებინათ, მაგრამ უშედეგოდ.

მეორე ბრალდება, რაც გაბრიელ ეპისკოპოსს წამოუყენეს იყო ის,რომ იმერეთის ეპისკოპოსი თავადებისაგან ინდულგენციებს იღებდა შენდობის ლოცვის წაკითხვაში, ეს ბრალდება იმდენად სწრაფად გავრცელდა, რომ იმდროინდელი საზოგადო მოღვაწეების გარკვეულმა ნაწილმა დაიჯერა კიდეც და მეუფე გაბრიელს გაუწყრნენ. მაგალითად აკაკი წერეთელი იქამდე მივიდა,რომ გაბრიელ ეპისკოპოსის საწინააღმდეგოდ გადაწყვიტა გაზეთ ,,დროებაში'' გაეგზავნა წერილი დასაბეჭდათ, მაგრამ დიდმა პოეტმა გონიერება გამოიჩინა და სანამ წერილს გამოაქვეყნებდა მანამ შეხვდა გაბრიელ ეპისკოპოსს, ამ შეხვედრას აკაკი წერეთელი შემდეგნაირად იხსენებს: ,, გაბრიელის მოწინააღმდეგეები ამბობდნენ, რომ მღვდელ-მთავარი შენდობის წიგნს ჰკითხულობს, ინდულგენციას აძლევდენ და ფულებს იღებსო, დიდხანს არ მეჯერა, მაგრამ ბოლოს, ჩემდა სამწუხაროდ, თვითონვე დავესწარი, როცა შენდობის წიგნს უკითხავდა მსურველებს, წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება და გაგიჟება!.. ამ გარემოებამ ისე მომწყვიტა წელი, რომ ჩემი იდეალი შეიცვალა, შორს გაიტყორცნა და რაც კი ჭორი გამეგონა მის შესახებ სუყველა დავიჯერე.

დავსწერე გასაკიცხი წერილი და ვაპირებდი ,,დროების'' რედაქციაში გაგზავნას დასაბეჭდად! მაგრამ იმდენი რიგიანობა კიდევ ვიხმარე, რომ მოვინდომე ჯერ მისთვის მეჩვენებია ის. მის შესახებ სტატია და პირადად გადამეცა ჩემი გულის პასუხები,-ვეახელი ის ჩვეულებრივად ტკბილად დამხვდა, მაგრამ აშფოთებული რომ მნახა, შეწუხდა და მიზეზი გამომკითხა... მე, ბრაზმორეულმა საყვედურებით მივმართე და რასაც ვფიქრობდი დაუფარავად გადავეცი, ისიც სიამოვნებით მიგდებდა ყურს და რომ გავჩუმდი დამშვიდებულად ღიმილით მითხრა : ძალიან მომწონს ეგ შენი აღელვება და მიხარია, რომ საზოგადო საქმის ტრფიალმა, და არა საპირადო რამ, იქამდის მიგიყვანა,რომ მოთმინებიდან გამოგიყვანა და ოჯახის შვილის ზრდილობაც დაგაკარგვინა! ახალგაზრდობა-ახლად ამოღებული ყაჭია, რომელსაც, დახვეწა ეჭირვება და მის დამხვეწიც გამოცდილებაა. ღმერთმა ინებოს, რომ შენ მაგ გრძნობებისათვის ხელი არ შეგეშვას! საზოგადო საქმეების გამო თავგამოდება ზნედ გადაგიქციოს! ეგ აჩქარება თავ-შეუკავებლობა ცოტა წინდაუხედავობა და ამგვარი რამ შეცდომები ქერწლია, რომელსაც დრო გააცლის და გამოცდილება დახვეწავს!... შენ ხანში სწორედ მეც მაგრე ვიყავი, მაგრამ დღეს კი ისე რომ მოვიქცე არ შემშვენის...

შენც კარგად იცი,რომ მე ახლ ჩამოსულობაზე პირველ ხანებში, კრებულისათვის თუ, თუ არა ჩემთვის საწირავსაც არ ვიღებდი და დღეს კი შენდობის წიგნს ვუკითხავ მსურველებს და მათგან მოწოდებულ წვლილსაც ხელის ვკიდებ. რად? იმიტომ,რომ გამოცდილებამ სულ სხვა რამეზე დამარწმუნა, ჯერ ერთი ეს რომ ჩვენს ხალხს ადრითგანვე ჩვეულებად ჰქონია, მღვდელ-მთავრისაგან შენდობის გამოთხოვა რჯულის კანონად ჰქონია გადაქცეული!... როცა შენდობას ითხოვს, ცხადია, რომ ის თავის გულში იხედება. სინანულში ვარდება და ეს კარგია... ამგვარი რამ ადამიანს გულიდან არ უნდა ამოერეცხოს! და რაც შეეხება სასყიდელის აღებას, ეს ის აუცილებელ და საჭირო ძღვნად მიაჩნია ჩვენ ხალხს როგორც ხატის წინ სანთლის ანთება! ამის აკრძალვას ისე მიიღებს, როგორც სანთლის ანთების დაშლას. ახლა პრაქტიკულადაც გავსინჯოთ ეს საქმე, ის თვითო-ოროლა წვლილი, რომელსაც იძლევიან თავის სურვილით ამათ არად დააკლდებათ, ბევრი მათგანი სულ ცუდად დახარჯავს წარა-მარა სადმე დუქანში ლოთობის დროსა და მე-კი ვაგროვებ და საზოგადო დანიშნულებას ვაძლევ, ამგვარად მათი წვლილის შეგროვება და ხარჯვა

შემწირველისათვის მადლია და ქვეყნისათვისაც სასარგებლო'' **(წერეთელი, 1961:475,476)** ამ განმარტების შემდეგ აკაკი წერეთელს მეუფისათვის შენდობა გამოუთხოვია.

მეუფე გაბრიელის წინააღმდეგ განხორციელებულმა ცილისწამებებმა თავისი შედეგი გამოიღო, გაბრიელ ეპისკოპოსს ჯერ მდივანი ცნობილი პუბლიცისტი ესტატე მჭედლიძე მოუკლეს და შემდეგ მეუფე გაბრიელსაც მიწერეს მუქარის შემცველი წერილი. მდგომარეობა იმდენად დაიძაბა, რომ მეუფე გაბრიელს ურჩევდნენ, რომ ქვეყანა დაეტოვებინა თავად იმერეთის ეპისკოპოსი ერთი პერიოდი ფიქრობდა სამშობლოს დატოვებას, ამის შესახებ თავად მეუფე გაბრიელმა გაზეთ ,,დროების'' მეშვეობით აცნობა 1885 წელს ქართულ საზოგადოებას: ,,ჩემი სურვილის სიმდაბლე იყო, რომ შევშინდი, მაგრამ მთლად ჩემი თავისთვისაც არ შევშინებულვარ მე ერთი ხნიერი კაცი ვარ დიდ ხნის სიცოცხლე მაინც არ მაქვს, მაგრამ რომ მართლა მოვეკალით, რა ჩირქი დაედებოდა მთელ ხალხს, რომელმაც თავისი მოძღვარი ასე სასტიკად გაიმეტა. ამან მაფიქრებინა ჩემი ქვეყნის დატოვება, მაგრამ როგორც ვხედავ, მართლა სწუხს საზოგადოება და არ ჰსურს ჩემი მოშორება, რომ კიდევაც გადაწყვეტილი მქონდეს წასვლა, მაინც აღარ წავალ და ვეცდები გადავიხადო მცირედ მაინც ეს დაუმსახურებელი პატივისცემა''**(,,დროება,'' 1885 №141:2).** ამ წერილიდან ნათლად ჩანს გაბრიელ ეპისკოპოსის შეუდრეკელი და მებრძოლი ხასიათი, მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობებისა, მეუფე გაბრიელი მაინც ვერ გატეხეს და ვერ ათქმევინეს უარი ეროვნული ღირებულებების სადარაჯოსთან დგომაზე.

§2. გაბრიელ ეპისკოპოსის ქველმოქმედება და მეცენატობა

გაბრიელ ეპისკოპოსის ბრძოლა ეროვნული ღირებულებების დასაცავად გამოიხატებოდა მისი ქველმოქმედებით და მეცენატობით, რომელიც მიმართული იყო ქართული კულტურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის დასაცავად, სამართლიანად შენიშნავს პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი როდესაც წერს: ,, განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა გაბრიელი ხალხის სწავლა-განათლებისადმი მისი თაოსნობით დასავლეთ საქართველოში ასზე მეტი სამრევლო სკოლა და მრავალი ბიბლიოთეკა

გაიხსნა''**(ნიკოლეიშვილი, 1990:17).** უფრო მეტიც 1893 წელს ჟურნალმა ,,კვალმა'' გამოაქვეყნა სქატია რომელიც ზუსტად აფასებს გაბრიელ ეპისკოპოსის საქველმოქმედო მოღვაწეობას: ,,იმერეთში არ დარჩენილა არც ერთი დავრდომილი, რომელსაც არ განეცადოს მისი მოწყალება. არც ერთი კაცთმოყვარული საზოგადო დაწესებულება არ დაარსებულა იმერეთში,რომ გაბრიელი არ შეწეოდეს'' **(,,კვალი'', 1893 №42:2).**

როდესაც საუბარია გაბრიელ ეპისკოპოსის ქველმოქმედებასა და მეცენატობაზე აუცილებელია, ყურადღება გავამახვილოთ მის დამოკიდებულებაზე ხელმოკლე სტუდენტების ადმი, ქართული სკოლებისა და ბიბლიოთეკების დაარსებასა და შეჭირვებული ხალხის შემწეობის აღმოჩენაზე.

როგორც უკვე ზემოთ ავღნიშნეთ, მეუფე გაბრიელი განსაკუთრებით დიდ მზრუნველობას იჩენდა გაჭირვებული ოჯახის შვილების სწავლა-აღზრდის საქმეში, მის სამეუფეო რეზიდენციაში ეპისკოპოსის ხარჯით არაერთმა ახალგაზრდამ მიიღო განათლება. გაბრიელ ეპისკოპოსის აღზრდილი გიორგი ახვლედიანი იხსენებს იმ მოსწავლეების სახელებსა და გვარებს, რომლებმაც მეუფე გაბრიელის ხარჯით მიიღეს განათლება: ,, ილარიონ მგალობლიშვილი, ტიტიკო ქიქოძე, ვასილ ხაინდრავა, ნიკო ახვლედიანი, მეორე ნიკო ახვლედიანი, ლავრენტი ჩიქოვანი,პოლია ახვლედიანი, რაჟდენ თაყაიშვილი, ვლადიმერ ქიქოძე, გერასიმე ქიქოძე, ერასტო ასათიანი, კოწია გელოვანი, ნესტორ ლორთქიფანიძე, გიორგი ახვლედიანი, ნოე ჩხენკელი, ვარდენ ცქიტიშვილი, გიორგი ერისთავი, კალენიკე ჩხაიძე, კოტე ჯაყელი, მურადოვი, რუსი ებრაელის შვილი ნესტორი გაბრიელის ნათლული, ჩხაიძე მაკარი ბერიშვილი. ამთ გარდა ჩემს წინათაც იზრდებოდნენ სხვები'' **(კელენჯერიძე, 2006:154).** გიორგი ახვლედიანის ამ მოგონებიდან ჩანს, რომ გაბრიელ ეპისკოპოსის რეზიდენციაში საკმაოდ ბევრი ახალგაზრდა იზრდებოდა და ეწაფებოდა განათლებას, რაც გაბრიელის მხრიდან უდაოდ დიდ ქველმოქმედებად უნდა ჩაითვალოს. აქ საინტერესო არის ის, რომ გიორგი ახვლედიანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გაბრიელ ეპისკოპოსს მანამდეც (იგულისხმება გიორგი ახვლედიანის სწავლის პერიოდამდე) ჰყავდა ახალგაზრდები თავის რეზიდენციაში, რომლებიც ეპისკოპოსის ხარჯით იღებდნენ განათლებას.

გაბრიელ ეპისკოპოსის ჩანაწერებში მოიძებნება ერთი საინტერესო ხელნაწერი სადაც საუბარია გაბრიელ ეპისკოპოსის საქველმოქმედო საქმიანობა აფხაზეთში, როგორც ამ წყაროდან ირკვევა მეუფე გაბრიელს აფხაზი ახალგაზრდებისათვის სასწავლებლად შეუწირავს 20 მანეთი, მანვე გამოიწერა 300 მანეთად ჯვარი აფხაზეთისათვის, გაჭირვებული აფხაზისათვის გადაუცია 20 მანეთი. (არ ასახელებს) სოხუმში ანჩაბაძის სასწავლებლად გაგზავნა 40 მანეთი,(არც აქ მიუთითებს ვინ იყო ანჩაბაძე), მეუფე გაბრიელმა აფხაზი დანჩიევის სასწავლებლად გამოყო 10 მანეთი, გაბრიელ ეპისკოპოსმა აფხაზი ბავშვების სწავლაში დახარჯა 685 მანეთი. იმერეთის ეპისკოპოსის ასეთ ქველმოქმედებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აფხაზი მოსახლეობისათვის, იმ დროს როდესაც აფხაზეთის მოსახლეობა განიცდიდა რუსეთის კოლონიური პოლიტიკის არნახულ ზეწოლას, რაც იმაში აისახებოდა, რომ აფხაზეთში ახალგაზრდებს სრულიად ურთულებდა სწავლის მიღების შესაძლებლობას, მეუფე გაბრიელის ასეთი მხარდაჭერა მართლაც, რომ დასაფასებელ ფაქტს წარმოადგენს.

1885 წელს ქუთაისის გიმნაზიაში ერთი მეტად ცუდი ფაქტი მოხდა, გიმნაზიიდან გარიცხეს 120 მოსწავლე, რასაც დიდი უკმაყოფილება მოჰყვა იმდროინდელ საზოგადოებაში, ამ ფაქტის შესახებ პრესაც კი აჭრელებული იყო, უკმაყოფილო საზოგადოების სტატიებით, უკმაყოფილო სტუდენტებმა გიმნაზიის შენობის მინებიც კი ჩაამსხვრიეს.

მიუხედავად საზოგადოების ასეთი უკმაყოფილებისა მაინც დაივიწყეს გიმნაზიიდან გარიცხული მოსწავლეები, მაგრამ ქუთაისში იყო ერთი ადამიანი, რომელსაც მოსვენებას არ აძლევდა ახალგაზრდა გიმნაზიელების ბედი.

ქუთაისის გიმნაზიასთან, არსებულ წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარში, ნიკოლოზობას მეუფე გაბრიელი, წირავდა ხოლმე, და მართლაც 1885 წლის ნიკოლოზობას გიმნაზიას ესტუმრა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, წირვის შემდეგ იგი გამოვიდა ამბიონზე და დაიწყო ქადაგება, რომელიც გიმნაზიიდან გარიცხული მოსწავლეების ბედს პირდაპირ ეხებოდა,, -ჩემი შვილებო, თქვენ დღეს მოისმინეთ სახარების სიტყვები: ღმერთი, ვინც უყვარს, იმას სჯის...

სახარების ამ სიტყვების შესახებ მინდა გელაპარაკოთ. დღეს თქვენ, ჩემო შვილებო, და უფრო თქვენ, აღმზრდელნო და მასწავლებელნო!

ზარმაცის, გაუგონარის, ცუდის ყოფაქცევის ბავშვის თავიდან მოშორება,დათხოვნა და ხელის დაბანა,-ამაზე ადვილი რა იქნება,-მაგრამ ეს არ არის აღმზრდელის დანიშნულება. მას მეტი მოთმენა სჭირია, ვიდრე რაც გინდა სხვა ხელობის კაცს, და მეტი კიდევ სიყვარული მათდამი, ვინც ხვალინდელ საზოგადოებას წარმოადგენდნენ. უდიდესია მოვალეობა იმათი, ვინც მომავალ თაობის აღმზრდელობას კისრულობს და უმაღლესი აღმზრდელს არ აქვს უფლება სთქვას,რაც შემეძლო ვქენი და მეტი აღარ შემიძლიანო დასაჯეთ, გაუჯავრდით, დატუქსეთ ზარმაცი და გაუგონარი, უფრო კიდევ შეეცადეთ სიყვარულით და მოთმინებით მიუგნოთ მისისა ბუნების კეთილი მხარენი და მისის ნაკლულოვნების მიზეზები...

ერთხელ, ერთი ინგლისური სკოლის გამგემ, მიჰმართა ბავშვებს და ჰკითხა: რა გირჩევნიათ, სკოლიდან დაგითხოვოთ თუ წკეპლა დაგარტყათ სიზარმაცისა და დანაშაულისათვის.

და იცით რა უთხრეს ბავშვებმა, იმ ეშმაკმა ინგლისელმა ბავშვებმა? -გაგვწკეპლეთ, ოღონდ ნუ დაგვითხოვთო, -ერთხმად შესძახეს მათ...

დათხოვნა,თავიდგან მოშორება ამისთვის აღმზრდელობა არ არის საჭირო'' **(ზურაბიშვილი, 1962:69) .**

გაბრიელ ეპისკოპოსის ეს სიტყვები და დამოკიდებულება ახალგაზრდა მოსწავლეების მიმართ გასაგებია, მეუფე გაბრიელს ძალიან კარგად ესმოდა, რომ ის მოსწავლე რომელიც არ სწავლობს უნდა იქნეს დათხოვნილი, მაგრამ იმერეთის ეპისკოპოსს იმ პედაგოგებისაგან განსხვავებით ისც ძალიან კარგად ესმოდა,რომ ქართულ საზოგადოებას იმ პერიოდში არ ჰყავდა დასაკარგი ახალგაზრდობა, რომლებიც შემდგომში უნდა დამდგარიყვნენ ეროვნული ღირებულებების დაცვის სადარაჯოზე და ამიტომაც იყო, რომ იგი მოუწოდებდა აღმზრდელებს თუ მასწავლებლებს მეტი წინდახედულება და გონიერება გამოეჩინა.

1890 წელს ქუთაისში მეუფე გაბრიელის ხელმძღვანელობით გაიხსნა ქალთა სასწავლებელი, 1894 წლს კი სასულიერო სემინარია, ეს იმ დროს როდესაც ქართველ ახალგაზრდობას არანაირი საშუალება არ ჰქონდა, რომ სწავლა განათლება მიეღო.

ქუთაისში სასულიერო სემინარიის გახსნასთან დაკავშირებით 1872 წლის გაზეთი ,,დროება" იუწყებოდა : ,,უმეცარ სამღვდელოებას რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ხალხისათვის? ამისთვის ახლანდელი იმერეთის ყოვლადსამღვდელო გაბრიელი დიდი ხნითგან და დიდად მონდომებული იყო, რომ ქუთაისში სემინარია გახსნილიყო. მაგრამ საშუალება არ იყო, უმაღლესმა სასულიერო მთავრობამ, რომელთანაც ამაზე მიწერ-მოწერა ჰქონდა ყოვლად სამღვდელოს, შემწეობაზე უარი სთქვა ბოლოს აქაურს ეკლესიას შემოსავალი მოუმატა. წინა წლებში გადავიდა ხაზინის უწყებაში მრთელი ეპარხიის საეკლესიო ადგილ-მამულები, რომლების მაგივრად ხაზინამ უნდა აძლიოს ეკლესიას ყოველ წლობით 26 ათას მანეთამდე. ყოვლად სამღვდელომ დაინახა შესაძლებლად რომ ამ ფულიდან ეპარხიის სხვადასხვა, აუცილებელი საჭიროების დაკმაყოფილების შემდეგ გადიდვას კარგა ძალი სუმა სემინარიისათვის, რომლისთვისაც საჭიროა ყოველ წლობით 26-30 ათას მანეთამდის. ყოვლად სამღვდელომ მიმართა სამღვდელოებას. წელს მან დაიარა მრთელი იმერეთის ეპარხია, ყველა საბლაღოჩინო მაზრებში სამღვდელოების ყრილობაზე ელაპარაკებოდა სემინარიის გახსნის თაობაზე, ითხოვა,რომ სამღვდელოებას თავის მხრით მიეცა შემწეობა და ეხმარა უკანასკნელი საშუალება ამ სასარგებლო საქმის სისრულეში მოყვანისთვის პირველ სექტემბერს, როდესაც დეპუტატებმა სასულიერო სასწავლებელში თავი მოიყარეს და როგორც წინა წლებში, თავ-მჯდომარედ ერთხმად აირჩიეს დეკანოზი ი.გამრეკელოვი, კრებაში მოვიდა ეპისკოპოსი და თან მოიტანა დაწერილი წინადადება, რომელშიც იყო ნათქვამი, რომ სემინარიის და სასწავლებლის შესანახავად საჭიროა წელიწადში ორმოცდაათი ათასი მანეთი მაინც, და რომ სასწავლებელიც არსებობდეს და სემინარიაც გაიხსნას უცილობლად საჭიროა, რომ სამღვდელოებამ მიიღო თავის-თავზე ყოველ წლობით ზემო დანიშნულის მესამედი მაინც. ესეიგი 10 000 მანეთზე მეტი იქვე იყო ნაჩვენები რა და წყაროებიდან შეეძლოთ ამ ფულის შემოტანა'' **(,,დროება," 1872 №37:2).**

1874 წელს სოფელ ბახვში გაბრიელ ეპისკოპოსმა თავისი ხარჯით დაარსა სკოლა, რასაც ბახვის მოსახლეობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. აღნიშნული სკოლა

მთელს გურიაში ერთ-ერთ საუკეთესო სკოლად ითვლებოდა. ამის შესახებ გაზეთი ,,დროება'' 1875 წელს წერდა: ,, გურიაში ყველა სასოფლო შკოლებზე და მე ვგონებ სხვა უეზდების სასოფლო შკოლებზედაც უფრო დაწინაურებულია ბახვის საზოგადოების სასოფლო შკოლა, რომელიც იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა 1874 წელს დაარსა თავისი ხარჯით. ეს შკოლა კარგი ორეტაჟიანი შენობაა და რიგიანი მასწავლებლებიც ჰყავს, ამ შკოლაში ახლა 138 მოსწავლენი დაიარებიან, რომელსაც ძალიან კარგად და მოსაწონად ასწავლის ახალის მეთოდითა შკოლის მასწავლებელი და მოსწავლენიც ძლიერ ხალისიანად სწავლობენ; მალე მეორე მასწავლებელსაც მიუმატებენ. ამას გარდა ისმის, რომ ეტაჟში ქალების შკოლის გახსნასაც აპირებს სკოლის დამაარსებელი'' **(,,დროება,'' 1875 №34 :2).**

გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ ბახვში სკოლის დაარსებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ეს ფაქტი იმდენად იშვიათი იყო იმდროინდელ საქართველოში, რომ აღტაცებული საზოგადოება მადლიერებასა და სიხარულს გამოხატავდა გაბრიელ ეპისკოპოსის მიმართ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიებით.

გაზეთმა ,,დროებამ'' ბახვში გახსნილ სკოლას მეორე საინტერესო წერილი მიუძღვნა, სადაც ვკითხულობთ: ,, შესაძლებელი ყოფილა რიგიანად საქმის წაყვანა ჩვენს ღარიბს, ათასი მხრით შევიწროვებულ შკოლაში თუკი მასწავლებელი ცოტაოდნათ მაინც გამოცდილია და სინდისიანად შრომობს. ჯერ 8 თვეც არ არის რაც ეს შკოლა დაარსებულა და ყმაწვილებს კი იმდენი მოუსწრიათ და შეუთვისებიათ, რომ სასურველია სხვა აქაურ საუკეთესო შკოლებშიც ამდენი მოესწროთ, შკოლის დისწიპლინაც იმდენად გამაგრებულია, რომ საკმაოდ ხდის ერთადერთ მასწავლებელს ას-ოცდათერთმეტი ყმაწვილისაგან შემდგარ შკოლაში. ბახვის შკოლის გახსნაზე დიდი ხანი ზრუნავდა როგორც აქაური სოფლის საზოგადოება, აგრეთვე იმერეთის ეპისკოპოსი, რომლის ხარჯით აშენდა ამ შკოლის სახლი'' **(,,დროება,'' 1875 №80 :2).**

1882 წელს გაზეთმა ,,ივერიამ'' გამოაქვეყნა მორიგი სამადლობელი წერილი; ,,ოზურგეთიდან გვწერენ, რომ იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლადსამღვდელო გაბრიელის ხარჯით, სოფელ ბახვში რამდენიმე წელიწადია რაც გაიხსნა სასოფლო სკოლა, რომლისთვისაც თვით ყოვლად სამღვდელომ ააშენა შენობა, დანიშნა მასწავლებელი და

სხვა. ხალხი რასაკვირველია ძალიან მადლობელია ეპისკოპოსისა ამ ქველმოქმედებისთვის რადგან სკოლაზე კაპეიკიც არ ეხარჯებათ'' **(,,დროება,'' 1882 №258:2).**

მიუხედავად საზოგადოების ასეთი შეფასებისა მეუფე გაბრიელს სურვილი ჰქონდა,რომ აღნიშნული სასწავლებელი გადაქცეულიყო ორკლასიან ნორმალურ სკოლად და არა ჰქონოდა ორკლაისიანი სასოფლო სასწავლებლის სტატუსი, ამისათვის გაბრიელ ეპისკოპოსს ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკში შენახული ჰქონდა თორმეტი ათასი მანეთი, სამინისტრომ იმისათვის, რომ გაბრიელის სურვილი აღსრულებულიყო მოითხოვა,რომ აღნიშნული თანხა გადაეტანათ სახელმწიფო ბანკში. ამის შესახებ გაზეთი ,,ივერია'' წერდა :,, სოფელ ბახვიდამ გვწერენ, რომ ჩვენებური ორ კლასიანი სასოფლო სასწავლებელი, რომელიც ყოვლად პატივცემულ ეპისკოპოს გაბრიელის მეოხებით არის დაარსებული და იმისავე ხარჯით ინახება დღემდე. სამინისტრომ ორ კლასიან ნორმალურ სასწავლებლათ უნდა გადაკეთდესო. ეპისკოპოსს ამის შესახებ, სადაც ჯერ არს, თხოვნა წარუგზავნია და პასუხად მოსვლია,რომ ის თორმეტი ათასი მანეთი, რომლიც სკოლის სახელობაზე დღეს ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკში ინახება, სახელმწიფო ბანკში უნდა გადაიტანოთ აი, ამასთანავე სოფელმა უნდა იკისროს შენობის შეკეთება. ეპისკოპოსს ეს ამბავი მაზრის უფროსისათვის უცნობებია სოფლისათვის გამოსაცხადებლად'' **(,,ივერია,'' 1891 №189:2).**

1880 წელს გაბრიელ ეპისკოპოსმა ქუთაისში გახსნა მოსამზადებელი სასწავლებელი, რომლის შესახებ თავად აცნობებდა საზოგადოებას გაზეთი ,,დროების'' მეშვეობით: ,,ვინ არ იცის რა მხურვალე სურვილი და მისწრაფება სწავლისა და განათლებისადმი არსებობს ჩვენს ქვეყანაში ერთი მხრით და მეორე მხრით რა დიდი დაბრკოლება აქვთ მშობელთა შვილების გაზრდაში და სწავლაში: ვინ არ ხედავს იმასაც,რომ აწმყო დროში დაარსებულნი სახელმწიფო სასწავლებელნი ვერ აკმაყოფილებენ ყოველთა მოთხოვნილებათა და ვერ შველიან მშობელთ ამ მძიმე და უმთავრეს საქმეში მით უმეტესად სასიამოვნო არის დღევანდელი გახსნა ამ ახალი სასწავლებლისა.

გარდა დღევანდელ საქმეს, ესე იგი ამ ახლის შკოლის დაარსებას თან უვლის ერთი გარემოება, ესე იგი ამ ახლის შკოლის სასიამოვნოთ და შესანიშნავათ მყოფს მას: ეს სასწავლებელი იხსნება სურვილით დაწყებით შრომითა და ხარჯითა კეთილშობილ

საზოგადოების, გარეშე მთავრობის შეწევნისა ამ შკოლის და სხვა ამის მსგავსის შკოლების გახსნა გვაჩვენებს, რომ ჩვენმა საზოგადოებამ გაიღვიძა და დაიწყო თავის-თავის შველა და თავის-თავის მოხმარება, აქამომდე ჩვენ ყველაფერს მოვითხოვთ და მოველოდით მთავრობისაგან და ჩვენც სიმართლით და მადლობით აღვიაროთ, რომ მთავრობაც ცდილობდა, რაც შეეძლო ხალხის განათლებისათვის; გარნა მთავრობა ყოვლის შემძლებელი არ არის მას არ შეუძლია დააკმაყოფილოს ყოველი კაცი და ყოველი კაცის შვილები გაზარდოს. კიდევ გავიმეორებ: მით უმეტესად სასიამოვნოა, რომ თვით საზოგადოებამ გაიღვიძა და დაიწყო თავის თავის შველა''**(„დროება," 1880 № 34:4).**

გაბრიელ ეპისკოპოსის სახელთანაა დაკავშირებული ქუთაისში ქალთა სასწავლებლის გახსნა, რომლისთვისაც გაბრიელ ეპისკოპოსმა ხუთი ათასი მანეთი გაიღო, და ეგზარქოსს თხოვლით მიმართა,რომ ნებართვა მიეცათ ქალთა სასწავლებლის გახსნაზე, მთავრობისა და სინოდის მსჯელობის შემდეგ გაბრიელ ეპისკოპოსს ნებართვა მისცეს ქუთაისში ქალთა სასწავლებლის გასახსნელად, ამასთან დაკავშირებით 1892 წლის გაზეთი,,ივერია'' იუწყებოდა: ,, მისი იმპერატორებითის უდიდებულესობისა, რუსეთის თვით-მპყრობელისა, უწმინდესისა და უმართებულესის სინოდისაგან, სინოდის წევრის, საქართველოს ეგზარქოსის, მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის პალადის, ქართლისა და კახეთის მთავარ-ეპისკოპოსის მიმართ.

მბრძანებისამებრ მისი იმპერატორებითის უდიდებულესობისა, უწმ. და უმართებულესმა სინოდმა მოისმინა ბ-ნ სინოდის ობერპროკურორისაგან წარმოდგენილი 4 მარტის №212-ე სამოსწავლო კომიტეტის ჟურნალი, წარმოდგენილი თქვენის უსამღვდელოესობისაგან, რომელშიაც შუამდგომლობთ: 1) ქუთაისში იმერეთის საქალებო ეპარქიულ სასწავლებლის დაარსებას იმ წესით,რა წესიც არის ნაჩვენები ეპარქიულ საქალებო სასწავლებლის წესდებაში და უწმინდესის სინოდის ბრძანებაში, 14 მაისიდგან 1872 წლის №25-ე, იმ განსხვავებით რომ ამ სასწავლებელში, ადგილობით მოთხოვნილების ძალით, შემოღებული უნდა იქნეს ქართული ენის სწავლება და დაენიშნოს ამ საგნის მასწავლებელს კვირეული ათის გაკვეთილისათვის სასყიდელი, ამასთან თქვენი მეუფება დასძენს, რომ ამ სასწავლებლის მოსათავსებლად დანიშნულია ადგილი, რომელზედაც არის ქვითკირის ეკლესია წმინდა სამების სახელზედ და ორ-სართულიანი ქვის შენობა და

სასწავლებლის შესანახავად მოიპოვება ადგილობითი ეპარქიური საშუალებანი და 2) რათა გამოთხოვილ იქნეს უმაღლესი ნება-რთვა, ეწოდოს ამ სასწავლებლის იმერეთის ეპარქიალური გაბრიელის საქალებო სასწავლებელი, სახსოვარათ იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის 30 წლის სამსახურისა იმერეთის ეპარქიაში და თავის საშუალებითგან 5000 მანეთის შეწირვისა გამო ამ სასწავლებლის სასარგებლოდ.

ჰბრძანეს: მივიღეთ რა სახეში რომ სამკლასიან ეპარქიალურ საქალებო სასწავლებლისათვის უკვე არის შენობა ქალაქ ქუთაისში და შესანახავადაც მზად არის ადგილობითი ეპარქიალური საშუალება, უწმინდესმა სინოდმა, სამოსწავლო კომიტეტის დასკვნის მოსმენის შემდეგ, განაწესა: ნება მიცეს თქვენს მეუფებას გამართოს ქალაქ ქუთაისში სამ კლასიანი ეპარქიალური საქალებო სასწავლებელი მოსამზადებელ კლასით თქვენს უსამღვდელოესობის წარმომადგენლობაში მოხსენებულ საფუძველთა ზედა, იმ პირობით კი, რომ არა სავალდებულო საგნებისაგან სრულიად გამორიცხოს მუსიკა,გერმანული და ფრანგული ენები, როგორც სრულებით გამოუსადეგარი მანდაურ სამღვდელოებისათვის და რომ ნაცვლად პედაგოგიისა ასწავლიდნენ მხოლოდ დიდაქტიკას რაისთვისაც თქვენს მეუფებას ჯეროვან განკარგულებათა მოსახდენათ მარტის 21 დღესა 1892 წელსა'' **(„ივერია,'' 1892 №95:2).**

იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელს ჩვევად ჰქონდა, რომ ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ ხვდებოდა მოსწავლეებს და მასწავლებლებს, რომელთაც დალოცავდა და დარიგებას აძლევდა, ასე მოხდა 1884 წელს როდესაც იმერეთის ეპისკოპოსი ქუთაისის სემინარიას ესტუმრა: ,,ჩვენს სასწავლებელში ადრევე, ბრძანა ყოვლად სამღვდელომ კარგად მიდიოდა სწავლის საქმე, მაგრამ ბოლო დროს, სამწუხაროდ ამასვე ვერ ვიტყვით, ამის მიზეზი ყველამ იცით ეხლა იმედია რომ, თუ თქვენ ერთგულათ მოჰკიდებთ საქმეს ხელს, თუ თქვენში იქნება ერთსულოვნება და საქმის ერთგულება, საქმე კიდევ კარგათ წავა, იმედია,რომ აწი,ახალი ზედამხედველის ხელში მშვიდობიანად იმუშავებთ და ერთობა იქნება თქვენში'' **(„მწყემსი,'' 1884 №19:4).**

ექვთიმე თაყაიშვილი იხსენებს თავის პირველ შეხვედრას გაბრიელ ეპისკოპოსთან ქუთაისის სასულიერო სემინარიაში: ,,პირველათ იგი ახლო ვნახე საღმრთო სჯულის გამოცდის დროს, როდესაც 4 კლასიანი პროგიმნაზიას ვამთავრებდით ქუთაისში, ის

გამოცდაზე დასასწრებად სკოლის ინსპექტორმა იუდინმა და საღმრთო სჯულის მასწავლებელმა მოიწვიეს. მართმადიდებელი შეგირდები 5 ვიყავით: მე, იოსებ დადიანი, შარუხია, გორგასლიძე, და ერთი რუსი (გვარი არ მახსოვს) ყველანი ერთად დაგვაყენეს გაბრიელის წინ. გაბრიელთან იჯდა ინსპექტორი, მაჭავარიანი კი თავზე გვედგა ჯერ გვარები წაიკითხა, ჩემი გვარის შესახებ თქვა ,,ეს გურულიაო'' დაგვიწყეს გამოცდა: გვათქმევინეს ლოცვები, გვაამბობინეს საღვთო ისტორიის მოთხრობები: მერე გაბრიელმა გვკითხა, თუ რა სასწაულები მოახდინა იესო ქრისტემ. ჩვენც დაწვრილებით ჩამოვთვალეთ რაც ვიცოდით'' **(თაყაიშვილი ,1968:256).**

გაბრიელ ეპისკოპოსი, გარდა საქართველოში მყოფი სტუდენტებისა, დახმარებას უწევდა რუსეთის სხვადასხვა უნივერსიტეტში მყოფ ქართველ სტუდენტებს. 1887 წელს გაზეთი ,,ივერია'' საზოგადოებას აუწყებდა: ,, ხარკოვიდან გვწერენ: აქაური ღარიბი სტუდენტები დიდს მადლობას უძღვნიან ყოვლად სამღვდელო გაბრიელს, ეპისკოპოზს იმერეთისას, ბატონს გიორგი დავითის-ძე ქართველიშვილსა და იულია კალატოზიშვილს დახმარებისთვისაო'' **(,,ივერია,'' 1887 №5:2).**

გაბრიელ ეპისკოპოსის სახელთანაა დაკავშირებული არაერთი ქართულაი წიგნის დაფინანსება და გამოცემა როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ გაბრიელ ეპისკოპოსმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული საგალობლების ნოტებზე გადაღების საქმეში, რომელიც დააგვირგვინა ალექსანდრე ოქროპირიძემ იმისთვის, რომ გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ ქართული წიგნების, მშობლიური ენისა და მოსწავლეთა მხარდაჭერის საქმის მნიშვნელობა უფრო ნათელი, რომ გახდეს მოვიყვანთ იაკობ გოგებაშვილის ერთ მეტად საინტერესო მოგონებას: ,, ყველა შეგნებულმა ქართველმა იცის თუ რა მდიდარი იყო წინა საუკუნეებში სასულიერო ლიტერატურა ჩვენში. მარტო მცხეთის ტაძრის ბიბლიოთეკა იპყრობდა, პლატონ იოსელიანის სიტყვით, შვიდას ტომსა, უმეტეს ნაწილათ სასულიერო შინაარსისა ახლა? ახლა-კი უბრალო კატეხიზმოც არ გვაბადია, თვით მაცხოვრის ცხოვრებასაც ვერ გაიცნობ ვრცლად ქართველი კაცი თავის დედა-ენაზედ და მოკლე უჩებნიკების ამარად ვართ დარჩენილი. ღვთისმეტყველება დოგმატური თუ ზნეობრივი ხომ სანატრელადაც ძნელი გახდა ჩვენს ენაზედა.სასულიერო ყმაწვილობა სემინარიებში მოქცეული იძულებულია ყველა საგანი ისწავლოს უცხო ენაზედ და მოკლებულია შეძლებას

თავისუფალს დროს მაინც იკითხოს ქართულს ენაზედ იგივე საგნები. საერო მწიგნობრობაც ძლიერ ღარიბი გვაქვს. წინა საუკუნეებში მეტაფიზიკიდან დაწყებული ბუნებისმეტყველებამდე ყველა მეცნიერება მოიპოვებოდა ჩვენს ენაზედა, ეხლა-კი მსოფლიო ისტორიას და საზოგადო გეოგრაფიასაც კი დანატრულია ჩვენი ლიტერატურა, რის გამო საერო სასწავლებლების ქართველი მოწაფენი სრულიად მოკლებულნი არიან ღონისძიებას თავის ენაზედ იკითხონ სკოლის გარეთ ისა, რასაც კლასში სწავლობენ მხოლოდ რუსულს ენაზედა. დიდები ხომ კიდევ უარეს მდგომარეობაში ვართ'' **(გოგებაშვილი ,1954:12).**

იაკობ გოგებაშვილის ამ მოგონებიდან ძალიან კარგად სჩანს თუ რა რთული მდგომარეობა იყო იმ პერიოდში საქართველოში სწავლა-განათლების მხრივ, ბუნებრივია, ეს მდგომარეობა უარყოფითად აისახებოდა ახალგაზრდების ეროვნულ თვითშეგნებაზე და ამიტომ გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ ქართული წიგნების გამოცემა სტუდენტების სწავლის დაფინანსება და სტიპენდიების დანიშვნა უდაოდ დიდ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ქართული ეროვნული ღირებულებების დასაცავად გადადგმულ გზაზე.

გაბრიელ ეპისკოპოსის მოძღვარი იღუმენი გრიგოლ ჩხაიძე იხსენებს ერთ მეტად საინტერესო შემთხვევას: ,, ერთხელ მიმიხმო ბატონმა და დამავალა წასვლა ბერიძე თერძთან და იმდენი წყვილი საცვალი, (თეთრეული) შემეკერინებინა, რამდენიც ტუსაღი აღმოჩნდებოდა ქუთაისის სატუსაღოსი, მე შევიტყვე ტუსაღთა რიცხვი და იმდენი საცვლები დავამზადე როცა მოვახსენე, რომ მზად იყო ყველაფერი, მაყიდვინა ორი საპალნე, თეთრი პური და საცვლებთან ერთად გამატანა სატუსაღოში, თანაც მიბრძანა, რომ ჩემი ხელით დამერიგებია საცვლები და პური ტუსაღებზე დიდი წვალება გავიარე სატუსაღოში შესვლაზე, ზედამხედველი არ მიშვებდა ყველაფერი გამიჩხრიკეს, როგორც იქნა დამიჯერეს, რომ ეპისკოპოსის გაგზავნილი ვიყავი და შემიშვეს. აუწერელი სიხარული გამეფდა სატუსაღოში საჩუქრის მიღებაზე, შემომესივნენ ტუსაღები და მკოცნიდნენ ხელზე, ჩემი მიტანილი ეგონათ, როცა მე ვარწმუნე, რომ საჩუქარი ჩემგან არ იყო, ჩამაცივდნენ გვითხარი ვინ იყო მათი მწყალობელი, მაგრამ მე გაფრთხილებული ვიყავი არ მეხსენებია მისი სახელი და თხოვნა ვერ დავაკმაყოფილე'' **(კელენჯერიძე, 2006:160-161).**

კიდევ უფრო საინტერესოა ერთი რაჭველი გლეხის მოგონება, რომელიც იხსენებს მის ბავშვობაში მომხდარ ფაქტს: ,, ამ დროს რაჭაში რამდენიმე ეკლესია უნდა ეკურთხებია და პირველად სოფელში მოუხდა მიბრძანება, ეს რომ გაიგო მამაჩემმა ბავშვივით აიჩემა იქ წასვლა ვინათხოვრეთ მეზობლის ხარ-ურემი, ჩავსვით ხვირში სნეული და შევუდექით გზას, სოფელში მივედით წირვა უკვე გაეთავებია დიდებულ მოძღვარს და საყდრის გალავანში მაღლობზე შემდგარი უქადაგებდა ხალხს... ჩვენ მოხერხებულ ალაგზე გავჩერდით მღვდელმთავარმა ადრევე შეგვნიშნა, ურმით რომ მოვედით და ქადაგებას როგორც კი მორჩა, ჩვენსკენ გამოეშურა როცა მოგვიახლოვდა ჩემმა დედ-მამამ ტირილი მორთვეს და მეც ცრემლიან თვალებს ვისრესდი ხელით. ჩვენი ნახვით ყოვლადმოწყალე მღვდელმთავარი მეტად დაღონდა, მაგრამ როდესაც გაიგო ჩვენი გიშერას თავგადასავალი, აგრეთვე მოკანტრახტეების საგმირო საქმენი, მეტად განრისხდა და წამოიძახა ,,ოჰ! ავაზაკები, ავაზაკები''? ამ სიტყვების შემდეგ ფიცხელი წერილი მიწერა ეკლესიის აღმშენებელ კომიტეტს რომ საყვარელი გიშერა ჩვენთვის დაებრუნებიათ, აგრეთვე შუთვალა ჩვენი სოფლის მღვდელს: ,,ცოდვით აშენებულ ეკლესიას მე აღარ ვაკურთხებ და ნუღარც მელითო.'' ამ ფიცხელი განკარგულების შემდეგ მოგვიბრუნდა მღვდელმთავარი და გვანუგეშა: ,,ნუ სტირით, თქვე საცოდავებო''? თქვენი ხარი ისევ თქვენ დაგიბრუნდებათ და არც არავის შეუძლია მისი წართმევა ეკლესიის ფულში, მანამდე კი აი ეს შენ! უთხრა მამაჩემს და თანაც ჩუმად ჩაუდვა ხელში რაღაცა და სხვებთან ერთად გაუდგა გზას.რადგან იმედი მოგვეცა გიშერას დაბრუნებისა ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, აგრეთვე გვიხაროდა ის,რომ მღვდელმთავრის ნაჩუქარი 25 მანეთი ბევრ რასმეში წაგვადგებოდა'' **(კელენჯერიძე, 2006: 161-162).**

გაბრიელ ეპისკოპოსისა და ზემოაღნიშნული გლეხის ურთიერთობა ამით არ დასრულებულა,ცნობილია, რომ გაბრიელ ეპისკოპოსს ქონდა ერთი ჩვეულება, წირვის შემდეგ ბავშვებს შეკრიბავდა და ეკითხებოდა ლოცვებს ის ბავშვი რომელიც თავს გამოიჩენდა საჩუქარს აძლევდა ხოლმე, ასე მოხდა როდესაც მეუფე გაბრიელმა ერთ-ერთი წირვის დასრულების შემდეგ შეკრიბა პატარა ბავშვები ,,მამაო ჩვენოს'' და ,,მრწამსის'' გამოსაკითხად რომელი ბავშვის ნათქვამიც მოეწონებოდა ჯვრებს ჩუქნიდა, ამ შეკრებილ ბავშვებს შორის იყო ზემოაღნიშნული გლეხის შვილი რომელიც მეუფე გაბრიელთან მეორე

შეხვედრას შემდეგნაირად იხსენებს: ,, პირველ რიგში თავად-აზნაურთა ბავშვები იდგნენ,მე სულ ბოლოდან ვიცქირებოდი, ვხედავდი რაცა ხდებოდა წინა რიგში ზოგს პირჯვარს უწუნებდა, ზოგსაც ლოცვებს, ჯერი მიდგა ჩემზე: ,,იცი, შვილო, ლოცვები?'' მკითხა მღვდელმთავარმა ვიცი, მამაო, მიუგე მე და ჩვეულებრივად ჩავარაკრაკე ათი მცნება, ,,მამაო ჩვენო'' და ,,მრწამსი'' ზედ მივაყოლე. მღვდელმთავარმა თავზე ხელი გადამისვა და მკითხა: ,,ყოჩაღ, კარგად გცოდია!'' ამ სიტყვებთან გადმომცა ჯვარი წითელი ლენტით და მკითხა ვისი შვილი ხარ? როცა მოახსენეს ვისი შვილიც ვიყავი რაღაცა მოაგონდა, ღიმილით შემომხედა და მითხრა: ,,გიშერა როგორ გყავს?'' მე გამიკვირდა, მარა მაინც პასუხი მივეცი ამ დროს მამაჩემიც მოგვიახლოვდა და მოწიწებით თავი დაუკარი მღვდელმთავარს. მღვდელმთავარმა დაგვიბარა ეკლესიის მახლობლად მცხოვრებ თავადის სახლში ჩვენც მივედით. სადილი მიერთმია და აივანზე დასეირნობდა, როგორც კი დაგვინახა მოგვაძახა: ,,მოდით ბეჩავებო ახლოს, ნუ მეკრძალებით!'' შევედით და თავი დაუკარით მიწამდი დაგვაჯინა და უბრძანა სადილის აივანზე მოტანინება ჩვენთვის, რადგან შეგვატო შიმშილი და სისუსტე. ვინემდის სადილს გავათავებდით კრიალოსნით ხელში აქვე დასეირნობდა. ბოლოს მოგვიახლოვდა და უთხრა მამაჩემს: მე მისთვის დაგიბარე, ბეჩავო, რომ კიდევ დაგეხმარო, აგრეთვე, ჩემი სურვილია, რომ ეს ბავშვი გამომიგზავნო ქუთაისში შემოდგომაზე, მე მინდა ჩემს სკოლაში გამოვზარდო, მანამდი აი, გროში, მჭადი უყიდე ბაღნებს!'' ამ დროს თვალით ანიშნა მსახურს და იმანაც რაღაცა გამოკრული გადმომცა მე.

მადლობა გადავუხადეთ მღვდელმთავარს და წავედით გახარებულები სახლში. მით უფრო, რომ მღვდელმთავრის ნაჩუქარი ორი წყვილი საცვალი და სამი თუმანი ფული ჩვენთვის დიდი დახმარება იყო იმ დროს'' **(კელენჯერიძე, 2006:163).**

კაცხის მონასტრის იღუმენი გრიგოლ ჩხაიძე იხსენებს, თუ როგორ ეწეოდა გაბრიელ ეპისკოპოსი გაჭირვებულებს: ,,დიდ ზამთარში დამარონიებდა შეგირდებს და მცხოვრებლებს შემიტყე ვის უჭირსო, მერე გამატანდა შეშას, ფულს'' **(კელენჯერიძე, 1913:286).**

მღვდელი სპირიდონ ჯუღელი იხსენებს, რომ ერთხელ გაბრიელ ეპისკოპოსთან მისულა დიაკვნის ქვრივი, რომელსაც გაბრიელისთვის უთხოვია, რომ ბავშვებისათვის

შემწეობა აღმოეჩინა სწავლაში: ,,ერთხელ ჩემს საქმეზედ შევედი გაბრიელთან და ამ დროს ვიღაცა დიაკვნის ქვრივი შემოვიდა ტირილით და მოახსენა წვრილი შვილები ვერ ვარჩინე და ორი შვილი კლასიდან უნდა გამოვიყვანო ჯერ უარი უთხრა, მერე ზედამხედველთან დახმარებას დაპირდა. ქალი ეუბნებოდა მანამდი რაღა ვქნა, დღეს საჭმელი რა გვაქვსო და გავიდა ტირილით. გამაგზავნა მომაბრუნებინა დედა-კაცი და სამი თუმანი ჩაუდვა ხელში'' **(კელენჯერიძე, 1913:291).**

დეკანოზი გაბრიელ ბერიძე, იხსენებს ერთ მეტად საინტერესო ფაქტს, კერძოდ: თუ როგორ დაეხმარა გაბრიელ ეპისკოპოსი სენაკში სამ გაჭირვებულ დას. როგორც მღვდელი გაბრიელ ბერიძე იხსენებს მეუფე გაბრიელმა ახალსენაკიდან მიიღო წერილი, სადაც ავტორი აღწერდა მისი და მისი დების გაჭირვებულ მდგომარეობას და მეუფე გაბრიელს სთხოვდა დახმარებას. იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელს წერილის მიღებისთანავე გაუგზავნია წერილი ახალ-სენაკის ბოქაულის ახვლედიანისთვის. რომელიც მეუფე გაბრიელის ნათესავი იყო და უთხოვია, რომ მას გაერკვია, თუ ვინ იყო წერილის ავტორი. ახვლედიანმა მეუფე გაბრიელს დეტალურად აცნობა წერილის ავტორის ვინაობა და ეკონომიკური მდგომარეობა, აღმოჩნდა,რომ იმდენად გაჭირვებულები იყვნენ, რომ სახლიც კი არ ჰქონდათ. ახვლედიანის წერილის შემდეგ გაბრიელ ეპისკოპოსმა ბოქაულ იოანე ახვლედიანს მეორედ გაუგზავნა შემდეგი შინაარსის წერილი: ,,საყვარელო ძმაო იოანა,! გიგზავნი ამასთანავე 100 მანეთს იმ სამთა უბედურთა დებთა შორის მალე გადაეცი, შენც შეეწიე, რაც შეიძლება სახლი მალე შეაკეთონ,რომ ზამთარმა არ მოუსწროს და არ დაეცნენ ორნი მთელნი, რომ არიან. გაფიცებ, რომ არავინ არ შეიტყოს ჩემგან გამოგზავნა ამ ფულისა. იმათაც უთხარი, რომ არავინ არ შეიტყოს, არავის უთხრან და ფულის მიღებისათვის და გადაცემისათვის მომწერა. შენი გაბრიელი ეპისკოპოსი იმერეთისა,1891 წელი 15 ოქტომბერი, შეეწიე მათ, მასალა უყიდე და სხვა'' **(,,ივერია,'' 1896 №61:4).**

გაბრიელ ეპისკოპოსს ქუთაისის ეპარქიაში შექმნილი ჰქონდა სპეციალური კომიტეტები რომლის მთავარ ფუნქციას წარმოადგენდა შეეგროვებინა შეწირულობა რუსეთის სხვადასხვა გუბერნიაში მცხოვრები გაჭირვებული ხალხისათვის.

1891 წლის №18 ჟურნალი ,,მწყემსი'' ამასთან დაკავშირებით წერდა: ,, იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა, თანახმად უწმინდესის სინოდის უკაზისა, განკარგულება

მოახდინა,რომ მისი ეპარქიის სხვა-და-სხუა ადგილებში დანიშნულ იქნეს კომიტეტები რუსეთის ზოგიერთი გუბერნიების დამშეულ მკვიდრთა სასარგებლოდ შეწირულებათა შესაკრებელად'' (**„მწყემსი,'' 1891 №18:12).**

გაბრიელ ეპისკოპოსს ქველმოქმედებისა და მეცენატობის შინაარსი ძალიან კარგად ჰქონდა გათვითცნობიერებული, იგი ქველმოქმედების შესახებ წერდა: ,, მოწყალება უანგარიშო, უსასყიდლო,წრფელი უნდა იყოს და არა პირმოთნეობითი, შესახედავად, განსადიდებლად...'' **(კიკნაძე, 2009:14).** მართლაც მეუფე გაბრიელი მთელი თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის დროს ყოველთვის ისე აკეთებდა ქველმოქმედებასა და მეცენატობას, პირუთვნელად და ამით სახელის მოხვეჭისაგან ძალიან შორს იდგა, ამიტომაც გაბრიელ ეპისკოპოსის ბრძოლა ეროვნული ღირებულებების დასაცავად გულწრფელი და სამშობლოს დიდი სიყვარულით ნასაზრდოები იყო.

§3. გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობის ბოლო წლები

გაბრიელ ეპისკოპოსს ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნის დროს შეეყარა მეტად მძიმე ავადმყოფობა, რომელმაც მთელი ცხოვრება არ მოასვენა, მართალია, მეუფე გაბრიელი მეტად უფრთხილდებოდა ამ ვერაგ დაავადებას, მაგრამ სიბერეში მეტად გაუმიზეზდა, ამას ისიც დაემატა, რომ ეპისკოპოსს ხშირად სისხლი სდიოდა ცხვირიდან, რამაც მეტად დაასუსტდა.

გაბრიელ ეპისკოპოსის მხლებლები ნერვიულობდნენ მეუფე გაბრიელის სისუსტით, მათ შეძლეს ეპისკოპოსი დაერწმუნებინათ რაჭაში წასვლაზე, რადგანაც ფიქრობდნენ, რომ ჰაერის გამოცვლა მეუფე გაბრიელს უშველიდა. სამწუხაროდ, ვერც რაჭის ჰაერმა უშველა მღვდელმთავარს, რის შემდეგაც წმინდა სინოდს სასწრაფოდ მიწერეს წერილი და ითხოვეს, რომ მეუფე გაბრიელისათვის ორი თვიანი შვებულება მიეცათ, რათა სამკურნალოდ ბორჯომში წასულიყო, წმინდა სინოდმა გაბრიელ ეპისკოპოსს თანხმობა მისცა და იგი გაემგზავრა ბორჯომში, სადაც უკეთ შეიქნა მაგრამ ეპისკოპოსი გაბრიელი ბორჯომში დიდხანს არ გაჩერებულა. მისი დაჟინებული მოთხოვნით წაიყვანეს ქუთაისში. სადაც უფრო დამძიმდა მისი მდგომარეობა. 1896 წლის 19 იანვარს მეუფე გაბრიელს გონება

დაკარგა, ყველა ხვდებოდა იმას ,რომ იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა და მართლაც 25 იანვარს მისი მაღალ ყოვლადუსამღვდელოესობა გარდაიცვალა და ქართულმა საზოგადოებამ კიდევ ერთი დიდი მამულიშვილი დაკარგა. გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალება დაემთხვა ქუთაისში საშინელ ზამთარს, თოვლი იმდენად დიდი მოვიდა, რომ გადაადგილება ფაქტობრივად შეუძლებელი იყო, ამიტომ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ გაბრიელ ეპისკოპოსი დაეკრძალათ 10 მარტს რათა ქართულ საზოგადოებას ღირსეული პატივი მიეგო საყვარელი მღვდელმთავრისათვის.

ქუთაისში წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვის ორგანიზებისათვის შეიქმნა სპეციალური საგანგებო კომიტეტი.

საგანგებო კომიტეტმა შეიმუშავა და განიხილა ყველა ის დეტალი, რომელიც საჭირო იქნებოდა დაკრძალვის დღისთვის: ,, 1. 10 მარტს დღის 7 საათზე დაიწყება ყველა ეკლესიებზე სამგლოვიარო რეკვა, ხოლო 8 საათზე იქნება გამოსვენება ცხედრისა (საკრებულო ტაძრიდან) პროცესია დაიძვრის რკინიგზის სადგურისაკენ ალექსანდრეს, ნემცის და თბილისის ქუჩით. 2. წინ წავა ფარები, სანთლები, კუბოს თავი, დროშები და დიდი ჯვარი. 3. შემდეგ დეპუტაციები ქუთაისის გუბერნიისა. 4. დეპუტაციები სხვა გუბერნიისა. 5. სხვა სარწმუნოებათა სამღვდელოება. 6. მგალობელთა გუნდი: სათავად-აზნაურო სკოლისა(ახლა რომ ღიმნაზიაა), სამოქალაქო სასწავლებლისა სავაჟო გემნაზიისა, წმინდა ნინოს სასწავლებლისა, სასულიერო სემინარიისა და არქიელის გუნდი. 7. სხვა ქრისტიანთა სასულიერო წოდება. 8. მართმადიდებელი სარწმუნოების სასულიერო წოდება. 9. ცხედარი, ჯვრის სანთლები, სამწერობლები, კვერთხი, ბარტყულა. 10. მიცვალებულის ნათესავები. 11. უმაღლესი წოდება, ინტელიგენცია, ღენერალიტეტი, თავად -აზნაურთა წინამძღოლნი, ქალაქის მოურავები, კერძო დაწესებულებათა უფროსები და მანდილოსნები. 12. სხვა გუბერნიის თავადაზნაურობა. 13. ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურები. ქ.ქუთაისის დაწესებულებათა წარმომადგენელნი მოხელენი, ხმოსნები, მოურავებითურთ. 14. ამქრები მამასახლისით. 15. სოფლების წარმომადგენელნი. 16. დანარჩენი საზოგადოება. 17. მოსწავლენი: ეპარქიის საქალებო სასწავლებლისა, ქალთა უფასო სკოლისა, წმინდა ნინოს სასწავლებლისა, სავაჟო ღიმნაზიისა, პროღიმნაზიისა,

სათავად-აზნაურო სკოლისა სამოქალაქო სასწავლებლისა, სამეურნეო სკოლისა, სასულიერო სემინარიისა და სასწავლებლისა, ტაძრიდან სადგურამდი ორ რიგად. 18. ქუთაისის გარნიზონი ორ რიგად. 19. სადგურიდან ცხედარი ღია მატარებლით, მოწამეთის ბაქანზე მცირე პანაშვიდი. 20. გელათის სადგურიდან პროცესია ისევ ისე იწყობა, როგორც ქუთაისის სადგურამდე. 21. გელათში წირვა და წესი აგება'' **(კელენჯერიძე, 1913:235,236) .**

1896 წლის 10 მარტს დილით ადრიანად წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის ნეშთი გამოასვენეს, პროცესიას წინ მიუძღვოდა ეგზარქოსი ვლადიმერი, ეპისკოპოსები: გრიგოლ და ბესარიონ დადიანები, ქუთაისის თავადაზნაურების წინამძღოლი თავადი სოსიკო წერეთელი, ბათუმის ქალაქის თავი ლუარსაბ ასათიანი და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

პროცესია დაიძრა ჯერ მოწამეთას მონასტრისაკენ შემდეგ გელათისაკენ, სადაც წირვა აღესრულა, წესი, მეუფე გაბრიელს აუგო საქართველოს ეგზარქოსმა ვლადიმერმა, რომელმაც შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: ,,შენთან სამსახური დიდიხანს არ მომიხდა, განსვენებულო თანამოძმეო, ერთს და იმავე სარბიელზე,მაგრამ მოკლე დროის განმავლობაში არ შეიძლებოდა შემენიშნა თუ ყოველივე საქმეს როგორ დაუღალავად აკათებდი, მის მიუხედავად რომ მოხუცი იყავი, შენ თვით პირდაპირ განიცდიდი ყოველივეს და არც ერთი საქმე ისე არ გაგიკეთებია, რომ პირადად არ განგეხილა ბრძნულად, მოუდგომელად არ გადაგეწყვიტა... მაგრამ არა მხოლოდ ერთს თვის ზნეობითს ძალებს სწირავდი შენი სამწყსოს სასარგებლოდ არამედ მასვე სწირავდი ნივთიერ საშუალებასაც, შენ ნამდვილ ბერულებრ სცხოვრობდი, ზომიერად სადა და შენი საშუალების უმეტეს ნაწილს საქველმოქმედო საქმეებს სწირავდი. რომელს კეთილ საქმეშიც ზნეობრივი მონაწილეობა არ მიგიღია და მისთვის მიგიძღვნია საკმაო ნივთიერი შემწეობა?! ნახევარი საუკუნის განმავლობაში თვალყურს ადევნებდი საქართველოში სასულიერო ცხოვრებასა და კარგად შეიგნე მისი ურიცხვნი საჭიროებანი და დაინახე, რომ მის შორის სიღარიბე და შეუწევნელი სიობლე არანაკლებ არიან საგრძნობელნი, ვინემ ყოველს სხვა წოდებაში, და შენის მღვდელმთავრულის მზრუნველობის მეოხებით იმერეთის ეპარქიის სასწავლებელი განიცდიან კეთილმდგომარეობას და კეთილწესიერებას.

ეგზარქოსის ეს სიტყვა 1897 წელს ქართულად ითარგმნა და ქართული საზოგადოება ვრცლად გაეცნო ეგზარქოსის გამოსათხოვარ სიტყვას. ამის სესახებ გაზეთი ,,ცნობის ფურცელი'' წერდა: ,, 26 იანვარს ქაშუეთის ეკლესიაში ყოვლად სამღვდელო გაბრიელის სულის მოსახსენებლად პანაშვიდის შემდეგ დამსწრეთ დაურიგდათ ცალკე დაბეჭდილი სიტყვა მისი მაღალ-ყოვლადსამღვდელოესობის უწმინდესის სინოდის წევრის საქართველოს ეგზარქოსისა,თქმული შარშან გაბრიელის დასაფლავებაზე-ამ მჭერმეტყველურმა და უაღრესის გრძნობით და გულწრფელობით წარმოთქმულმა სიტყვამ თავისს დროზედ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე. მხოლოდ სამწუხარო ის იყო, რომ უმეტესობას არ შეეძლო ამ სიტყვის გაგება ენის უცოდინარობის გამო, ამიტომ მისი ქართულად თარგმნა და ისიც ცალკე წიგნად მიწოდება საზოგადოებისათვის სწორედ ამ დღის შესაფერი იყო, ამ სიტყვით ქართულ საზოგადოებას შეუძლია ერთხელ მეტად თვალ-წინ დაიყენოს ნეტარი სახე თვისის ძვირფასის მწყემს-მთავრისა, რომელზედაც მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობის ექსარხოსი ვლადიმერი სამართლიანად ბრძანებს, რომ გაბრიელი იყო: ,,თვისი სამწყსოსთვის ჭეშმარიტად ხე კეთილი ჩრდილოვან-ფოთლოვანი, მრავალ ნაყოფიერი და კეთილ-ნაყოფიერი:; და აჰა, როდესაც ყოვლად შემუსვრელმან ხელმან სიკვდილისამ მოჰკვეთა ასეთი ხე, ნუ თუ შეუძლიათ მოითმინონ უმწუხაროდ და უცრემლოდ ასეთი დანაკლისი იმით, რომელიც ოც-და-ხუთმეტი წლის განმავლობაში სცხოვრობდნენ ამ ხის ჩრდილ ქვეშ და სჭამდნენ მის მშვენიერის ნაყოფსა?!'' სიტყვა მშვენიერის ქართულის ენით თარგმნილია ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებლის ილია ფერაძის მიერ, მხოლოდ სამწუხარო ის იყო, რომ ყველას არ გაწვდა ეს წიგნაკი. სასურველია, ხელახლა საკმაოდ დაიბეჭდოს და ნეტარ-ხსენებულის დასაფლავების წლის თავზე დაურიგდეს მლოცველებს'' **(,,ცნობის ფურცელი,'' 1897 №100:2).**

ეგზარქოსი ვლადიმირის შემდეგ გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა გელათის მონასტერში ეპისკოპოსმა გრიგოლ დადიანმა: ,, სიტყვით წმინდაო, საქმით წმინდაო, ცხოვრებით წმინდაო, შენ სიკვდილითაც დაამოწმე შენი კეთილი კაცობა მით, რომელ სხვათა და სხვათა კეთილ საქმეთა შესწირე ყოველი შენი ქონება.

ნეტარ ხარ შენ მოძღვარო, რამეთუ ადგილი განსვენებული მიგელის შენ” **(კელენჯერიძე, 1913: 251,252).**

გელათის მონასტერში წმინდა მღვდელმთავარ გაბრიელს გარდა სასულიერო წოდების იერარქებისა გამოეთხოვნენ ქართველი საზოგადო მოღვაწენიც, ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ილია ჭავჭავაძის გამოსათხოვარი სიტყვა: ,,არ ვიცი ამდენს მშვენივრად თქმულ სიტყვების შემდეგ რა მოგახსენოთ ისეთი,რომ თქვენთვის ახალი იყოს თუნდ ეგეც არ იყოს, ზოგი იმისთანა კაცია, რომ, რაც გინდ ბევრი ისურვოთ, ვერას იტყვით, რადგანაც არაა აქვს რა ღირსი თქმისა და ზოგი იმისთანა,რომ სათქმელი ძღვაა და ან უღონოდ ვგრძნობთ თავსა მის თვალ-გადაუწვდენელს კიდეებს ერთბაშად თვალი გადავაწვდინოდ მთლად ან უკლებლივ,ან არვიცით რომელ მხრიდან დიდებული სანახავია ამისთანაა იგი, რომელსაც დღეს დავტირით.

დიაღ,ბატონებო, დღეს სამუდამოდ ვეთხოვებით იმისთანა დიდ ბუნებოვან კაცს,რომელსაც ღმერთი მოუვლენს ხოლმე ამ ცოდვილს ქვეყანას,რომ ადამიანმა მისის მიხედვით და მაგალითით შესძლოს საკუთარის ზნისა და ხასიათის გაწვრთნა და განმტკიცება. ,,ნეტავი იმასაო, ამბობს ერთი ძველად-ძველი ბრძენი: ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვრწუთვნის ჩვენ, არამედ მარტო თავისის სახელის ხსენებითაცაო.'' აი ჩვენს წინაშე მდებარეა იგი მადლით მოსილი კაცი, რომლის მარტო სახელის ხსენებაც კი გვწურთნის ჩვენ-საკმაოა კაცმა გაიხსენოს მარტო სახელი გაბრიელ ეპისკოპოსისა,რომ გულში მადლი ჩაეფინოს, ვითარცა მზის შუქი.

თვითოეული წამი მისი ცხოვრებისა მოღვრებისა, მაგალითია, ანდერძია ჩვენთვის და ჩვენის ქვეყნისათვის, ერთად კი მთელი მისი ცხოვრება ერთი დიდი სკოლაა მაღალ სათნოებისა და სიყვარულისა, მართლისა და ჭეშმარიტებისა, მადლისა და მოწყალებისა. მე ამაზე ბევრს არას ვიტყვი, რადგანაც ბევრი უკვე ითქვა და ბევრსაც კიდევ იტყვის შთამომავლობა, რომელიც ამ საისტორიო კაცს განიკითხავს თავისის სამართლიანის განკითხვითა.

მე მსურს მხოლოდ აქ აღვნიშნო ერთი იმისთანა მხარე ამ დიდებულ კაცისა,რომელშიაც არის, ჩემის ფიქრით,სხვათა მრავალთა შორის ერთი მისი დიდი მნიშვნელობაც, მე არ ვიცი იმისთანა სხვა კაცი,-საერო თუ სამღვდელო,-რომლის გულშიაც

მომეტებულს მშვიდობას-ყოფითი, მომეტებულის დაძმობით ერთად დაბინავებულიყოს სამოქმედოდ მეცნიერება და სარწმუნოება. განსვენებული ღრმად მიწევნილი მეცნიერი იყო და იმდენადვე ღრმად მორწმუნეცა. აქ არის, ჩემის ფიქრით, მისი აღმატებულობა,მისი მნიშვნელობა არამც თუ მარტო ჩვენთვის, სხვისთვისაც, რადგანაც ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელნი და მოუთავსებელნი არიანო. იგია მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა.'' **(კელენჯერიძე 2006:231-232)**

ქართველმა სტუდენტებმა რომლებიც დახმარებას იღებდნენ იმერეთის ეპისკოპოსისაგან პეტერბურგში წმინდა ეპისკოპოსის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადეს, ამის შესახებ გაზეთი ,,ივერია'' წერს: ,, 10 მარტს, განსვენებულის ეპისკოპოსის გაბრიელის გვამის გელათის მონასტერში გადასვენების და დაკრძალვის დღეს ქართველი სტუდენტების თაოსნობით გარდახდილ იქნა პანაშვიდი სახელმწიფო კანტრალიორის ეკლესიაში, რომელზედაც დაესწრენ ქართველი სტუდენტები. სახელმწიფო კანტრალიორი დ.ტ.ს.ტ.ი ფილიპოვი, პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი, ნ.ი. ნიკოლაძე, თავადი ი. ნაკაშიძე და სხვანი მრავალნი განსვენებული ეპისკოპოსის პატივის მცემელნი.

ამ დღეს პანაშვიდი იყო გადახდილი სასულიერო აკადემიის ეკლესიაში''**(,,ივერია,'' 1896 №65:1).**

1896 წლის 4 თებერვალს ქალაქ ყარსში გაბრიელ ეპისკოპოსს გადაუხადეს პანაშვიდი, რომელსაც ესწრებოდნენ, როგორც ქართველები ასევე სომხებიც, უფრო მეტიც მღვდელ ზაქარია ლუკიანიშვილის სიტყვის შემდეგ გამოვიდა სომეხი არქიმანდრიტი(გვარად მურადიანი) ,, თქვენთან ერთად დიდად გულწრფელად ვწუხვარ იმისთანა მღვდელ-მთავარისა და მამულიშვილის დაკარგვას, როგორიც აწ განსვენებული გაბრიელი იყო. ვისურვებ,რომ გიმრავლოთ გაბრიელისთანა მოძღვარნი ყოვლად მოწყალემ'' **(,,ივერია,''1896 №33:1).**

1897 წელს გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალების წლისთავზე გურიაში გადაიხადეს პანაშვიდი, რომელიც ყველა სხვაგან გადახდილი პანაშვიდებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ ღარიბმა და გაჭირვებულმა ხალხმა, იმ ხალხმა რომელთაც მთელი ცხოვრება ეწეოდა მეუფე გაბრიელი მადლიერების ნიშნად მიუძღვნეს ძალიან გულთბილი

სიტყვები: ,, ჩვენი საკითხი მხოლოდ ის არის, თუ ამ პატარა, შევიწროვებულმა ღარიბმა საზოგადოებამ, რითა ვცეთ პატივი ჩვენთვის დაუვიწყარ მღვდელმთავრის სახელს?

ჩვენ არ შეგვიძლია, რადგან საშუალება ხელთ არ გვაქვს, მივყვეთ სხვების მაგალითს და დავაარსოთ რაიმე საზოგადო საქმე მის სახელზედ. აგრეთვე არ შეგვიძლია ყოველ-წლობით დავესწრათ გელათის მონასტერში წირვაზე თუ პანაშვიდზე მის სულის მოსახსენებლად და მუხლი მოვიდრიკოთ მისი წმინდა საფლავის წინაშე, ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია დავიდოთ სავალდებულოთ, რომ ყოველ წლობით შევკრებთ ერთ-ერთს ალაგას და ვილოცოთ რათა უფალმა დააწესოს სული მისი იქ, სადაც არ არის ჭირი, არცა მწუხარება არც ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი ''**(,,ცნობის ფურცელი,'' 1897 №122:3).**

გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალების შემდეგ ქუთაისის სასულიერო სემინარიაში გადაწყდა, რომ დაარსებულიყო ორი სტიპენდია განსვენებული ეპისკოპოსის სახელზე: ,, სასულიერო მთავრობის ნებართვით შესდგა კომიტეტი განსვენებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სახელზედ. სემინარიაში სტიპენდიის (1 ან 2-ის) დაარსებისათვის, კერძოდ შეწირულობათა საჭირო ფონდის შესაკრებელთა. კომიტეტი მოიწვევს ყოველთა, რომელთაც არა ხოლო სიტყვით, არამედ საქმითაც სურთ დაამტკიცონ, რომ მათ გულში ცხოველ არს ხსოვნა და პატივისცემა ამ დაუვიწყარი მოძღვართ-მოძღვრისადმი, შემოიტანონ თავისი წვლილი ამ წმინდა საქმისათვის. შემოწირულებათა რაოდენობა შემომწირველთა სიითურთ გამოცხადებული იქნება თავ-თავის დროზე ადგილობრივ გაზეთებში''**(,,ივერია,'' 1896 №42:1).** როგორც ჩანს, გაზეთ ივერიაში გამოქვეყნებულმა ამ სტატიამ თავისი შედეგი გამოიღო და გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სტიპენდიის დასაარსებლად შემოწირულობა შევიდა კომიტეტში.

1896 წლის გაზეთმა ,,ივერიამ'' (№52) გამოაქვეყნა იმ პირთა სია, რომლებმაც გაიღეს სასტიპენდიო შემოწირულობა. ,, ქუთაისის საკათედრო საბორის კრებულთაგან დეკანოზის გაბრიელ ცაგარეიშვილის მიერ 25 მანეთი, მისი მეუღლის ოლიმპიადა თედორეს ასულის მიერ 5 მანეთი, დეკანოზის იოსებ კიკაჩეიშვილის მიერ 10 მანეთი, დეკანოზის იოსებ წელიშვილის მიერ 20 მანეთი. მღვდელი ნესტორ შვანგირაძისაგან 10 მანეთი, არქიდიაკვნის იოსებ შარაბიძისაგან 10 მანეთი,დიაკვნის ტიმოთე მესხისაგან და

ვ.მ. დიაკვნის ისიდორე სვანიძისაგან 5 მანეთი, იპოდიაჩოქის ივლიანე წერეთლისაგან 5 მანეთი, იპოდიაჩოქის მარკოზ სხირტლაძისაგან 15 მანეთი, მედავითნის ონიფანტე ჭიპაშვილისაგან 2 მანეთი, მედავითნის თომა დემეტრაშვილისაგან 2 მანეთი, პონომარის ბესარიონ კუხიანიძისაგან 1 მანეთი, პონომარის ირაკლი კოკელაძისაგან 1 მანეთი, პონომარის იოაკინთე კანდელაკისაგან 1 მანეთი, პონომარის ანდრია ადამიასაგან 1 მანეთი და სობოროს მნათის დიმიტრი ნაიტაკისაგან 4 მანეთი, სულ 120 მანეთი''**(„ივერია," 1896 №52:4).**

ქართული საზოგადოება გაბრიელ ეპისკოპოსს ღირსეულად გამოემშვიდობა მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, არსებობდნენ ისეთი ადამიანები და ორგანიზაციები როგორებიც იყვნენ, ილია ხონელი და გაზეტი ,,კავკაზი,'' რომლებიც გაბრიელ ეპისკოპოსის პიროვნებაზე ჩდილის მიყენებას ცდილობდნენ.

ილია ხონელმა (ფსევდონიმი) გაზეთ ,,კავკაზში'' გამოაქვეყნა ნეკროლოგი, სადაც იგი გაბრიელ ეპისკოპოსს შემდეგნაირად ახასიათებს: ,, გაბრიელ ეპისკოპოსი,-პირი ყოვლად განათლებული თავისი დროის შესაფერისად, ჩინებული პედაგოგი გასაოცარი ორატორი, ვერ იყო ადმინისტრატორი... ამისთვის მას აკლდა ის სულის სიმშვიდე, ბუნების თანაბრობა, ის პირუთვნელობა თვისი-თვისა და სხვათადმი, რაიც კაცს სიფრთხილეს აჩვევს... თითქმის შეუძლებლათ მიაჩნდათ მასთან საქმის დაჭერა ძალიან მძიმე ხასიათის გამო. მისი მკაცრი ხასიათი წინააღმდეგობას ვერ იტანდა და ხშირად იქცეოდა ისე, რომ სამართლიანათ ეწეოდა მას სახელი ,,მებრძოლი ბერისა, ის ყველაზე ეჭვიანობდა, ყველას ერჩოდა, ყველასთან საომარ ფეხზე იდგა'' **(ნიკოლეიშვილი, 1990:23).**

ბუნებრივია, დაიბადება კითხვა, იმასთან დაკავშირებით, თუ რა იყო მიზეზი იმისა,რომ ასეთ შესანიშნავ საზოგადო მოღვაწეს რომელიც დღენიადაგ გადამკვდარი იყო ქართული ეროვნული ღირებულებების დაცვა-განმტკიცებას ასე ახასიათებდნენ. გასაგებია ის,რომ რუს მოხელეებს ეწარმოებინათ მეუფე გაბრიელის სახელის ხელყოფა, მაგრამ როდესაც ქართველი ჩადის ამ საშინელ ბარბაროსობას სრულიად გაუგებარია?

იმისათვის, რომ ზემოაღნიშნულ კითხვას პასუხი გაეცეს ვფიქრობთ, საჭიროა გავიხსენოთ ის მძიმე პერიოდი, როდესაც მეუფე გაბრიელს მოუხდა მოღვაწეობა,ეს ის დროა როდესაც სამღვდელოებაში გავრცელებული იყო ანგარება, მექრთამეობა, და ყველა

ის ქმედება რომლებიც არათუ სასულიერო პირს, არამედ რიგითი ქრისტიანსაც კი არ შეშვენოდა. ბუნებრივია, ამას მეუფე გაბრიელი არ შეეგუებოდა და ეს ასეც იყო, გავიხსენოთ მისი საუბარი სამეგრელოს მღვდელმთავარ გრიგოლ დადიანთან (ამ პერიოდში გრიგოლ დადიანის მექრთამეობაზე ლაპარაკობდა მთელი საქართველო), რომელსაც ექვთიმე თაყაიშვილი იხსენებს: ,, სამეგრელოს ეპისკოპოსს გრიგოლს გაბრიელთან საუბრის დროს არათუ უარყვია მის მიმართ არსებული ბრალდებები, არამედ სწყენია კიდეც, მეც ისეთივე მღვდელმთავარი ვარ როგორც თქვენ და ასეთი ამბავი ჩვენს შორის არ ეგებისო, რაზეც მეუფე გაბრიელს უპასუხია, მართალია მღვდელმთავარი კი ხართ,მაგრამ პავლე მოციქული ამბობს ვამხილოთ ერთმანეთიო'' **(თაყაიშვილი, 1968:135).** ამ მოგონებიდან ნათლად ჩანს მიზეზი იმისა, თუ რატომ დაუპირისპირდნენ იმერეთის ეპისკოპოსს არა მარტო სიცოცხლეში არამედ გარდაცვალების შემდეგაც. ბუნებრივია, ადამიანს როდესაც საჯაროდ,ამხელ მას ეს არ მოეწონება.

რაც შეეხება ილია ხონელის წერილს, რომელიც ნეკროლოგის სახით გამოაქვეყნდა გაზეთ ,,კავკაზში,'' ნაკარნახები იყო წმინდა ადამიანური სისუსტით, რადგანაც მან იმერეთის ეპისკოპოსს ვერ აპატია აპატია თავის მამასთან დაძაბული ურთიერთობა და ამ ნეკროლოგით სამაგიერო გადაუხადა ნეტარხსენებულს.

ქართული საზოგადოება აქტიურად გამოვიდა გაზეთ ,,კავკაზისა'' და ილია ხონელის, წინააღმდეგ განსაკუთრებით გამოირჩეოდა გაზეთი ,,ივერია" და მისი დამაარსებელი ილია ჭავჭავაძე, რომელმაც ძალიან შინაარსიანი წერილი გამოაქვეყნა: ,, ვაი, რომ,ჯერ როცა ამისთანა კაცი საფლავში არ ჩაგვისვენებია, როცა მისი წმინდა გვამი თითქოს არც კი გაცივებულა, ჩვენი რუსული გაზეთი ,,კავკაზი'' გვიგინებს მიცვალებულსა, მთელის საქართველოს წმინდა ცრემლში ურევს უწმინდურს დორბლს, ილია ხონელისას და ზედ აყრის ჯერ არ გაცივებულს გვამს'' **(ნიკოლეიშვილი, 1990:24).**

1896 წლის 8 თებერვალს (№29-ში) გაზეთმა ,,ივერიამ'' გამოაქვეყნა სტატია გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალების გამო რუსული ჟურნალ-გაზეთების გულგრილობის შესახებ: ,, აწ განსვენებულის ეპისკოპოსის გაბრიელის გარდაცვალების ამბავს ადგილობრივი რუსული გაზეთები მეტად უცნაურად მიეგებნენ. ერთმა გაზეთმა მხოლოდ ,,ახალ ამბად'' აუწყა თავის მკითხველთ ეს გარემოება, ნეკროლოგს კი არ ვბეჭდავთ, რადგან გაბრიელის

შესახებ წინა წლებშიდაც ვსთქვით ყოვლისფერი; მეორე გაზეთიც თითქმის ასევე მოიქცა; მესამემაც გამოაცხადა-ნეკროლოგი შემდეგისთვის გარდაგვიდვიაო (ნეტავი სრულიადაც არ დაებეჭდათ!) რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ტფილისის აგენტმა ხომ ჩვეულებრივად არ სცნო ქართველთ სავალალო საქმე საყურადღებოდ!... უყურადღებოდ დატოვებას კიდევ თქვენი ჭირი წაუღია. უბედურება ის არის, რომ ცილისწამებასა და უადგილო, უზრდელ, ურიგო, როშვასაც დაუთმო თავისი ფურცლები ერთმა მათგანმა ოფიციალურად ,,კავკაზმა'' შესანიშნავის ქართველის დაფასება მიანდო ადამიანს, რომლისთვისაც არ არსებობს არავითარი წმინდათა წმინდა! ამ ვაჟ ბატონმა არ მიაქცია ყურადღება არც დროს, არც ქართველთ საერთო გლოვასა და ჯავრს და წაბილწა რიგიანად დაწყებული თვისი წერილი ბატონი ხონელი ამტკიცებს, რომ განსვენებულს დესპოტური ხასიათი ჰქონდაო, რომ მას არ შეეძლო პირუთვნელად, მიუდგომელად მიპყრობოდა სხვებსაც, რომ მასთან საქმის დაჭერა შეუძლებელი იყოო, წინააღმდეგ აზრს არ ითმენდაო, ყველას ეჭვის თვალით უყურებდა, ყველას ეომებოდა და სხვა და სხვა. ჩვენ რასაკვირველია, პოლემიკაში არ გამოუდგებით ილია ხონელს. ჯერ არ არის ამის დრო ჩვენ გვინდა ავღნიშნოთ მხოლოდ, რა ურიგობაა ამგვარი სიტყვების წამოროშვა და დაუსებუთებლად, აუწონ-დაუწოვნელად მაშინ, როდესაც განსვენებული ჯერ არ დაუსაფლავებიათ, მაშინ როდესაც მთელი ქართველი ერი გულ-წრფელად გლოვს და სწუხს დაუვიწყარის მღვდელმთავრის დაკარგვას!'' **(,,ივერია,'' 1896 №29:3).**

იმავე წელს ,,ივერიამ'' გამოაქვეყნა მეორე წერილი:,,იგი დესპოტურის ბუნებისაც ყოფილა და ამის გამო ისეთი რაღაცეები ჩაუდენია დაერქვაო ,,მაჩხუბარი, თუ მეომარი ბერმონაზონი'' არც ეს აკმარა ,,კავკაზმა'' ყველას ეჭვის თვალით უყურებდა, ყველას ზედ მიესეოდა თუ გამოეკიდებოდაო, ყველასთან საომარ ფეხზე იდგაო, ესე იგი, ყველას ეჩხუბებოდაო, და სხვანი და სხვანი.

საბუთები, საბუთები!... ბატონო რედაქტორო! ყოველ ამაზე საბუთი გვიჩვენე, საბუთი! უსაბუთოდ ვერ გადაგაქელვებინებთ ამისთანა კაცს, ვერ გაგაუპატიურებინებთ გრძნობას საკუთარის ღირსებისას მთელს საქართველოსას.

ეგ კაცი ჩვენი სახელი იყო და არის, ჩვენი ღირსება იყო, არის და იქნება კიდეც ვიდრე ქვეყანაზე სიტყვა ,,სამართალი'' არ გაუქმდება ისე როგორც გაუქმებია იგი თქვენს

საყვარელს ილია ხონელს, რომლის პირითაც მოგვდგომიხართ და საყვარელს მკვდარსაც არ გვამარხვინებთ შაუგინებლათ. აქ ან საბუთი ან ბოდიში!... სხავა არა არა დააწყნარებს აღშფოთებულს გულს პატიოსანის კაცისას.

რაც გინდა იფიქროს ,,კავკაზმა'' ჩვენ კი არავის არ შევაგინებიებთ იმისთანა კაცს, როგორიც ჩვენდა სასახელოდ და სასიქადულოდ მოგვივლინა ღმერთმა და აწ წაგვართვა და რომელიც მიჩნეულია უკეთეს მღვდელ-მთავრად არამც თუ ჩვენში არამედ ბევრგან სხვაგან" **(,,ივერია,'' 1896 №32:1,2).**

§4. გაბრიელ ეპისკოპოსის ანდერძი

გაბრიელ ეპისკოპოსმა გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე დაწერა ანდერძი,სადაც იგი დეტალურად აღწერს თავისი გარდაცვალების შემდეგ ვის რა უნდა გადაეცეს. ,, ანდერძი ქონებისა და ფულების შესახებ, რაც სიკვდილის შემდეგ დამრჩება არ რაი ჩემი,ყოველივე ღვთისა არს.''

,,წმ.ხატებში ორი, მაცხოვრისა და ღვთისმშობლისა, მოჭედილები, დაიკიდოს ჩემი საფლავის თავზე კედელზე გაუქრობელი ლამპრით, რომელიც ახლაც მათ წინ ანთია, სხვა ხატები, აგრეთვე საეკლესიო წიგნებიც, როგორც სლავიანური, აგრეთვე ქარტული გაგზავნილ იქნას სოფელ ბახვის ეკლესიაში.

ძვირფასი პანაღია, ხელმწიფე იმპერატორის მიერ ბოძებული ჩემზე, აგრეთვე ძვირფასი საარქიმანდრიტო ჯვარი, რომელსაც მე ღვთისმსახურებაზე ვატარებდი, ბრილიანტებით შემკული, შემიწირავს ქუთაისის საკათედრო ტაძრისათვის. მეორე პანაღია, რომელიც უკეთესი იქნება, მიერთვას უპირატეს მღვდელმთავარსს, რომელიც დაესწრება ჩემ წესის აგებაზე, გარდა ფულით შესაფერი დაჯილდოვებისა შრომისათვის. მესამე პანაღია მიერთვას მეორე მღვდელმთავარს, თუ ასეთი დაესწრება მაშინ, ფულით საჩუქართან ერთად: და თუ არ დაესწრება მეორე ეპისკოპოსი, პანაღია გადაეცეს იმავე ქუთაისის საკრებულო ტაძარს,თუ ჩემ შემდეგ დარჩება გვარიანად ახალი ანაფორები და კაბები,ებოძოს ისინი სასულიერო მსახურთ: არქიმანდრიტებს, დეკანოზებს და მთავარდიაკვნებს ფულით საჩუქართან ერთად. დანარჩენ დაბალ წევრებს კრებულისას კი

ფულით საჩუქარი დანარჩენი, არა ძვირფასი სხვადასხვა სასწავლებლის ღარიბ მოწაფეებს, მაგრამ, ვგრძნობდი რა, რომ ასეთი დახმარება არის დროებითი და შემთხვევითი, მე ვცდილობდი აგრეთვე შემედგინა თანხა, რათა მისი სარგებელი მუდამ მოხმარებოდა ღარიბებს. აქედან ვუტოვებ ქვემორე აღნიშნულ სასწავლებელს და საქველმოქმედო საზოგადოებას:

1. შენახული ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში 12,200 მანეთი. გირავნობით ფურცლებად ბახვის სასოფლო სკოლის შესანახად, რომელიც დიდი ხანია რაც უკვე ინახება ამ თანხის სარგებლით, ვუტოვებ და ვუანდერძებ იმავე სკოლას საუკუნოდ.

2. საეპარქიო სამზრუნველოს სასულიერო წოდების ღარიბთათვის იმერეთის ეპარქიაში 2,000 მანეთი.

3. ქუთაისის საქალაქო საქველმოქმედო საზოგადოებას ქალაქის ღარიბთათვის 1,500 მანეთი.

4. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთათვის 3,000 მანეთი.

5. თბილისის სასულიერო სემინარიას ღარიბ მოწაფეთათვის 3,000 მანეთი.

6. იმერეთის საეპარქიო საქალებო ჩემი სახელობის სკოლას 5,000 მანეთი.

შენიშვნა: თუ რაიმე მიზეზის გამო ეს სასწავლებელი არ გაიხსნება, მაშინ ეს 5,000 მანეთი. გადაეცეს ზემორე დასახელებულ საეპარქიო სამზრუნველოს.

7. ქუთაისის უფასო საქალებო სკოლას 2,000 მანეთი.

შენიშვნა: ყველა ზემო აღნიშნული თანხები საუკუნოდ უნდა შენახულ იქნეს ხელუხლებლად პროცენტიან ქაღალდებად და მხოლოდ პროცენტები ხმარდებოდეს თანახმად ამ ანდერძისა.

8. გელათის მონასტერს ვუტოვებ 1000 მანეთს, იმ პირობით,რომ ჩემი სიკვდილის დღეს ძმები სწირავდნენ ჩემთვის მონასტრის ყველა ეკლესიებში და სარგებელი დაურიგდეს ყველა ძმებს.

9. ვუანდერძებ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის გამგეობას უფლებას ჩემ თხზულებათა გამოცემისას იმ პირობით, რომ სარგებელი გამოცემიდან ხმარდებოდეს ამ სასწავლებლის ღარიბ მოწაფეებს. ჩემის თხზულებათა პირველი გამოცემისათვის კი, ჩემი

სიკვდილის შემდეგ, რუსულ და ქართულ ენებზე სურათით ვუანდერძებ იმავე სასწავლებელს 2,500 მანეთი.

ყველა ზემორე მოხსენებული ფულები, გარდა 12,200 მანეთისა გირავნობითი ფურცლებით, რომელიც ინახება ქუთაისის მიხეილის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანაკში, ინახება სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებაში სარგებლიან ქაღალდებით 20,000 მანეთი. ამ 20,000 მანეთიდან სარგებელი ჩემ საკუთრებად დარჩება ჩემი სიკვდილის დღემდი....

დაურიგდეს ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემ მოსამსახურეებს 300 მანეთი საჩუქრად სამსახურში იმ ჯამაგირს ზევით, რაც ერგებათ მათ. ამას გარდა, ჩემი სიკვდილის შედეგაც დარჩებიან ჩემ სახლში, აგრეთვე სხვა გარეშე შეგირდებიც სხვადასხვა სასწავლებლისა, რომელთაც მე ვაძლევდი შემწეობას. თუ შესაძლო იქნება, თუ ზემო აღნიშნულ ხარჯების შემდეგ გადარჩება რამე,ზემორე მოხსენებულ შეგირდებს მიეცეს ერთდროებითი შემწეობა, აგრეთვე ჯამაგირი მიეცეს არქიელის გორის წმ.გიორგის სასწავლებლის მასწავლებელს, თუმცა იმ დროს იგი არ იქნეს უზრუნველ ყოფილი ჯამაგირით სხვა თანხიდან'' **(კელენჯერიძე, 2006:211-212).**

1894 წლის 19 ნოემბერს გაბრიელ ეპისკოპოსმა ანდერძის მუხლებში ცვლილება შეიტანა კერძოდ: ბახვის სკოლას უტოვებდა 12,200 მანეთს, მაგრამ ცვლილების შეტანის შემდეგ ბახვის სკოლას, ,, ს.ბახვის სკოლა თუ დაიკეტოს, მასზე შეწირული ფული გადაეცეს ბახვის ღვთისმშობლის ეკლესიას სამუდამოდ. მასვე გადაეცეს ის 600 მანეთიც, რომელიც შევწირე ბახვის შემნახველ-გამსესხებელ კასსას, თუ ეს კასსა დაიკეტოს , ეკლესიის საჭიროებისათვის, უმთავრესად კი საბრძოლველად უვიცობასთან, სიღარიბესთან და მცხოვრებთ უზნეობასთან-რიგიანი სკოლის საშუალებით, რაც შემიწირავს თბილისის სასულიერო სემინარიისათვის, ის გადაეცეს ახლად დაარსებულ ქუთაისის სასულიერო სემინარიას" **(კელენჯერიძე, 2006:211-212).**

გაბრიელ ეპისკოპოსს დიდი სურვილი ჰქონდა,რომ ქუთაისის სასულიერო სემინარიისათვის ახალი შენობა აეგო არქიელის გორაზე, სამწუხაროდ მეუფე გაბრიელი ისე გარდაიცვალა,რომ ვერ შეძლო არქიელის გორაზე სემინარიისათვის შენობის აშენება. მაგრამ მან ანდერძში არქიელის გორაზე სემინარიის შენობისათვის დატოვა თანხა. მაგრამ

ქალაქის (ქუთაისის) მმართველობამ გადაწყვიტა, რომ სასულიერო სემინარიისათვის შენობა აეშენებინა არა არქიელის გორაზე, არამედ ქალაქის სხვა ადგილზე.

ამ ფაქტთან დაკავშირებით გაზეთი ,, ცნობის ფურცელი'' 1902 წელს წერდა: ,, ქუთაისში სასულიერო სემინარიის დაარსებას დიდი ღვაწლი დასდო, როგორც ვიცით, ნეტარ ხსენებულმა მოძღვარმა გაბრიელ-ეპისკოპოსმა. დიდი წადილი ჰქონდა ამ მოძღვარს იმისა,რომ სემინარია უთუოდ არქიელის გორაზე დაარსებულიყო და წადილის ასასრულებლად თავის მხრით დიდი ნივთიერი საშუალება გადასდო-ოცდაათი ათასი მანეთი შეწირა ამ საქმეს,

გაბრიელ-ეპისკოპოსის გარდაცვალების შემდეგ ქუთაისში სემინარიის დაარსების საქმე,ყველამ ვიცით, დიდად გამწვავდა: ყველა იმას სცდილობდა,რომ სემინარია ამ უბანში მოთავსებულიყო. ბოლოს კი ისე გადასწყვიტა სემინარიის მაშინდელმა მთავრობამ, რომ სემინარიის ასაგებად შეიძინა ქუთაისის მეაფთიაქის ვიტუშინსკის ადგილი პატრონს ფული ერთიანად მისცეს და ამგვარად არქიელის გორა სემინარიისათვის დაწუნებულ იქნა.

ამ გარემოებამ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ქუთათურებში და გაბრიელ-ეპისკოპოსის მემკვიდრეებმაც გამოუცხადეს მთავრობას, რომ გარდაცვალებულის მღვდელმთავრის სურვილი იყო, უთუოდ არქიელის გორაზე აშენებულიყო სემინარია და მხოლოდ ამ პირობით შესწირა განსვენებულმა ფულიო. უკეთუ განსვენებულის სურვილი არ აღსრულდება, შეწირულობასაც ვერ მოვიღებთ, რადგან ეს წინააღმდეგი იქნება ანდერძისაო.

ეხლა ცნობა მოვიდა ქუთაისში; რომ ვიტუშინსკისაგან შეძენილი ადგილი მთავრობას დაუწუნებია და გასასყიდად დაუნიშნავთ. ხოლო სემინარია ისევ არქიელის გორაზე უნდა ააგონ. ამ ადგილზე სემინარიის აგების მოწინააღმდეგენი ერთ უმთავრესს მიზეზად უწყლობას ასახელებდნენ, დღეს კი არქიელის გორას წყალი ბევრი ექნება რადგან უმთავრესი წყლის აუზი, როგორც ვიცით, იქნება გამართული ამ აუზის კეთებას წყლისაყვანის მახანაგობა შეუდგა კიდეც (**,,ცნობის ფურცელი,'' 1902 №1868:2,3).**

გაბრიელ ეპისკოპოსის ეს ანდერძი მრავალი კუთხითაა საინტერესო; პირველი რაზედაც მკითხველის ყურადღებას იპყრობს ის არის,რომ ანდერძის ვერცერთ მუხლს ვერ ნახავთ, რომელიც არ ეხებოდეს ქართული ეროვნული ღირებულებების დაცვა

განმტკიცებას და გაჯერებული არ იყოს ქველმოქმედებითა და მეცენატობით, მეორე არის ის, რომ სხვა საზოგადო მოღვაწეების ანდერძებისაგან იმით განსხვავდება, რომ ძალიან კარგად არის მეუფე გაბრიელის მხრიდან გააზრებული ყველა იმ დანატოვარის შინაარსობრივი განკარგვა, რომელიც უნდა მოხმარებოდა ქართული კულტურისა და იდეოლოგიის გავრცელებასა და დაცვას და ბოლოს ეს ანდერძი არის სასულიერო იერარქიის მხრიდან პირველი შემთხვევა, როდესაც მღვდელმთავარი მთელ თავის ქონებას უტოვებს ქართველ ერს. საერო ადამიანების მხრიდან იყო ასეთი შემთხვევები მე19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, მაგრამ სასულიერო წრიდან ნამდვილად პირველი იყო იმერეთის ეპისკოპოსის ანდერძი გაბრიელ ეპისკოპოსის ღვაწლის სათანადო დაფასება იყო უწმინდესი და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის განჩინება. 1995 წლის 19 სექტემბერს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში გაფართოებულ კრებაზე მეუფე გაბრიელი შერაცხეს წმინდანად და წმინდა მღვდელმთავრის სახელი უწოდეს.

თავი VI

ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე

§1. ალექსანდრე ოქროპირიძის სწავლის პერიოდი, აფხაზეთსა და გურია-სამეგრელოს ეპარქიაში მოღვაწეობა

საქართველოში XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში ეროვნული ღირებულებების გადასარჩენად აქტიურად იბრძოდნენ არა მარტო საერო მოღვაწენი, არამედ ამ პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულენი ქართული სამღვდელოდასის წარმომადგენლებიცა.ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია წმინდა ალექსანდრე ოქროპირიძე და იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე.

ალექსანდრე ოქროპირიძე დაიბადა 1824 წელს(ერისკაცობაში ალექსი დავითის ძე) სოფელ დისევში. იგი იყო სასულიერო პირის შვილი და შესაბამისად სასულიერო განათლება ჰქონდა. ალექსანდრე ოქროპირიძმ სწავლა დაიწყო გორის სასულიერო სემინარიაში, შემდეგ კი თბილისის სასულიერო სემინარიაში,განაგრძო რომელიც 1845 დაამთავრა. ამავე წელს იგი ბერად აღიკვეცა.

1846 წელს ალექსანდრე ოქროპირიძე სასწავლებლად მიემგზავრება ყაზანის სასულიერო აკადემიაში, 1850 წელს რომელსაც ამთავრებს ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ალექსანდრე ოქროპირიძე შეუდგა აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას,იგი ჯერ თბილისის სასულიერო სემინარიაში, ხოლო შემდეგ აფხაზეთში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას.

1855 წლის 30 ნოემბერს ალექსანდრე ოქროპირიძემ მიიღო იღუმენის ხარისხი, ხოლო 1856 წლის 26 თებერვალს იგი აკურთხეს არქიმანდრიტად,1862 წლის 4 მარტს იგი თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში ხელდასხმულ იქნა აფხაზეთის ეპისკოპოსად. აქვე უნდა აღინიშნოს,რომ ალექსანდრე ოქროპირიძე სხვადასხვა წლებში არა ერთი ეპარქიის იყო მეთაურად მივლენილი. მაგალითად: 1869-82 წლებში იგი გორის ეპარქიას მეთაურობდა,1898-1903 წლებშიკი გურია-სამეგრელოს ეპარქიას.

ალექსანდრე ოქროპირიძის მოღვაწეობა განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო აფხაზეთში, რადგანაც იმ პერიოდში აფხაზეთის რეგიონი ითვლებოდა ერთ-ერთ სენსიტიურ ნაწილად, როგორც სულიერი ასევე ეროვნული თვალსაზრისით ცნობილია, რომ აღნიშნულ პერიოდში აფხაზეთის მოსახლეობა განიცდიდა რუსული კოლონიური პოლიტიკის უმძიმესი მარწუხების ზეგავლენას, რაც გამოიხატებოდა იმაში,რომ აფხაზეთში მიმდინარეობდა მოსახლეობის რუსიფიკაცია და ყოველგვარი ქართული ელემენტების გაქრობა. სწორედ აღნიშნული ბარბაროსული იდეების წინააღმდეგი გამოვიდა ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე, რაც შემდგომში მიზეზი გახდა იმისა, რომ მეუფე ალექსანდრეს წინააღმდეგ რუს მოხელეებს ბრძოლა დაეწყოთ.

აფხაზეთის ეპარქიაში გადასვლისთანავე ალექსანდრე ოქროპირიძე აქტიურად შეუდგა ეკლესია-მონასტრების აშენება- განახლებას და იქ ქართულად წირვა-ლოცვის ჩატარებას. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა აფხაზი ბავშვების სწავლა-განათლების დაფინანსების საკითხს.

ალექსანდრე ოქროპირიძის უშუალო შემწეობით არაერთმა ახალგაზრდამ მიიღო განათლება. ძალიან საინტერესოა ალექსანდრე ოქროპირიძის ერთ-ერთი წერილი,რომლიც მან 1854 წელს ეგზარქოსს გაუგზავნა აფხაზეთიდან ,, შეუძლებელ იყო სოკსუში(ლიხნი) გაჩერება (ამპერიოდში ყირიმის ომმა მკვეთრად შეცვალა ვითარება აფხაზეთში,რადგანაც აფხაზთა დიდი ნაწილი მიემხრო თურქეთს, რის გამოც რუსეთი იძულებული გახდა, რომ ჯარი გამოეყვანა აფხაზეთში) პოლიტიკური გადატრიალებისა და იმ საფრთხის გამო,რომელიც შეექმნა სოუკსუს ჩერქეზთა მხრიდან , ამიტომ გადავწყვიტე მიმდინარე წელსაც არ დამეხარჯა ხაზინის ფული, თვითონ საკუთარი ანგარიშით მოემმარაგებინა მოსწავლეები ფრიად აუცილებელი ნივთებით,როგორიცაა: კალამი,ქღალდი და მელანი,ერთ ღარიბ მოსწავლეს საკუთარი სახსრებით ვინახავდი, ხოლო ორ ხელმოკლე მოსწავლეს ჩემივე ფულით ზედა ტანსაცმელი შეუძინე'' **(წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე და აფხაზეთი, 2006:16).** ამ წერილიდან ნათლად ჩანს,თუ როგორ ეხმარებოდა მეუფე ალექსანდრე გაჭირვებულ მოსწავლეებს.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ წმინდა ალექსანდრე ოქროპირიძე განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა აფხაზი ბავშვების მიმართ, რათა მათ განათლება

მიეღოთ, ესწავლათ ქართული და რუსული ენები,რომ მათ შემდგომში თვითრეალიზების პრობლემა არ ჰქონოდათ. ცნობილია, რომ აფხაზეთში იყო შექმნილი ე.წ მართლმადიდებელობის აღმდგენი საზოგადოება, რომლის წარმომადგენელიც იყო ნიკო ღოღობერიძე. 1864 წელის 12 ნოემბერს ნიკო ღოღობერიძემ წარმოადგინა ანგარიში, სადაც იგი ეხებოდა ალექსანდრე ოქროპირიძის მოღვაწეობის საკითხს აფხაზეთში,კერძოდ მის დამოკიდებულებას აფხაზეთში სწავლა-განათლების მიმართა. ნიკო ღოღობერიძე ხაზგასმით აღნიშნავდა,რომ აფხაზეთის ეპისკოპოს ალექსანდრეს ჰყავს ექვსი ახალგაზრდა აფხაზი მოსწავლე, რომელთა განათლებასაც უშუალოდ ეპისკოპოსი აფინანსებს. ,,ექვსი ახალგაზრდა აფხაზი, რომლებიც სამეგრელოში-ცაიშის მონასტერში სოხუმის ეპისკოპოსის ყოვლადსამღვდელო ალექსანდრეს სახსრებით სწავლობენ სასულიერო წიგნებს" **(წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე და აფხაზეთი, 2006:36).**

ნიკო ღოღობერიძის მიერ ნახსენებ აფხაზ მოსწავლეებზე თავად ალექსანდრე ოქროპირიძეც წერს: ,,მათ ძალიან კარგად შეისწავლეს ქართული საღვთისმსახურო წიგნები, საღვთისმსახურო წიგნები თბილისიდანაც იქნა გამოწერილი, ხსენებული მოსწავლეებიდან სამმა ძალიან კარგად ისწავლა გალობა (ექვსი მოსწავლიდან) 1862-1683 და 1864 წლებში ხსენებულ მოსწავლეებისათვის გურიიდან გამოვწერე და დავიქირავე მგალობელი ნინო ხავთასი. ამ მგალობელ ხავთასს, რომელიც გურიის ეპისკოპოსს გაბრიელის მგალობელთა რიგებიდან არის ყოველწლიურად გარდა ჯამაგირისა ვუხდი ას-ას ვერცხლის მანეთს. საერთოდ ხსენებული აფხაზები-ჩემი საშინაო მოსწავლეები ძალიან კარგად გალობენ, კითხულობენ და საუბრობენ ქართულად,მეგრულად. ისინი აგრეთვე რიგიანად კითხულობენ, წერენ და საუბრობენ რუსულად''**(წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე და აფხაზეთი, 2006:36,37).**

ეპისკოპოსი ალექსანდრე სიამაყით აღნიშნავდა, რომ ,, ამ მოსწავლეების სახით მე პირველად ჩავუყარე საფუძველი ჭაბუკების კაპიტალურ სასულიერო განათლებას აფხაზეთში, ვიმეორებ ვქენი სიკეთე, რამდენადაც შემეძლო სამეცნიერო მოღვაწეობის,განათლებისა და უმაღლესი აღზრდის მისაღებად მოსწავლეთა მომზადების სარბიელზე. ყველგან სუფევმა და ყოვლის მხილველმა ღმერთმა უწყის რამდენი მქონდა

სურვილი აფხაზეთისთვის ზნეობრივი და გონებრივი განათლება მიმეცა”(**წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე და აფხაზეთი, 2006:37).**

1867 წელს ალექსანდრე ოქროპირიძემ საქართველოს ეგზარქოსს მიწერა წერილი. აღნიშნული წერილი იმითაა საინტერესო, რომ მასში მეუფე ალექსანდრე ასახელებს იმ მოსწავლეების სახელებსა და გვარებს, რომლებმაც მისი სახსრებით მიიღეს განათლება. აღნიშნული წერილის შინაარსიდან გამომდინარე აფხაზეთის ეპისკოპოს ალექსანდრეს უშუალო დახმარებით განათლება მიუღიათ შემდეგ მოსწავლეებს აი, ისინიც: ,,1.გიორგი მარშანია (თავადი), 2. გიორგი უშბა, 3. პეტრე იასკუა, 4. პეტრე ფილია, 5. პეტრე ანტია, 6. ნესტორ გრიგოლია, 7. დავით გვილია, 8. გრიგოლ თელია, გარდა ამ მოსწავლეებისაც ეპისკოპოსი ალექსანდრე თავის წერილში კიდევ ასახელებს სხვა მოსწავლეებს, რომლებიც მისი დახმარებით სწავლობდნენ. ეს ეს მოსწავლეები იყვნენ: ანდრონიკე გეგეჩკორი, მაქსიმე გეგეჭკორი, ბესარიონ ხელაია, (შემდგომში საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ამბროსი ხელაია), კონსტანტინე ახვლედიანი, დიმიტრი თვალთვაძე, გიორგი თვალთვაძე, კონსტანტინე საჯაია, ნესტორ საჯაია, კაპიტონ ჩხიკვაძე, გერასიმე ცანავა, გიორგი უშბა, გერასიმე ცანავა, გიორგი ეშბა, მიხეილ დარახველიძე, ივანე ხორჯავა, დავით გოგორიშვილი, ივანე გაბუნია,ესაია გაბუნია, ალექსანდრე კობეშავიძე, კონსტანტინე კობეშავიძე, მარკოზ ჩოგონია, გიორგი ფალავანდოვი, ჩაგუ კაკაჩია და ბესარიონ ციხავა'' **(წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე და აფხაზეთი, 2006:143,144).** ეს არის სია იმ მოსწავლეებისა, რომლებმაც ალექსანდრე ოქროპირიძის უშუალო ხარჯით ისწავლეს და განათლება მიიღეს.

ალექსანდრე ოქროპირიძის იდეა იყო, რომ ბიჭვინთაში გახსნილიყო სასულიერო სასწავლებელი, სადაც მოსწავლეები გაძლიერებულად ისწავლიდნენ, როგორც ქართულ, ასევე აფხაზურსა და რუსულ ენებს. ბიჭვინთაში სასულიერო სასწავლებლის გახსნას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ქართველებისათვის, ასევე აფხაზებისათვისაც, ბიჭვინთის სასულიერო სასწავლებელი იქნებოდა აფხაზეთის მოსახლეობისათვის ერთადერთი განათლების კერა, სადაც მათ საშუალება ექნებოდათ,რომ განათლება მიეღოთ. ბუნებრივია, რუსეთის კოლონიური რეჟიმისათვის ყოვლად მიუღებელი იქნებოდა აფხაზეთში ქართული განათლების კერის დაარსება და სწორედ ამიტომაც

შეუშალეს ხელი ალექსანდრე ოქროპირიძეს ბიჭვინთაში სასულიერო სასწავლებლის გახსნაში.

ერთი შეხედვით საეგზარქოსო თითქოს თანახმა იყო ბიჭვინთაში სასულიერო სასწავლებლის გახსნაზე, მაგრამ ყველაფერს აკეთებდა იმისათვის,რომ რაიმე მიზეზი მოეძებნა ალექსანდრე ოქროპირიძის წინააღმდეგ, რომ მისთვის სასულიერო სასწავლებლის გახსნაში ხელი შეეშალათ.

მეუფე ალექსანდრეს მალე მიზეზიც გამოუძებნეს. 1867 წლის 14 ნოემბერს სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსმა ვ.გეიმანმა მეფის ნაცვალს მიხეილ რომანოვს მოხსენება წარუდგინა, სადაც იგი აღნიშნავდა, რომ აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელებას ხელს უშლიდა, მეუფე ალექსანდრე, რომელიც ყმაცვილებთან აფხაზთა ბავშვებისათვის სრულიად უცხო ქართულ ენაზე საუბრობდა,ასევე გეიმანი ხაზგასმით აღნიშნავდა,რომ მოსაწონი არ იყო ძველ და ჭუჭყიან სამოსში გამოწყობილი აფხაზეთის ეპისკოპოსის ქართულ ენაზე ღვთისმსახურება, გეიმანი თავის წერილში პირდაპირ თხოვდა მეფის ნაცვალს, რომ აფხაზეთის ეპარქია გაეუქმებინა. მისი აზრით, აფხაზეთს ეპარქია არ ჭირდებოდა, ორი საკეთილმოწესეოც საკმარისი იქნებოდა, რომელსაც ხელმძღვანელობას გაუწევდა უფროსი კეთილმოწესე. გეიმანს აღნიშნულ თანამდებობაზე შერჩეული ჰყავდა დავით მაჭავარიანის კანდიდატურა, რომელიც იმ პერიოდში დიდი ნდობით სარგებლობდა.

გეიმანის წერილი და იდეები მოიწონა ეგზარქოსმა ევსევიმ,რადგანაც გეიმანის მიერ წარმოდგენილი იდეებით რუსეთის კოლონიური რეჟიმი თავიდან მოიშორებდა აფხაზეთში ერთ-ერთ ქართველ მოღვაწეს, რომელიც დღენიადაგ ცდილობდა ქართული კულტურისა და განათლების დაცვასა და გაღრმავებას. მეორეს მხრივ რუსეთის ხელისუფლება ალექსანდრე ოქროპირიძის მოშორებით ადვილად შეძლებდა აფხაზეთში რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელებას, რაც სახიფათო იყო როგორც ქართველებისათვის, ასევე აფხაზებისათვის.

რუსეთის კოლონიური პოლიტიკის გამტარებლები აფხაზეთში ,ბუნებრივია, ადვილად ვერ შეძლებდნენ აფხაზეთიდან ალექსანდრე ოქროპირიძის

გადაყვანას,რადგანაც აფხაზეთის ეპისკოპოსი დიდი სიყვარულით და ავტორიტეტით სარგებლობდა ეპარქიის მოსახლეობაში.

ალექსანდრე ოქროპირიძის ავტორიტეტზე აფხაზეთში მეტყველებს ამბროსი ხელაიას მოგონება,რომელიც მან წარმოთქვა ალექსანდრე ოქროპირიძის დაკრძალვის დღეს:,,1866 წლის ამბოხების ჩაქრობის შემდეგ აფხაზების უმრავლესობა იძულებული გახდა გადასახლებულიყო ოსმალეთში ამ უბედურ დროს,როცა აფხაზთათვის ყველა ქრისტიანის სახელის მატარებელი საზღვარი იყო, მხოლოდ ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს ჰქონდა აფხაზებთან კავშირი, მხოლოდ მას უზიარებდნენ თავიანთ ჭირ-ვარამს, მას ენდობოდა.

აი, ამ ხანებში მწყემს-მთავართან შემოდის ერთი მაჰმადიანი აფხაზი, სახელად ურუსი, თავისის თორმეტი წლის შვილით, როდესაც ყოვლად სამღვდელომ ჩვეულებრივი ალერსიანი კილოთი ჰკითხა ურუსს მოსვლის მიზეზი,უკანასკნელმა მოახსენა შემდეგი: შენთან მოვედი, კეთილო მწყემსო და მამაო! მე სამუდამოდ ვეთხოვები სამშობლოს, მივდივარ ოსმალეთში საცხოვრებლად და ჩემი ვაჟი უნდა დავსტოვო შენთანა მეტი არა გამაჩნია რა, ცოლი და სხვა შვილები ადრე დავკარგე, არ ვიცი რა მომელის უცხო მხარეში, მაგრამ მაინც ვტოვებ ჩემს საყვარელ სამშობლოს არ მინდა ჩემი უბედურება გავუზიარო ჩემს ერთადერთს შვილს და შენთან მოვიყვანე, მოწყალეო მამაო, ვიცი მიიღებ, აღზრდი ქრისტიანულად და იქნება ბედნიერი” **(მწიგნობრობა ქართული, 2013:67).**

ბუნებრივია, ასეთი ავტორიტეტის მქონე პიროვნების წინააღმდეგ ბრძოლა ადვილი არ იქნებოდა, რაც შესანიშნავად იცოდნენ ალექსანდრე ოქროპირიძის მტრებმა.

რუსმა მოხელეებმა იმისათვის,რომ ალექსანდრე ოქროპირიძეისათვის აფხაზეთში ძირი გამოეთხარათ და ადვილად გამოეძევებინათ აფხაზეთის ეპარქიიდან მოძებნეს რამდენიმე მოღალატე სასულიერო პირი, ისეთები როგორებიც იყვნენ: იღუმენი გრიგოლ დადიანი, ბესარიონ მიქაბერიძე,გიორგი ახვლედიანი, იულონ თოფურია და ანტონ გრიგოლია რომლებმაც მოტყუებით ,,საჩივრის'' წერილზე ხელი მოაწერინეს მღვდლებს: გიორგი ჭარაიას, სპირიდონ ჩხიკვაძეს, ზოსიმე ხელაიას, გიორგი გეგეჭკორს, მიხეილ სახოკიას, ივანე გეგიას, იოვანე თვალთვაძეს, თადეოზ სარსანიას და ისაია საჯაიას, როგორც შემდგომში გაირკვა ზემოაღნიშნულმა საჯარო პირებმა საერთოდ არ იცოდნენ

რაზე აწერდნენ ხელს და მათ არანაირი პრეტენზია არ ჰქონდათ ალექსანდრე ოქროპირიძესთან.

,,საჩივრის'' წერილში აღნიშნული იყო, რომ ალექსანდრე ოქროპირიძე აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელებას ხელს უშლიდა, რის გამოც 1865 წლის 15 სექტემბერს ალექსანდრე ოქროპირიძე დაიბარეს ეგზარქოსთან.

1868 წლის ივნისში საბოლოოდ გადაწყდა აფხაზეთის საეპისკოპოსო კათედრის ბედი, რადგანაც ალექსანდრე ოქროპირიძე გაწვეულ იქნა თბილისში, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს,რომ იგი ფორმალურად ერთი წლის განმავლობაში მაინც რჩებოდა აფხაზეთის ეპისკოპოსად.

1869 წელს იმპერატორის ბრძანებით პენსიაზე გაუშვეს გორის ეპისკოპოსი გერონტი (ეს ის ეპისკოპოსია, რომელიც თავის დროზე აფხაზეთში შეცვალა ალექსანდრე ოქროპირიძემ) და ალექსანდრე ოქროპირიძე დანიშნულ იქნა გორის ეპისკოპოსად.

აფხაზეთის მოსახლეობამ მეტად მტკივნეულად განიცადა მეუფე ალექსანდრეს გადაყვანა აფხაზეთიდან, რასაც მოწმობს ის გულთბილი წერილები, რომლებიც მათ ეპისკოპოსს გაუგზავნეს.

გენერალმა გიორგი შერვაშიძემ მეუფე ალექსანდრემ დასამშვიდობებლად მიწერა შემდეგი შინაარსის წერილი: ,, ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო, მღვდელმთავარო ალექსანდრე!

თუმცა ჩვენს შორის იყო უსიამოვნება დღემდის, ის ეხებოდა სამოქალაქო საქმეს, რომლითაც მე ვიყავი, ჩემის ფიქრით, თქვენგან შორს დაყენებული, ვიდრე წინააღმდეგი ჩემნი, გარნა დღეს რადგანაც გამოიცვალა მდგომარეობანი საქმისა ამ მხარისა და თქვენ მიბრძანდებით ახალსა თანამდებობაში და ამისათვის მე, ვითარცა მართმადიდებელი ქრისტიანე მსურს გეახლოთ და თაყვანი ვსცე მეუფებასა თქვენსა, ვითარცა ითხოვს მოვალეობა ჩემი.

ვითარცა მართმადიდებელი ქრისტიანი უკეთუ მიიღებს თქვენი მეუფება აწ გთხოვთ, ყოვლადუსამღვდელოესო მიბრძანოთ, მცირედისა ბარათითა თქვენითა ნება თქვენი და თუ ინებებთ რომელს საათზე შეიძლება გეახლოთ და აღვასრულო ეგ

მოვალეობა ჩემი, დავშთები მარად უმორჩილესი მონა'' **(წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე და აფხაზეთი, 2006:159).**

საინტერესოა აგრეთვე მღვდელმონაზონ ანტონ დგებუაძის წერილი: ,,სხვებრ გახლავართ შეწუხებული თქვენის მეუფების მოშორებით ყველანი ოჯახებით და ერთობით მრავალნი პირნი აქ სოხუმში მცხოვრებნი დიდის სასოებით თაყვანისცემას და მარჯვენათა ამბორებით ლოცვა კურთხევას გამოითხოვს თქვენი მეუფებისაგან,,**(წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე და აფხაზეთი, 2006:42).** ალექსანდრე ოქროპირიძემ აფხაზი ხალხის მიმართ დიდი სიყვარულის გამოსახატავად გამგზავრების წინ საკუთარი ბიბლიოთეკა აფხაზეთის მომავალ სასულიერო სასწავლებელს შეწირა.

ალექსანდრე ეპისკოპოსის გორის ეპარქიის მეთაურად გადმოყვანით არ დამთავრებულა მის წინააღმდეგ ბრძოლა. ცნობილია,რომ გორის ეპარქიიდან იგი მალევე გადაიყვანეს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად, საიდანაც იწყება მისი ბრძოლის მეორე ეტაპი რუსული კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ კერძოდ, იგი დაუპირისპირდა სამეგრელოში ქართული ენის დევნის პოლიტიკას, რომელიც ივანე ვოსტორგოვის ხელით ხორციელდებოდა. როდესაც ეგზარქოსი 1902 წლის აპრილში ჯერ აფხაზეთში, შემდეგ კი სამეგრელოში ჩაბრძანდა დაიწყო ქართული და მეგრული ენების განსხვავებაზე საუბარი,რის წინააღმდეგიც გამოვიდა ალექსანდრე ოქროპირიძე, რასაც მოჰყვა ის,რომ თბილისში დაბრუნებულმა ეგზარქოსმა უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორ კ.პობედონოსცევს საიდუმლო წერილი მიწერა, სადაც იგი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს ალექსანდრეს ,,ამხელდა'' ,,ანტისახელმწიფოებრის'' ქმედებებში. ეგზარქოსი ობერ-პროკურორს წერს: ,,სენაკის მაზრის უფროსი სავსებით კონფიდენციალურად მატყობინებს, რომ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე ღია შეკრებებზე თავადების თანდასწრებით ზოგჯერ საკუთარ თავს რუსი ხალხისა და რუსული ხელისუფლების მისამართით უხამსი გამოხტომის უფლებას აძლევს, მოუწოდებს თავადებს გაერთიანდნენ თავისუფლების დასაცავად'' **(წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე და აფხაზეთი, 2006:48).**

იმას რასაც რუსი ეგზარქოსი ალექსანდრე ოქროპირიძეს ღალატად უთვლიდა მეუფე ალექსანდრეს მხრიდან წმინდა პატრიოტული საქციელი იყო, რადგანაც იგი ქართულ

საზოგადოებას და ინტელიგენციას მოუწოდებდა ებრძოლათ იმ შოვინისტური იდეების წინააღმდეგ რასაც რუსეთის ხელისუფლება ნერგავდა სამეგრელოში. ამიტომაც იყო,რომ ალექსანდრე ოქროპირიძე ყოველთვის ხაზგასმოთ აღნიშნავდა : ,,მე არ მგონია იყოს ერთი ისეთი მეგრელი, რომელიც იტყვის, რომ ის ქართველი არ არის'' (ჭიჭინაძე, 1903:110).

ისევე როგორც აფხაზეთში გურია-სამეგრელოშიც რუსმა მოხელეებმა გამოძებნეს სასულიერო იერარქიაში ისეთი პირები, რომლებიც ჩინ-მედლების გამო მზად იყვნენ ეღალატათ ეროვნული ინტერესებისათვის. ერთ-ერთ ასეთ პიროვნებას წარმოადგენდა ეპისკოპოსი დიმიტრი აბაშიძე,რომელიც იმ პერიოდში რუსეთის ეგზარქოსთან საკმაოდ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა თავისი ორპირობით. ალექსანდრე ოქროპირიძის გენიალურობა იმაში მდგომარეობდა,რომ იგი დიმიტრი აბაშიძის მსგავს ქართველებს პირდაპირ ამხელდა და მოუწოდებდა ჩამდგარიყვნენ სამშობლოს სამსახურში. ,,კაცი თავისი ქვეყნის და ერის წინაშე სიყალბეს არ უნდა ემსახურებოდეს, ხარისხის მიღების გულისათვის, ორი ენა არ უნდა იყოს, შენ პირველი საქართველოს უპირველესი ოჯახის თავადის შვილის შთამომავალთაგანი ხარ, მერე უნივერსიტეტში სწავლა დაამთავრე, მის შემდეგ აკადემიაში შეხველ და იქაც დაამთავრე სწავლა კაი სახელით, მასთან ბუნებითაც ნიჭიერი კაცი ხარ და რად ყალბობდი, ჩვენს წინააღმდეგ რად ლაპარაკობდი ცუდად, უამისოდაც ხომ მიიღებდი შენ ეპისკოპოსობას''(ჭიჭინაძე, 1903:111).

სამწუხარო ისაა, რომ ისეთ დიდ პატრიოტს, როგორიც იყო ალექსანდრე ოქროპირიძე თავის მართლება უხდებოდა ისეთი უსუსური ბრალდებების წინაშე, როგორიც მას თედო ჟორდანიამ წამოუყენა-თითქოს მეუფე ალექსანდრე თანახმა იყო, რომ მეგრული ენა აღიარებულიყო დამოუკიდებელ ენად.

თედო ჟორდაინიას ამ ბრალდებას ალექსანდრე ოქროპირიძემ გაზეთ ,,ცნობის ფურცლის'' მეშვეობით უპასუხა: ,, ქართულ საზოგადოებაში ბ-ნ თ. ჟორდანიას გაუვრცელებია ხმა ვითომც რაღაცა ჯილდოს მიღების გულისთვის მე მიმერთმიოს, ვისდამიც ჯერ არს,მოხსენება,რომ მეგრული ენა სრულებით დამოუკიდებელია ქართული ენისაგან და მეგრელებს არ ესმით ქართული. ყველაფერი ეს ცილისწამებაა, ამგვარი აზრისათვის არასოდეს არ მიმიცია ალაგი ჩემს გულსა და გონებაში და ვთხოვ ბ.ნ.

ჟორდანიას ამავე გაზეთის საშუალებით დამიმტკიცოს საბუთებით ის, რაშიაც იგი ბრალსა მდებს" (**,,ცნობის ფურცელი" 1903,№2349:3).**

ალექსანდრე ოქროპირიძის წინააღმდეგ წარმოებულმა ბინძურმა ბრალდებებმა თავისი ნაყოფი გამოიღო,. 1903 წლის ნოემბერში ალექსანდრე ოქროპირიძე გურია-სამეგრელოს ეპარქიიდან გაანთავისუფლეს და გადაიყვანეს თავის მიერ აღდგენილ შიო მღვიმის მონასტერში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა.

მართალია მეუფე ალექსანდრე მთელი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში რუსეთის ხელისუფლებისაგან არ სარგებლობდა დიდი ნდობით, მას მაინც არაერთი ჯილდო ჰქონდა მიღებული. მაგალითად, 1893 წელის 15 მაისს ალექსანდრე ოქროპირიძეს რუსეთის იმპერატორმა გადასცა სიგელი, რომელშიც ნათქვამია :,, ყურად ვიღე რა თქვენი ხანგრძლივი წარჩინებული და გულმოდგინე სამსახური მართმადიდებელი ეკლესიის სასარგებლოდ, გიწყალობებ ამასთანავე წარმოგზავნილ ძვირფასის ქვებით მოჭედილს გულზედ დასაკიდ სამღვდელმთავრო ხატს" (**წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე და აფხაზეთი, 2006:46).**

მართლაც, რომ ბედის ირონიაა, ადამიანს აჯილდოვებდნენ მართმადიდებლობის დაცვა- გავრცელებაში შეტანილი წვლილისათვის, იმ დროს როდესაც აფხაზეთიდან დევნიან როგორც ქრისტეს რჯულის არასათანადოდ პოპულარიზაციის გამო.

1896 წელის 12 მაისს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ალექსანდრე ოქროპირიძე საპატიო წევრად აირჩია ,, ნიშნად პატივისცემისა იმ დიდი ღვაწლისათვის, რომელიც მას მიუძღვის საქართველოს წინაშე როგორც იმითი, რომ ბეჭდავს წარჩინებულთა სასულიერო მწერალთა თხზულებათა, აახლებს შესანიშნავ დანგრეულ ტაძართა და თან ცდილობს აღადგინოს ძველი ქართული გალობა და ამისათვის ყოველგვარს ღონისძიებასა ჰღონობს, ისევ განვითარებას და უწყობს საქართველოს ხალხის გონებრივს განვითარებას და თავისი ხარჯით ჰზრდის ბევრს ობოლს სხვადასხვა სასწავლებლებში ''(**წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე და აფხაზეთი, 2006:46,47).**

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ალექსანდრე ოქროპირიძე ყოველთვის აკრიტიკებდა და მოუწოდებდა იმ ქართველებს, რომლებიც ჩამდგარნი იყვნენ ცარისტული რუსეთის

სახელმწიფო სამსახურში. ვფიქრობთ, ამ მხრივ საინტერესოა ალექსანდრე ოქროპირიძის ერთ-ერთი წერილი, სადაც იგი ქართულ საზოგადოებას ასე მოუწოდებს: ,,მე მხოლოდ იმას ვინატრი, რომ ქართველთა სწავლულთა პირთა ერთმანეთის სიყვარული იქონიონ და ერთმანეთის შემწეობით განავრცონ და განამტკიცონ ქართული ენა, მხოლოდ ძნელ ეს არის, რომ ფრიად მცირე ხასიათს აცხადებენ მრავალნი. ვისურვებდი მე სწავლულთა ქართველთა თავიანთი თხზულებათა დატოვებას და სახელნი ესრეთთა ქართველთა, განათლებულთა პირთა აღბეჭდილიყოს გორიზონტსა ზედა საქართველოს ისტორიისასა'' **(მწიგნობრობა ქართული, 2013:59).**

ალექსანდრე ოქროპირიძის ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორი უნდოდა ყოფილიყო თავისი თანამედროვე ქართული საზოგადოება.

1878 წელს თბილისში გაიხსნა ქალთა სასწავლებელი, ამასთან დაკავშირებით ზაქარია ჭიჭინაძე წერს: ,,ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებელს სამი ათასი მანეთი შეწირა სტიპენდიის დასაარსებლად ალექსანდრე ოქროპირიძემ'' **(ჭიჭინაძე, 1903:9).**

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ,,წმინდა ალექსანდრეს ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე საქართველოში არ დაწყებულა არც ერთი სარწმუნოებრივი ეროვნული საქმე მისი თანადგომისა და მონაწილეობის გარეშე'' **(ვარდოსანიძე, 2010:42).** პროფესორი სერგო ვარდოსანიძის ეს სიტყვები სავსებით შეესაბამება უჩვეულო მეცენატი და ქველმოქმედი მეუფე ალექსანდრე ოქროპირიძეს.

ალექსანდრე ოქროპირიძის სახელთანაა დაკავშირებული 1867 წელს თბილისის სასულიერო სემინარიისადმი 2000 მანეთის შეწირვა გაჭირვებული სტუდენტების დასახმარებლად. მეუფე ალექსანდრეს სხვა დადებით თვისებებთან ერთად ჰქონდა ერთი მეტად კარგი თვისება, იგი ირჩევდა ერთ სტუდენტს, რომელსაც თავისი ხარჯით აგზავნიდა ყაზანის სასულიერო აკადემიაში. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ იგი ყაზანის სასულიერო აკადემიაში ყოველ წლიურად გზავნიდა 300 მანეტს, ქართველი სტუდენტებისათვის.

ალექსანდრე ოქროპირიძის დამოკიდებულებაზე ქართველი სტუდენტების მიმართ ძალიან საინტერესოდ საუბრობს დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე: ,,მოვიგონებ მოსწავლე ახალგაზრდობაზე ზრუნვაა განსვენებულისა, მას რამდენიმე სტიპენდია აქვს დაარსებული

სასულიერო სასწავლებელში, სემინარიაში თუ დედათა ეპარქიულ სასწავლებელში, რამდენ ღარიბ მოწაფისათვის შეუმსუბუქებია სწავლა-განათლების მიღება”**(მწიგნობრობა ქართული ,2013:70).**

რუსეთ-თურქეთის ომის დროს სევასტოპოლში დაღუპული ქართველი მეომრების ოჯახებს დიდად ეწეოდა, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ წლების განმავლობაში მათ დახმარების სახით 200 მანეთს უგზავნიდა.

როგორც ცნობილია 1903 წლის 9 მაისს ქართველმა საზოგადოებამ მის საყვარელ ეპისკოპოსს გადაუხადა მღვდელმთავრობიდან ოცდათხუთმეტი წლის იუბილე, სადაც არ დარჩენილა არც ერთი იმდროინდელი საზოგადო მოღვაწე თუ ორგანიზაციის წევრები, რომლებსაც გულთბილად არ ესაუბრათ საყვარელი მღმვდელმთავრის მოღვაწეობის შესახებ. ზაქარია ჭიჭინაძე თავის წიგნში ,,ალექსანდრე ეპისკოპოსი'' წერს: ,,თბილისიდან მიულოცა მის მეუფებას ბ.ნ შიო დავითაშვილმა, თავის მხრივ გაზეთ, ,,კავკაზის'' რედაქტორის ბ.ნ ველიჩკოს სახელით ბატონმა ექვთიმე ხელაძემ პატივცემულს იუბილარს მიართვა ადრესი და აღუთქვა მის მეუფებას 25 მანეთი საეკლესიო გალობის აღდგენისათვის,(ამ პერიოდში ალექსანდრე ოქროპირიძე ცდილობდა, ქართული საგალობლების გადატანას ნოტებზე). ბოლოს წარუდგა მის მეუფებას მღვდელი ალექსანდრე ჯაღიაშვილი, რომელმაც გორის მაზრის სამღვდელოების სახელით გამოუცხადა გულითადი თანაგრძნობა და პატივისცემა. მანვე გადასცა მის მეუფებას და წაკითხულ იქნა დეპეშა ბ.ნ. ილია წინამძღვრიშვილისა, რომელიც თავისი და სკოლის სახელით ულოცავდა ეკლესიასა და ქვეყანას სასარგებლო გავლის წლებს. წაიკითხეს ადრესი და ამ დღის ქართული გაზეთები, აგრეთვე ,,კავკაზიც” რომელმაც ძლიერ ასიამოვნეს ჩვენი მხცოვანი მღვდელმთავარი.

მისმა მეუფებამ წარმოსთქვა თვისი სურვილი კვალად შრომისა თავისს ეკლესიისა და ერის სასარგებლოდ და შემდეგი ახალი აღთქმა დასდო, თუ ღმერთი ხელს მომიმართავსო: 1) დაეხმაროს ქართულ გალობას და მგალობელთა გუნდის დაარსებას, 2) შეაგროვოს ძველი ხელთნაწერები, რომელთაც რაიმე მნიშვნელობა აქვთ საქართველოს წარსულის შესასწავლათ, დააარსოს წიგნთ-საცავი ან შიო-მღვიმის მონასტერში, ან თბილისის ან სხვა ადგილას, რომელიც უფრო მოსახერხებლად იქნება ცნობილი, თუ რამე

შესანიშნავ ხელთ-ნაწერებს უფასოდ არ დაუთმობენ პატრონები წინათ-საცავს მაშინ მისი მეუფება სასყიდელსაც გაიღებს, 3) განაახლოს არჩილ ლუარსაბის ეკლესია თიანეთის მაზრაში”(ჭიჭინაძე, 1903:35).

მართლაც, რომ ეროვნული ღირებულებების დაცვის სულისკვეთებითაა გამსჭვალული ალექსანდრე ოქროპირიძის ზემოაღნიშნული დაპირება, რომელიც ნამდვილად ღირსეულად შეასრულა მეუფე ალექსანდრემ. რის ნათელ მაგალითსაც წარმოადგენს ის,რომ ეპისკოპოსმა ალექსანდრემ საეკლესიო მუზეუმს ძველი ხელ-ნაწერების გამოსაცემად შეწირა 220 მანეთი, აღნიშნული თანხიდან საეკლესიო მუზეუმმა გამოსცა 1074 წლის ათონის ხელნაწერი ტექსტები(ცხოვრება იოანესი,ექვთიმესი).

ალექსანდრე ოქროპირიძე ეროვნული ღირებულებების დაცვას ყველანაირად და ყველა გზით ცდილობდა. ასე მოხდა მაშინ როდესაც საქართველოს ეგზარქოსი ვლადიმირი მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანეს. მეუფე ალექსანდრემ მაშინ ეგზარქოსს გაუგზავნა მეტად საინტერესო შინაარსის მქონე მისალოცი წერილი, სადაც იგი ეგზარქოსს წერს: ,, მოგილოცამ მიტროპოლიტის ხარისხს. გაუწყებთ, რომ თქვენ იყავით უბრალო ბერი-მერე ეპისკოპოსი და ეგზარქოსი საქართველოს ეკლესიისა. საქართველოს ეკლესია იმდენად მაღალია, ძველი და მძლავრი, რომ მის მადლმა თქვენ თავის ასპარეზზედ ასე დაგაწინაურა და დღეს მიტროპოლიტის ხარისხით მიბრძანდებით რუსეთს, ეს უმაღლესი ხარისხი თქვენ მოგანიჭათ საქართველოს ძველმა ეკლესიამ და ამიტომ უნდა უმადლოდეთ მას და არ დაივიწყო ამ ძველი ეკლესიის ამაგი’’ (ჭიჭინაძე, 1903:108).

ალექსანდრე ოქროპირიძის ეს წერილი მეტად საინტერესოა იმ თვალსაზრისით,რომ მასში მეუფე ალექსანდრე მეტად ოსტატურად შეახსენებს რუს ეგზარქოსს იმას, რომ საქართველოს ეკლესია ერთ-ერთი უძველესი ეკლესიაა მართლმადიდებლურ სამყაროში და მისი მართვა, როგორც ალექსანდრე ეპისკოპოსი აღნიშნავს, უდიდესი პატივია, ხოლო მეორეს მხრივ რუსული კოლონიური პოლიტიკის გამტარებლებს საქართველოში ეგზარქოსების სახით მიანიშნებს იმას,რომ არასწორია ის ვერაგული ღონისძიებები რასაც რუსეთის იმპერია ახორციელებდა ქართული სახელმწიფოებრიობისა და დედა ეკლესიის წინაშე .

§2. ალექსანდრე ოქროპირიძე და ქართული საგალობლები

1878 წელს ალექსანდრე ოქროპირიძე გამოვიდა ინიციატივით, რომ შექმნილიყო ,,ძველი ქართული საეკლესიო გალობის აღმდგენი კომოტეტი,'' რომლის მთავარი მიზანი იქნებოდა უძველესი ქართული საგალობლების მოძიება და ნოტებზე გადატანა. აღნიშნული კომიტეტის წევრები თავდაპირველად იყვნენ: არქიმანდრიტი მაკარი, (რომელიც კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს) მღვდელი გრიგოლ მღებრიშვილი, ეგზარქოსის მგალობელთა გუნდის რეგენტი აუშევი და სემინარიაში გალობის პედაგოგი მაჭავარიანი. ,,ძველი ქართული საეკლესიო გალობის აღმდგენელი კომიტეტი'' აქტიურად შეუდგა საქმიანობას იმისათვის, რომ კომიტეტის მუშაობა ნაყოფიერი ყოფილიყო საჭირო იყო,რომ მომხდარიყო კომიტეტის წევრების დაფინანსება. ამისათვის არქიმანდრიტმა მაკარმა შეკრიბა თბილისის სამღვდელოება და დახმარების სახით თხოვა თვეში ხუთი მანეთის გაღება, რათა მომხდარიყო სემინარიასა და სასულიერო სასწავლებლებში გალობის სწავლება და ნოტებზე გადაღება.

ქართული საზოგადოება აქტიურად ამოუდგა მხარში ალექსანდრე ოქროპირიძის მართლაც,რომ მამულიშვილურ საქმეს. ,,ძველი ქართული საეკლესიო გალობის აღმდგენელ კომიტეტში'' 1878 წლიდან 1879 წლის ჩათვლით, დახმარების სახით შევიდა 655 მანეთი და 30 კაპიკი. იმდროინდელი პრესა აღფრთოვანებით წერდა მეუფე ალექსანდრეს ამ ინიციატივის შესახებ და მიუთითებდა იმ პირთა ვინაობას, ვინც შეეწია ქართული გალობის ნოტებზე გადაღებას ალექსანდრე ოქროპირიძესთან ერთად. მაგალითად; 1891 წელს გაზეთი ,,ივერია'' წერდა: ,,საეკლესიო გალობის ნოტებზე დასაწყობად მის ყოვლად უსამღვდელოესობას ეპისკოპოსს ალექსანდრეს პირობა აქვს შეკრული ტფილისის სამუსიკო სკოლის დირექტორთან, ბ.ნ. იპოლიტოვ-ივანოვთან. ბ.ნ-მა იპოლიტოვმა ამ პირობის ძალით უნდა მიიღოს ალექსანდრე ეპისკოპოსისაგან სულ 2000 მანეთი. ამ დღეებში აქედან მან უკვე მიიღო 500 მანეთი. სამაგიეროდ ბ.ნ. იპოლიტოვ-ივანოვს დაუწყვია კიდეც ნოტებად წირვის წესი იოანე ოქროპირისა, ვასილი დიდისა და გრიგოლი ღვთისმეტყველისა. დარჩენია დასაწყობად სძლის-პირები, ახლა როგორც შევიტყეთ ბ.ნ. იპოლიტოვ-ივანოვი მოსკოვს აპირებს წასვლას და იქ უნდა ნოტების

მბეჭვდელ ბ.ნ. იურგენსონს მოელაპარაკოს, რომ მან იკისროს დაბეჭვდა უკვე დამზადებულის ნოტებისა. მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი ალექსანდრე დაჰპირებია ბ.ნ. იპოლიტოვ-ივანოვს, რომ რაც დაბეჭვდის ფასი შესდგება ნაწილ-ნაწილ გადავუხდი იურგენსაო''**(,,ივერია,'' №209:1).**

გალობის კომიტეტს, გარდა ალექსანდრე ეპისკოპოსისა თანხა შეწირეს : ,,არქიმანდრიტმა გრიგოლმა 6 მანეთი, გრიგოლ ორბელიანმა 20 მანეთი,დიმიტრი ყიფიანმა 25 მანეთი, იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს მონასტერმა 30 მანეთი, სიონის ტაძრის საკრებულომ 48 მანეთი, ქვაშვეთის ეკლესიამ 30 მანეთი და ანჩისხატის ტაძარმა 15 მანეთი'' **(თავბერიძე, 2005:24).**

,,ძველი საეკლესიო გალობის აღმდგენმა კომიტეტმა '' პირველი რაც გააკეთა დაიწყო მოძიება იმ პირებისა, ვინც ქართულ საგალობლებს პროფესიონალურად ასრულებდა. ზემოაღნიშნულმა კომიტეტმა ყურადღება შეაჩერა ძმებ კარბელაშვილებზე და მაქსიმე ჩხატარაიშვილზე.

1878 წლის 2 სექტემბერს ანჩისხატის ეკლესიაში ,,კომიტეტის'' წევრების წინაშე წარდგა მაქსიმე ჩხარტიშვილი და იგალობა, ხოლო 3 სექტემბერს ორბელიანების ეკლესიაში ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ გურიიდან მღვდელი მაქსიმე ჩხატარაიშვილი და კარბელაშვილები. ეს უკანასკნელნი იმისათვის შეაჯიბრეს გალობაში, რომ ,,კომიტეტს'' მოეხდინა საუკეთესოს შერჩევა და გამარჯვებულის ნაგალობების ნოტებზე გადატანა.

როგორც ჩანს, ორბელიანების ეკლესიაში გამარჯვებული მგალობლები ვერ გამოუვლენიათ, რადგანაც 1878 წლის 14 სექტემბერს ანალოგიური შეკრება მომხდარა სიონის საკათედრო ტაძარში, სადაც ტაძრის მარცხენა მხარეს გალობდნენ ძმები კარბელაშვილები, ხოლო მარჯვენა მხარეს გურულების გუნდი ჩხატარეიშვილის მეთაურობით.

1878 წლის 24 სექტემბერს ,,კომიტეტის'' თხოვნით თბილისში ჩამოვიდა მღვდელი გრიგოლ კარბელაშვილი და ანჩისხატის ტაძრის ეზოში არქიმანდრიტ მაკარის რეზიდენციაში გაიმართა ,,კომიტეტის'' სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე, მღვდელი გრიგოლ კარბელაშვილი შვილებით და მგალობლები

გურიიდან, ,,კომიტეტმა'' მიიღო გადაწყვეტილება, რომ მგალობლებს დანიშნოდათ გასამრჯელო, რომელიც შეწირა ალექსანდრე ოქროპირიძემ (50 თუმანი).

1879 წლის ოქტომბრიდან ,,ქართული გალობის აღმდგენ კომიტეტს'' სათავეში ჩაუდგა ალექსანდრე ოქროპირიძე. შეიცვალა კომიტეტის წევრებიც.

1879 წელს ,,ქართული გალობის აღმდგენი კომიტეტის'' წევრები იყვნენ არქიმანდრიტი გრიგოლ დადიანი, მღვდელი ალექსანდრე მოლოდინოვი, მღვდელი გრიგოლ მღებროვი, ეგზარქოსი გუნდის რეგენტი, დიაკვანი ვასილ აუშევი და მიხეილ მაჭავარიანი'' **(თავზერიძე 2005:31-32)** ბუნებრივია, დაიბადება კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ გადადგა კომიტეტის თავმჯდომარეობიდან არქიმანდრიტი მაკარი, იმ დროს, როდესაც თითქმის ბოლომდე იყო მიყვანილი ქართული გალობის ნოტებზე გადატანის საკითხი? საქმე იმაში მდგომარეობს, რომ იმდროინდელი საზოგადოება მეტად უკმაყოფილო იყო კომიტეტის მუშაობით. პრესაში ხშირად იბეჭდებოდა წერილები, სადაც ავტორები აღნიშნავდნენ, რომ ეკლესია გამოსაცდელ ალაგად არ გამოდგებაო. საზოგადოება ძირითადად უკმაყოფილებას გამოთქვავდა კარბელაშვილებისა და გურული მგალობლების შეჯიბრზე. უკმაყოფილება საზოგადოებაში იმდენად დიდი იყო,რომ თვით ალექსანდრე ოქროპირიძესაც მოუხდა პრესაში არა ერთი სტატიის გამოქვეყნება,სადაც იგი აღნიშნავდა: ,,ყველას იმისა ვთხოვ, რომ ამ გალობის პირობებზე მოთმინება იქონიონ, ჯერ არ არის დიდიხანი რაც ეს გალობა და მისი კომიტეტი დაწესდა და მე ხომ სულ ახალი დაგენილი ვარ ამ ხსენებულის კომიტეტის თავმჯდომარედ, ნურც ენით და ნურც კალმით ცუდად ნურავინ ახსენებს ამ გალობასა. ცუდ ხსენებით გალობის ატმოსფერო არ განიწმინდება. მე მაცალეთ ერთი, ორი და სამი წელიწადი და ვნახოთ ან გალობის საქმე როგორ წავა და ან ნოტის შედგენისა ნათქვამია ჩქარს უგგვიანდებისო, ბოლო იტყვის ყველას და დააგვირგვინებს საქმესა. იქნება ბოლოს სთქვან ძეთა ძველის იბერიისათა გამობრწყინდა ნათელი ქართულ ეკლესიურ გალობისა გორიზონტსა ზედა; გადაღებულ იქმნა წყობილად ეკლესიისა გალობა ნოტებზედა''**(თავზერიძე, 2005:34).**

1884 წლის გაზეთ ,,დროებაში'' გამოქვეყნდა მეტად საინტერესო სტატია, რომელშიც ვკითხულობთ: ,, მწყემსის'' მე-13-ე ნომერში დაბეჭდილი იყო ერთი წერილი, რომლის

ავტორი სწამებდა პატივსცემულს ალექსანდრე ეპისკოპოს, რომ ვითომ მის ყოვლადსამღვდელოესობას: ა) 2000 მანეთის შეკრება მთელს საქართველოს საეგზარქოსოში განეზრახოს გალობის ნოტებზე გადასაღებად; ბ) ვითომც ყოვლად-სამღვდელო არ აღიარებს გურული კილოის არსებობასაც და სრულიად უარყოფდეს მას; გ) ვითომც ყოვლად-სამღვდელო წინააღმდეგი იყოს ნოტებზე გალობის გადაღებისა და მის ნაცვლად თხოულობდეს მასწავლებლების სასწავლებელში დაყენებასა და გალობის აღსადგენად; და ვითომც ყოვლადსამღვდელოს გამოეცხადებინოს (გურიაში) და მთავრობისათვისაც მოეხსენებინოს, რომ ,,დროება'' და ,,მწყემსიც'' გურულ კილოს აძაგებენო და ქართლისა კი მოსწონთო.

ამ დღეებში ჩვენ გვქონდა პატივცემულ ეპისკოპოს ალექსანდრესთან საუბარი ამ წერილის თაობაზე მის ყოვლად-უსამღვდელოესობა არ დაკმაყოფილდა ჩვენდამი მომართული თავის დამარწმუნებელი და გონიერი სიტყვებით მარტო,არამედ გვიჩვენა საქმის შესახებ ყველა ოფიციალური დოკუმენტები, სინოდალური კანტორიდან გამოტანილი. ჩვენ ყურადღებით მოვისმინეთ მღვდელმთავრის სიტყვები, გულდასხმით გადვიკითხეთ მოხსენებული დოკუმენტები და სრულიად დავრწმუნდით, რომ: ა) 20000 მანეთი იმ განზრახვით იბოჭება,რომ მისი სარგებლით დაქირავებულ იქნას გალობის სამი მასწავლებელი; ბ) ყოვლად-სამღვდელო არა თუ უარ-ყოფს გურულს კილოს და მის არსებობას, არამედ კიდეც მოსწონს იგი, მაგრამ აღიარებს, რომ ეს კილო დღეს დღეობით მოქალაქეობრიობას ვერ მოიპოვებს ქართლ-კახეთში; გ) ყოვლად-სამღვდელო წინააღმდეგი კი არა დიდი მომხრეა გალობის ნოტებზე გადაღებისა, მხოლოდ მისსა და ზოგიერთს სხვების მომხრეობასა შორის ის განსხვავებაა რომ ყოვლად-სამღვდელო დაბეჯითებით თხოულობს, რომ ნოტებზე გადაღებულ იქნას უთუოდ ორივე კილო ქართულ საეკლესიო გალობისა; ქართული (ანუ უკედ ვსთქვათ კარბელაშვილებისა) და გურული. ქართული კილოს გადაღებისათვის საჭირო ხარჯს მისი ყოვლად-უსამღვდელოესობა იღებს თავისი უხვისა და საზოგადო საქმისათვის უშურველის ჯიბიდან, ამას იმიტომ უფრო შვრება საპატივო მღვდელმთავარი,რომ გურული კილოს ნოტებზე გადაღება ეკლესიებს გაუადვილდეს, რადგანაც უამისოდ მათი ორივე კილოს გადაღება დაატყდებოდა თავზე. გურული კილოს ნოტებზე გადაღებისათვის საჭირო ხარჯი გასტუმრებული იქნება იმ

ფულებით, რომელიც შემოვა ეკლესიებისაგან, ნოტების ყიდვიდამ. მხოლოდ იმ ფულით კი რომელიც დღემდის მოკრებილა ანუ მომავალში მოიკრიბება გალობის საქმისათვის, ვიმეორებთ უნდა დაქირავებულ იქმნას გალობის სამი ოსტატი საქართველოს სამ სასულიერო სასწავლებელში.

ზემოთ თქმულის შემდეგ თავის-თავად ირღვევა და ფუქსავატდება,როგორც ის სიტყვები რომ ვითომც ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრემ აქაც(გურიაში) გამოაცხადა და მთავრობასაც მოახსენა ,,დროება'' და ,,მწყემსიც'' გურულ კილოს აძაგებენ და ქართულისა კი მოსწონთო, აგრეთვე წინ დაუხედავი სიტყვები ,,მწყემსისავე'' მე-14-ე ნომერში დაბეჭდილს, სტატიის ავტორისა,რომელიც უსაფუძვლოდ სწუხდა: ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსი წინააღმდეგი ყოფილა გალობის ნოტებზე გადაღებისა და კომიტეტისაო და ჩვენ წინადაც გვითქვამს და ეხლაც ვიტყვით, რომ ნოტებზე ქართულის გალობის წინააღმდეგი კაცი (ავტორის აზრით ალექსანდრე ეპისკოპოსი) ჩვენ მიგვაჩნია ქართული ენის მტრადაო.

ღმერთმა ქნას,რომ იმისთანა მტერი, როგორიც არის მღვდელმთავარი ალექსანდრე ქართული გალობისა და ენისა, ბევრი ყოლოდეს როგორც ამ გალობასა და ენას ის ყველა ჩვენს საზოგადო საქმესაც'' **(,,დროება,'' 1884, №174:3).**

გაზეთ ,,დროებაში'' გამოქვეყნებული ეს წერილი მრავალმხრივაა საინტერესო: პირველი მასში ნათლადაა წარმოდგენილი ყველა ის ცილისწამებები რაც იბეჭდებოდა იმ-დროინდელ პრესაში ალექსანდრე ოქროპირიძის წინააღმდეგოდ, ხოლო მეორეს მხრივ, მიუხედავად ასეთი საშინელი ბრალდებებისა, მეუფე ალექსანდრეს ენთუზიაზმი და ქართული საგალობლების გადარჩენისაკენ ლტოლვა,მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მეუფე ალექსანდრეს პრინციპულობისა და სულიერი სიმტკიცისა იგი 1884 წელს გადადგა ,,კომიტეტის'' თავმჯდომარეობიდან, მაგრამ მას ერთი წამითაც კი არ დაუნებებია თავი ქართული საგალობლების ნოტებზე გადაღების დაფინანსებისათვის.

1884 წელს მასშემდგომ, რაც ალექსანდრე ოქროპირიძე გადადგა ,,კომიტეტის'' თავმჯდომარეობიდან არქიმანდრიტ გრიგოლ დადიანისა და მაკარი მათათაშვილის ინიციატივით საეგზარქოსოსთან შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა ემუშავა საგალობლების ნოტებზე გადაღებასა და დაბეჭვდაზე. ამ კომისიის წევრები იყვნენ: აკაკი

წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, გიორგი წერეთელი და სხვ. კომისიის შეკრებას ესწრებოდა აგრეთვე სემინარიის რექტორი ჩუდეცკი, რომელიც გამოვიდა ქართული გალობის წინააღმდეგ, მისი აზრით, ქართული გალობა იმდენად თავისებურია, რომ მისი ნოტებზე გადატანა ძნელი იქნება და თუ გაკეთდება დიდ თანხებთან იქნება დაკავშირებული. ჩუდეცკის აზრით გაღარიბებულ ქართულ ეკლესიას კი ამ თანხის გაღება გაუჭირდებოდა. ამიტომ მისი აზრით, საჭირო იყო ღვთისაგან კურთხეული სლაური გალობის დამკვიდრება საქართველოში .

ჩუდეცკის ამ მოსაზრებას დაუპირისპირდა აკაკი წერეთელი, რომელმაც ჩუდეცკის სიტყვა შეაწყვეტინა: ,, თქვენ შეგიძლიათ ჩვენს განზრახვაზე პირდაპირ უარი თქვათ, ეს თქვენი უფლებაა მაგრამ თქვენ ჩვენს წმინდათა წმინდას ტლანქად შეეხეთ, თქვენ ფიქრობთ რომ ჩვენ ქართველები რამდენიმე ხნის შემდეგ, თქვენი ლოცვა-კურთხევით სლავებად გადავიქცევით. ეს დიდი შეცდომაა! საქართველოს დიდი ისტორია, მდიდარი უძველესი კულტურა და ჩვენი საკუთარი წინსვლისათვის გადადგმული გზა აქვს, უხეშ ძალას ამ გზის შეცვლა არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია. ასი წლის განმავლობაში ქართველ ერს თავისი სახე არ შეუცვლია და შეუცვლელად შეურჩენია შემდეგშიაც შეირჩენს ქართველი ერი თავის შეუდარებელ მუსიკას, რომელშიაც თავისი უკვდავი სული აქვს ჩაქსოვილი-ჩაქარგული, უთქვენოდაც მოუვლის და განავითარებს, თქვენი დახმარება არ სჭირდება''**(თავბერიძე, 2005:36).** ჩუდეცკის იმდენად დიდი წინააღმდეგობა შეხვდა ქართული დელეგაციის მხრიდან, რომ მან მხოლოდ ის მოახერხა, რომ კომისია დახურა.

ალექსანდრე ოქროპირიძემ 1884 წლის გაზაფხულზე დადო ხელშეკრულება თბილისის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორთან იპოლიტოვ ივანოვთან, რომელსაც უნდა ჩაეწერა ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის წირვის წესი.

იპოლიტოვ-ივანოვისა და ალექსანდრე ოქროპირიძის შეთანხმებაზე 1893 წლის გაზეთი ,,ივერია'' წერდა: ,,ყოვლად უსამღვდელოესის ალექსანდრე ეპისკოპოსის სურვილითა და თხოვნით, თბილისის სამუსიკო სკოლის დირექტორათ ნამყოფი ბ.ნ.ი.მ. იპოლიტოვ-ივანოვი ამ რამდენიმე წლის განმავლობაში ნოტებად აწყობდა ქართულ საეკლესიო გალობას. როგორც ნამდვილად შევიტყეთ, უმთავრეს საგალობელთა გადაღება უკვე გაუთავებია და კაპელაში წარუდგენია განსახილველად, რომ შემდეგ დაიბეჭდოს.

ბ.ნ.ი იპოლიტოვ-ივანოვი სწერს ერთ თავის ნაცნობ ტფილელს: ,,აუწყეთ ყოვლად უსამღვდელოესს ალექსანდრე ეპისკოპოსს რომ მისი ბრძნულის მეთაურობის წყალობით ქართული გალობა და სიმღერა მუსიკის ისტორიაში შესამჩნევ ადგილს დაიჭერს''(**,,ივერია,'' 1893 №214:2).**

იპოლიტოვ-ივანოვმა დაიწყო 400 საგალობლის ნოტებზე გადაღება (2000 მანეთად) ამ საქმეში ივანოვს ეხმარებოდნენ მღვდლები: პოლიევქტოს და ვასილ კარბელაშვილები, ა.მოლოდინოვი და გრიგოლ მღებროვი. თავდაპირველად გადაწყვეტილი იყო,რომ ის საგალობლები, რომლებიც გადაღებული იყო გამოცემულიყო ხუთ ნაწილად. ამასთან დაკავშირებით გაზეთი ,,ივერია'' წერს: ,, ჩვენ შევიტყეთ,რომ მის ყოვლად უსამღვდელოესობას პატივცემულ ეპისკოპოს ალექსანდრეს ბ.ნ.ს ივანოვს და ძმათა კარბელაშვილთა განუზრახავთ, რაც დაწერილა გალობანი ნოტებზედ, ის გამოიცეს ნაწილ-ნაწილ. სულ ხუთ ნაწილად დაიბეჭდება. პირველი ნაწილი იქნება წ.მ.ნინოს პარაკლისით წესი მწუხრისა, ცისკრისა და წირვისა''(**,,ივერია,'' 1889 №8:2).**

იპოლიტოვ-ივანოვის მიერ ჩაწერილი საგალობლები თბილისის სასულიერო სემინარიის ეკლესიაში სპეციალურმა კომისიამ მოისმინა და დადებითი შეფასება მისცა შემდეგ დასამტკიცებლად სინოდს გაუგზავნა.

ქართული გალობის ნოტებზე გადატანასთან დაკავშირებით საინტერესო მოგონება აქვს მღვდელ პოლიევქტოს კარბელაშვილს, რომელიც ეხება ალექსანდრე ეპისკოპოსისა და იპოლიტოვ-ივანოვის ურთიერთობას. ,,სექტემბერში ვნახეთ ტფილისის მუსიკალური სკოლის დირექტორი ბ.იპოლიტოვ-ივანოვი, რომელმაც 2000 მანეთად იკისრა 400 საგალობლის ნოტებზე დაწერა. ამაზედ პირობის წერილი დამტკიცდა ეგზარქოსის ხელისმოწერითაც. პირველ ოქტომბერს 1884 წელს ბ.იპოლიტოვ-ივანოვთან უნდა გვევლო საგალობლად მღვდელ,მე ვასილ კარბელოვს,ა.მოლოდინოვს და გ. მღებრიევს.1885 წლის გაზაფხულზედ მაისში მღ.ვ.კარბელოვი გადაიყვანეს ნუხში, განვაგრძეთ საქმე დანარჩენებმა.

ამავე 1885 წლის დეკემბერს მეც გადამიყვანეს სოფლად და შედგა საქმე . ამის შემდეგ წელიწადში ორჯერ ან სამჯერ ჩამოვდიოდი ტფილისში და ვაწერინებდი გალობას ბ.იპოლიტოვ-ივანოვიც გადაიყვანეს მოსკოვში. დავაწერინეთ ნოტებზედ საგალობელნი-

ოქროპირის წირვისა,ვასილი დიდისა და პირველშეწირულისა; მწუხრისა, ცისკრისა, მიცვალებულის წესისა, ქორწინებისა,წმინდაო ღმერთოს მაგიერი და ღირს არსის წილსათქმელი. წლის,დღესასწაულთა მეცხრე სძლისპირნი. ამ საგალობელთა დასაწერი იპ.ივანოვს ჩააბარა 500 მანეთი ყოვლადსამღვდელო ეპისკოპოსმა ალექსანდრემ, დანარჩენი საგალობელნი დღესაც ელიან ნოტების დაწერასა-იმედია რომ ყოვლად-უსამღვდელოესი ეპისკოპოსი ალექსანდრე დაამთავრებს ამ საქვეყნო საქმესა, ნოტებზედ დაწერილს დააბეჭვდინებს და დასაწერს დააწერინებს და არ დაუკარგავს ქართველობასა ძველს მამა-პაპურ გალობასა,როგორც მზრუნველი და ჭირისუფალი ჩვენის ძველი სულიერი დიდების დაცვისა და აღდგენისა'' **(კარბელაშვილი, 1898:95).**

მართლაც, პოლიევქტოს კარბელაშვილის იმედები გამართლდა და 1899 წელს ალექსანდრე ოქროპირიძის დაფინანსებით ქართულ საგალობლებს დღის სინათლე ეღირსა მას შემდგომ, რაც მაქსიმე შარაშიძისა და ამხანაგობის სტამბაში დაიბეჭდა.

§3. ალექსანდრე ეპისკოპოსის ქველმოქმედება და მეცენატობა

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ალექსანდრე ოქროპირიძე დიდ შემწეობას უწევდა ახალგაზრდობას. მას ყავდა არაერთი სტიპენდიატი, რომლებსაც თავისი ხარჯით ასწავლიდა. მეუფე ალექსანდრეს თბილისის სასულიერო სემინარიაში დაარსებული ჰქონდა სახელობითი სტიპენდია. გაზეთ ,,დროებაში'' ვკითხულობთ: ,,ყოვლად-სამღვდელომ ალექსანდრე ეპისკოპოსმა დიდ მთავარ კავკასიის ნამესტნიკს, როდესაც ის ჩვენს ქვეყანას სცხოვრობდა, სთხოვა ნებართვა, რომ იმის სახელობით ერთი სტიპენდია დანიშნოს ტფილისის სასულიერო სემინარიაში. გავლილ 25 ნოემბერს ყოვლად-სამღვდელომ ტფილისის სასულიერო სემინარიის სამმართველოში წარადგინა ამ სტიპენდიისათვის 2500 მანეთის პრიკაზის ბილეთი, რომლის სასარგებლოდაც უნდა გაიზარდოს ხსენებული სტიპენდია. ამ წლის 26 თებერვალს ყოვლად-სამღვდელო ეპისკოპოსს ალექსანდრეს მოუვიდა დიდის მთავრისაგან მადლობა და ნებართვა იმის სახელობით სტიპენდიის დანიშვნისათვის.

პირველი არ არის ის, რომ ჩვენ ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსი ამგვარ კეთილ საქმეებში სიუხვესა და ნივთიერ თანაგრძნობას აცხადებს და იმედია, რომ ეს არც უკანასკნელი იქნება.''**(,,დროება,'' 1882 №46:2).**

ალექსანდრე ოქროპირიძის დიდ მეცენატობად უნდა ჩაითვალოს თბილისის სათავადაზნაურო სკოლისათვის თანხის შეტანა, რომლის შესახებაც 1880 წლის გაზეთ ,,დროების'' გამოცემა წერდა: ,,თფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა საზოგადოების კრების დროს წარსულ კვირას ყოვლად-სამღვდელო ეპისკოპოსს ალექსანდრეს გამოუგზავნია ხუთი თუმანი ფული სასარგებლოდ თავად-აზნაურთა შკოლისათვის'' **(,,დროება,'' 1880 №105:1).**

მეუფე ალექსანდრე ოქროპირიძის სახელს უკავშირდება ქართული ენის კათედრის დასაარსებლად 20000 მანეთის შეწირვა, რაც ალექსანდრე ოქროპირიძის მხრიდან მართლაც,რომ დიდ მეცენატობად უნდა ჩაითვალოს. მეუფე ალექსანდრეს ამ იდეას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროს, როდესაც ქართული ენა განიცდიდა შევიწროვებას რუსული კოლონიური რეჟიმის მხრიდან. სწორედ ამ დროს თბილისის სასულიერო აკადემიაში ქართული ენის კათედრის დაარსებით, რაც თავისთავად ნიშნავდა მშობლიური ენის პრიმატს, მართლაც, რომ ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომაც იყო,რომ გაზეთი ,,ივერია'' 1880 წელს აღტაცებული წერდა: ,,ჩვენ გვითხრეს,რომ ყოვლად სამღვდელო გორის ეპისკოპოს ალექსანდრეს ერთს სამღვდელოების ყრილობაში გამოუცხადებია,რომ იმას აქვს სურვილი შეწიროს 20000 მანეთი თბილისის სასულიერო სემინარიაში ქართული ენის კათედრის დასაწესებლად. ამ საქმისთვის ყოვლად-სამღვდელოს კიდეც მოუგვარებია რამდენიმე ათასი მანეთი პრიკაზში.

ეს იმდენად სასიხარულო და სასარგებლო საქმეა, რომ ყოველ-გვარი განმარტება დაასუსტებს ამ შეწირულობის მნიშვნელობას. მხოლოდ ერთს ვისურვებთ: ღმერთმა ჰქნას, რომ ალექსანდრე ეპისკოპოსის მაგალითი წაუბაძველად არ დარჩენილ იყოს'' **(,,ივერია,'' №235:1).**

ალექსანდრე ოქროპირიძე თავისი ხარჯით ხშირად ავალებდა სასულიერო პირებს,რომ მათ ძველი ქართული საეკლესიო, თუ საერო ძეგლები გამოეცათ. ასე მოხდა 1900 წელს, როდესაც მეუფე ალექსანდრემ ყოვლად-სამღვდელო ლეონიდს გადასცა 2200

მანეთი უძველესი ქართული ძეგლების გამოსაცემათ,ამასთან დაკავშირებით გაზეთი ,,ცნობის ფურცელი'' იუწყებოდა: ,,ჩვენ გადმოგვცეს, რომ მხცოვანმა მამულიშვილმა ყოვლად-სამღვდელო გურიისა და სამეგრელოს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ 2200 მანეთი გადასცა ყოვლად- სამღვდელო ლეონიდს, გამოსაცემად შემდეგის ძეგლებისა: ა) შატბერდის კრებული, (X საუკუნე); ბ)მიქაელ მოდრეკილის საგალობელი წიგნი ნოტებიანი(X საუკუნე); გ) მეექვსე მსოფლიო კრების დადგენილება, თარგმანი წმინდა ექვთიმე მთარგმნელისა.'' **(,,ცნობის ფურცელი'' 1900 №1135:1)**

ალექსანდრე ოქროპირიძემ დააფინანსა აგრეთვე ქართული სახარების უძველესი რედაქციის გამოცემა, რომელსაც წინასიტყვაობა დაურთო პროფესორმა ა.ხახანაშვილმა ,, სიონის ეკლესიის სიძველეთსაცავში მოიპოვება ერთი უძველესი სახარება, რომლის გამოცემაც განუზრახავთ. ეს სახარება ჩვენის ახალგაზრდა პროფესორის ა.ხახანაშვილის წინასიტყვაობით დაიბეჭდება . პატივცემული ეპისკოპოსი ალექსანდრე ამ სახარების გამოსაცემად 10000 მანეთს შეპირებია ბ.ნ.ხახანაშვილს'' **(,,ივერია,'' 1898 №187:1).**

ალექსანდრე ოქროპირიძემ დააფინანსა ანტონ კათალიკოსის მზამეტყველების გამოცემა და სულხან -საბა ორბელიანის მოგზაურობის დაბეჭვდა. ანტონ კათალიკოსის ,,მზამეტყველების'' გამოცემის. მხოლოდ ამ წიგნის დაბეჭვდისათვის საჭირო ყოფილა ეგზარქოსის ნებართვა. ყოვლად-სამღვდელოს თხოვნაზე ეგზარქოსს უპასუხია: ,,დიდი სიამოვნებით და მადლობით ვიძლევი ჩემს ნება-რთვას, რომ დავბეჭდოთ ეს შრომა პირველის ანტონ კათალიკოსისა'' ეს თხზულება ჩვენის ეკლესიის დიდებული მოღვაწისა ნაჭირნახულევი არის მართმადიდებელი ეკლესიის დასაცველად სხვათა ეკლესიათა და სარწმუნოებითაგან, უმთავრესად რომის კათოლიკეთა ეკლესიის სწავლისაგან'' **(,,დროება,'' 1885 №17:2).**

1886 წელს ჟურნალ ,,თეატრში'' გამოქვეყნდა სტატია, რომელიც ეხებოდა სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობის დაბეჭვდის ისტორიას: ,, მკითხველებს ემახსოვრებათ,რომ ამ ორი წლის წინათ პატივცემულმა ალექსანდრე ეპისკოპოსმა სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობის ბეჭვდა დაიწყო ეს მოგზაურობა დაბეჭდილია 1852 წლის ჟურნალ ,,ცისკრის'' წიგნებში. დასაწყისი აკლია, რაის გამო ,,ცისკრის'' რედაქცია

აცხადებს,რომ თავი ამ მოგზაურობის ვერ მოვიპოვეო, შევიტყეთ, რომ ახალი გამოცემაც ,,ცისკრიდან'' იბეჭდებაო და დასაწყისიც აკლიაო'' **(,,თეატრი,'' 1886 №13:137).**

ანტონ კათალიკოსის ,,მზამეტყველებისა'' და სულხან-საბას მოგზაურობის დაბეჭვდას დიდი კულტურულ-მეცნიერული მნიშვნელობა ჰქონდა. განსაკუთრებით ანტონ კათალიკოსის ,,მზამეტყველებას,'' რადგანაც აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს წმინდა თეოლოგიურ სამეცნიერო თხზულებას და იგი ქრისტიანულ მართმადიდებლურ სწავლებაში ერთ-ერთ ფასდაუდებელ წიგნია.

1898 წლის 14 სექტემბერს ეპისკოპოსმა ალექსანდრე ოქროპირიძემ თეკლათის ქალთა სასწავლებელს შესწირა ათი თუმანი: ,, 14 სექტემბერს ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსი მობრძანდა თეკლათში, სადაც წირვა მოისმინა . ყველა აღტაცებაში მოიყვანა დაწყნარებულმა მდორე და მწყობრმა გალობამ დედათა გუნდისამ, წირვის შემდეგ ყოვლად-სამღვდელომ აკურთხა დროებითი სახლი სკოლისა, სამღვდელოებისა,ეპარქიის მეთვალყურისა,მაზრის უფროსის თანაშემწისა, მონასტრის იღუმენიის ათანასიასი, მონაზონთა და დიდძალ ადგილობრივ საზოგადოების თანდასწრებით. ყოვლადსამღვდელომ გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა საეკლესიო განათლების შესახებ და თავისის უხვის კალთისაგან ახლად დაარსებულს სკოლას შეწირა 10 თუმანი''**(,,ივერია,'' 1898 №223:2).**

თეკლათის სკოლის გარდა ალექსანდრე ოქროპირიძის სახელთანაა დაკავშირებული ფოთის საეპარქიო დედათა სასწავლებლის გახსნა 1898 წლის გაზეთმა ,,ივერიამ'' გამოაქვეყნა მეტად საინტერესო სტატია, რომელიც ეხებოდა ფოთის საეპარქიო დედათა სასწავლებლის გახსნას და მის მნიშვნელობას. ,,გურია-სამეგრელოს მღვდელ-მთავარს ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს, ესოდენ ცნობილს თავისი ქველმოქმედებით და საქართველოში მართმადიდებლობის აღდგენა აყვავების ასპარეზზედ დაუღალავ მოღვაწეობით, განუზრახავს დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ორმოცდაათი წლის სამსახურის აღსანიშნავად დაარსოს ქალაქ ფოთში საეპარქიო დედათა სასწავლებელი და ქალაქის მოურავის საშუალებით შეჰკითხვია ქალაქის საბჭოს, ქალაქი აღმოუჩენს სასწავლებელს რაიმე დახმარებას თუ არაო? ფოთის ქალაქის საბჭო დიდის ღტაცებით

მიჰგებებია ყოვლად-სამღვდელოს ამ კეთილშობილურს განზრახვასა და აღუთქვამს სასწავლებელისათვის მუქთად მიწის დათმობა და სახლის აშენებაც...

ავღნიშნავთ ამ ამბავს, როგორც მოვლენას, ფრიად სასარგებლოს და მრავალ-მნიშვნელოვანს გურია-სამეგრელოს ეპარქიის სასულიერო წოდების მოზარდ ასულთათვის, რომელთა უმრავლესობა დღემდის რჩებოდა სასწავლებლის კეთილი ზეგავლენის გარეშე, უსწავლელი და უცოდინარი. ამის შემდეგ კი უკეთუ მხცოვანის მღვდელ-მთავრის განზრახვა განხორციელებული იქნება, ეს არასანატრელი მოვლენა მოისპობა და გურია-სამეგრელოს სამღვდელოების მოზარდ ასულთა შორის სწავლა განათლება გავრცელდება... განზრახული სასწავლებელი თავისს, კარებს გაუღებს საერო წოდების ასულთაც და ესრედ თვისს დიდს საკეთილო გავლენას მოჰფენს მთელს გურია-სამეგრელოს...

ჩვენ სრულიად დარწმუნებულნი ვართ, ეჭვ-აუღებლად გვჯერა, რომ ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს განზრახვა განხორციელებული იქნება: მხცოვანის მწყემსმთავრის სიტყვასა და საქმეს შორის სრული თანხმობაა. მისი სიტყვა დაწყებული საქმეა, მისი განზრახვა საქმის დასაწყისია. ასეთი თანხმობა სიტყვა-განზრახვასა და საქმეს შორის მხოლოდ დიდ-ბუნებოვან გვამთა ხვედრია, მათდა ზეგარდმოცემული ნიჭია'' **(„ივერია,'' 1898 №249:3).**

ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძის სახელს უკავშირდება ოზურგეთში ქალთა სასწავლებლის გახსნა. 1884 წელს გაზეთი ,,დროება'' წერდა: ,,დიდი ხანია, რაც ოზურგეთში საზოგადოება მოწადინებული იყო საქალებო სასწავლებელი დაეარსებინა. მოთავე და თაოსანის კაცის უქონლობის გამო ეს სურვილი რჩებოდა მარტო სურვილად და 1882 წლამდე ჩვენ არ გვქონია სასწავლებელი. როცა გურიაში მობრძანდა მისი მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესობა გურიის ეპისკოპოსი ალექსანდრე, მოსვლისთანავე საჩქაროდ იგრძნო ჩვენი საჭიროება და მიიღო დიდი შრომა ჩვენი სურვილის განსახორციელებლად მაგრამ ამ დროს, არ ვიცი რისთვის ჩვენი საზოგადოება უეცრად განშორდა ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს და სხვათა თაოსნობით გახსნა ცალკე საქალებო სასწავლებელი. ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრემაც განაგრძო თავის დაწყებული შრომა და გახსნა ოზურგეთშივე სასულიერო საქალებო სასწავლებელი თავისი საკუთარი ხარჯით. ამ

გვარად ჩვენ გაგვეხსნა ერთის მაგიერ ორი საქალებო სასწავლებელი; საქალებო და სასულიერო. პირველი არსებობს მთელი ჩვენი საზოგადოების ხარჯზე, მეორე კი მარტო მის ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსანდრეს ხარჯითა და შემწეობით'' (**,,დროება,'' 1884 №194:1,2).**

1898 წელს ბათუმის საზოგადოებამ გადაწყვიტა, რომ ქალაქში აეშენებინა ტაძარი, ამისათვის მათ ადგილიც გამონახეს და საძირკველიც აკურთხეს, მაგრამ ტაძრის მშენებლობა გაჭიანურდა, რადგანაც შემოწირულობა მეტად მცირე იყო და ამ საქმის ორგანიზატორებს მეტად უჭირდათ ეკლესიის აშენება.

1898 წლის 10 ოქტომბერს ბათუმში ჩავიდა მეუფე ალექსანდრე, რომელმაც ბათუმის საზოგადოების წამოწყება მეტად მოიწონა და გრიგოლ ვოლსკის 500 მანეთი გადასცა ტაძრის მშენებლობისათვის ,,10 ოქტომბერს ბათუმს ჩამობრძანდა მისი ყოვლად-უსამღვდელოესობა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე და იმავე დღეს ნაწირვებს გულმხურვალედ მიმართა ქართველობას მოწოდებით, რომ გამოიღონ შეძლებისდაგვარად წვლილი საკუთარის ეკლესიის ასაშენებლად ამ მხარეში, რომელიც ოდესმე ჰყვაოდა ქრისტიანულის ღვაწლით და გაბრწყინებული იყო სახარების ნათელით, ვითარცა საქართველოს ერთი უმშვენიერეს კუთხეთაგანი. მიმოიხედე გარშემო-ბრძანა საყვარელმა მწყემსმთავარმა: ყველაფერი იმას ღაღადებს,რომ ქრისტეს ვადიდებდიო,რომ სახარება მწამდაო,რამდენი ეკლესიათა და მონასტერთა ნანგრევი, წარსულის დიდებული და ამაყი ნაშთი გაბნეულია ამ ბათუმის მხარეში, აჭარა-ქობულეთს! ღმერთმა მოგვასწრო ამ საქართველოს კუთხის შემოერთება და სწორედ სირცხვილი იქნება,რომ ერთი პატარა ეკლესიაც ვერ ავაშენოთ იქ, სადაც ჩვენ წინაპართ უხვად უშენებიათ ტაძარ-მონასტერნი.

დასასრულ, ყოველთვის უხვმა ყოველკეთილ საქმეში ყოვლად-უსამღვდელოესობამ ალექსანდრემ შემოსწირა ამ საქმესაც 500 მანეთი სხვათა გასამხნევებლად და წასაბაძად და ფული იქვე ჩააბარა კომიტეტის თავმჯდომარეს გრიგოლ ვოლსკის'' (**,,ივერია,'' 1899 №234:3).**

საქართველოში ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ რუსეთის საეგზარქოსომ არაერთი ისტორიული მნიშვნელობის მონასტერი გააუქმა,მათ შორის იყო შიო მღვიმის მონასტერი. მას შემდეგ რაც ალექსანდრე ოქროპირიძე გორის ეპარქიის მმართველად დაინიშნა, იგი

აქტიურად შეუდგა შიო-მღვიმის მონასტრისათვის თავისი ფუნქციის დაბრუნებას, მან არაერთი წერილი მიწერა საქართველოს საეგზარქოსოს, რათა შიომღვიმისათვის დაებრუნებინათ მონასტრის სტატუსი. მეუფე ალექსანდრეს დაუღალავმა შრომამ თავისი შედეგი გამოიღო და 1887 წელს შიომღვიმეს დაუბრუნეს მონასტრის სტატუსი. ამ ფაქტთან დაკავშირებით 1887 წლის №138-ე გამოცემა ,,ივერიისა'' იუწყებოდა: ,, გორის ეპისკოპოსმა მამა ალექსანდრემ სთხოვა უწმინდეს სინოდს აღდგენა შიომღვიმის მონასტრისაო. ეხლა გაზეთი ,,კავკაზი'' სწერს, რომ მთავრობამ შეიწყნარა ეს თხოვნა და ცალკე მონასტრად დაამტკიცა შიო-მღვიმის უდაბნო, რომელსაც დღეის იქით ხარჯად ექნება სარგებელი 21100 მანეთისა, რომელიც ეპისკოპოსმა ალექსანდრემ შესწირა; აგრეთვე, მონასტერს უნდა დაუბრუნდეს ძეგვის ბაღი, მისი უწინდელი კუთვნილი მამულები და ყოველივე ქონება, რომელიც უწინ მის ხელში იყო და შემდეგ გადავიდა ფერისცვალების მონასტრის ხელში, მონასტრის წინამძღვრად იქნება ეპისკოპოსი ალექსანდრე და მისი სიკვდილის შემდეგ წინამძღვრობა უნდა იყოს ქართველ ვიკართა ხელში. სინოდის განკარგულებით მონაზონთა შორის უნდა მიღებულ იქნენ რამდენიმე რუსნიც,, **(,,ივერია,'' 1887 №138:2).**

1888 წელს გაზეთი ,,ივერია'' იუწყებოდა შიომღვიმის მონასტრისათვის ალექსანდრე ოქროპირიძეს საკუთარი ხარჯით სარკინიგზო ხაზი გაუყვანია ,,ამბობენ,რომ ყოვლად-უსამღვდელოესობამ ალექსანდრე ეპისკოპოსის ხარჯითა და მეცადინეობით გამართულ იქნა მცხეთასა და ქსანს შუა ქაქანი, სადაც პირველ მარტიდან ჩაუდგება ხოლმე ვაგონები რკინის გზისა და წაიყვანს და წამოიყვანს მსურველთაო. ბაქანი გამართულია შიომღვიმის მონასტრის პირდაპირ, ძეგვის ხიდს ქვემოთ, მტკვრის მარჯვნივ'' **(,,ივერია,'' 1888 №45:1).**

§4. ალექსანდრე ეპისკოპოსი და ქართული საზოგადოება

მეუფე ალექსანდრე ოქროპირიძის წვლილი ქართული კულტურისა და ეროვნული ღირებულებების დაცვა-გადარჩენისათვის ბრძოლა შეუმჩნეველი არ დარჩენია ქართულ საზოგადოებას ამიტომაც იყო, რომ მან საყვარელ მღვდელმთავარს ეპისკოპოსობიდან ორმოცი და ორმოცდაათი წლის იუბილე აღუნიშნეს.

1902 წელს გაზეტი ,,ცნობის'' ფურცელში, შემდეგი შინაარსის სტატია გამოქვეყნდა: ,, ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს კარგად იცნობს მთელი ჩვენი ქვეყანა, რომლის წინაშე მას დიდი სამსახური მიუძღვის. კარგად განათლებული, თავის სამშობლოს სიყვარულით გატაცებული ალექსანდრე ვიწრო სასულიერო ფარგალში მოღვაწეობით არ კმაყოფილდებოდა და ერთგულად,მხნედ სწვდება საერთო, საქვეყნო საქმეს.

ეკურთხა თუ არა ეპისკოპოსად მას წილად ხვდა შორეულს აფხაზეთში სამსახური, შემდეგ დიდხანს იყო ქართლის ეპისკოპოსად, დროებით ჰმართავდა გურია-სამეგრელოს ეპარქიასა და ამჟამად ბრძანდება ამ ეპარქიის გამგე.

დიდია ალექსანდრე ეპისკოპოსის ღვაწლი ჩვენი ლიტერატურის წინაშე; მისის ენერგიისა და საშუალების წყალობით გამოიცა ისეთი საყურადღებო თხზულებანი, როგორიც არის: 1) აბიბოს ნეკრესელის ქადაგებანი, 2) მზამეტყველება ანტონი კათალიკოსისა, 3) ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის შესახებ, 4) ქართული ღრამატიკა, ანტონ კათალიკოსისა, 5) საბა სულხან ორბელიანის ლექსიკონი და სხვა. აგრეთვე დიდია ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს ღვაწლი ჩვენის ნაშთების აღდგენისა და განახლების საქმეში: მან განაახლა შიო-მღვიმე, ზედაზენი და ჯვრის ეკლესია.

მიულოცავთ მხცოვანს მღვდელ-მთავარს მის 40 წლის საეპისკოპოსო მოღვაწეობის იუბილეს და ვუსურვებთ დღეგრძელობას ჩვენის ქვეყნის საკეთილდღეოთ და სასიქადულოთ'' **(,,ცნობის ფურცელი,'' 1902 №1741:1).**

1897 წელს გაზეთმა ,,ივერიამ'' შემდეგი შინაარსის სტატია გამოაქვეყნა: ,,გუშინ წინ 31 აგვისტოს, ჩვენი ღრმადპატივცემულის გორის ეპისკოპოსის, ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს დღეობას, ტფილისის სამღვდელოებამ ადგილობრივ, თავთავის ეკლესიაში მისდა სადღეგრძელოდ პარაკლისები გარდაიხადა ნიშნად ღრმა პატივისცემისა, რომელსაც

ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს ხანგრძლივი სამაგალითო შრომა და ბერობა უღვიძებს გულში ყოველს ქართველს, მშვენიერად შემკული მიტრა მიართვა. ამავე დღეს შეუერთდა მოგონება იუბილესი, რომელიც ყოვლად-სამღვდელომ ამას წინად ისე შეუმჩნევლად, მაგრამ იმავე დროს სამაგალითოდ გარდაიხადა თავისსავე საკუთარს მონასტერს შიო მღვიმეში. დღეობის დღესაც სამაგალითო მოხუცმა იგივე განყენებული ადგილი შიო-მღვიმე ამოირჩია და იქ მიბრძანდა. სამაგალითოა და სასიქადულო სწორედ ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს ესეთი მოქმედება, იგი როდესაც მისს საკუთარს პირადობას ეხება საქმე და ყველა პატივისცემის განცხადებას ესწრაფვის ნამდვილს ქრისტიანულის გრძნობით თავისაგან იცილებს დიდებას და უიმისოდ კი სადაც ხელი მოუწვდება, გასაჭირში მზად არის ყველას და ყველგან დაეხმაროს: აი, ახლაც, ტფილისის სასულიერო სასწავლებელში 2500 მანეთი შეუტანია და სტიპენდია დაუარსებია საუკეთესო და ღარიბ ქართველთ მოსწავლის გამოსაზრდელად.მერე განა პირველია მისი ასეთი ზრუნვა სწავლა-განათლების გასავრცელებლად ქართველთა შორის? ადგილობრივ, თუ სხვაგან მას უკვე რამდენიმე სტიპენდიანტი ჰყავს და ისეც მრავალს ეხმარება სწავლის საქმეში. აი,ბრწყინვალე და დიდებული მაგალითი მამულიშვილობისა, გულწრფელი გულისტკივილი ერისათვის, დღეგრძელი იყოს დღენი ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრესი, რომ მისის მაგალითით აღფრთოვანებულის ყველა ქართველს ასეთი ღრმა ნაყოფიერი კვალი დაეჩნიოს თავის შემდეგ'' **(„ივერია," 1897 №180:1).**

საქართველოს ეგზარქოსმა ფლავიანემ ალექსანდრე ეპისკოპოსს მღვდელმთავრობიდან ორმოცდაათი წლის იუბილის აღსანიშნავად შემდეგი შინაარსის მისალოცი წერილი გაუგზავნა: „გულითად სალამს გიძღვნი, თქვენო მეუფებავ და მოგილოცავთ ორმოცდაათი წლის შესრულებას თქვენის კეთილ-ნაყოფიერის სამსახურისას. ვევედრები უფალს მოგანიჭოთ ძალღონე კიდევ მრავალწელს იმსახუროთ ივერიის წმინდა ეკლესიისა და თქვენ დამი რწმუნებულის სამწყსოს სასიკეთოდ'' **(„ივერია," 1899 №219:3).**

მეუფე ალექსანდრე ოქროპირიძეს 50 წლის იუბილე მიულოცა კავკასიის მთავარ-მართებელმა გენერალ-ადიუტანტმა თავადმა გოლიცინმა: „გულითადს სალამს გიძღვნით, თქვენო მეუფებავ, წინაშე ჩვენის დედის ეკლესიისა თქვენის სამსახურის ნახევარ საუკუნის

შესრულებისა გამო. გულწრფელად მსურს განაგრძოს უფალმა თქვენი ეს სამსახური კიდევ მრავალ წელს.

გენერალ-ადიუტანტი თავადი გოლიცინი'' (**„ივერია,'' 1899 №219:3).**

§5. ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძის გარდაცვალება

მეუფე ალექსანდრემ თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა მის მიერ აღდგენილ და განახლებულ შიომღვიმის მონასტერში, საიდანაც თითქმის არც კი გამოდიოდა (მეუფე ალექსანდრე მხოლოდ ერთხელ გამოვიდა მონასტრიდან როცა ილია ჭავჭავაძე მოკლეს).

1907 წლის 9 ნოემბერს 83 წლის ასაკში წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე ოქროპირიძე გარდაიცვალა შიომღვიმის მონასტერში. ქართული საზოგადოებისათვის ალექსანდრე ოქროპირიძის გარდაცვალება მართლაც, რომ დიდ ტრაგედიას წარმოადგენდა. წმინდა მღვდელმთავრის აღსრულებით ქართულმა კულტურამ, ქართველმა სტუდენტობამ და ქართველმა ერმა დაკარგა დიდი მფარველი და მოამაგე.

იმდროინდელი საზოგადო მოღვაწეები გულისტკივილით ეთხოვებოდნენ და გულთბილად იხსენებდნენ ალექსანდრე ოქროპირიძის მოღვაწეობას.დეკანოზი კორნელი კეკელიძე თავის გამოსათხოვარ სიტყვაში შემდეგნაირად ახასიათებდა მეუფე ალექსანდრეს ღვაწლს: ,,რიცხვი იმ განათლებულ სამღვდელო პირთა, რომლებიც სათავეში უდგნენ ძველად ქართულ განათლებას და ქმნიდნენ ქართულ კულტურას,შემცირდა, თითქმის მოისპო მონასტერი აღარავის იზიდავდა, რის გამოც ის დაცარიელდა და შესანიშნავ ეკლესიებთან ერთად ნანგრევებად იქცა. სწორედ ამ დროს გამოდი შენ სამშობლო ყანაში სამუშაოდ და მხნედაც შეუდექი საქმეს. შენ იყავი პირველი, მაღალი სწავლით აღჭურვილი, ქართველი, რომელმაც ბერობის მძიმე უღელი იტვირთე,რომ მით გაგეადვილებინა თავის თავისთვის სამსახური, მშობლიური განათლებისთვის, სწავლის დასრულების შემდეგ,შენ თვითონ,პირადად, ჩაუდექი სათავეში ახალგაზრდობის სწავლა-განათლების საქმეს, ამას დაამოწმებს აფხაზეთი, ქუთაისი და სხვა კუთხეც ჩვენი ქვეყნის, ხოლო როდესაც მოწვეულ იქმენ საეკლესიო იერარქიის უმაღლეს ხარისხზე, ამ საქმეს

ემსახურებოდი მას შემდეგ მატერიალურად მრავალ-გვარ და ისე შეწირულობით სხვდასხვა სამოსწავლო დაწესებულებებში, მუდამ დაუღალავი, პრაქტიკულ საქმიანობით შებოჭილი, შენ არ ეკუთვნოდი მღვდელ-მთავართა იმ ჯგუფს, რომელთაც თავიანთი კაბინეტურ ნაწარმოებით და ქადაგებათა კრებულით სურთ ემსახურონ სამწყსოს, თუმცა ამ მხრივაც არ დაგიზოგავს ძალ-ღონე გამოგექვეყნებინა და გამოგეცნო მკითხველი საზოგადოებისათვის საუკეთესო საერო და სასულიერო ნაწარმოები ჩვენ დიდებულ წინაპართა'' **(ჭიჭინაძე, 1903:15).**

დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე: ,, ქველმოქმედებით სიუხვე განსვენებულისა ფრიად საგულისხმოა და შთამომავლობისათვის მისაბაძი. იმისი უბრალო, და ჭეშმარიტი ბერული ცხოვრება, იშვიათი მოვლენაღაა ჩვენს ფუფუნების დროში: თვითონ ეძლეოდა მოთმინებას, მარხულობას, ხარჯავდა თავის თავზე სულ ცოტას,რომ რაც შეიძლება მეტი საქველმოქმედო საქმე შეესრულებია'' **(ჭიჭინაძე, 1903:20).**

ქართული ფილარმონიული საზოგადოების წარმომადგენელი ზაქარია ჩხიკვაძე: ,,ობოლთ ნუგეშო, ღარიბთ იმედო! საქართველოს სასიქადულო მამულიშვილო, ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე!

თფილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოება აქ, წმინდა დავით აღმაშენებლის ტაძარში, რომელიც თქვენის მეოხებით განახლებული და გამშვენებულია, დღეს უკანასკნელად ეთხოვება თავის საპატიო წევრს და უმდაბლესად ეამბორება თქვენ კურთხეულ მარჯვენას. ამ ორი წლის წინად, როდესაც მე ქართული ფილარმონიული საზოგადოების მინდობილობით გეახელით მომეხსენებინა, რომ მან თქვენი მეუფება, ამოირჩია საპატიო წევრად, ფრიად გეამათ და მკითხეთ თუ რა მიზანი აქვს ამ ახალ საზოგადოებასაო. მე მოკლედ მიზანი და დიადი მნიშვნელობა ფილარმონიული საზოგადოებისა მოკლედ განგიმარტეთ, თქვენ ყმაწვილურის აღტაცებით, აკანკალებულის ხმით შეაქეთ ჩვენი საზოგადოების დამაარსებელნი და ისკი დაგავიწყდათ,რომ ჩვენზე წინ თითქმის ოცის წლით, თქვენ მიაქციეთ ყურადღება. ჩვენი საეკლესიო გალობისა და მცოდნე პირების შემწეობით დააწერინეთ ნოტებზედ თქვენისავე სასყიდლით დიდ ძალი საეკლესიო საგალობლები. მე ვგონებ თქვენ უფრო დიდი ქებისა და დიდების ღირსი ბრძანდებით. ჩვენ მხოლოდ მივბაძეთ თქვენს კეთილს მაგალითს და საეკლესიო

საგალობლებთან ერთად მოვისურვეთ საერო სიმღერების შეკრება და ნოტებზე დაწერა, ვინაიდგან ჩვენი საეკლესიო და საერო მუსიკა ნაყოფია ერთი ხალხისა, ორივე ქართველის გულითგან აღმონაკვეთია, საკვირველია, რომ ყოველი კეთილი საქმე საქართველოში უყურადღებოდ არ იყო დატოვებული თქვენგან და თქვენი მადლიანი და უხვი ხელი გაშლილიიყო ყველასათვის. მე უბრალო მომაკვდავს სავსებით არ შემიძლიან დავასურათო თქვენი სამაგალითო და საარაკო გულის სისპეტაკე. იგი დღეს ჩემზე უკეთ დაახასიათეს და განმარტეს. აქ თქვენთან უკანასკნელ გამოსათხოვებლად მოსულ პატივცემულ პირებმა'' **(ჭიჭინაძე, 1903:28).**

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წარმომადგენელი ივანე რატიშვილი: ,,სხვებთან ერთად ქართველთა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც უძღვნის ამ შენს წმინდა ნეშტს თავითის მხრით უკანასკნელ თაყვანისცემასა და სწირავს შენს საყვარელ მონასტერს ქართველთა მოციქულის წმინდა ნინოს ხატსა შეიწყნარე იგი და მიითვალე კეთილ შესაწირავად!

წმინდაო მეუფეო, შენ იყავ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საპატიო წევრი, რადგან, ქართველთა სარწმუნოებისა და ძველი ეკლესიისათვის ერთგულ და სამაგალითო მოღვაწეობასთან ერთად, შენ ღირსეულად იღვაწე ჩვენი ძველებური ნაშთების გამოქვეყნებისა და აღდგენისათვის, აგრეთვე ჩვენს ახალგაზრდა ქართველებში სწავლა-განათლების მოფენისთვის. შემის წყალობით და შენი საკუთარი საფასით დაბეჭდე მრავალი დიდად შესანიშნავი ხელნაწერი, უშენოდ მალე არა ნახავდა სტამბას საბა-სულხან ორბელიანის ძვირფასი ლექსიკონი, არანაკლებ ძვირფასი ,,სწორმეტყველება'' სახელ განთქმულის ანტონ კათალიკოსისა, მისივე მზა-მეტყველება მრავალი შესანიშნავი გუჯარი და სხვა საბუთები, შენივე თაოსნობით და წარსაგებელით დაიბეჭდა იოანე ოქროპირის წირვის ქართული საგალობელი, ამასაც საეკლესიო დიდ მნიშვნელობასთან ერთად დიდი საისტორიო და საეთნოგრაფიო მნიშვნელობა აქვს. შენის წყალობით არაერთმა და არა ორმა ახალგაზრდამ მიიღო სასუალო განათლება და ზოგმა თვით უმაღლესი განათლებაც, მრავალი საბუთი მოწმობს შენს ქრისტიანებრივ კეთილ მოღვაწეობას ,, **(ჭიჭინაძე, 1903:30,31).**

1995 წლის 18-19 სექტემბერს მცხეთაში, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, ჩატარდა საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის გაფართოვებული კრება, რომელსაც: წმინდა სინოდთან ერთად ესწრებოდა საერო პირები.

საქართველოს მართამდიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის გაფართოვებულ სხდომაზე განიხილეს არაერთი საკითხი, მათშორის იყო წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელ ქიქოძე,ალექსანდრე ოქროპირიძე და კიდევ რამოდენიმე სასულიერო პირების წმინდანად შერაცხვის საკითხი. აღნიშნული კრება გახსნა და შესავალი სიტყვა წარმოსთქვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II, : ,,დღევანდელი დღე საქართველოს ეკლესიის ცხოვრებაში ისტორიულია, დღეს და ხვალ იმუშავებს გაფართოვებული საეკლესიო კრება, რომელიც მიმდინარე საკითხებს განიხილავს და საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებას დაამტკიცებს. ჩვენ აღვავლენთ ლოცვას,რომ უფალმა არ მოგვაკლოს მადლი-უძლურთა მკურნალი და ნაკლულოვანთა აღმავსებელი უფალი ბრძანებს: ,,კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდენ მას.'' მართლაც, ეკლესისა მუდამ უხდებოდა ჯოჯოხეთის ძალებთან ბრძოლა,რადგან იგი ყოველთვის ჭეშმარიტ სარწმუნოებას იცავდა და გვერდით ედგა ჩვენს ხალხს რწმენის, ენისა და მამულის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში'' **(,,მადლი'' 1990-2010 წლების კრებული, 2010:544).**

მისი უწმინდესობის სიტყვის შემდეგ პირველ დღეს 18 სექტემბერს, გაფართოვებულმა კრებამ განიხილა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების საკითხი, სასულიერო მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების გზები,საქართველოს საპატრიარქოს მისიონერული მოღვაწეობა, საქართველოს ეკლესიის სოციალური პროგრამა და საქველმოქმედო მოღვაწეობა, საქართველოს ეკლესიის ეპქრქიათა მდგომარეობა. 19 სექტემბერს გაფართოვებულმა კრებამ დღის მეორე ნახევარში მოისმინა ცხუმ აფხაზეთის მთავარეპისკოპოსის დანიელის მოხსენება ახალი წმინდანების კანონიზირების თაობაზე, რომელმაც კრებას წარუდგინა კომისიის მიერ მოპოვებული მასალები წმინდანებად შესარაცხი პირების ცხოვრებისა და ზოგიერთი მათგანის მოწამეობრივი აღსასრულის შესახებ.

საქართველოს ეკლესიის გაფართოვებულმა კრებამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: ,,ბრძანებითა და ლოცვა-კურთხევითა ღვთისაითა საქართველოს მართმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის კრებამ განაჩინა: წმინდანებად შერაცხულ იქნენ: -სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსი ამბროსი (ხელაია) წმინდა აღმსარებლის სახელწოდებით.

-ქუთათელ-გენათელი მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა) კრებულთან (მღვდელი გერმანე ჯაჯანიძე, მღვდელი იეროთეოს ნიკოლაძე, მღვდელი სიმონ მჭედლიძე, დიაკონი ბესარიონ კუხიანიძე)ერთად წმინდა მოწამეთა სახელწოდებით.

-იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელ (ქიქოძე) წმინდა მღვდელმთავრის სახელწოდებით.

-ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე) წმინდა მღვდელმთავრის სახელწოდებით.

-არქიმანდრიტი გრიგოლი (ფერაძე) წმინდა მღვდელმოწამის სახელწოდებით.

-იღუმენი ალექსი (შუშანია) ღირსი მამის სახელით.

-მღვდელი თეოდორე წმინდა მღვდელმოწამის სახელწოდებით'' **(,,მადლი'' 1990-2010 წლების კრებული, 2010:551).**

კრების დასრულების შემდეგ მისმა უწმინდესობამ მიმართა საზოგადოებას შემდეგი სიტყვებით: ,,ქართული ეკლესიისა და ქართველი ერის ცხოვრებაში დღეს ბედნიერი დღეა, რადგანაც ქართველ წმინდანთა რიცხვს კიდევ ერთი დასი შეემატა, რომელთა ლოცვითა და ვედრებით ღმერთი ჩვენს ქვეყანას მშვიდობასა და კეთილდღეობას მოუვლენს'' **(,,მადლი'' 1990-2010 წლების კრებული, 2010:551-552).** წმინდა მღვდელმთავრების გაბრიელისა და ალექსანდრეს წმინდანებად შერაცხვით, ქართველმა ერმა მადლიერება გამოხატა იმ დიდი ღვაწლისადმი რაც მიუძღოდათ იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძესა და აფხაზეთის ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძეს ქართველი ერის წინაშე.

თავი VII

აკაკი მეთოდეს ძე ხოშტარია

აკაკი მეთოდეს ძე ხოშტარიას შესახებ მეტად მწირი ცნობები მოგვეპოვება. მკვლევარი ლალი მიქელაძის აზრით, ყოველივე ეს განპირობებული იყო იმით, რომ: ,,ხოშტარიას პირადაპირ დაუპირისპირდა ბოლშევიკური ხელისუფლება და ეს გახლდათ მიზეზი იმისა, რომ აკაკი ხოშტარიას პიროვენება განსაკუთრებით იჩქმალებოდა და ჩრდილში იყო ბოლო დღემდე" **(მიქელაძე, 1998:55).** ვეთანხმებით ქალბატონ ლალი მიქელაძის მოსაზრებას და დავსძენთ, რომ აკაკი ხოშტარიას ძირითადი სამრეწველო საქმიანობა ჰქონდა ბაქოსა და ირანში. ამიტომ მის შესახებ საინტერესო ცნობები ბაქოსა და ირანის არქივებში იქნება. გარდა ამისა, ჯერ შეუსწავლელია ლევილიდან ჩამოტანილი მასალები, სადაც ბუნებრივია აკაკი ხოშტარიას შესახებ ბევრი საინტერესო ცნობა იქნება. ასე რომ აკაკი ხოშტარიას პიროვნება და საქმიანობა ჯერ კიდევ შესასწავლია.

აკაკი ხოშტარია დაიბადა 1873 წელს, სამეგრელოში, აბაშასთან სოფ. სუჯუნაში ტახტის აზნაურის ოჯახში. აკაკი ხოშტარიას მამა მეთოდე დადიანების მოურავი იყო და მათ მეურნეობას განაგებდა . იგი ცნობილი ყოფილა თავისი სიდინჯითა და გონიერებით, ამის გამო მისთვის დიდი მეთოდე დაურქმევიათ. აკაკის დედა ვარდიკო ავალიანი იყო საკმაოდ წიგნიერი და განათლებული ქალბატონი. აკაკი ხოშტარიას ჰყავდა ორი დედმამიშვილი-გიორგი და ანა.

აკაკი ხოშტარია სწავლობდა პეტერბურგში სასოფლო სამეურნეო კოლეჯში, რომლის დამთავრების შემდეგ პრინც ოლდენბურგთან სუპერ-ინტერდანტად მუშაობდა გაგრაში. იგი თვალყურს ადევნებდა ყველა ბულვარისა და ბაღის მოწყობას საქართველოს შავი ზღისპირეთის ტერიტორიაზე.

ფოთში მუშაობის დროს აკაკი ხოშტარიამ გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე მინადორა ეგნატეს ასული თურქია, რომელიც იყო ფოთის სახელმწიფო ბანკის მმართველის ქალიშვილი. აკაკი ხოშტარიასა და მინადორა თურქიას ქორწინების შესახებ ლალი მიქელაძეს ჩაწერილი აქვს მინადორას დის შვილის თინა კვაჭაძის მოგონება,

რომელსაც აქ მოვიყვანთ: ,,ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელმა რაზმებმა, ერთ-ერთი თარეშის დროს ცეცხლი წაუკიდა თურქიების სახლს და მაღაზიებს, რის გამოც მინადორას დედას იმპერატორ ნიკოლოზის სურათი უკუღმა ჩამოუკიდია, ეს ფაქტი აცნობეს თვითონ ალიხანოვს, რომელმაც ამის გამო მთელი ოჯახის დაპატიმრება განიზრახა, მაგრამ ახლობლებმა ოჯახი გააფრთხილეს და ღამით ახალი ჯვარდაწერილი აკაკი და მინადორა მედროგე კუტარიას დახმარებით სახლიდან ჩუმად გააპარეს''**(მიქელაძე, 1998: 57).** ასე გადარჩნენ ახლად დაქორწინებულები დაპატიმრებას.

§1. აკაკი ხოშტარიას სამრეწველო საქმიანობა და ქველმოქმედება

მებაღე დეკორატორად ათწლიანი მუშაობის შემდეგ, აკაკი ხოშტარია ეკონომიკის დარგში მნიშვნელოვან ფიგურად გვევლინება. თავდაპირველად აკაკი ხოშტარიამ დაიწყო სამრეწველო საქმიანობა ვინმე ზოდელავასთან ერთად. ამასთან დაკავშირებით ლალი მიქელაძე გადმოგვცემს თინა კვაჭაძის მოგონებას: ,,ერთხელ მეგობრებმა გადაწყვიტეს სავაჭრო გემით ნავთი წაეღოთ ოდესაში, მაგრამ ტუაფსესთან ამოვარდნილმა ქარიშხალმა გემი თურქეთში გაიტანა, სადაც ნავთი ოქროს ფასად გაყიდეს, ამის შემდეგ ზოდელავამ მარჯანიშვილის ქუჩაზე შეისყიდა საცხოვრებელი სახლი, ხოლო აკაკი ხოშტარიამ ბაქოში ცნობილი მრეწველისაგან მუსა ნაგიევისაგან იყიდა ნავთობის სარეწები" **(მიქელაძე, 1998: 57).** სწორედ აქედან იწყება აკაკი ხოშტარიას სამრეწველო ასპარეზზე გამოსვლა. ბაქოსა და სპარსეთში. როგორც გოგი ხოშტარია აღნიშნავს: ,,მთელი ირანი დავალებულია აკაკისაგანო". პირველი მსოფლიო ომის წინ აკაკი ხოშტარიამ შექმნა ბაქოში მსხვილი სამრეწველო კომპანია რომელშიც გაერთიანებულები იყვნენ მსხვილი კაპიტალისტები.

1913 წელს აკაკი ხოშტარია დებს 99 წლიან კონტრაქტს, ჩრდილო ირანის მიწათმფლობელებთან ასტარიდა – ფეჰლევამდე და აარსებს კომპანია ,,პერსლექსს", რომლის საწესდებო კაპიტალი რამდენიმე მილიონს შეადგენდა .

1914 წელს აკაკი ხოშტარიამ სატრანსპორტო კომპანია დააფუძნა თეირანსა და ფეჰლევს შორის. ამავ დროულად აკაკი ხოსტარია გახლდათ ის პირველი ადამიანი, რომელმაც ირანში შეიყვანა ავტომობილი.

1916 წელს აკაკი ხოშტარიამ ირანის შაჰისაგან მიიღო მიწისქვეშა ქონების ექსპლოატაციის უფლება. აკაკი ხოშტარიას საქართველოში ჰქონდა მექანიკური ქარხანა, სამიწათმოქმედო მანქანების ფაბრიკა და საპნის ქარხანა. (შემდგომში საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ ხოშტარიას ქონებას ნაციონალიზაციას დაუქვემდებარა.)

მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების აგრესიისა აკაკი ხოშტარიას, მაინც ჰქონდა ურთიერთობა საბჭოთა ხელისუფლების ლიდერთან ლენინთან. ლენინსა და აკაკი ხოშტარიას შორის შუამავალ როლს ბუდუ მდივანი თამაშობდა, რომელიც იყო აკაკი ხოშტარიას მეგობარი. ლენინი თხოვდა ხოშტარიას, რომ იგი დახმარებოდა პურით საბჭოთა ხელისუფლებას. აკაკი თავისი თანხით ყიდულობდა პურს ირანში და გზავნიდა ბაქოში. ეს პური ცნობილი იყო ,,ხოშტარიას პურის სახელით".

ბოლშევიკურმა მთავრობამ, მიუხედავად ასეთი თანამშრომლობისა გადაწყვიტა ხოშტარიას დაპატიმრება. რომ არა ბუდუ მდივანი შესაძლებელი იყო აკაკი ხოშტარია დაეჭირათ და დაეხვრიტათ. (იგი ბუდუ მდივანმა გააფრთხილა ბაქოში და იქიდან ჯე ირანში გაიპარა,შემდეგ კი საფრანგეთში). საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ აკაკი ხოშტარია მეტად უცნაური მრწეველი გახლდათ. იგი თავის დროზე აფინანსებდა საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას და მათთან აქტიურად თანამშრომლობდა, მაგრამ მას შემდგომ რაც საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა მან თითქოს ზურგი აქცია ემიგრაციაში მყოფ საქართველოს მთავრობას. ამას მოწმობს გრიგოლ ვეშაპელის წერილი სპირიდონ კედიასადმი, სადაც გრიგოლ ვეშაპელი პასუხს სცემს სპირიდონ კედიას წერილს. როგორც ამ წერილიდან ჩანს, სპირიდონ კედია გრიგოლ ვეშაპელს წერს, რომ ისინი კვლავ ითვლებიან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრებად და საჭიროა როგორმე მოხდეს მათი ძალაუფლების აღდგენა საქართველოში. ვეშაპელის საპასუხო წერილში აღნიშნულია, რომ მათ არ გააჩნიათ არავითარი ფინანსური მხარდაჭერა: ,,მე არ ვიცი შენ რა პერსპექტივები გაქვს.. ამ მხრივ ჩვენი ბურჟუაზია ან დაღარიბებულია, ანდა როგორც აკაკი ხოშტარია ბოლშევიკურ რუსეთთან ნეგოციანტობის გამო პოლიტიკურად იძულებულია პასიური და ნეიტრალური იყოს. ასე მითხრა აკაკიმ ბერლინში მოსკოვს რომ მიდიოდა" **(ჯანელიძე, 2005:124).**

1924 წელს, დათარიღებული ამ წერილით ირკვევა,რომ აკაკი ხოშტარია ნეიტრალურ დამოკიდებულებას იჩენდა დემოკრატიულ მთავრობასთან, რაც აიხსნება იმით, რომ იგი ცდილობს ურთიერთობა დაამყაროს საბჭოთა ხელისუფლებასთან და ამით იხსნას თავისი საწარმოები ნაციონალიზაციისაგან. ამ ფაქტს ისიც ადასტურებს, რომ 1922 წელს გენუის კონფერენციაზე გასაგზავნად აკაკი ხოშტარიამ დააფინანსა ჩიჩერინი, ვაროვსკი და მდივანი.

ისევე როგორც ზემო თავებში დასახელებული კაპიტალისტები აკაკი ხოშტარიაც იყო ქველმოქმედი. მისი უშუალო დახმარებით როგორც ლალი მიქელაძე წერს, საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ შეიძინა ორი ლინკოლნის ტიპის გემი, რომლებიც აკაკი ხოშტარიამ ჩამოიყვანა თავისი ფულით ამერიკიდან და იტალიიდან. განხილული წყაროებიდან და ლიტერატურიდა არ დასტურდება ლალი მიქელაძის მიერ გამოთქმული ეს მოსაზრება, რადგანაც ამის შესახებ არც დემოკრატიული მთავრობის წევრები საუბრობენ და როგორც ცნობილია საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას ლინკორნის ტიპის გემები არ ყოლია, ამიტომ ლალი მიქელაძის მიერ გამოთქმულ ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით.

აკაკი ხოშტარიამ ირანში წაიყვანა ირანული პოეზიის მთარგმნელი ამბაკო ჭელიძე. გარდა ამბაკო ჭელიძისა, აკაკი ხოშტარია დაეხმარა გენერალ გიორგი მაზნიაშვილს. ამასთან დაკავშირებით გიორგი მაზნიაშვილი იხსენებს თავის მოგონებებში: ,,რუსეთში წასვლა დაბინავება მე კარგს არას მიქადდა. ჩემი სურვილი იყო მოვხვედრილიყავი როგორმე სპასეთში, რადგანაც ცნობილი ხოშტარია იმ დროს სპარსეთში იყო და იმედი მჰქონდა, რომ ეს მეტის-მეტად კეთილი კაცი რაიმე სამუშაოს მომცემდა და ამგვარად შიმშილით არ მოვკვდებოდი.

ამ მიზნით მე მივმართე ხოშტარიას წერილით, ჯერ კიდევ მაშინ როდესაც ციხეში ვიყავი. ბევრი ცდისა და წვალების შემდეგ როგორც იყო მივიღე სპარსეთში წასვლის ნებართვა, ამიერკავკასიის საგანგებო კომისიიდან ჩემს იღბალზე სწორედ ამ დროს სპარსეთში მიემგზავრებოდა ხოშტარიას ერთ-ერთი კომპანიონი ნიკოლოზ პეტრეს ძე იოსელიანი. ეს გარემოება ძალიან ხელსაყრელი იყო ჩემთვის მოგზაურობაში" **(მაზნიაშვილი, 1990: 216).**

აკაკი ხოშტარიას ჰყავდა სტიპენდიატები. მისი დაფინანსებით სწავლობდნენ: "სერგი დანელია, მათე მირიანაშვილი, მიხეილ საბახტარიშვილი, ცნობილი ინჟინრები: ჯორჯიკა კეშელავა, კუჭი ალანია, ძმები მელიები და სხვები" **(მიქელაძე, 1998:62).**

აკაკი ხოშტარიას დიდ ქველმოქმედებად უნდა ჩაითვალოს ფოთსა და აბაშას შორის სარკინიგზო ხაზის გაყვანა. მანვე საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას, ბაქოდან გამოუგზავნა 800000 მან. აკაკი ხოშტარიას ეკუთვნის აგრეთვე ბათუმის საზღვრისპირა ბულვარისა და მახინჯაურის ბოტანიკური ბაღის გაშენება.

აკაკი ხოშტარიამ საფრანგეთში შეიძინა ლადო გუდიაშვილისა და კუბისტი ანდრე ალოტის ნახატები, რომლებიც შეწირა საქართველოს ხელოვნების მუზეუმს. ამასთან დაკავსირებით ლადო გუდიაშვილი წერს: "ერთხელ პარიზის ერთ-ერთ ცნობილ ბულვარზე ,,რუბოიეში" მე, დავითი და შალვა ქიქოძე კერძო გალერიებში მოწყობილ გამოფენებს ვათვალიერებდით, შევედით ერთ-ერთ გალერიაში მადლენის მოედანზე, რომელსაც გალერია ,,როზენბერგი" ერქვა. ამ გალერეის პარტონი ფენდა მხოლოდ ისეთ მხატვრებს, როგორებიც იყვნენ: პიკასო, მატისი, დერენი, ბრაკი. ამჯერად კუბისტი მხატვრების გამოფენა იყო.

უეცრად ქართული ლაპარაკი შემოგვესმა, ვხედავ დგას სამი კაცი და პიკასოს სურათებს უყურებდნენ, დავაყურადეთ... ერთი აქედან... რა კარგია, საქართველოში კი არ იცნობენ, უთუოდ შევიძინოთ. ჩვენ გაგვიკვირდა და ვინ უნდა ყოფილიყო, ისიც ქართველი ასე ძვირფასეული სურათის ყიდვას რომ აპირებდა. დავაკვირდით და აკაკი ხოშტარია შევიცანით. მეორეს არ მოსწონდა, რად გინდა ამას ვინ შეხედავსო, ხოშტარია მერყეოდა ამბობდნენ დიდი მხატვარია და იქნებ არ გვესმის.

ძალიან ავღელდით.

_ ჩვენ ყურს გიგდებდით, ძალიან გაგვიხარდა პიკასოს ყიდვას რომ აპირებთ, ახლა კი გვწყინს, რომ აღარ ყიდულობთ, ვუთხარით, ისევ დაიწყეს კამათი, მაგრამ ჩვენ მათთვის ავტორიტეტები არ ვიყავით და არ იყიდეს. მოგვიანებით გავიგე რომ ხოშტარიას უყიდია ანდრე ლოტის და ჩემი ნამუშევარი, რომლებიც შემოუწირია საქართველოს ხელოვნების მუზეუმისათვის" **(გუდიაშვილი, 1979:22).**

1918 წელს როგორც ლალი მიქელაძე წერს თბილისელმა ქართველებმა სპარსეთში მყოფ აკაკი ხოშტარიას შეატყობინეს, რომ საჯარო აუქციონზე უნდა გაყიდულიყო დავით სარაჯიშვილის საცხოვრებელი სახლი სერგეევის ქუჩაზე და სთხოვეს შეეძინა. აკაკი ხოშტარიამ მართლაც, შეიძინა დავით სარაჯიშვილის სახლი.

ლალი მიქელაძის ამ აზრს ვერ დავეთანხმები, რადგანაც 1919 წელს აკაკი ხოშტარიას მიმართეს დავით სარაჯიშვილიას დებმა. ამას მოწმობს ნიკოლოზ მამაცაშვილის მოგონება (ნიკოლოზ მამაცაშვილი მონაწილეობას იღებდა დავით სარაჯიშვილის სახლის მშენებლობაში, მისი გაკეთებულია ხისგან დამზადებული ყველა დეტალი დავით სარაჯიშვილის სახლში. იგი ხშირად იმყოფებოდა დავითთან სახლში და იყო ძმა დავით სარაჯიშვილის სახლის გამგის ანდრო მამაცაშვილის, რომელიც გაზარდა დავით სარაჯიშვილმა.) ,,აკაკი ხოშტარიამ 1919 წელს, როცა შეიძინა ყოფილი სარაჯიშვილის სახლი მისი დებისაგან მაშინვე დაანგრევინა ეზოს ბაღში მდგარ ხელოვნურ კედელზე გაკეთებული ჯიქის ქანდაკება და თვით კლდეც, ვინაიდან არ უნდოდა რომ სახლს ჰქონოდა რამე კავშირი ფირმასთან" **(მირიანაშვილი, 1993:252).** ამ ცნობიდან ჩანს რომ აკაკი ხოშტარიამ დავით სარაჯიშვილის სახლი არა 1918 წელს, არამედ 1919 წელს შეიძინა მისი დებისაგან.

1921 წელს აკაკი ხოშტარიამ დავით სარაჯიშვილის საცხოვრებელი გადასცა ქალაქის მმართველობას, რათა იქ ხელოვნების სახლი მოეწყოთ. ამ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს დიდი დავა სახელმწიფოსა და მწერალთა კავშირს შორის, რომ დავით სარაჯიშვილმა ანდერძით დაუტოვა მწერალთა კავშირს აღნიშნული შენობა.

1916 წელს, როდესაც ეკატერინე ფორაქიშვილი გარდაიცვალა, მას შედგენილი ჰქონდა ანდერძი, სადაც აღნიშნული იყო, რომ მათი საცხოვრებელი სახლი ქალაქის მმართველობას უნდა გადასცემოდა ხელოვნების სახლის დასაარსებლად, მაგრამ როგორც უკვე ზემოთ ავღნიშნეთ მწერალთა კავშირის დღევანდელი შენობა გაყიდეს დავით სარაჯიშვილის დებმა. აკაკი ხოშტარიაზე, გამოდის, რომ აღნიშნული შენობა მწერალთა საზოგადოებას გადასცა აკაკი ხოშტარიამ და არა დავით სარაჯიშვილმა. ცალკე საკითხავია რამდენად სურდა ეს აკაკი ხოშტარიას?

აკაკი ხოშტარიას მიერ ქალაქის საბჭოსათვის თავისი სახლის გადაცემა შეიძლება თუ არა ჩაითვალოს ქველმოქმედებად?! საქმე იმაში მდგომარეობს, რომ აკაკი ხოშტარიამ აღნიშნული შენობა ქალაქის საბჭოს მაშინ გადასცა, როდესაც მის სახლს ემუქრებოდა ნაციონალიზაცია, ამიტომ მან ჩათვალა, რომ სახლის თავისი ნებით გადაცემა მომავლისათვის საშუალებას მისცემდა საბჭოთა ხელისუფლებასთან მოლაპარაკების საწარმოებლად. აკაკი ხოშტარიას რომ არ სურდა თავიდანვე თავისი სახლის ქალაქის მმართველობისათვის გადაცემა, ამას მოწმობს "ალენ ლანგის" წიგნი ,, A History of Georgia " სადაც ვკითხულობთ: ,,რადგან საქართველო არ იღებდა სუფსიდიას ცენტრალური რუსეთის მთავრობისაგან, ხარჯები ძალიან აღემატებოდა შემოსავლებს. 1917 წლის ნოემბრიდან 1919 წლის იანვრამდე საქართველოს ხაზინა უდრიდა 100 000 000-ზე ნაკლებს, ხოლო ხარჯები 350 მილ. ავიდა, რამაც შექმნა 250 მილ.-ი დეფიციტი.

სომეხი სოვდაგრები და ფინანსისტები აგრეთვე ქართველი ძმები, რომელთაც მეთაურობდა აკაკი ხოშტარია გაბედული ვაჭარი, რომელიც ფლობდა კონცესიებს ჩრდილოეთ სპარსეთში გადაეშვნენ სპეკულაციაში და საქართველოს ხაზინას წაართვეს ძალიან დიდი თანხები უცხოური ვალუტით.

ბოლშევიკური მთავრობის დროს (1924 წლის ფინანსურ რეფორმამდე) საქართველოში 250-იან მილიონიანი ბანკნოტებიც იყო ხმარებაში. ასეთმა ფინანსურმა არასტაბილურობამ გამოიწვია სოციალური პარადოქსები.

თავადი ორბელიანი, საქართველოს ერთ-ერთი გვარის მეთაური, რიგში იყო დამდგარი რათა გამოეყენებინა თავისი ერთადერთი საპირფარეშო, რომლის რეკვიზიცია მოხდა (ამ დროს თავად ორბელიანს ჩამოართვეს სახლი და სწორედ ამ სახლის საპირფარეშოს გამოსაყენებლად იდგა რიგში) საქართველოს პატრიარქი ყოველდღიურ პურს ოლივერ უორდროპის კერძო ქველმოქმედებით შოულობდა (ბრიტანეთის მთავარი კომისარი). ამ დროს ცბიერმა, ეშმაკმა ხოშტარიამ დაიცვა საკუთარი მდიდრული სახლი იმით, რომ ათხოვა ბრიტანეთის მისიას საქართველოში" (Allen Lang, A History of Georgia 2003:41). ამ ცნობიდან შესანიშნავად ჩანს, რომ აკაკი ხოშტარია ყველა შესაძლო გზით ცდილობდა, რომ თავისი სახლი ეხსნა ნაციონალიზაციისაგან.

გარდა ამისა, ძალიან საინტერესოა, 1998 წელს ბრიტანეთის საელჩოს მიერ გამოცემული პატარა ბროშურა ,,უორდროპები", სადაც არის ერთი სურათი რომელზეც აღბეჭდილნი არიან: ოლივერ უორდროპი აკაკი ხოშტარიასთან ერთად, ეს სურათი გადაღებულია აკაკი ხოშტარიას სახლში და დათარიღებულია 1919 წლით. (იხილეთ დანართი №3) ამ სურათიდან შესანიშნავად ჩანს, რომ აკაკი ხოშტარიას ოლივერ უორდროპთან ჰქონდა კარგი ურთიერთობა და ამიტომაც აირჩია მან ბრიტანეთის მისია და გადასცა დროებით თავისი სახლი.

ზემოთ განხილული მაგალითად მე მიმაჩნია, რომ აკაკი ხოშტარიას მიერ თავისი სახლის ქალაქის საბჭოსათვის გადაცემა არ ჩაითვლება ქველმოქმედებად, რადგანაც ეს არის ძალდატანებით გადადგმული ნაბიჯი, მან შესანიშნავად იცოდა რომ ვისთვისაც არ უნდა გადაეცა ეს სახლი საბჭოთა ხელისუფლება ნაციონალიზაციას მაინც გაუკეთებდა.

1924 წელს აკაკი ხოშტარიას მეუღლე მინდორა თურქია მოულოდნელად გარდაიცვალა. აკაკიმ იგი დაკრძალა ირანში და 1932 წლამდე მისი ცხედარი მუმიფიცირებული იყო.

1932 წელსა კაკი ხოშტარია საფრანგეთში 59 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალულია საფრანგეთში ,,პერ-ლაშეზის" სასაფლაოზე. აკაკის და მინდორას საკუთარი შვილი არა ყოლიათ, მათ იშვილეს გოგონა მუსინკა, რომელიც ბაგრატიონ-მუხრანსკიზე გათხოვდა პარიზში.

ეს გახლავთ ის მწირი ცნობები, რაც აკაკი ხოშტარიას პიროვნების შესახებ მოგვეპოვება, სამწუხაროდ, როგორც უკვე ზემოთ აღნიშნეთ აკაკის პიროვნების შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში თითქმის არანაირი საბუთი არ არის, რაც სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს განპირობებული.

დასკვნა

1801 წელს მას შემდგომ, რაც რუსეთის კოლონიურმა რეჟიმმა ჯერ ქართლ-კახეთში გააუქმა მეფობა, შემდგომ კი დასავლედ საქართველოც დაიპყრო, ქართველი ერი დაადგა გადარჩენისათვის ბრძოლის გზას.

რუსული მართველობის დამყარების შემდეგ დაიწყო არნახული შევიწროება ქართული მართმადიდებელი ეკლესიისა (1811 წელს გააუქმეს საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია და დაუქვემდებარეს რუსეთის წმინდა სინოდს), მეფის რუსეთი საქართველოში ავტოკეფალიის გაუქმებას არ დასჯერდა, მათ დაიწყეს ქართული ენის წინააღმდეგ ბრძოლა, სკოლებიდან ამოიღეს მშობლიურ ენაზე სწავლება, სახელმწიფოს მართვის სტრუქტურები მთლიანად გადავიდა რუსულ ენაზე, რაც სრულიად გაუგებარი იყო იმდროინდელი საზოგადოებისათვის. თვით ეკლესია-მონასტრებშიც კი მიმდინარეობდა ღვთისმსახურება რუსულ ენაზე, ყოველივე ამან, ბუნებრივია, თავისი შედეგი გამოიღო, დაეცა ქართული კულტურა, ეკლესია მონასტრებმა დაკარგეს მრევლი და რაც ყველაზე საგანგაშო იყო ქართველ ახალგაზრდებს დაეკარგათ სურვილი სწავლა-განათლებისა, რადგანაც სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება მიმდინარეობდა მათთვის სრულიად უცხო ენაზე. რატომ იყო, რომ რუსეთის ცარისტული რეჟიმი განსაკუთრებით ავიწროვებდა ქართველ ახალგაზრდებს სწავლა-განათლების კუთხით? მეფის რუსეთმა კარგად იცოდა,რომ თუ მომავალ თაობას ჩაუკლავდა ეროვნული ღირებულებებს და მათ აღზრდიდა არა პატრიოტიზმის გრძნობით არამედ გაორებული მენტალიტეტით, რაც საბოლოო ჯამში ემსახურებოდა ქართველი ერის გარუსებას.

ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა ძალიან კარგად იცოდნენ,რომ რუსეთის ხელისუფლების ასეთი მზაკვრული პოლიტიკა ძალიან ცუდ შედეგს გამოიღებდა. ამიტომაც იყო,რომ მათ ხმა აღიმაღლეს მეფის რუსეთის რუსიფიკატოეული პოლიტიკის წინააღმდეგ და დაიწყეს ბრძოლა ეროვნული ღირებულებების დაცვა განმტკიცებისათვის. როდესაც საუბარია ეროვნული ღირებულებების დაცვაზე, ჩვენ ყველას წარმოგვიდგება თვალწინ ილია ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლი თერგდალეულთა დასი, თაობა, თუმცა

ზემოაღნიშნულ მოღვაწეების გარდა,ქვეყანაში გამოჩნდნენ ისეთი თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწენი, როგორებიც იყვნენ; დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი,ძმები ზუბალაშვილები, გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი, იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე, აფხაზეთის ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე და აკაკი მეთოდეს ძე ხოშტარია, რომლებმაც თავისი ქველმოქმედებითა და მეცენატობით ფასდაუდებელი ამაგი დასდეს ქართულ კულტურას, ეკლესიას და ახალგაზრდების განათლებას.

სადოქტორო-სადისერტაციო თემა ,,ბრძოლა ეროვნული ღირებულებების პრაქტიკული რეალიზებისათვის საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში (ქველმოქმედნი და მეცენატნი)'' შევეცადეთ წარმოგვეჩინა ზემოაღნიშნული საზოგადო მოღვაწეების ბრძოლა ეროვნული ღირებულებების დაცვის მხრივ. განსაკუთრებით საინტერესოა ახალი საარქივო მასალა, საიდანაც ირკვევა, რომ ქართველი სტუდენტი-ახალგაზრდობა დიდად იყო დამოკიდებული ქართველი მეცენატებისა და ქველმოქმედების დახმარებაზე. განსაკუთრებით საინტერესოა დავით სარაჯიშვილის, ძმები ზუბალაშვილების, და გიორგი ქართველიშვილის მოღვაწეობა.

საინტერესოა დავით სარაჯიშვილის ანდერძით დატოვებული თანხის განკარგვის საკითხი, რომელიც ამ უკანასკნელმა დაუტოვა ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას'' იმისათვის,რომ ახალგაზრდა სტუდენტებისათვის დაენიშნათ სტიპენდია და ამ გზით მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა შეძლებდა სწავლა-განათლების მიღებას და ქვეყანას გამოადგებოდა. დიდია აგრეთვე ძმები ზუბალაშვილების ღვაწლი ქართველი ახალგაზრდების წინაშე, რადგანაც ისევე როგორც დავით სარაჯიშვილი,ზუბალაშვილებმაც განსაკუთრებით დიდი მფარველობა გაუწიეს ქართველ ნიჭიერ ახალგაზრდებს, რომლებსაც არავითარი საშუალება არ ჰქონდათ იმისა, რომ ზიარებოდნენ განათლებას.

ქართული კულტურის გამორჩეულ მფარველად გვევლინება გიორგი დავითის-ძე ქართველიშვილი, კაცი, რომელსაც საშუალო განათლებაც კი არ მიუღია მაგრამ თავისი ნიჭისა და შრომისმოყვარეობის წყალობით შეძლო დიდი კაპიტალის დაგროვება, რომელიც შემდგომ მოახმარა ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოცემის დაფინანსებას, უძველესი ქართული ხელნაწერების გამოცემასა და გენიალური ქართველი პოეტის შოთა

რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსნის'' პირველი ილუსტრირებული ვერსიის გამოცემას. რომელიც დაიბეჭდა არა მარტო ქართულ ენაზე, არამედ რუსულ და ინგლისურ ენებზე.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო აფხაზეთში, იქ მცხოვრები მოსახლეობა განიცდიდა განსაკუთრებულ კოლონიურ ზეწოლას, რასაც მოჰყვა აფხაზების მუჰაჯირობა თურქეთში, ხოლო ის აფხაზები რომლებიც დარჩნენ აფხაზეთში,ცხოვრობდნენ სრულ სიდუხჭირეში, მათთვის სრულიად უცხო იყო სწავლა-განათლება, აფხაზი ბავშვების უმრავლესობამ წერა-კითხვაც კი არ იცოდა, აი ასეთ, რთულ პერიოდში აფხაზეთში ეპისკოპოსად დაინიშნა ალექსანდრე ოქროპირიძე,რომელიც დანიშვნის დღიდან შეუდგა აფხაზეთში , როგორც ეთნიკურად აფხაზებისათვის, ასევე იქ მცხოვრებ ქართველებში, ეროვნული თვითშეგნების გაღრმავებას, მიუხედავად იმისა,რომ რუსეთის ხელისუფლება, საქართველოს ეგზარქოსის ხელით არაერთხელ შეეცადა ალექსანდრე ოქროპირიძისათვის ხელი შეეშალა აფხაზეთში ეროვნული ღირებულებების გაღრმავების საქმეში.

მეუფე ალექსანდრე ოქროპირიძის დიდ მეცენატობად ითვლება უნიკალური ქართული. საგალობლების ნოტებზე გადაწერა რომელიც მთლიანად მან დააფინანსა აგრეთვე ეკლესია-მონასტრების აღდგენა-განახლება.

ქართული ეროვნული თვითშეგნების გადარჩენისათვის ბრძოლაში დიდი ღავწლი მიუძღვის იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძეს, რომლის უკვდავ სახელთანაა დაკავშირებული არაერთი სტუდენტის სწავლის დაფინანსება და ყველა იმ მამულიშვილურ საქმიანობაში მონაწილეობის მიღება, რომელიც განხორციელდა საქართველოში მის მოღვაწეობის პერიოდში და ბოლოს, გაბრიელ ეპისკოპოსის ანდერძი რომელიც წარმოადგენს ეტალონს იმისა თუ როგორ უნდა ზრუნავდეს ადამიანი თავის სამშობლოზე და თანამემამულეებზე.

სადოქტორო-სადისერტაციო თემაში განვიხილეთ აკაკი ხოშტარიას მოღვაწეობა. წყაროებისა და დოკუმენტების სიმცირის გამო მრავალი კითხვები რჩება აკაკი მეთოდეს-ძე ხოშტარიას ბიოგრაფიის შტრიხებში კერძოდ, გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ აკაკი ხოშტარიამ საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას ორი ლინკორნის ტიპის გემი უსასყიდლოდ გადასცა (შოთა რუსთაველი და თამარ მეფე), რომლის სისწორე

კითხვისნიშნის ქვეშ დგება, ასევე მის მიერ დავით სარაჯიშვილის სახლის გადაცემა ქალაქის მართველობისათვის, რათა იქ მომხდარიყო სახალხო სახლის გახსნა. მიუხედავად ამ კითხვებისა, აკაკი ხოშტარიას ღვაწლი დიდია ქართველი ერის წინაშე, ის მართლაც, რომ დიდ დახმარებას უწევდა საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას იმაში,რომ ახლადდაფუძნებული საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნილიყო და განვითარებულიყო.

სადისერტაციო-სადოქტორო თემაში: ,,ბრძოლა ეროვნული ღირებულებების პრაქტიკული რეალიზებისათვის საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში (ქველმოქმედნი და მეცენატნი), აღნიშნულმა მეცენატებმა და ქველმოქმედებმა, მხრებზე დაიდგეს ის მძიმე უღელი, რომელიც ემსახურებოდა მხოლოდ ერთს; ეროვნული ღირებულებების დაცვას და ყველა მათ მიერ გადადგმული ნაბიჯის უკან იყო ჩანაფიქრი იმისა, რომ როგორმე შეემსუბუქებინათ ქართველი ერისათვის ის მძიმე ყოფა, რომელშიც ისინი იყვნენ. სწორედ ამ იდეას ემსახურებოდა დავით სარაჯიშვილის, ძმები ზუბალაშვილების, გიორგი ქართველიშვილის, ალექსანდრე ოქროპირიძის, გაბრიელ ეპისკოპოსისა და აკაკი ხოშტარიას ქველმოქმედება და მეცენატობა.

I. გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

ა) საარქივო დოკუმენტები და მასალა

1. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე №1277.
2. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე №1269.
3. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1,საქმე №1311.
4. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი1,საქმე №1370.
5. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1,საქმე №1462.
6. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე №1464.
7. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე №1466.
8. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე №1468.
9. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე №466.
10. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 481,ანაწერი 1, საქმე 1200
11. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 481,ანაწერი 1, საქმე 873
12. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 481,ანაწერი 1, საქმე 1468
13. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 481,ანაწერი 1, საქმე 1277
14. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 481,ანაწერი 1, საქმე 1133
15. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 481,ანაწერი 1, საქმე 1056
16. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1,საქმე №45.
17. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1,საქმე №454.
18. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1,საქმე №426.

ბ)პერიოდიკა

1. გაზეთი "თემი", 1911, №7.
2. გაზეთი "თემი", 1911, №25.
3. გაზეთი "თემი", 1911, №26.
4. გაზეთი "თემი", 1911, №29.
5. გაზეთი "თემი", 1912, №25.
6. გაზეთი "კოლხიდა", 1912, №12.
7. გაზეთი "საქართველო", 1915, №32.
8. გაზეთი "დროება", 1872, №37.
9. გაზეთი "დროება", 1875, №34.
10. გაზეთი "დროება", 1875, №80.
11. გაზეთი "დროება", 1880, №34.
12. გაზეთი "დროება", 1880, №105.
13. გაზეთი "დროება", 1882, №258.
14. გაზეთი "დროება", 1882, №39.
15. გაზეთი "დროება", 1882, №46.
16. გაზეთი ,,დროება,'' 1884, №210
17. გაზეთი "დროება", 1884, 171.
18. გაზეთი "დროება", 1884, №194.
19. გაზეთი "დროება", 1884, №110.
20. გაზეთი "დროება", 1885, №17.
21. გაზეთი "დროება", 1885, №141.
22. გაზეთი "ივერია", 1880, №235.
23. გაზეთი ,,ივერია,'' 1887, №5.
24. გაზეთი ,,ივერია,'' 1887, №28
25. გაზეთი "ივერია", 1887, №138.
26. რამიშვილი ერეკლე, გაზეთი ,,ივერია,'' 1888, №170.

27. გაზეთი ,,ივერია,’’ 1888, №189.
28. გაზეთი ,,ივერია,’’ 1888, №23.
29. გაზეთი "ივერია", 1888, №45.
30. გაზეთი ,,ივერია,’’ 1888, №207.
31. გაზეთი ,,ივერია,’’ 1888, №209.
32. ჭიჭინაძე ალექსანდრე, გაზეთი ,,ივერია,’’ 1888, №115.
33. გაზეთი ,,ივერია,’’ 1888, №189.
34. გაზეთი ,,ივერია,’’ 1889, №113.
35. გაზეთი "ივერია", 1889, №8.
36. გაზეთი "ივერია", 1889, №170.
37. გაზეთი "ივერია", 1891, №209.
38. გაზეთი "ივერია", 1891, №189.
39. გაზეთი "ივერია", 1892, №95.
40. გაზეთი "ივერია", 1893, №214.
41. გაზეთი "ივერია", 1895, №97.
42. გაზეთი "ივერია", 1896, №29.
43. გაზეთი "ივერია", 1896, №32.
44. გაზეთი "ივერია", 1896, №33.
45. გაზეთი "ივერია", 1896, №42.
46. გაზეთი "ივერია", 1896, №52.
47. გაზეთი "ივერია", 1896, №61.
48. გაზეთი "ივერია", 1896, №65.
49. გაზეთი "ივერია", 1897, №180.
50. გაზეთი "ივერია", 1898, №187.
51. გაზეთი "ივერია", 1898, №223.
52. გაზეთი "ივერია", 1898, №249.
53. გაზეთი "ივერია", 1899, №234.
54. გაზეთი "ივერია", 1899, №219.

55. გაზეთი ,,ივერია,'' 1901, №213.
56. ურბნელი. ნ, გაზეთი ,,ივერია,'' 1901, №210.
57. გაზეთი "თანადგომა", 2000, №6.
58. ,,სახალხო გაზეთი,'' 1911, №30.
59. ,,სახალხო გაზეთი,'' 1911, №32.
60. ,,სახალხო გაზეთი,'' 1911, №33.
61. გაზეთი "დედა", 1997, №9.
62. გაზეთი "თემი", 1911, №7.
63. ეპისკოპოსი ლეონიდი გაზეთი "თემი", 1911, №6.
64. გაზეთი "თემი", 1911, №7.
65. გაზეთი "თემი", 1911, №25.
66. გაზეთი "თემი", 1911, №26
67. გაზეთი "ისარი" 1908, №6
68. გაზეთი "სახალხო ფურცელი" 1914, №158.
69. გაზეთი "სახალხო ფურცელი" 1914, №160.
70. გაზეთი "სახალხო ფურცელი" 1914, №161.
71. გაზეთი ,,ცნობის ფურცელი'' 1897, №100.
72. გაზეთი ,,ცნობის ფურცელი'' 1897, №122.
73. გაზეთი ,,ცნობის ფურცელი'' 1900, №1135.
74. გაზეთი ,,ცნობის ფურცელი'' 1901, №1430.
75. გაზეთი ,,ცნობის ფურცელი'' 1902, №1741.
76. გაზეთი ,,ცნობის ფურცელი'' 1902, №1868.
77. გაზეთი ,,ცნობის ფურცელი,'' 1904, №142.
78. გაზეთი ,,ცნობის ფურცელი,'' 1904, №143.
79. გაზეთი "საქმიანი კვირა", 1991, №5.
80. გაზეთი "ცისკარი", 1862, №2.
81. გაზეთი "ჩანგი", 1909, №4.
82. ჟურნალი ,,კვალი,'' 1893, №42.

83. ჟურნალი ,,კვალი,'' 1900, №7.

84. ჟურნალი ,,კვალი,'' 1901, №40.

85. ჟურნალი ,,კვალი,'' 1901, №4.

86. ჟურნალი "მუდმივი", 2003, №18.

87. ჟურნალი "თეატრი და ცხოვრება", 1914, №28.

88. ჟურნალი "თეატრი და ცხოვრება", 1914, №41.

89. ჟურნალი "თეატრი ", 1886, №13.

90. ჟურნალი ,,მნათობი,'' 1928, №7.

91. ჟურნალი ,,მწყემსი,'' 1884, №19

92. ჟურნალი ,,მწყემსი,'' 1891, №18

93. ცინცაძე კალისტრატე, ჟურნალი ,,მწყემსი,'' 1901, №20.

94. ფერაძე ლიანა, ჟურნალი ,,მწიგნობარი,'' 2004 ,№121.

95. მირიანაშვილი ნ. ჟურნალი ,,საისტორიო მოამბე'', 1993-94, №65-66.

გ) წიგნები

1. აბზიანიძე გიორგი. ნარკვევები მე-19-ე საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიიდან, თბილისი 1959.

2. ავალიშვილი ზაქარია. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21წწ. საერთაშორისო პოლიტიკაში, თბილისი 1929.

3. ბერაძე ნ. გიორგი ტარსაიძე, თბილისი1957.

4. ბერძნიშვილი მაქსიმე. მასალები XIX-ის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრივი ისტორიისათვის, თბილისი 1980.

5. ბერიძე გ. ქართველი მეღვინეები, თბილისი 1974.

6. გამახარია ჯემალ. წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) და აფხაზეთი, თბილისი 2007.

7. გორდეზიანი ბ. ზიჩი საქართველოში, თბილისი 1966.

8. გოზალიშვილი შალვა. ილია ჭავჭავაძე და ქართული კულტურის საზღვარგარეთული მეგობრები, თბილისი 1973.

9. გოგებაშვილი იაკობ. თხზულებანი ტ.3, 1954.

10. გუგუშვილი პაატა. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება მე-XIX-ე მე-XX-ეში, ტ.III, თბილისი 1979.

11. გურეშიძე დავით. ქველმოქმედება, ქუთაისი 1995.

12. გუდიაშვილი ლადო. მოგონებები, თბილისი 1979.

13. გუჯეჯიანი გივი. დავით სარაჯიშვილის საქველმოქმედო საზოგადოება, თბილისი 1996.

14. დუდუჩავა მამია. იაკობ ნიკოლაძე, თბილისი 1955.

15. ვარდოსანიძე სერგო. ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეში) თბილისი 2010.

16. ზურაბიშვილი ივანე. კარგ ქართველთა ხსოვნისათვის, თბილისი 1962.

17. თაყაიშვილი ექვთიმე. რჩეული ნაწერები, ტ. I,თბილისი 1968.

18. თავზერიძე ილია. მე-19-ე საუკუნის ქართველი მოღვაწეები და საეკლესიო გალობა, თბილისი 2005.

19. იაშვილი ა. დავით სარაჯიშვილი და კონიაკის წარმოების ისტორია საქართველოში, თბილისი 1993.

20. კაშმაძე შალვა. ვანო სარაჯიშვილი, თბილისი 1976.

21. მღვდელი კარპელაშვილი პოლიექტოს. ქართული საერო და სასულიერო კილოები, ისტორიული მიმოხილვა, 1898.

22. კელენჯერიძე მელიტონ. გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, ტI, ქუთაისი 1913.

23. კელენჯერიძე მელიტონ. გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, თბილისი 2006.

24. კიკნაძე ვაჟა. ეროვნული და საკაცობრიო პრობლემატიკა XIX ს ქართველი სასულიერო მოღვაწეების შემოქმედებაში,თბილისი 2009

25. კომახიძე თენგიზ. ბათუმის ამაგდარნი, ბათუმი 1983.

26. კრებული, წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, 2006.

27. კრებული ,,მადლი'' 1990-2010 წლები, ტI, თბილისი 2010.

28. Lang Allen, A History of Georgia, 2003.

29. ლაისტი არტურ. საქართველოს გული, თბილისი 1963.

30. მანსვეტაშვილი იაკობ. მოგონებები ნახული და გაგონილი, თბილისი 1936.

31. მარჯანიშვილი გ. ლიტერატურული მატიანე, დავით სარაჯიშვილის სახლი, თბილისი 1992.

32. მაზნიაშვილი გიორგი. მოგონებები, თბილისი 1990.

33. მესხი კონსტანტინე. ყოვლად სამღვდელო რომის კათოლიკეთა ტირასპოლის ეპარქიის ეპისკოპოსი ედუარდ ბარონ- დე რაპი და მისი მოგზაურობა საქართველოში, თბილისი 1903.

34. მეტრეველი როინ. დეკლასირებული ელემენტები შუა საუკუნეების საქართველოში V-XIIსს, თბილისი 1976.

35. მიქელაძე ლალი. მე- 19-ე საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20-ე საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული საზოგადოებრივი აზროვნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შესახებ,საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი 1998.

36. მირიანაშვილი მადლენ. კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში, თბილისი 1980.

37. მწიგნობრობა ქართული სასულიერო მწერლობა, წიგნი I, თბილისი 2013.

38. ნანიტაშვილი მირიან. ერის წყლული აჩნდა წყლულად, თბილისი 1993.

39. ნაცვლიშვილი პაატა. ქაღალდის წერო, თბილისი 1986.

40. ნიკოლაძე რუსუდან. ცხოვრების დიდ გზაზე, თბილისი 1973.

41. ნიკოლაძე იაკობ. მოგონებები, თბილისი 1976.

42. ნიკოლეიშვილი ავთანდილ. გაბრიელ ეპისკოპოსი, 1990.

43. სარაჯიშვილი პეტრე. დავით სარაჯიშვილის სახსოვრად, კრებული, თბილისი 1911.

44. სარაჯიშვილი ალექსანდრე. კრებული დავით სარაჯიშვილის სახსოვრად, თბილისი 1911.

45. სარაჯიშვილი ალექსანდრე. ძველი საქართველო, თბილისი 1913.

46. საქართველოს საისტორიო და ეთნოგრაფიული საზოგადოების კრებული ”ძველი საქართველო”, ტ.I, თბილისი 1911

47. სახოკია თედო. იმერეთის ბარონ -დებაის მოგზაურობიდან, თბილისი 1902.

48. სიგუა ალექსანდრე. იშვიათი ბუნების კაცი, თბილისი 1985.

49. სტეფანიშვილი ალექსანდრე. დავით სარაჯიშვილი, თბილისი 1988.

50. ტატიშვილი ირინა. მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართველი ახალგაზრდობა, თბილისი 1960.

51. ფანჩველიძე დიმიტრი . ქართულ- ფრანგული ლიტერატურული ისტორიის ურთიერთობიდან, თბილისი 1969.

52. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა, დაბრუნება, ტ.I, თბილისი 1992.

53. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ. V, თბილისი 1958.

54. ჩიხლაძე ნანა. ქართველი ღვაწლმოსილი ქალები, თბილისი 1980.

55. ჩიმაკაძე გურამ. ცხოვრება და ღვაწლი დავით სარაჯიშვილისა.

56. ჩხიტუნიძე თ. ქართველთა შორის წერა- კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საბიბლიოთეკო და საგამომცემლო მოღვაწეობა, თბილისი 1980.

57. წერეთელი აკაკი, თხზულებანი, ტ. XIII, თბილისი 1961.

58. წერეთელი აკაკი, თხზულებანი, ტ. XIV, თბილისი 1961.

59. წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე და აფხაზეთი. თბილისი 2006.

60. ჭავჭავაძე ილია. მიმოწერა, ტ. X, თბილისი 1968.

61. ჭელიძე ვალერი. ივანე მაჩაბელი, თბილისი 1968.

62. ჭიჭინაძე ზაქარია. მრეწველობა, ვაჭრობა-ხელოსნობა საქართველოში. დავით სარაჯიშვილი, თბილისი 1911.

63. ჭიჭინაძე ზაქარია. მრეწველობის წარმომადგენლები და ზუბალაშვილების გვარის ისტორია, თბილისი 1904.

64. ჭიჭინაძე ზაქარია. ზუბალაშვილების გვარის წევრნი და მათგან დახმარება აღმოჩენილი და განაკეთები ძეგლები, თბილისი 1903.

65. ჭიჭინაძე ზაქარია. მუშა, გლეხთა, პროლეტართა მოკეთე ზუბალაშვილები და მათგან გაკეთებული ისტორიული და კულტურული ძეგლები, თბილისი 1924.

66. ჭიჭინაძე ზაქარია. მოკლე ისტორია ქართული თეატრისა 1791- 1906 წწ. თბილისი 1906.

67. ჭიჭინაძე ზაქარია. ქველმოქმედი ლევან,პეტრე და იაკობ კონსტანტინეს-ძე ზუბალაშვილები, თბილისი 1906.

68. ჭიჭინაძე ზაქარია. ნიკოლოზ გიორგის-ძე ზუბალაშვილი, თბილისი 1906.

69. ჭიჭინაძე ზაქარია. ქართველი კათოლიკენი ყველა ახპარეზად და ზოგი წერილები დასავლეთ საქართველოზე, თბილისი 1905.

70. ჭიჭინაძე ზაქარია. გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი. თბილისი 1904.

71. ჭიჭინაძე ზაქარია. სიტყვები და წერილები ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეზე. თბილისი 1903.

72. ჭიჭინაძე ზაქარია. ალექსანდრე ეპისკოპოსი. თბილისი 1903.

73. ხუნდაძე სიმონ. გადანახული საგანძურიდან,თბილისი 1965.

74. ჯავახიშვილი ივანე. ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნარკ. II, თბილისი 1929.

75. ჯანელიძე ოთარ. მასალები ქართული ემიგრაციის ისტორიისათვის, კრებული, ტ3; თბილისი 2005.

76. ჯორბენაძე სერგო. ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბილისი 1984.



1919 წელი: აკაკი ხოშტარია და ოლივერ უორდროპი იმყოფებიან ხოშტარიას სახლში

დავით სარაჯიშვილი

დავით სარაჯიშვილი და ბარონ დე ბაი

დანართი №6

აკაკი წერეთელი დავით სარაჯიშვილის სახლში

დავით სარაჯიშვილის სახლი

დავით სარაჯიშვილი და ეკატერინე ფორაქიშვილი

ზუბალაშვილების მიერ აგებული სახალხო სახლი (დღევანდელი მარჯანიშვილის თეატრი)

წმინდა ალექსანდრე ოქროპირიძე და ეპისკოპოსი ლეონიდ ოქროპირიძე

ალექსანდრე ოქროპირიძე ილიასთან საგურამოში

ალექსანდრე ოქროპირიძე სამღვდელოებასთან და საერო პირებთან 1898 წელი

(ფოტო გადაღებულია ალექსანდრე ოქროპირიძის გურია-სამეგრელოს ეპარქიის ეპისკოპოსად გადაყვანის დროს თბილისში)

იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე

დანართი №14

აკაკი ხოშტარია